მღვდელი გიორგი ვაშალომიძე

სახარებისეული მოვლენების იკონოგრაფია და მათი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თეოლოგიის სადოქტორო პროგრამა

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, მისამართი: ქ. თბილისი, სიონის ქ. N13/40

თბილისი, საქართველო

4.05.2026

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

ფაკულტეტი - თბილისის სასულიერო აკადემიის სადოქტორო პროგრამა

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ვადასტურებთ, რომ გავეცანით მღვდელ გიორგი ვაშალომიძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: *სახარებისეული მოვლენების იკონოგრაფია და მათი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები* და ვაძლევთ რეკომენდაციას ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

- - - - - -, - - - - - - 2026 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი,

პროფესორი, დეკანოზი მიქაელ გალდავა

რეცენზენტი:_____

რეცენზენტი:_____

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

20.10.2025.

ავტორი: მღვდელი გიორგი ვაშალომიძე

დასახელება: სახარებისეული მოვლენების იკონოგრაფია და მათი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები

სადოქტორო პროგრამა: თეოლოგია

ხარისხი: თეოლოგიის დოქტორი

სხდომა ჩატარდა _____

ინდივიდუალური პირების ან დაწესებულებების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით, მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას.

ავტორის ხელმოწერა _____

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს. მთლიანი ნაშრომის ან/და მისი ცალკეული კომპონენტების რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე აიღო შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც დამოწმებულია ლიტერატურის ციტირების დროს, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში წყაროთმცოდნეობითადაა გაანალიზებული სახარებისეული მოვლენების იკონოგრაფია და მათი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები.

სადოქტორო ნაშრომი დაფუძნებულია წმიდა მამათა პატრისტიკულ მემკვიდრეობაზე.

სადისერტაციო თემის განხილვამდე ჯეროვანია, რომ მკითხველმა მიიღოს ზოგადი ინფორმაცია იკონოგრაფიის წარმოშობისა და განვითარების შესახებ. ამისთვის ნაშრომში ცალკე თავს გამოვყოფთ და მასში გადმოვცემთ საეკლესიო მოძღვრებას ხატთაყვანისცემის შესახებ, რომლის საფუძველიც სახარებისეული სწავლებაა. ამასთანავე, ვიმსჯელებთ პირველ ხატმეტყველებით ნიმუშებზე, რომლებიც რომის კატაკომბურ მხატვრობაშია წარმოდგენილი. დასახელებულ თავში ცხადყოფილია ის ფაქტი, რომ ადრექრისტიანული ხანის ხატმეტყველებაში ჭარბობდა სიმბოლური გამოსახულებები, რაც შემდგომ პერიოდში ანთროპომორფულ იკონოგრაფიაში გადაიზარდა.

ხსენებულ თავში ხატმეტყველების არსის გადმოსაცემად ვიყენებთ სინტაგმურ ტერმინს „ვიზუალური ღვთისმეტყველება“. საეკლესიო მოძღვართა სწავლებაზე დაყრდნობით, ჩამოყალიბებულია ამ ტერმინის ახლებური დეფინიცია. ნაშრომში მსჯელობის გზით განვსაზღვრავთ, რომ ხატმეტყველება თეოლოგიის განუყოფელი ნაწილია და იგი სრულად არის დაფუძნებული საღვთისმეტყველო და სახარებისეულ სწავლებაზე.

ზემოაღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ, ნაშრომში ხუთი სახარებისეული თხრობის იკონოგრაფიას წარმოვადგენთ. ესენია: იესო ქრისტეს შობა, ნათლისღება, ფერისცვალება და „ვნების ციკლად“ წოდებული ქრისტიანული გამოსახულებები, რომელნიც „ჯოჯოხეთის წარტყვევნა-წარმოცალიერების“ ხატმეტყველებით სრულდება და ამაღლება.

თითოეული იკონოგრაფიის განხილვას ვაწარმოებთ სახარებისეული ტექსტისა და შესაბამისი ეგზეგეტიკის საფუძველზე, კერძოდ, შემდეგი წესით: ჯერ გადმოვცემთ ზოგად ინფორმაციას შესაბამისი იკონოგრაფიული გამოსახულების შესახებ; შემდეგ ვიმოწმებთ შესაბამის ადგილებს სახარებიდან. აღნიშნულს

მოსდევს ვრცელი განხილვა, რაც ორ მიმართულებას მოიცავს: ერთი მხრივ, განვიხილავთ შესაბამისი ხატმეტყველების განვითარების ისტორიას, მეორე მხრივ, ვიმოწმებთ რა შესაბამის საღვთისმეტყველო ლიტერატურას, წარმოდგენილი გამოსახულების საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებით ასპექტებს წარმოვაჩენთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი და იმავე სახარებისეული მოვლენების ამსახველ იკონოგრაფიათა განსხვავებული რედაქციები, რომლებიც სახარებაში გადმოცემული თხრობის სხვადასხვა საღვთისმეტყველო-ეგზეგეტიკურ ასპექტებს წარმოაჩენენ.

ნაშრომში მოყვანილი სახარებისეული თხრობის მიხედვით შექმნილი თითოეული იკონოგრაფიული დეტალი წმინდა მამათა ეგზეგეზისის საფუძველზეა განხილული.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ სახარებისეული მოვლენების იკონოგრაფია მხოლოდ შესაბამისი ტექსტუალური მასალის ილუსტრირება არ არის, არამედ იგი თავის თავში აერთიანებს ეგზეგეტიკური, ჰომილეტიკური და ლიტურგიკული ჟანრის ლიტერატურას.

ნაშრომში წარმოვადგენთ სახარებისეული იკონოგრაფიის სხვადასხვა ასპექტს. ადრექრისტიანულ ხანაში, როცა მრევლის დიდმა ნაწილმა წერა-კითხვა არ იცოდა, აღნიშნული ხატმეტყველება მათთვის სახელმძღვანელოს ფუნქციასაც ასრულებდა, საიდანაც ისინი სახარებისეულ მოვლენებსა და შესაბამის განმარტებას ეცნობოდნენ. ამავდროულად, ხატმეტყველება ხშირად გამოიყენებოდა ეკლესიაში წარმოშობილი გარკვეული მწვალებლობების წინააღმდეგ, რის შესახებაც ნაშრომში ვიმსჯელებთ.

სადოქტორო ნაშრომში გადმოვცემთ ხატმეტყველების კავშირს სატაძრო არქიტექტურასა და იმ წმინდა ნივთებთან, რომელნიც ღვთისმსახურებისთვის გამოიყენება (მაგალითად, ფეშხუმთან).

ნაშრომში წარმოჩენილია, რომ ხატმეტყველება ღვთისმეტყველების განუყოფელი ნაწილია და მას წარსულშიც და ახლაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანებისთვის ქრისტიანული, მაცხოვნებელი სწავლების გადაცემისა და შემეცნების საქმეში.

Abstract

This work represents a study on iconography of the events described in the Gospel and their theological and typological aspects founded on the source material.

The dissertation is based on the patristic heritage of the Holy Fathers.

Before starting the topic of the dissertation thesis, we consider it proper to introduce general information about the origin and development of iconography. For this purpose, one of its chapters is dedicated to the explanation of the ecclesiastical teaching on the veneration of icons, the basis of which is the Doctrine of the Gospel.

In addition, we analyze the first examples of iconography, found among the Roman catacomb paintings. The aforementioned chapter discusses the prevalence of the symbolic images in the iconography of the early Christian period which later developed into anthropomorphic iconography.

In the same chapter, we have worked out the syntagmatic term "visual theology" to convey the essence of iconography. The new definition of this term has been formulated based on the teachings of ecclesiastical Fathers. Following the style of the analysis, we consider that iconography is an integral part of theology which is fully based on theological and evangelical teaching.

After the consideration of the aforementioned issue, the thesis discusses iconography of the five narratives of the Gospel which are: Nativity of Jesus Christ, Epiphany, Transfiguration and the Christian imagery known as "Passion Cycle" which culminates in that of the "Harrowing of Hell" and Ascension.

We study each iconography based on the text of the Gospel and its relevant exegesis, specifically, in the following order: first, we provide general information about a certain iconographic image and then refer to the relevant passages from the Gospels. The aforementioned is followed by an extensive discussion on iconography, which covers two areas: on the one hand, we review the history of the development of a certain iconographic image, and on the other hand, by examining relevant to it theological literature, we present its theological and typological aspects. Of particular importance are the different versions of the same event of the Gospel which display different theological and exegetical aspects of the narrative conveyed in the Gospel.

Based on the narrative of the Gospel, each of the iconographic details given in this work is studied according to the Holy Fathers' exegesis.

It is particularly interesting that iconography of the Gospel events is not only an illustration of the corresponding textual material but also incorporates the literature of exegetical, homiletic, and liturgical genres.

In this work, we present various aspects of iconography of the Gospel. In the early Christian era, when a large part of the parish was illiterate, iconography also served as a guide for them through which they learned about the events of the Gospel and their corresponding interpretation.

At the same time, iconography was often used against certain heresies that arose in the Church, which is accordingly reviewed in this work.

In this dissertation thesis, we also speak about the connection of iconography with temple architecture and sacred objects used for the Holy Liturgy (for example, the Paten).

Finally, this work demonstrates that iconography is an integral part of theology and has been and continues to be of great importance in the imparting of Christian Teaching of Salvation to people for their understanding of its essence, both in the past and at present.

შინაარსი

აბსტრაქტი.....1

Abstract.....3

ილუსტრაციების ნუსხა.....10

შესავალი.....12

თავი I. ხატმეტყველებისა და ბიბლიური მოვლენების პირველ გამოსახულებათა შესახებ……..34

თავი II. იესო ქრისტეს შობის იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები……..…52

2.1. მაცხოვრის შობის კომპოზიცია IV-V საუკუნეებში……...52

2.2. გამოქვაბულის სიბნელეში გამოსახული სპეტაკი ფერების სამოსელში შეხვეული ყრმის სახისმეტყველება……..53

2.3. ჯოჯოხეთის წარმოტყვევნისა და ქრისტეს შობის იკონოგრაფიების შედარებითი ანალიზი……..…….……..55

2.4. ბაგაში მწოლიარე ახალშობილ ყრმასთან ხარისა და სახედრის გამოსახულებების ხატმეტყველება……...57

2.5. ქრისტესშობის იკონოგრაფიის კავშირი „ხე ცხოვრებისას“ მნიშვნელობასა და ტაძარში აღსრულებულ ევქარისტიასთან……63

2.6. იესო ქრისტეს შობის იკონოგრაფიაში მთის გამოსახვის სახისმეტყველება...65

2.7. მოგვთა და მწყემსთა მიერ აღსრულებული თაყვანისცემა.....66

2.8. ყრმათა მოსრვის ხატმეტყველება.....76

2.9. იესო ქრისტეს შობის იკონოგრაფიაში ჩართული აპოკრიფული სცენები და ანგელოზები……...77

2.10. ქრისტესშობის იკონოგრაფიაზე მსჯელობის დასკვნითი ნაწილი……...78

თავი III. იესო ქრისტეს ნათლისღების იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები……80

3.1. იესო ქრისტეს ნათლისღების გამოსახვის თავისებურებები ადრექრისტიანულ ხანაში……...80

3.2. იესო ქრისტეს ნათლისღების სიმბოლური გამოსახულება - წყალს დაწაფებული ირმის სცენა……83

3.3. იესო ქრისტეს ნათლისღების ჩამოყალიბებულ იკონოგრაფიულ სქემაში სამების განცხადება……..……84

3.4. ნათლისღების კომპოზიციაში იესო ქრისტეს შიშვლად გამოსახვის სახისმეტყველება……..……85

3.5. ნათლისღების ხატმეტყველებაში იესო ქრისტეს „იორდანეშემოსილობა“...88

3.6. იესო ქრისტეს ნათლისღების ხატმეტყველებაში გამოსახული იოანე ნათლისმცემელი და ანგელოზები……89

3.7. ნათლისღების ხატმეტყველებაში წყლის, იორდანის უკუმიქცევისა და ემბაზის შესახებ……94

3.8. ნათლისღების იკონოგრაფიაში ჩართული ცეცხლის გამოსახულების შესახებ……98

3.9. სახარებისეულ თხრობაში გადმოცემული „განიხუენ ცანი“ - ს ეგზეგეზას სახისმეტყველებითი ასახვა ნათლისღების იკონოგრაფიაში……102

3.10. საღვთო ნათლის შესახებ……105

3.11. მტრედის სახისმეტყველება ნათლისღების ხატმეტყველებაში……...106

3.12. ჯვარი, გველი და მისი მოკვეთილ-გასრესილი თავი ნათლისღების კომპოზიციაში……107

3.13. იოანე ნათლისმცემლის შესამოსელი……111

3.14. იოანე ნათლისმცემლის ქადაგების იკონოგრაფიული ასახვა……..114

3.15. იესო ქრისტეს ნათლისღებისა და აღდგომის იკონოგრაფიათა შედარებითი ანალიზი……115

3.16. იესო ქრისტეს ნათლისღების იკონოგრაფიაზე მსჯელობის დასკვნითი ნაწილი……..117

თავი IV. იესო ქრისტეს ფერისცვალების იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები……..118

4.1. იესო ქრისტეს ფერისცვალების ადრექრისტიანული ხანის ხატმეტყველება (რავენაში მდებარე წმინდა აპოლინარეს ბაზილიკის საკურთხევლის მოზაიკა)...118

4.2. იესო ქრისტეს ფერისცვალების იკონოგრაფიული სქემის განვითარება და ჩამოყალიბება…….122

4.3. მანდორლას სახისმეტყველება……123

4.4. ხატმეტყველების ბრძოლა ეკლესიის წიაღში წარმოშობილ მწვალებლობათა წინააღმდეგ იესო ქრისტეს ფერისცვალების იკონოგრაფიის მაგალითზე……..130

4.5. მანდორლას სახისმეტყველების კავშირი მოციქულებისა და წინასწარმეტყველების გამოსახულებებთან ფერისცვალების იკონოგრაფიაში….133

4.6. მანდორლა, როგორც ძე ღმერთის საღვთო ბუნების იკონოგრაფიულად ამსახველი……...134

4.7. ფერისცვალების იკონოგრაფიის კავშირი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლასთან……138

4.8. მოსე და ელია წინასწარმეტყველები ფერისცვალების იკონოგრაფიაში....139

4.9. სამი მოციქულის გამოსახულება იესო ქრისტეს ფერისცვალების იკონოგრაფიაში……...144

4.10. ორ რეგისტრად გაყოფილი „ფერისცვალების“ იკონოგრაფია……..145

4.11. მთის გამოსახულება იესო ქრისტეს ფერისცვალების ხატმეტყველებაში..147

4.12. იესო ქრისტეს ფერისცვალების კომპოზიციების ვრცელი რედაქცია…….149

4.13. იესო ქრისტეს ფერისცვალების იკონოგრაფიაზე მსჯელობის შემაჯამებელი ნაწილი.....150

თავი V. იესო ქრისტეს „ვნების ციკლად“ წოდებული მოვლენებისა და ჯოჯოხეთის წარტყვევნა-წარმოცალიერების (აღდგომის) იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო - სახისმეტყველებითი ასპექტები……152

5.1. „საიდუმლო სერობის“, ევქარისტიის მნიშვნელობის ასახვა ხატმეტყველებაში……...152

5.2. იესო ქრისტეს მიერ მოციქულთა ზიარების ხატმეტყველება…….153

5.3. სახარებისეული თხრობის ასახვის თავისებურებები შუა საუკუნეების და შემდგომდროინდელ „საიდუმლო სერობის“ ხატმეტყველებაში……...156

5.4. იესო ქრისტეს ჯვარცმისა და გარდამოხსნის ხატმეტყველება……161

5.5. იესო ქრისტეს ჯვარცმის მომასწავებელი ძველაღთქმისეული ისტორიების მიხედვით შექმნილი გამოსახულებები ადრექრისტიანულ ხანაში……163

5.6. იესო ქრისტეს ჯვარცმის ჩამოყალიბებული იკონოგრაფიული სქემა…….166

5.7. ჯვრის გამოსახულებები ადრექრისტიანულ ხანაში……....168

5.8. ჯვარცმული, კვართშემოსილი იესო ქრისტეს გამოსახულება……171

5.9. ჯვარცმული იესო ქრისტეს ფერდის ლახვრით განგმირვისა და სისხლისა და წყლის წარმოდინების ხატმეტყველება……174

5.10. მზისა და მთვარის გამოსახულებები იესო ქრისტეს ჯვარცმის კომპოზიციაში……177

5.11. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და იოანე ღვთისმეტყველის გამოსახულებები იესო ქრისტეს ჯვარცმის ხატმეტყველებაში……180

5.12. იესო ქრისტეს ჯვარზე აღსრულების ხატმეტყველება……181

5.13. „გარდამოხსნის“ ხატმეტყველება……...182

5.14. ქრისტეს აღდგომის გამოსახულებები ადრექრისტიანულ ხანაში……186

5.15. აღდგომისა და ჯოჯოხეთის წარტყვევნა-წარმოცალიერების ხატმეტყველება……..188

5.16. ქრისტეს აღდგომის იკონოგრაფიის განვრცობილი რედაქციები……195

5.17. „საიდუმლო სერობის“, ქრისტეს ვნებისა და აღდგომის ხატმეტყველების შესახებ მსჯელობის შეჯამება……...201

თავი VI. იესო ქრისტეს ამაღლების ხატმეტყველება და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები.....202

6.1. იესო ქრისტეს ამაღლების ხატმეტყველების ჩამოყალიბება.....202

6.2. „ამაღლების“ ხატმეტყველებაში „მარჯვენით ჯდომისა“ და „მანდორლის“ შესახებ.....202

6.3. ანგელოზების გამოსახულება „ამაღლების“ ხატმეტყველებაში.....205

6.4. „ზეციური კარიბჭის გახსნის“ იკონოგრაფიული დეტალი და მისი კავშირი ნათლისღების ხატმეტყველებასთან.....206

6.5. „ტახტისა“ და „საყვირების“ სახისმეტყველება და მისი კავშირი „მეორედ მოსვლის“ თემატიკასთან.....207

6.6. გვიანი პერიოდის „ამაღლების“ ხატმეტყველების იკონოგრაფიული თავისებურებები.....208

დასკვნა.....211

ბიბლიოგრაფია.....225

ილუსტრაციების ნუსხა

ილ. 1; სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის კონქში განთავსებული იესო ქრისტეს გამოსახულება 246

ილ. 2; იესო ქრისტეს შობის კომპოზიცია; ფრესკა ატენის სიონიდან (XI ს.) 247

ილ. 3; იესო ქრისტეს შობის კომპოზიცია; ფრესკა ყინწვისიდან (XIII ს.) 247

ილ. 4; რელიეფური გამოსახულება საცხენისის VI საუკუნის ქვაჯვარზე 248

ილ. 5; ატენის სიონის ფრესკული მხატვრობა; იოსებ დამწინდველის სიზმრისეული ჩვენება 248

ილ. 6; მოგვთა თაყვანისცემა; X საუკუნის იფხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოხატულობა 249

ილ. 7; წყალს დაწაფებული ირმების სცენა; V საუკუნის ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკა 249

ილ. 8; ნათლისღება; სვანეთი; ლაღამის მაცხოვრის სახელობის ტაძრის მხატვრობა; (XIII ს) 250

ილ. 9; ნათლისღება; ანჩისხატის კარედის რელიეფურ ფრაგმენტი 250

ილ. 10; ნათლისღება; უბისას მონასტრის ფრესკული მხატვრობა 251

ილ. 11; ნათლისღება; ადრექრისტიანული ხანის იკონოგრაფია; უსანეთის სტელაზე განთავსებული რელიეფურ გამოსახულება; VIII-IX სს 252

ილ. 12; ღვთისმშობლის ხატის (ზარზმის მონასტრიდან) კარედის მოჭედილობის ფრაგმენტზე განთავსებულ ნათლისღების ხატმეტყველებაში; XI ს..... 252

ილ. 13; ზარზმის მონასტრის ჭედური ფერისცვალების ხატი, რომელიც 886 წლით თარიღდება 253

ილ. 14; ლაშთხვერის ტაძრის დასავლეთის კედელზე განთავსებული „ფერისცვალების“ XVI საუკუნის ფრესკა.....253

ილ. 15; ფერისცვალება; აჭის (გურია) წმინდა გიორგის სახელობის მონასტრის კედლის მხატვრობა; XIII-XIV სს. 254

ილ. 16; უბისის ტაძრის კედლის მხატვრობაში მაცხოვარი ორ რიგად წარმოდგენილ მოციქულებს აზიარებს (I ნაწილი).....254

ილ. 17 უბისის ტაძრის კედლის მხატვრობაში მაცხოვარი ორ რიგად წარმოდგენილ მოციქულებს აზიარებს (II ნაწილი) 255

ილ. 18; დავითგარეჯის უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოში არსებულ ფრესკული გამოსახულება (X-XI სს.) 255

ილ. 19; საიდუმლო სერობა; უბისას მხატვრობა (XIV ს.) 256

ილ. 20; შემოქმედის უფლის ფერისცვალების სახელობის ტაძრის კედლის მხატვრობა (XVII-XVIII ს.ს.) 256

ილ. 21; აჭის „წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში“ განთავსებულ იესო ქრისტეს ჯვარცმის ამსახველ ფრესკა (XIII ს.).....257

ილ. 22; ხახულის კარედზე განთავსებულ VIII საუკუნის კვადროფოლიუმზე სამოსლით ჯვარზე გაკრული მაცხოვარია წარმოდგენილი 257

ილ. 23; დავით გარეჯის მონასტრის ერთ-ერთი საბერის ჩრდილოეთ კედელზე ჯვარზე გაკრული კვართშემოსილი იესო ქრისტეა გამოსახული (X ს.).....258

ილ. 24; VII საუკუნეების დოდოს რქის მხატვრობა, სადაც იესო ქრისტე „დიდებაშია“ გამოსახული 258

ილ. 25; აჭის (გურია) მონასტერში განთავსებულ იესო ქრისტეს ჯვარცმის ამსახველი XIII-XIV საუკუნის ფრესკა 259

ილ. 26; „გარდამოხსნა“ (XV ს.) 259

ილ. 27; აკლდამის გადაგორებულ ლოდზე მჯდომი ანგელოზი; ყინწვისის „ქრისტეს აღდგომის“ იკონოგრაფია 260

ილ. 28; „ჯოჯოხეთის წარმოცალიერება“; XVI საუკუნის უბისას ტაძრის კედლის მხატვრობა 260

ილ. 29; „ჯოჯოხეთის წარმოცალიერება“; „შემოქმედის გულანის“ XVIII საუკუნის მინიატურა 261

ილ. 30; ჯოჯოხეთის დამარცხება; აჭის მონასტრის მოხატულობა; (XIII ს.) 261

ილ. 31; „ჯოჯოხეთის წარმოცალიერება“; XVIII საუკუნის „ჟამნის“ ხელნაწერის მინიატურა 262

ილ. 32; სოლოღაშენის ტაძრის ჭედური ხატი „ამაღლების“ გამოსახულებით (X-XI სს.).....262

ილ. 33; ნიკორწმინდის ტაძრის ფასადზე განთავსებული რელიეფი „ამაღლების“ გამოსახულებით (XI ს.).....263

შესავალი

1. საკვლევი თემის აქტუალობა

წინამდებარე საკვლევი თემა ეხება სახარებაში გადმოცემული მოვლენების იკონოგრაფიასა და მათ საღვთისმეტყველო-სახისმეტყელებით ასპექტებს. ქრისტიანულ ეკლესიაში ხატმეტყველებას უაღრესად დიდი ადგილი უკავია. როგორც წინამდებარე კვლევაშია წარმოჩენილი, იკონოგრაფია „ვიზუალურ ღვთისმეტყველებად“ განიხილება. ხატმეტყველება ვითარდებოდა ქრისტიანული ლიტერატურის წარმოშობისა და განვითარების კვალდაკვალ. როგორც ცნობილია, ქრისტიანული რელიგია, თავდაპირველად, რომის იმპერიის წიაღში ჩაისახა და გავრცელდა. მაშინდელი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, რომელიც საზოგადოების სოციალურად დაბალ ფენას წარმოადგენდა, წერა-კითხვა არ იცოდა. შესაბამისად, სოციუმის აღნიშნული ნაწილისთვის, სახარებისეული თხრობის ხატმეტყველება, რომელიც მას ოთხთავში გადმოცემული თხრობის შინაარსსა და ეგზეგეტიკას აცნობდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ოთხთავში გადმოცემული მოვლენების ხატმეტყველება არა მხოლოდ სახარებისეულ თხრობას, არამედ შესაბამისი მოვლენის ეგზეგეზასაც გადმოგვცემს.

წინამდებარე საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია თეოლოგიის მკვლევართათვის, რადგან ნაშრომში ცხადყოფილია იკონოგრაფიის საღვთისმეტყველო ასპექტები და ხატმეტყველება განხილულია, როგორც ღვთისმეტყველების ერთ-ერთი დარგი.

სადოქტორო ნაშრომის შინაარსი განსაკუთრებით ყურადსაღებია ბიბლეისტიკით დაინტერესებულთათვის, რადგან წინამდებარე კვლევა ეხება სახარების შინაარსისა და ეგზეგეზის მიხედვით შექმნილი იკონოგრაფიის საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებით ასპექტებს.

სადისერტაციო თემა საინტერესოა იმ ხელოვნებათმცოდნეებისთვის, რომელნიც სხვადასხვა ტაძრის სახარებისეული სცენების მოხატულობას სწავლობენ. ამ დარგის სპეციალისტები, უმეტესად, ტაძარში განთავსებული სახარებისეული ციკლის კედლის მხატვრობის სტილისტურ მხარეს შეისწავლიან. მათთვის მნიშვნელოვანი იქნება შესასწავლი მხატვრობის შინაარსობრივი მხარეც.

ვფიქრობთ, საკვლევი საკითხით ხატმწერებიც დაინტერესდებიან, რადგან ნებისმიერ ხატის გამოსახულების (მათ შორის ფერადოვნების) გამოსახვის განმსაზღვრელი ღვთისმეტყველებაა.

წინამდებარე საკვლევი თემა ინტერდისციპლინურია იმ გაგებით, რომ ის, ერთი მხრივ, თეოლოგიური მიმართულებისაა, მეორე მხრივ კი, ხელოვნებათმცოდნეობით ასპექტებსაც მოიცავს. ხელოვნებათმცოდნეობითი მიმართულება, უმეტესად სწავლობს ქრისტიანული იკონოგრაფიის სტილისტურ მხარეს, მის სტრუქტურას, მასალას. ასევე, აღნიშნული სფერო მოიცავს სატაძრო არქიტექტურისა და მასში გამოსახული (მასზე განთავსებული) იკონოგრაფიის კავშირს. თეოლოგიური მიმართულება წინამდებარე თემის უმთავრესი მხარეა. სადისერტაციო ნაშრომის განხილვისას გამოვკვეთთ იკონოგრაფიის არსებით მხარეს - ღვთისმეტყველებას.

იყო შემთხვევები, როცა ეკლესია, ქრისტიანულ ლიტერატურასთან ერთად, იკონოგრაფიის საშუალებით პასუხობდა ეკლესიაში წარმოშობილ სხვადასხვა მწვალებლობას და ხსენებული მიზეზით ხშირ შემთხვევაში საგანგებო ხატები იქმნებოდა.

საკვლევ თემასთან დაკავშირებით, არსებობს სხვადასხვა საღვთისმეტყველო ლიტერატურაში გადმოცემული შესაბამისი სწავლება, ასევე, ხელოვნებათმცოდნეების მიერ სახარებისეული თხრობის მიხედვით შექმნილი, ხატმეტყველებასთან დაკავშირებული ლიტერატურა.

დღევანდელ რეალობაში, ერთი მხრივ, ხელოვნებათმცოდნეების მიერ შესწავლილია დასახელებული მხატვრობის სტილისტურ-აღწერითი მხარე, მეორე მხრივ, სახარებასა და შესაბამის ეგზეგეტიკურ ლიტერატურაში წარმოდგენილია საღვთისმეტყველო სწავლება, რომელიც ხატმეტყველების საფუძველია. დღესდღეობით არ არსებობს მეცნიერული, სისტემურად ჩამოყალიბებული ნაშრომი, რომელშიც სახარებისეული თხრობის ამსახველი ხატმეტყველება საღვთისმეტყველო განმარტებების საფუძველზე იქნება განხილული. აღნიშნული საკითხი აქტუალურია თეოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობით დაინტერესებულ პირთათვის, რადგან დასახელებული ორივე მიმართულება ერთი საკითხის ორი მხარეა, რის წარმოჩენასაც შევეცდებით წინამდებარე

ნაშრომში განხილული იკონოგრაფიული ნიმუშებისა და შესაბამისი საღვთისმეტყველო განმარტებების მაგალითებზე. განსაკუთრებით ხაზგასასმელია საკვლევი საკითხის საღვთისმეტყველო ასპექტები, სადაც ხატმეტყველება განხილულია, როგორც ღვთისმეტყველების განსაკუთრებული სახე.

ჩვენ მიერ შესრულებული ნაშრომი დარგის განვითარებაში წვლილს შეიტანს. გამდიდრდება. შეიქმნება ახალი, სახარებისეული მოვლენების ამსახველი იკონოგრაფიისა და შესაბამისი ღვთისმეტყველების სისტემური, მეცნიერული კვლევით გამყარებული ნაშრომი. საეკლესიო სწავლების თანახმად, ხატი იწერება და, შესაბამისად, იკითხება კიდეც (ამასთან დაკავშირებით ნაშრომში დაწვრილებით ვმსჯელობთ), იკონოგრაფიის თითოეული, მხატვრული დეტალი საღვთისმეტყველო შინაარსის საფუძველზეა შექმნილი. აღნიშნული ასპექტი განსაკუთრებულად იკვეთება სახარებისეული მოვლენების ამსახველ იკონოგრაფიაში, სადაც, გარდა ოთხთავის მიხედვით გადმოცემული თხრობისა, შესაბამისი ეგზეგეზაცაა ასახული. თანახმად ნათქვამისა, უაღრესად მნიშვნელოვანია წინამდებარე ნაშრომის სამეცნიერო კვლევის მიზანი - სახარების ხატმეტყველება (ზოგადად, იკონოგრაფია) განხილული იქნას როგორც გამოსახულებათა და მათი ეგზეგეზისის ერთმთლიანობა.

2. კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია გადმოვცეთ სახარებისეული მოვლენების იკონოგრაფიის არსი და მხატვრული გამომსახველობის საღვთისმეტყველო საფუძვლები, რომელიც წმინდა მამათა სწავლებაზეა დამყარებული. წყაროთმცოდნეობითი განხილვის საშუალებით წარმოვაჩენთ, რომ ოთხთავში გადმოცემული და ათორმეტ დღესასწაულთა რიგში შესული ისტორიების იკონოგრაფია ამავე მოვლენების შინაარსისა და ეგზეგეზისის ნივთიერი (საღებავის, ლითონის, ქვის), ხილვადი სახით გადმოცემას გულისხმობს.

სწორედ ამ მიზნის დასახვა-ხორცშესხმას ემსახურება დისერტაციის პირველი თავი, სადაც წარმოვაჩენთ იკონოგრაფიის არსს, მისი წარმოშობის

მიზეზებსა და განვითარების ისტორიულ საფუძვლებს. შემდეგ თავებში განვიხილავთ იმ სახარებისეული მოვლენების ხატმეტყველებას, რომელშიც ყველაზე მეტად აისახება ზემოაღნიშნული გარემოებები.

სახარებისეულ თხრობათა შორის, უპირველესად, იესო ქრისტეს შობის იკონოგრაფიას განვიხილავთ, რომელიც ეგზეგეტიკურ-დოგმატური ხასიათისაა.

ნაშრომში განხილული სახარებისეული ისტორიის შემდეგი იკონოგრაფია ნათლისღების დღესასწაულს შეეხება. მოცემულ შემთხვევაში მიზნად ვისახავთ არა მხოლოდ იესო ქრისტეს ნათელღების ხატმეტყველების განხილვას, არამედ იმას, თუ როგორ არის გადმოცემული შესაბამისი იკონოგრაფიით ნათლისღების საიდუმლოს არსი და მნიშვნელობა.

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილი შემდეგი იკონოგრაფია იესო ქრისტეს ფერისცვალებას ეხება. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ, თუ როგორ გადმოსცემს იკონოგრაფია იესო ქრისტეს ფერისცვალების უმთავრეს არსს - საღვთო, უხილავი ბუნების გამოვლინებას. ამასთანავე, მიზნად ვისახავთ, აღნიშნული იკონოგრაფიის მაგალითზე გადმოვცეთ, თუ როგორ იყენებდა ეკლესია კონკრეტულ ხატწერით ჩანართებს შესაბამისი მწვალებლობების სამხილებლად.

კიდევ ერთი იკონოგრაფია, რასაც ნაშრომში განვიხილავთ, იესო ქრისტეს ვნების ციკლსა და ქვესკნელის წარმოცალიერებას გადმოსცემს. აღნიშნული ხატმეტყველება მოიცავს სახარებისეულ თხრობას იესო ქრისტეს მიერ აღსრულებული უკანასკნელი პასექიდან მისი აღდგომის ჩათვლით. აღნიშნული პერიოდი ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს მოიცავს, რასაც სრულად ეფუძნება სოტერიოლოგიური სწავლება. ჩვენი მიზანია, გადმოვცეთ აღნიშნული მოვლენების ხატმეტყველება და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები.

როგორც აღინიშნა, ჩვენი მიზანია გამოვკვეთოთ ხატმეტყველებისა და ღვთისმეტყველების ერთმთლიანობა. ამასთან, ცხადვყოფთ, თუ როგორ ვითარდებოდა იკონოგრაფია საღვთისმეტყველო ლიტერატურასთან ერთად, რა მხატვრული დეტალებით მდიდრდებოდა (და რატომ) და როგორ პასუხობდა ის

ეკლესიაში წამოჭრილ მწვალებლობებს. როგორ მოქმედებდა ის და რა განსაკუთრებული როლი ჰქონდა და აქვს მას საეკლესიო ცხოვრებაში.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩვენ წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

პირველ თავში, როგორც აღინიშნა, იკონოგრაფიის წარმოშობასა და განვითარებაზე ვსაუბრობთ. ზემოდასახელებული მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანაა, შესაბამისი ლიტერატურის დამოწმებით ვიმსჯელოთ იკონოგრაფიის წარმოშობისა და განვითარების მიზეზებსა და გარემოებებზე.

შემდეგი თავი იესო ქრისტეს შობის ამსახველ იკონოგრაფიას ეხება, სადაც ზემოდასახელებული მიზნის მისაღწევად შესაბამისი საღვთისმეტყველო ლიტერატურის დამოწმებით განვსაზღვრავთ, თუ რა არის ღვთის განკაცების საფუძველი და როგორ გადმოსცემს მას იკონოგრაფია. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია დასახელებულ ხატმეტყველებაში ხარისა და სახედრის გამოსახულებათა ჩართვის საღვთისმეტყველო საფუძვლების განხილვა.

მომდევნო თავი იესო ქრისტეს ნათლისღებას შეეხება. აქ დგას შემდეგი ამოცანა: შესაბამისი საღვთისმეტყველო ლიტერატურის დამოწმების შედეგად წარმოვაჩინოთ ნათლისღების იკონოგრაფიის არსი. უპირველესად, ჩვენი ამოცანაა ცხადვყოთ, რომ დასახელებული იკონოგრაფია არამხოლოდ შესაბამის სახარებისეულ თხრობას, არამედ ეგზეგეზასაც ასახავს. ამიტომაც შესაბამისი ილუსტრაციებისა და ეკლესიის მამათა ნაშრომში დამოწმებული სწავლების შეჯერებით წარმოვაჩენთ, როგორ აღესრულება ყოვლადწმინდა სამების განცხადება. ასევე, შესაბამისი იკონოგრაფიული რედაქციებისა და მამათა სწავლებების შეჯერებით გადმოვცემთ დასახელებული ხატმეტყველებით გადმოცემულ ნათლისღების საიდუმლოს არსს.

ზემოდასახელებული მიზნის მისაღწევად ამოცანად დავისახეთ იმ საღვთისმეტყველო ლიტერატურის დამოწმება, რომელშიც განმარტებულია, რომ თაბორზე გამოვლენილი ნათელი იესო ქრისტეს საღვთო დიდების გამოვლინება იყო.

იესო ქრისტეს ვნების ციკლისა და ქვესკნელის შემუსვრის იკონოგრაფიის განხილვისას უმთავრესი ამოცანა ამავე მოვლენების საღვთისმეტყველო-

სახისმეტყველებითი ასპექტების წარმოჩენაა, რომელიც აღმატებულად გადმოსცემს ღვთის განკაცების მიზანს - კაცობრივი ბუნების გამოხსნას.

დისერტაციის ბოლო თავში იესო ქრისტეს ამაღლების იკონოგრაფიას განვიხილავთ. აღნიშნული თავი მცირე მოცულობისაა და ვცდილობთ წარმოვაჩინოთ მაცხოვრის ამაღლების შედეგად კაცობრივი ბუნების განღმრთობის ხატმეტყველებით გადმოცემის თავისებურებები.

შეჯამების სახით ვიტყვით, რომ საკვლევი თემის ამოცანაა სახარებისეული მოვლენების იკონოგრაფიის საეკლესიო წყაროთმცოდნეობითი შესწავლა, რისთვისაც განვიხილავთ მხატვრულად გადმოცემული სახარებისეული ისტორიის შინაარსსა და მის ეგზეგეზას. დამოწმებული ლიტერატურისა და სათანადო მსჯელობის შედეგად წარმოვაჩენთ სახარებისეული მოვლენებისა და მისი ეგზეგეზისის შესაბამისობას ამავე მოვლენების ხატმეტყველებასთან. თითოეული მხატვრული გამომსახველობის აღწერისას წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ილუსტრირებული მასალაც.

3. საკვლევი კითხვები

წინამდებარე დისერტაციის საკვლევი კითხვები ამგვარად ყალიბდება:

ა) რა აკავშირებს იკონოგრაფიას ღვთისმეტყველებასთან? არის თუ არა ხატმეტყველება თეოლოგიის ნაწილი? რა ხერხებით ცდილობს ქრისტიანული ხელოვნება ადამიანის ცნობიერების ქრისტესკენ მიმართვას?

დასახელებულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ იკვეთება უმთავრესი საკვლევი კითხვა: შეიძლება თუ არა, ხატმეტყველება განვიხილოთ, როგორც „ხილვადი ღვთისმეტყველება"?

ბ) რა თავისებურებით გამოირჩევა სახარებისეული მოვლენების ხატმეტყველება?

კვლევა ორი მიმართულებით წარიმართება: 1. როგორ ხდება უშუალოდ სახარებისეული თხრობის იკონოგრაფიული ასახვა; 2. რას გულისხმობს ამავე მოვლენების ეგზეგეტიკის ხატმეტყველებითი გადმოცემა.

გ) რა განაპირობებდა (და განაპირობებს) სახარების თხრობათა ამსახველი ხატმეტყველების იკონოგრაფიულ განვითარებას. როგორ იხვეწებოდა ის და

როგორ გადმოსცემდა ხატმეტყველება არა მხოლოდ სახარებისეულ ისტორიებს, არამედ მასთან დაკავშირებულ საღვთისმეტყველო ლიტერატურას. ხშირია შემთხვევა, როცა გარკვეულ ხატწერით რედაქციაში ჩართული მხატვრული დეტალის რაობის დასადგენად კონკრეტული საღვთისმეტყველო განმარტებაა საჭირო.

ამავე საკვლევ კითხვაში გამოვყოფთ შემდეგ საკითხს: როგორ პასუხობდა ხატმეტყველება (ეკლესიის მოძღვართა მიერ შექმნილი ლიტერატურის კვალდაკვალ) ეკლესიაში წარმოქმნილ არასწორ მოძღვრებას. როგორ და რა იკონოგრაფიული დეტალებით განივრცობოდა შესაბამისი ხატმეტყველებითი რედაქციები, რათა მათ საღვთისმეტყველო ლიტერატურასთან ერთად ემხილებინათ ეკლესიაში წარმოშობილი მწვალებლობები.

დ) რა განაპირობებს ერთი და იმავე სახარებისეული მოვლენის იკონოგრაფიულ სახესხვაობას? ვგულისხმობთ შემდეგს: ხშირია შემთხვევა, როცა ერთი და იმავე სახარებისეული მოვლენის იკონოგრაფია განსხვავებული ხატმეტყველებითი დეტალებითაა წარმოდგენილი. ამ კუთხით, უაღრესად საინტერესოა ქართული იკონოგრაფია.

ზემოჩამოთვლილი საკვლევი კითხვების დასაბუთებული, წერილობითი და ილუსტრირებული მასალით წარმოდგენილი პასუხები, შეძლებისამებრ, გადაჭრის დისერტაციაში წარმოდგენილ პრობლემას. კერძოდ, კვლევის შედეგად გამოვლინდება სახარებისეული მოვლენების იკონოგრაფიის განსაკუთრებულობა, რაც გულისხმობს შესაბამისი თხრობისა და ეგზეგეზისის ხატმეტყველების მეშვეობით წარმოჩენა. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ საეკლესიო ლიტერატურა და ხატმეტყველება თეოლოგიის ორ ასპექტს წარმოადგენს. თითოეული სახარებისეული მოვლენის ამსახველი ხატწერითი რედაქცია შესაბამისი საღვთისმეტყველო ლიტერატურის საფუძველზეა აღმოცენებული.

4. თემის შესწავლის მდგომარეობა (ლიტერატურის მიმოხილვა);

სახარებისეული მოვლენების იკონოგრაფია ხატმეტყველების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ხატთა თაყვანისცემა საეკლესიო მოძღვრების ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესი დარგია და, როგორც აღინიშნა, იგი საღვთისმეტყველო ლიტერატურასთან ერთად ვითარდებოდა.

იკონოგრაფიის საფუძველი ძე ღმერთის განკაცებაა. წმიდა იოანე დამასკელი ბრძანებს: ,,ამისთჳს გამოვხატავთ ხილულსა მას, არა თაყვანისცემ ნივთსა, არამედ თაყვანისცემ ჩემთჳს ნივთ-ქმნილსა, ნივთისა დამბადებელსა, რომელმან ნივთსა [შინა] დამკჳდრება თავს იდვა და ნივთისა მიერ იქმნა ცხორებაᲐ ჩემი“ (წმ. იოანე დამასკელი, 2013, გვ. 154).

წმინდა მამის მიხედვით, ხატთაყვანისცემა არა ნივთის, არამედ ჩვენთვის განივთებულის (ე.ი. განკაცებულის) თაყვანისცემას გულისხმობს.

როგორც ცნობილია, წმინდა იოანე ოქროპირმა (ბიბლიის სხვა წიგნებთან ერთად) მათეს სახარება განმარტა, რომელიც ქართულად ექვთიმე ათონელმა თარგმნა. აღნიშნულ თარგმანის შესაბამის მონაკვეთში, რომელშიც სისხლმდინარე დედაკაცის განკურნებაზეა საუბარი, წმინდა მამა კონსტანტინეპოლელი მღვდელმთავრის განმარტებას დაურთავს, რომ გამოჯანმრთელებულმა დედაკაცმა, მადლიერების გამოსახატავად, ქრისტეს პირველი გამოსახულება შექმნა (წმ. იოანე ოქროპირი, 2014ა, გვ. 465). ამის შესახებ დისერტაციის პირველ თავში დაწვრილებით ვსაუბრობთ.

პირველივე საუკუნეს განეკუთვნება ავგაროზის აპოკრიფული ეპისტოლე, სადაც გადმოცემულია თხრობა იესო ქრისტეს პირველი ხელთუქმნელი გამოსახულების შესახებ, რომლის თანახმადაც, უფალმა იესო ქრისტემ სახეზე ტილოს მიდებით მასზე საკუთარი თავი გამოსახა (ამ თემაზე დისერტაციის პირველ თავში ვსაუბრობთ) (ჭელიძე , მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება წმინდა ხატთა თაყვანისცემის შესახებ, 2020, გვ. 222).

წმინდა წერილის, მათ შორის სახარებისეული თხრობის მიხედვით შექმნილი პირველი ხატმეტყველების ნიმუშები კატაკომბების მხატვრობაშია წარმოდგენილი. როგორც ქრისტიანული ლიტერატურა იყენებდა წარმართული ლიტერატურის ტერმინებსა და ფორმებს, ასევე, ქრისტიანულმა ხატმეტყველებამ ანტიკური ხელოვნების ნიმუშები გამოიყენა და ქრისტიანული შინაარსით განმსჭვალა.

იესო ქრისტეს ერთ-ერთი ადრეული გამოსახულება „მწყემსი კეთილად“ წოდებული ხატია, რომელიც იესო ქრისტეს შესაბამისი ქადაგების მიხედვითაა შექმნილი. კერძოდ, გამოსახულია ჭაბუკი, რომელსაც მხარზე ცხვარი ჰყავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საუბარია ანტონიო ფერურას - „უცნობი კატაკომბების შესახებ“ (Ferrua, 1991, გვ. 61).

ქრისტიანული ხელოვნების განვითარების საკითხის შესახებ ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის ლეონიდ უსპენსკის ნაშრომი: „მართლმადიდებლური ხატის ღვთისმეტყველება“. აღნიშნული ნაშრომი ქართულად თარგმნილია და ჟურნალ „ალავერდის“ რამდენმე ნომერშია გამოქვეყნებული (უსპენსკი ლ., 2014).

მოგვიანებით, სატაძრო არქიტექტურასთან ერთად, ვითარდება კედლის მხატვრობაც, სადაც წამყვანი ადგილი ათორმეტ დღესასწაულთა გამოსახვას უკავია. პარალელურად, იწერება საკუთრივ, მაცხოვრის, ღვთისმშობლისა და წმინდანთა ხატებიც. სახარებისეული სცენების გამოსახვა მრევლს მის შინაარსაა და ეგზეგეზას ამცნობდა. შესაბამისად, ოთხთავში გადმოცემული თხრობის ამსახველი თითოეული ხატმეტყველებითი რედაქცია, მახარებელთა თხრობასა და შესაბამის განმარტებებზეა დამყარებული.

ხატთაყვანისცემის შესახებ მასშტაბური ლიტერატურის შექმნა ხატმებრძოლეობის ხანას უკავშირდება. როგორც ცნობილია, VIII საუკუნეში ბიზანტიაში ხატმებრძოლეობის ერესმა იმძლავრა, რის გამოც გაიმართა მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელმაც აღნიშნული მწვალებლობა დაგმო. ხატმებრძოლების აზრით, ხატის გამოსახვა შეუძლებელია, რადგან არავის ძალუძს დაუტევნელი ღმერთის გამოსახვა. ამ აზრის საპირისპიროდ, საეკლესიო მამათა განჩინებით, რომელიც ეკლესიის მოძღვრებას წარმოადგენს, გამოისახება მეორე ჰიპოსტასი კაცობრივი სხეულით. ამ კუთხით, უპირველესად, უნდა აღინიშნოს წმ. იოანე დამასკელის შემდეგი ნაშრომი: ,,სიტყუაჲსიტყჳს-საგებელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმიდათა ხატთა“ (წმ. იოანე დამასკელი, 2013).

ნაშრომი სამ ჰომილიად (სიტყვად) იყოფა. პირველი ორის ძველი ქართული თარგმანი შემორჩენილია, ხოლო მესამისა - არა. დასახელებული თარგმანები გამოქვეყნებულია საქართველოს ეკლესიის 2013 წლის კალენდარში, ხოლო მესამე

- „სიტყვა“ ქართულად ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა - გვანცა კოპლატაძემ თარგმნა და ისიც ამავე კალენდარშია.

აღნიშნულ ნაშრომში წმიდა იოანე დამასკელი საუბრობს, რომ თაყვანისიცემება ერთარსება, უხილავი, უხორცო და გარეშემოუწერელი ღმერთი, რომელიც, ამასთან ერთად, განკაცდა და ხორცი შეისხა. დამასკელი მოძღვრის მიხედვით, ღვთის ხორცშესხმის შედეგად მისი დახატვის შესაძლებლობა მოგვეცა (წმ. იოანე დამასკელი, ღირსისა მამისა ჩუენისა იოვანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა, ღმრთივ-მიცემულისა მიერ მისდა მადლისა ოქრო-ნექტარ წოდებულისა სიტყუჲ სიტყჳს-საგებელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმიდათა ხატთა, 2013, გვ. 150-151). ასევე, ამავე წიგნში საუბარია უშუალოდ ბიბლიური სცენების გამოსახვის მნიშვნელობის შესახებაც (წმ. იოანე დამასკელი, ღირსისა მამისა ჩუენისა იოვანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა, ღმრთივ-მიცემულისა მიერ მისდა მადლისა ოქრო-ნექტარ წოდებულისა სიტყუჲ სიტყჳს-საგებელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმიდათა ხატთა, 2013, გვ. 256-257). შესაბამისად, წმინდა იოანე დამასკელის ეს ჰომილია ჩვენი დისერტაციისთვის უაღრესად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

წმიდა იოანე დამასკელს, გარდა ზემოდასახელებული ნაშრომისა, აქვს კიდევ ერთი, დოგმატური მოძღვრების გადმომცემი წიგნი - ,,მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“. აღნიშნულ წიგნში, დამასკელი მოძღვრის მიერ ერთი თავი ხატთაყვანისცემას ეძღვნება, სადაც ის წმინდა ხატების რაობასა და დანიშნულებაზე საუბრობს (წმ. იოანე დამასკელი, 2019, გვ. 618-626).

დისერტაციის პირველ თავში საუბარია შემდეგ საკითხზე: როგორ შეესაბამება ღვთის უხილავობის შესახებ საეკლესიო სწავლება იესო ქრისტეს ხატის ხილვადობას. ამ საკითხთან დაკავშირებით საუბრობენ წმიდა იოანე დამასკელი (წმ. იოანე დამასკელი, 2019), წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი (ორჟონია ი. , 2016), წმინდა ეგნატე ანტიოქიელი (წმინდა ეგნატე, 1988).

ხატმებრძოლეობის პერიოდის კიდევ ერთი ნაშრომი განეკუთვნება წმინდა გერმანე კონსტანტინეპოლელს. ერთგან, წმინდა მამა ხატთაყვანისცემის განხილვისას ძე ღმერთის განკაცებაზე საუბრობს და სახარებისეული მოვლენების

გამოსახვის მნიშვნელობას უსვამს ხაზს (წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელი, 2008, გვ. 47-49).

ტერმინ „ხატის“ გაგების (სხვადასხვა კონტექსტში) შესახებ საუბრობს ედიშერ ჭელიძე წიგნში: „მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება წმინდა ხატთა თაყვანისცემის შესახებ“ (ჭელიძე , მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება წმინდა ხატთა თაყვანისცემის შესახებ, 2020, გვ. 9-302).

ტერმინი „ხატწერა“ არაერთ საღვთისმეტყველო და ისტორიულ წყაროშია დადასტურებული, რომელთაგანაც ზოგიერთს ნაშრომში დავიმოწმებთ. ესენია: „დიდი სჯულისკანონი“ (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 399); გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება (წმ. გიორგი ხუცესმონაზონი, 1967, გვ. 201); ჯუანშერის ავტორობით ცნობილი ვახტანგ გორგასლის ცხოვრება (ჯუანშერი, 1955, გვ. 204).

ხატთა თაყვანისცემა ფიცრისა და საღებავის თაყვანისცემას არ ნიშნავს. ამის შესახებ მსჯელობს წმინდა მაქსიმე აღმსარებელი თავის ერთ-ერთ ნაშრომში (წმ. მაქსიმე, 2020, გვ. 162).

როგორც აღინიშნა, ხატთაყვანისცემის საფუძველი ძე ღმერთის განკაცებაა, რამაც კაცთათვის იქამდე უხილავი ღმერთი, ხილულად წარმოაჩინა. თუმცა, კაცთა სახილველად ღვთის გამოცხადება ყოვლადწმიდა სამების მეორე ჰიპოსტასის განკაცებამდეც (ძველი აღთქმის პერიოდში) არაერთხელ გვხდება, რომლის შესახებაც ბიბლიის შესაბამისი თხრობიდან ვიგებთ. საეკლესიო სწავლების თანახმად, ძველი აღთქმის თეოფანიისას ადამიანებს ძე ღმერთი განეცხადებოდა. ამასთან დაკავშირებით, ნაშრომში შესაბამისი მსჯელობაა წარმოდგენილი, სადაც, კირილე იერუსალიმელის (წმ. იოანე ოქროპირი, საკითხავნი ხარებისანი, 1959, გვ. 168), იპოლიტე რომაელის (წმიდა იპოლიტე რომაელი & წმიდა ბასილი კესარიელი, 1979, გვ. 215) და სევერიანე გაბალონელის (უდაბნოს მრავალთავი, 1994, გვ. 157) შესატყვისი ჰომილიებია დამოწმებული.

სადისერტაციო ნაშრომში, ასევე, ვიყენებთ ლებედევის მსოფლიო საეკლესიო კრებების ისტორიას, რომლის ერთ-ერთ მონაკვეთში საუბარია ბასილი დიდის ქადაგებაზე. კესარიელი მოძღვრის მიხედვით, წმინდა წერილის გამოსახულებებს წერა-კითხვის არმცოდნე საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილისთვის წიგნის

ფუნქციაც ჰქონდა, რადგან მისგან იღებდნენ ბიბლიური ისტორიების შესახებ ცნობებს (ლებედევი, 2012, გვ. 378).

იგივე ავტორი ადრექრისტიანულ ხანაში არსებულ გამოსახულებებზე და ხატთაყვანისცემის არსზეც საუბრობს (ლებედევი, 2012, გვ. 383).

ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებით, უაღრესად მნიშვნელოვანია გოლუბინის შემდეგი წიგნი: „История Русской Церкви“, სადაც აღნიშნულია, რომ სახარების თხრობის ილუსტრაციაში ერთ-ერთი გადამწყვეტი ადგილი უკავია გამოსახულებათა ჟესტიკულაციას, რითაც გამოხატულია ხატში წარმოდგენილ პერსონებს შორის საუბარი. იესო ქრისტეს გამოსახულება ყოველთვის „მაკურთხეველი მარჯვენით“ არის გამოსახული (Голубинский , 1911, გვ. 493-495).

ხატმეტყველებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შესამოსლის სიმბოლიკას. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა იესო ქრისტეს სამოსი - ქიტონი (კვართი) და ჰიმატიონი (გარეშესამოსელი). აღნიშნულთან დაკავშირებით, ნაშრომში ვიმოწმებთ ჟურნალ „გული გონიერში“ გამოქვეყნებულ ედიშერ ჭელიძის სტატიას (ჭელიძე ე. , 2012, გვ. 48).

წინამდებარე კვლევაში თითოეული დღესასწაულის იკონოგრაფიის წარმოშობისა და განვითარების შესახებ საკვანძო ინფორმაციას გვაწვდის თეა ინწკირველის ავტორობითა და კახაბერ ურუშაძის რედაქტორობით გამოცემული წიგნების სერია, სახელწოდებით „რჯული ქრისტესი“. დასახელებული გამოცემის თითოეულ ტომში შესაბამისი დღესასწაულის მნიშვნელობისა და ხატმეტყველების შესახებაა საუბარი. აღნიშნულ ლიტერატურაში გადმოცემულია შესაბამის დღესასწაულთან დაკავშირებული ეკლესიის მამათა განმარტებები. ასევე, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, თითოეული წიგნის ნაწილში გადმოცემულია თეა ინწკირველის შესაბამისი სახარებისეული თხრობის იკონოგრაფიათა რედაქციების ზოგადი მიმოხილვა. დასახელებული ლიტერატურიდან ჩვენს ნაშრომში ვიყენებთ რამდენიმე, ჩვენი დისერტაციისთვის საჭირო შინაარსის მატარებელ წიგნს.

აღნიშნული წიგნების მრავალტომეულიდან იესო ქრისტეს ნათლისღების მნიშვნელობისა და იკონოგრაფიის შესახებ თხრობა ორ წიგნად არის გამოცემული. პირველ ნაწილში საუბარია ნათლისღებასთან დაკავშირებულ ეგზეგეზასა და

იკონოგრაფიაზე (ინწკირველი თ. , 2017ა), ხოლო მეორე ნაწილში წარმოდგენილია აღნიშნულ დღესასწაულთან დაკავშირებული ჰიმნოგრაფიული მასალა (ინწკირველი თ. , 2017ბ).

იესო ქრისტეს ფერისცვალების ხატმეტყველების შესახებ თხრობისას ვიყენებთ ზემოდასახელებული სერიიდან კიდევ ერთ ტომს, სადაც აღნიშნული სახარებისეული მოვლენის ეგზეგეზისა და იკონოგრაფიის შესახებ თხრობაა გადმოცემული (ინწკირველი თ. , 2018).

შემდეგი ორი წიგნი (ორტომეული) უფლის აღდგომის შესახებ თხრობას გადმოგვცემს. პირველ ტომში საუბარია იესო ქრისტეს აღდგომის, ჯოჯოხეთში შთასვლისა და მართალთა სულების აღმოყვანებაზე (ინწკირველი თ. , 2015ა). ამავე წიგნში საუბარია იესო ქრისტეს აღდგომის ხატმეტყველებასთან დაკავშირებით და ცალსახადაა წარმოჩენილი აღმოსავლურ მართლმადიდებლურ ტრადიციაში დამკვიდრებული, შესაბამისი იკონოგრაფიის გამომსახველობის თავისებურება. კერძოდ, ხატმეტყველების ადრეულ ხანაში იესო ქრისტეს აღდგომა საფლავიდან მისი გამოსვლის იკონოგრაფიით გამოიხატებოდა, ხოლო მოგვიანო ხანაში მართლმადიდებლურ ხატმეტყველებაში შემუშავდა შემდეგი იკონოგრაფიული რედაქცია: იესო ქრისტეს ჯოჯოხეთიდან ამოჰყავს და სამოთხეში შეჰყავს მართალთა სულები. აღნიშნული გამომსახველობა სრულად ეფუძნება პეტრე მოციქულის შესაბამის ეპისტოლესა და მის ეგზეგეზას (ინწკირველი თ. , 2015ა, გვ. 203-206).

ჯოჯოხეთში იესო ქრისტეს შთასვლისა და მართალთა სულების დახსნის შესახებ არაერთ ჰიმნოგრაფიულ და ლიტურგიკულ ტექსტშია საუბარი. აღნიშნული ლიტერატურა კრებსითადაა წარმოდგენილი ზემოდასახელებული, აღდგომის შესახებ სწავლების შემცველი ტომეულების მეორე ნაწილში (ინწკირველი თ. , 2015ბ).

ზემოდასახელებულ ტომეულებში დასახელებულ დღესასწაულთა იკონოგრაფია მწირად არის წარმოდგენილი, სადაც, უპირატესად ხაზგასმულია შესაბამის ხატმეტყველებათა ისტორიული განვითარება.

დღესასწაულთა ხატმეტყველებისა და საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტების წარმოსაჩენად სახარებისეულ თხრობასთან

ერთად აუცილებელია შესაბამისი საღვთისმეტყველო ლიტერატურა. მეტიც, სწორედ დასახელებულ ლიტერატურაზე დაყრდნობითაა შექმნილი შესაბამისი ხატმეტყველება. ზემოდასახელებულ მრავალტომეულში არაერთი საეკლესიო ლიტერატურაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, ვიყენებთ წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების პირველსა (წმ. იოანე ოქროპირი, 2014ა) და მეორე (ინწკირველი თ. , 2014ბ) ტომს. ასევე, იოანეს სახარების განმარტების პირველსა (წმ. იოანე ოქროპირი, 1993ა) და მეორე (წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, 1993ბ) ნაწილს.

სახარებისეული მოვლენების ხატმეტყველებაზე მსჯელობისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ მრავალთავებში დაცულ მდიდარ ეგზეგეტიკურ მასალას. ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი საღვთისმეტყველო ლიტერატურა: უდაბნოს (უდაბნოს მრავალთავი, 1994) და სინური (წმ. იოანე ოქროპირი, საკითხავნი ხარებისანი, 1959) მრავალთავები, შატბერდის კრებული (წმიდა იპოლიტე რომაელი & წმიდა ბასილი კესარიელი, 1979).

ქრისტეს შობისა და ნათლისღების ხატმეტყველების განხილვისას ძალიან მნიშვნელოვან მასალას ვხვდებით თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიის მიერ გამოცემულ „ჰომილეტიკურ ძეგლებში“, რომელიც რამდენიმე ნაწილადაა გამოქვეყნებული. როგორც არაერთხელ აღინიშნა, სახარებისეული მოვლენების ხატმეტყველება, არა მხოლოდ სახარებაში გადმოცემულ ფაქტობრივ თხრობას ასახავს, არამედ შესაბამის ეგზეგეზასაც. ამის დასტურია „შობის“ ხატმეტყველება, სადაც გამოქვაბულში მდებარე ბაგაზე მწოლიარე ყრმა მაცხოვრის თავზე ხარისა და სახედრის გამოსახულებებია წარმოდგენილი. სახარებისეული თხრობა არაფერს გვამცნობს პირუტყვთა იქ მყოფობის შესახებ. აღნიშნული გამომსახველობა მთლიანად ეგზეგეტიკური ხასიათისაა. შესაბამის ეგზეგეზას ზემოდასახელებულ ნაშრომში წარმოგვიდგენს წმინდა გრიგოლ ნოსელი (ეკლესიის მამათა სწავლებანი განკაცების შესახებ, 2010, გვ. 120).

ნათლისღების ხატმეტყველების განმსაზღვრელი ეგზეგეზისის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია წარმოდგენილი ზემოდასახელებული კრებულის კიდევ ერთ ნაწილში. როგორც ცნობილია, იორდანეში აღსრულებული საიდუმლო სამების განცხადებად იწოდება, რასაც ზედმიწევნითად გადმოსცემს შესაბამისი

ხატმეტყველება. გარდა ამისა, საეკლესიო მოძღვრების მიხედვით, იორდანეში აღსრულებული ქმედების შედეგად, დაფუძნდა ნათლისღების საიდუმლო, რომელიც სახარებაში „მეორე შობად“ (ბიბლია, 2015, ინ. 3:3) იწოდება. აღნიშნულის შესახებ არაერთი საეკლესიო ავტორის ჰომილიაა შემორჩენილი, რაც დასახელებულ წიგნშია შემოკრებილი და წარმოდგენილი (წმ. ევსები ალექსანდრიელი, 2020). სახარებისეული მოძღვრებისა და შესაბამისი ეგზეგეზისის საფუძველზე ნათლისღების იკონოგრაფიის ჩამოყალიბების ადრეულ ხანაში იორდანეში ჩასული ყრმა მაცხოვრის გამოსახულება გვხვდება, რითაც ნათლისღების ჟამს ადამიანის „მეორედ შობაზეა“ ყურადღება გამახვილებული.

როგორც ცნობილია, ქრისტესშობის იკონოგრაფია შობასთან დაკავშირებულ არაერთ მოვლენას აერთიანებს - მათ შორის ყრმათა მკვლელობის ისტორიასაც, რაზეც არსებობს ბასილი სელევკიელის მიერ დაწერილი საგანგებო ჰომილია (წმ. ბასილი სელევკიელი, 2010). აღნიშნული ისტორიის საშინელებას გადმოგვცემს ზემოდასახელებული, იესო ქრისტეს შობასთან დაკავშირებული, შესაბამის ლიტერატურაში გადმოცემული გრიგოლ ნოსელის ეგზეგეზაც (ეკლესიის მამათა სწავლებანი განკაცების შესახებ, 2010, გვ. 122-123). აღნიშნული სახარებისეული თხრობისა და შესაბამისი ეგზეგეზისის მიხედვით შექმნილი ძე ღმერთის კაცობრივი შობის კომპოზიციის ზოგიერთ იკონოგრაფიულ რედაქციაში, შესაბამისი ხატმეტყველება ექსპრესიულადაა გადმოცემული და ზედმიწევნით ასახავს დასახელებულ ლიტერატურაში გადმოცემულ ყრმათა მოსრვის ისტორიას.

ნათლისღებასთან დაკავშირებულ ხატმეტყველებაში ძალიან მნიშვნელოვანია ადრეული ხატმეტყველების ნიმუშები, სადაც იოანე ნათლისმცემელი იესო ქრისტეს წყლის „დასხმით“ ნათლავს. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვან, ისტორიულ და ეგზეგეტიკურ შრომებს გვაწვდის ედიშერ ჭელიძის წიგნი: „სული ცხოველი“ (ჭელიძე, 2012ბ, გვ. 482-483).

ხატმეტყველებაში ძე ღმერთის გამოსახვასთან დაკავშირებულ საკითხზე დახმარებას გვიწევს კიდევ ერთი წიგნი: „მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება წმინდა ხატთა თაყვანისცემის შესახებ“ (ჭელიძე , მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება წმინდა ხატთა თაყვანისცემის შესახებ, 2020, გვ. 203-205).

ნათლისღების ზოგიერთ ხატმეტყველებაში იორდანეში ვეშაპის გამოსახულებას ვხვდებით, რისი სახისმეტყველებაც იონა წინასწარმეტყველის წიგნს უკავშირდება. სწორედ აღნიშნულ გარემოებაზეა საუბარი ირაკლი ორჟონიას წიგნში იონა წინასწარმეტყველის შესახებ (ორჟონია, 2022, გვ. 252).

ნათლისღების ხატმეტყველების ზოგიერთი ასპექტის ასახსნელად მნიშვნელოვანი ეგზეგეზაა დაცული „უძველეს იადგარში“. მაგალითად, ნათლისღების იკონოგრაფიის რედაქციათა უმრავლესობაში მაცხოვარი შიშველი სახითაა წარმოდგენილი. მისი სიშიშვლის სახისმეტყველებით მნიშვნელობაზეა საუბარი დასახელებული იადგარის ერთ-ერთ ნაწილში (უძველესი იადგარი, განცხადებაჲ; მწუხრისა ჟამსა თქუან, 1980, გვ. 51; 53)

ამავე იადგარში ხაზგასმულია იესო ქრისტეს მიერ გამოვლენილი საღმრთო სიმდაბლე, რომელიც იოანე ნათლისმცემელს უდრეკს თავს და მისგან ინათლება (უძველესი იადგარი, განცხადებაჲ; მწუხრისა ჟამსა თქუან, 1980, გვ. 45). აღნიშნული გარემოება ხაზგასმითაა წარმოჩენილი შესაბამის ხატმეტყველებაში.

ნათლისღების ხატმეტყველების ზოგიერთი ასპექტის ასახსნელად ვიყენებთ მიქაელ მოდრეკილის „ჰიმნებს“, რომელიც სამ ტომად არის გამოცემული. ჩვენ მეორე ტომში გამოქვეყნებულ საგალობლებს დავიმოწმებთ (წმ. მიქაელ მოდრეკილი, 1978).

ნათლისღებისა და სხვა, ნაშრომში განხილული დღესასწაულების იკონოგრაფიის გარკვეულ სახისმეტყველებათა ასახსნელად ვიყენებთ „უძველეს იადგარში“ გადმოცემულ შესაბამის ლიტურგიკულ ტექსტებს (იანვარსა, 1980).

იესო ქრისტეს ფერისცვალების ადრეულ გამოსახულებებში „ალფასა“ და „ომეგას“ წარწერებს ვხვდებით, რაც აღნიშნული დღესასწაულის აპოკალიფსთან კავშირს წარმოაჩენს. ამის შესახებ მნიშვნელოვან ეგზეგეზას ვხვდებით ანდრია კესარია-კაბადოკიელის „აპოკალიფსის“ განმარტებაში (წმ. ანდრია კესარია-კაბადოკიელი, 1961, გვ. 498).

ამასთანავე, აღნიშნულ ხატმეტყველებაში, უმნიშვნელოვანესია მანდორლას გამოსახვა, რომელიც იესო ქრისტეს გამოსახულებას გარეშემოწერს. წმინდა მამათა შესაბამისი ეგზეგეზისის მიხედვით, ეს ტერმინი იესო ქრისტეს საღვთო ბუნების გამომხატველია, რომელიც მე-16 საუკუნეში განსაკუთრებული ფერადოვნებით

გამოისახება. ამის მიზეზი მწვალებლობის გავრცელება იყო, რომლის თანახმადაც თაბორზე გაბრწყინებული ნათელი - ქმნილია. აღნიშნული აზრის სიმცდარეს წმინდა გრიგოლ პალამა წარმოაჩენს თავის საგანგებო ჰომილიაში (წმ. გრიგოლ პალამა, 1865, გვ. 433).

იესო ქრისტეს ფერისცვალებასთან დაკავშირებით არაერთი ჰომილიაა დაცული კლარჯულ მრავალთავში, რომელსაც ნაშრომში ვიყენებთ (წმ. თეოდორე ჰარანელი, 1991).

ევქარისტიის ხატმეტყველებასთან დაკავშირებით, ვიყენებთ კირილე ალექსანდრიელის „მისტაგოგიურ ქადაგებებში“ გადმოცემულ შესაბამის სწავლებას (წმ. კირილე იერუსალიმელი, 2015).

„საიდუმლო სერობის“ არაერთ იკონოგრაფიულ რედაქციაში იესო ქრისტე მოციქულებს ბარძიმით აზიარებს. ზიარების ამგვარი წესით იღებდნენ ქრისტიანობის ადრეულ ხანაში. ამის შესახებ საუბარია ედიშერ ჭელიძის წიგნში „ზიარების შესახებ“ (ჭელიძე, 2020, გვ. 167-169).

ზიარების (ხორცის) ხელისგულზე დადებასა და ბარძიმით სისხლის მიღებასთან დაკავშირებით, რომლის გამოსახულებებს ხშირად ვხვდებით, საუბრობს წმინდა კირილე ალექსანდრიელი ზემოდასახელებულ წიგნში (წმ. კირილე იერუსალიმელი, 2015, გვ. 320-321).

იესო ქრისტეს ჯვარცმის კომპოზიციაში ქრისტეს ჯვრის ქვეშ თავის ქალაა გამოსახული, რაც შესაბამისი ეგზეგეზისის საფუძველზეა შექმნილი (Библейские комментарии отцов Церкви и других авторов, Библейские комментарии отцов Церкви и других авторов I-VIII веков - Ветхий Завет Завет, книга бытия 12-50б., 2005, стр. 139).

„საიდუმლო სერობის“ იკონოგრაფიის საღვთისმეტყველო ასპექტზე მსჯელობისას „სამღვდელო კონდაკის“ იმ მონაკვეთს ვიყენებთ, რომელშიც ძღვნის კურთხევის საიდუმლოს ლოცვებია გადმოცემული (კონდაკი, 2016, გვ. 146).

ჯოჯოხეთის წიაღიდან მართალთა სულების აღმოყვანების იკონოგრაფიის საღვთისმეტყველო ასპექტის წარმოსაჩენად შესაბამისი განმარტებები დავიმოწმეთ რევაზ მუჯირიშვილის სტატიიდან (დიდი შაბათის ქადაგების საღვთისმეტყველო ანალიზი, 2015, გვ. 87).

იესო ქრისტეს ამაღლების იკონოგრაფიასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან წმ. იოანე დამასკელი (წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, 2019) და წმ. მაქსიმე აღმსარებელი (მაქსიმე აღმსარებელი, 2018).

5. კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული მეთოდოლოგია დასახელებულ საეკლესიო წყაროებიდან შემოკრებილი მასალის სისტემურ მიმოხილვას და მის შესაბამის იკონოგრაფიასთან მისადაგებას გულისხმობს. დასახელებული ლიტერატურის შინაარსის საფუძველზე ვცდილობთ სახარებისეული მოვლენების ამსახველი ხატმეტყველების არსი და მნიშვნელობა წარმოვაჩინოთ. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული კვლევის მეთოდი ყველაზე უკეთ წარმოაჩენს დისერტაციის კვლევის მიზანს - სახარებისეული მოვლენების ამსახველი ხატების და მათ რედაქციულ სახესხვაობათა ეგზეგეტიკური საფუძვლების კვლევა-ძიება.

6. სამეცნიერო სიახლე

ნაშრომის მეცნიერული სიახლე შემდეგში მდგომარეობს: როგორც ცნობილია, ბოლშევიკური მმართველობისას დიდი ზიანი მიადგა ეკლესიასა და, შესაბამისად, თეოლოგიას, როგორც მეცნიერებას. ამ დარგმა (თეოლოგიამ), როგორც მეცნიერებამ, საქართველოში პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა. თუმცა, ამავე პერიოდში, თეოლოგიის ამ მიმართულების (იკონოგრაფიის, ხატმეტყველების) საფუძველზე განვითარდა სამეცნიერო დარგი ,,ხელოვნებათმცოდნეობის“ სახით. კოლოსალური სამუშაო ჩატარდა ამ კუთხით XX საუკუნის დიდი მეცნიერების (გიორგი ჩუბინაშვილის, შალვა ამირანაშვილის, ვახტანგ ბერიძის და სხვა მრავალთა) მიერ. ინტენსიურად მუშაობენ თანამედროვე ხელოვნებათმცოდნეებიც; მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნულმა დარგმა ნაწილობრივ დაკარგა ღვთისმეტყველებასთან კავშირი. ხელოვნებათმცოდნეთა ძირითადი ნაშრომები დაფუძნებულია საეკლესიო წიაღში შექმნილი მხატვრობის სტილსა და მათ ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობათა წარმოჩენაზე, რაც,

უდავოდ, ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა. ხატის (მითუმეტეს, ათორმეტ სახარებისეულ მოვლენათა ამსახველის) უმთავრესი დატვირთვა მის საღვთისმეტყველო საფუძველშია. არ არსებობს დასახელებული თემატიკის შემცველი სისტემური კვლევა. ჩვენ მიერ განსახილველ, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში წარმოვაჩენთ სახარებისეულ თხრობათა გამომსახველობის საღვთისმეტყველო საფუძვლებსა და, ამის შესაბამისად, განვსაზღვრავთ დასახელებული ხატმეტყველების არსსა და ფუნქციას. კვლევაში ხაზგასმულია სახარებისეული მოვლენების იკონოგრაფიის თხრობითი ხასიათი, რასაც ადრექრისტიანულ ხანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან რომის იმპერიის (სადაც ჩაისახა ქრისტიანობა, როგორც რელიგია) მოსახლეობის უმეტესობამ (დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებმა, რომლებიც იმპერიის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ) წერა-კითხვა არ იცოდა. ამ დროს, როგორც არაერთი საეკლესიო მოძღვარი ბრძანებს (რომელთა კომენტარები ნაშრომშია დამოწმებული), სახარების იკონოგრაფიას წიგნის ფუნქცია ჰქონდა, საიდანაც ადამიანები მის შინაარსს ეცნობოდნენ. აღნიშნული ტენდენცია შემდგომ ეპოქებშიც გაგრძელდა და განვითარდა, რაც გამოიხატა იმაში, რომ აღნიშნული ხატმეტყველება არა მხოლოდ სახარებაში დაწერილ ისტორიებს გადმოსცემდა, არამედ შესაბამის ეგზეგეზასაც ასახავდა. მეტიც, არსებობს სახარებაში გადმოცემული ერთი და იმავე მოვლენის ამსახველი, განსხვავებული საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტებით წარმოდგენილი იკონოგრაფიული რედაქციები, რაც შესაბამისი, არაერთგვაროვანი (საეკლესიო მოძღვრების უცთომელობის გათვალისწინებით) ეგზეგეტიკის მხატვრულად გამოსახვის საინტერესო ვარიაციას წარმოადგენს.

სახარებისეული მოვლენების იკონოგრაფია დაფუძნებულია არა მხოლოდ შესაბამისი ეგზეგეტიკური ჟანრის ნაშრომებზე, არამედ იგი თავის თავში შემოკრებს სხვა საღვთისმეტყველო ჟანრის ლიტერატურასაც, რასაც ნაშრომში წარმოვაჩენთ.

შევეცდებით, სახარებისა და მისი ხატმეტყველებითი რედაქციების მრავალფეროვნების წარმოჩენით (მათი აღწერით, ზემოდასახელებული ტექსტუალური მასალისა და სათანადო ილუსტრაციების დართვით) ხაზი

გავუსვათ ზემოაღნიშნულ ასპექტებს, რომლებიც ზედმიწევნით განმარტავენ ჩვენ მიერ დასახელებული ტერმინის - ვიზუალურ ღვთისმეტყველების - არსს.

განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ხატმეტყველების თავისებურება და განსაკუთრებულება. სადისერტაციო ნაშრომში განხილული სახარებისეულ ისტორიათა იკონოგრაფიის განხილვისას ხშირად მოგვყავს ქართული ხატწერის სკოლის ნიმუშები, რომელნიც მნიშვნელოვან საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებით ასპექტებს წარმოაჩენენ, რაც კიდევ ერთი მეცნიერული სიახლე იქნება. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული იკონოგრაფია ბიზანტიურის პარალელურად ვითარდებოდა და დღესდღეობით გვაქვს უნიკალური მონუმენტური ქრისტიანული მხატვრობა, მათ შორის იესო ქრისტეს ცხოვრების ამსახველი ხატმეტყველება, რომელიც, ძირითადად, კედლის მხატვრობის სახითაა წარმოდგენილი.

ასევე, უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია სახარებისეული მოვლენების იკონოგრაფიისა და ქრისტიანული სატაძრო ხუროთმოძღვრების (ტაძრის, საკურთხევლის, ტრაპეზის, სამკვეთლოს) სულიერი კავშირი, რაც თავის მხრივ უშუალოდ უკავშირდება ლიტურგიკულ ღვთისმსახურებას. ქრისტესშობისა და აღდგომის (ჯოჯოხეთის წარმოცალიერების) იკონოგრაფიების განხილვისას აღნიშნული გარემოება ყველაზე მეტად საჩინოვდება. ზოგიერთი სახარებისეული ისტორიის იკონოგრაფია საეკლესიო ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილ ჭურჭელზეც გვხვდება, რაც ასევე გარკვეულ სახისმეტყველებით დატვირთვას შეიცავს. აღნიშნული გარემოებების და კავშირების განხილვა-გადმოცემა კიდევ ერთ მეცნიერულ სიახლედ მიგვაჩნია.

სახარებისეული მოვლენების ამსახველი ზოგიერთი ხატწერითი რედაქცია ქრისტიანულ ლიტერატურასთან ერთად ამხელს ეკლესიაში გამოვლენილ მწვალებლობებს, რასაც იესო ქრისტეს ფერისცვალების იკონოგრაფიათა სახესხვაობების განხილვისას წარმოვაჩენთ, რომელიც კიდევ ერთი მეცნიერული დაკვირვებაა, რაც იკონოგრაფიის კიდევ ერთ ფუნქციას, ეკლესიის წიაღში გამოვლენილ მწვალებლობათა მხილების შესაძლებლობას გამოკვეთს. აღნიშნულ ასპექტს თანამედროვე სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში ძალზედ მწირი ყურადღება ექცევა. ვფიქრობთ, აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს

ხატმტეყველებისა და თეოლოგიის ერთობას. ასევე, ზემოაღნიშნული, ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში იკონოგრაფიის დიდ როლზე მიუთითებს.

7. ნაშრომის თეორიული/პრაქტიკული მნიშვნელობა;

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული ღირებულება შემდეგნაირად წარმოჩნდება: კვლევაში, ერთი მხრივ, შემოკრებილია საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებული ლიტერატურა, მეორე მხრივ, წარმოდგენილია სახარებისეული მოვლენების ამსახველი და ზემოდასახელებული ლიტერატურის საფუძველზე შექმნილი იკონოგრაფიული რედაქციების თეორიული და ილუსტრაციული მასალა. შესაბამისად, ნაშრომში წარმოდგენილია სახარებისეული მოვლენების წარმომჩენი ხატმეტყველების თეორიული და ილუსტრირებული მასალების ერთობლიობა.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობას საკვლევი თემატიკის აქტუალობა განსაზღვრავს. სადისერტაციო ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ნებისმიერი ხატმეტყველების საფუძველი შესაბამის საღვთისმეტყველო ლიტერატურაში დაცული სწავლებაა.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი იკონოგრაფიის უმთავრეს მხარეს, საღვთისმეტყველო საფუძვლებს წარმოაჩენს. შესაბამისად, იგი ხელოვნებათმცოდნეებსაც გაუწევს გარკვეულ სამსახურს.

სადისერტაციო კვლევის პრაქტიკული დანიშნულება იქნება სასულიერო თუ საერო სასწავლებლებში შესაბამისი თემატიკის შესწავლისას მისი სახელმძღვანელოდ გამოყენება.

8. ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შესავლისა და ექვსი თავისგან. იგი 248 გვერდს მოიცავს (ილუსტრაციების გარდა). შესავალში ნაშრომის ძირითადი ასპექტებია განხილული.

დისერტაციის პირველი თავის სათაურია: „ხატმეტყველებისა და პირველი ბიბლიური გამოსახულებების შესახებ“. აღნიშნულ თავში საუბარია ხატმეტყველების ჩამოყალიბების შესახებ, რომლის საფუძველი ძე ღმერთის

განკაცებაა. ამავე თავში განვიხილავთ სხვადასხვა წმინდა მამის მიერ ხატთაყვანისცემის შესახებ გადმოცემულ მოძღვრებებს. იმავდროულად, ვსაუბრობთ პირველი გამოსახულებების შექმნის მიზნებსა და გარემოებებზე.

დისერტაციის მეორე თავის სათაურია: „იესო ქრისტეს შობის იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები“.

დისერტაციის მესამე თავის სათაურია: „იესო ქრისტეს ნათლისღების იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები“;

დისერტაციის მეოთხე თავის სათაურია: „იესო ქრისტეს ფერისცვალების იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები“;

დისერტაციის მეხუთე თავის სათაურია: „იესო ქრისტეს „ვნების ციკლად“ წოდებული მოვლენებისა და ჯოჯოხეთის წარტყვევნა-წარმოცალიერების (აღდგომის) იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები“.

დისერტაციის მეექვსე თავის სათაურია: „იესო ქრისტეს ამაღლების იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები“;

თითოეულ თავში განხილულია შესაბამისი სახარებისეული თხრობის საფუძველზე შექმნილი იკონოგრაფიული გამოსახულებები, წარმოჩენილია მათი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები.

ნაშრომს დაერთვის შესაბამისი ილუსტრაციები.

ნაშრომი რეზიუმეთი და სარჩევით ბოლოვდება.

თავი I. ხატმეტყველებისა და ბიბლიური მოვლენების პირველ გამოსახულებათა შესახებ

საეკლესიო მოძღვრების თანახმად, ღმერთი არსებითა და ბუნებით ყოვლად მიუწვდომელია. **წმიდა იოანე დამასკელი ბრძანებს: ,,ის, რომ არის ღმერთი, ცხადია, ხოლო თუ რა არის იგი არსებითა და ბუნებით, ეს სრულიად მიუწვდომელია და უცოდნელი“** (წმ. იოანე დამასკელი, 2019, გვ. 22).

საეკლესიო მოძღვრების თანახმად, საღვთო ბუნება უხილავია. **ამ კუთხით საგულისხმოა ღვთის მიერ მოსე წინასწარმეტყველის მიმართ წარმოთქმული სიტყვებიც: ,,არა არს კაცი, რომელმანცა იხილა პირი ჩემი და ცხოვნდა“ (ბიბლია, გამ. 33:20). წმინდა გრიგოლ ნოსელი წმინდა წერილიდან დამოწმებულ სიტყვებს ასე განმარტავს: ,,ესე იგი არს, ვითარმედ: პირი ჩემი ხილვად შეუძლებელ არს, ხოლო უკუეთუ იხილოს კაცმან პირი ჩემი, ამას არა პირი ჩემი უხილავს, არამედ სხვა რაიმე მაცთური უცნება**“ (ორჟონია ი. , 2016, გვ. 24).

ნოსელი მღვდელმთავრის მიხედვით, ყოვლად შეუძლებელია, ადამიანმა ,,ღვთის პირი“ იხილოს და, ვისაც ჰგონია, რომ იხილა, მას ეშმაკი უხილავს და არა ღმერთი. შესაბამისად, **ისმის კითხვა: რატომ ვცემთ თაყვანს წმინდა ხატებს, რომლებზეც ღმერთია გამოსახული?** თუ კი ღმერთი უხილავია, რატომ გამოვსახავთ მას ,,ხილულად“, ან რატომ ვეთაყვანებით ,,ხილულ“ გამოსახულებებს? **ღვთის ,,უხილავობა“ მის საღვთო ბუნებას განეკუთვნება.** საეკლესიო მოძღვრების თანახმად, ძე ღმერთში ორი ბუნებაა: საღვთო და კაცობრივი, რომელნიც ერთ ჰიპოსტასში შეურევნელად, აღურეველად შეერთდა“[1]. **წმინდა იოანე დამასკელი ბრძანებს:** ,,უცვლელად და გარდაუქმნელად შეუერთდა ურთიერთას ბუნებანი, რადგან არც საღვთო ბუნება განდგომია საღვთო სიმარტივეს, არც, რა თქმა უნდა, ადამიანური შეცვლილა ღმრთეების ბუნებად“ (წმ. იოანე დამასკელი, 2019, გვ. 318).

[1] სწავლება ძე ღერთში ორი ბუნების ,,შეურევნელად შეერთების“ შესახებ დოგმატად ჩამოყალიბდა 451 წლის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ქალკედონიაში, სადაც დაიგმო მონოფიზიტური სწავლება, რაც გულისხმობდა ქრისტეში ერთი, მხოლოდ ღვთაებრივი ბუნების მყოფობას.

ხატთაყვანისცემის საფუძველი ძე ღმერთის განკაცებაა. წმიდა იოანე დამასკელი ბრძანებს: ,,**ამისთჳს გამოვხატავთ ხილულსა მას (იგულისხმება ხატი; გ. ვ.), არა თაყვანისვცემ ნივთსა, არამედ თაყვანისვცემ ჩემთჳს ნივთ-ქმნილსა, ნივთისა დამბადებელსა, რომელმან ნივთსა [შინა] დამკჳდრება თავს იდვა და ნივთისა მიერ იქმნა ცხორებაჲ ჩემი**" (წმ. იოანე დამასკელი, 2013, გვ. 154).

წმიდა იოანეს მიხედვით, ხატთაყვანისცემა არა ნივთის, არამედ ჩვენთვის განივთებულის (განკაცებულის) თაყვანისცემას გულისხმობს: ,,მრწამს ერთისა ღმრთისა, ერთისა ყოველთა დასაბამისა დაუსაბამოჲსა, აუგებელისა და უკვდავისა, საუკუნოჲსა, უჟამოჲსა. მიუწდომელისა, უჴორცოჲსა, უხილავისა, გარეშემოუწერელისა... არა თაყვანსვცემ დაბადებულსა, ნაცვლად დამბადებელისა, არამედ თაყვანსვცემ დამბადებელსა ჩემთვის დაბადებულქმნილსა და დაბადებულისა მიმართ დაუმდაბლებელად და უქცეველად შთამომავალსა, **რაჲთა ბუნებაჲ ჩემი ადიდოს და საღმრთოჲსა ბუნებისა ზიარმჰყოს**... თაყუანისვცემ მეუფისა და ღვთისა თანა **პორფირსაცა ჴორცთა მისთასა.** არა ვითარცა შესამოსელსა.., არამედ ვითარცა **თანაღმერთქმნილსა**... სიტყუაჲ ჴორც იქმნა რაჲ... **ამისათა მინდობითა გამოვხატავ ღმერთსა უხილავსა, არა ვითარცა უხილავსა, არამედ ვითარცა ჩვენთვის ხილულქმნილსა, მიღებითა ჴორცთა და სისხლთათა. არათუ უხილავსა გამოვხატავ ღმრთეებასა, არამედ გამოვხატავ ღმრთისა ჴორცითა ხილულობასა, რამეთუ უკუეთუ სულისა გამოხატვა შეუძლებელ არს, რაოდენ უფროის ღმრთისაჲ, რომელმან მოსცა უნივთობაჲ სულსა...** რაჲთა რაჟამს გსუროდის არა ჩუენთანა ყოფისაგან ხილვად ვერ შესაძლებელთაჲ, ხილვითა მით ხატთათა დავიცხრობდეთ სურვილსა" (წმ. იოანე დამასკელი, 2013, გვ. 150-151).

წმინდა მამის ზემოდამოწმებული სიტყვების მიხედვით, თაყვანისიცემება ერთარსება, უხილავი, უხორცო და გარეშემოუწერელი ღმერთი, რომელიც, ამასთან ერთად, განკაცდა და ხორცი შეისხა. სწორედ ღვთის ხორცშესხმის შემდეგ მოგვეცა საშუალება მისი დახატვისა. როგორც დამასკოს ეპისკოპოსი შენიშნავს, უხილავი ღმერთი არ გამოისახება, თუმცა რადგან იგი ,,ჩვენთვის ხილულქმნილად" გაცხადდა, რაც გამოვლინდა მის მიერ სხეულის მიღებაში, უფლის ფიზიკურად, ხილვადად თაყვანისცემის საშუალება მოგვეცა. იოანე

დამასკელის მიერ მაცხოვრის სხეულს ღვთის პორფირი ეწოდება, რომელიც არ უნდა განვიხილოთ მისი ღმრთეების ,,სამოსელად“ (გარეგან შესამოსელად), არამედ ძე ღმერთის საღვთო ბუნებასთან **,,თანაღმერთქმნილად“,** რაშიც განკაცებული ღმერთის სხეულის თავისსავე საღვთო ბუნებასთან თანაზიარება იგულისხმება.

ამასთან დაკავშირებით გრიგოლ ღვთისმეტყველი ბრძანებს: ,,რომელთაგანმან რომელმანმე განაღმრთო და რომელიმე განღმრთა... მინდობილ ვარ თქუმად, ვითარმედ - **თანაღმერთ (Ομόθεον)**... ვქადაგებთ... განღმრთობასაცა ჴორცთასა“ (ჭელიძე, 2016, გვ. 592-593).

ქრისტიანულ ხელოვნებაში ხატის შექმნის აღმნიშვნელად ტერმინი ,,ხატწერა“ გამოიყენება, რაც არის თარგმანი ორი ბერძნული სიტყვისა: εικώνα **γράφειν** (ხატის წერა). ძველ ქართულში ხსენებული ბერძნული ტერმინის ორი სახის თარგმანი გვხდება: ,,ხატის დაწერა“ და ,,ხატის გამოსახვა“. მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს: ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილ „მცირე სჯულისკანონში“ ვკითხულობთ: ,,ესეცა მოიწია სასმენელთა ჩუენთა, ვითარმედ ქუეყანასა მას სომხითისასა წმინდანთა და პატიოსანთა **ხატთა გამოსახვასა** არა შეიწყნარებენ… ესე უკვე წესი წმიდათა **ხატთა წერისაჲ** პირველითგანვე წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა მიერ განწესებულ არს, ვითარცა თაყუანისცემაჲ ჯუარისაჲ და ვითარცა თაყუანის-ცემაჲ აღმოსავალით კერძო...“ (მცირე სჯულისკანონი, 1972, გვ. 63-64).

არსენ იყალთოელის მიერ ნათარგმნ ,,დიდი სჯულისკანონის“ ერთ-ერთ ეპიზოდში ვკითხულობთ: ,,წინაშე სახედველებისა ყოველთაჲსა გამოვსახავთ ამხუმელისა ცოდვათა სოფლისათაჲსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა კაცობრივსა მსგავსებასა და ხატთა შინა გამოწერასა მისსა“ (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 399).

გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში წერია: ,,ეგრეთვე ამის წმიდისათჳს ყვეს ზემოჴსენებულთა ამათ მამათა და **ხატითა დაწერად სცეს** ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ“ (წმ. გიორგი ხუცესმონაზონი, 1967, გვ. 201).

დავიმოწმებთ ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ავტორის სიტყვებსაც: „საფლავსა მისსა ზედა **წერილ არს ხატი მისი,** სწორი ასაკისა მისისა“ (ჯუანშერი, 1955, გვ. 204).

როგორც დამოწმებული წყაროებიდან ირკვევა, ხატის შექმნასთან მიმართებით, არასდროს გამოიყენება ტერმინი ,,ხატვა“, ,,ხატის დახატვა“, ვინაიდან ხატის არსს ზედმიწევნით მიესადაგება ტერმინი ,,წერა“. საეკლესიო მოძღვრების თანახმად, ხატის თაყვანისცემა მისი არქეტიპის, პირველსახის, ანუ მასზე გამოსახულის თაყვანისცემას ნიშნავს. წმინდა ბასილი დიდი ბრძანებს: ,,ხატისადმი პატივისცემა პირველსახისადმი წიაღმსვლელობს“ (ჭელიძე , 2020, გვ. 91).

ხატთაყვანისცემა რომ მასზე გამოსახულის და არა გამომსახველი მასალის თაყვანისცემას ნიშნავს, ამასთან დაკავშირებით წმ. თეოდორე სტუდიელი ბრძანებს: ,,თაყვანისცემა უნდა განვუკუთვნოთ ქრისტეს ხატს და არა როგორც ნივთს, არამედ როგორც თვით ქრისტეს“ (ჭელიძე , 2020, გვ. 30).

აღნიშნულთან დაკავშირებით, საგულისხმო სწავლება აქვს წმინდა გერმანე კოსტანტინეპოლელს, რომელსაც ხატმებრძოლთა წინააღმდეგ საგანგებო ჰომილია აქვს დაწერილი[2]. წმიდა მამის მიხედვით, მართალია, ღმერთი გარეშემოუწერელია, მაგრამ, იგი ადამიანებს დატევნისაებრ ყოველთვის განუცხადებდა თავს: ,,იხილეთ, ვითარ ბუნებით გარეშეუწერელმა ღმერთმან ჩუენმან მამათა და მამამთავართა, წინასწარმეტყველთა და მეფეთა აჩრდილით და სახით, სიზმრით და ხატით, მსგავსად დატევნისა მათისა, გამოუჩინა თავი თვისი“ (წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელი, 2008, გვ. 56).

მოხმობილი ციტატა მეტად საგულისხმოა, რადგან წმინდა მამა საუბრობს ძველი აღთქმის თეოფანიებზე და ამბობს, რომ ღვთის ხილულად (ხატის დარად) ,,გამოჩინება“ ძველი აღთქმის პერიოდის წმინდა მამათა წინაშეც ხდებოდა. საეკლესიო მოძღვრების თანახმად, ძველი აღთქმის პერიოდში აღსრულებულ თეოფანიებში ადამიანებს მუდამ ყოვლადწმიდა სამების მეორე პირი, ძე ღმერთი განეცხადებოდა. მაგალითად, ამ მხრივ, საინტერესოა, მორიას მთაზე

[2] ხატმებრძოლთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტები, მათი აზრით, სწორედ ღვთის დაუტევნელობის ,,ხატად“ გადმოცემის შესაძლებლობას უარყოფდა.

აღსრულებული აბრაამის მსხვერპლშეწირვის ისტორია, რომლის განმარტებისას წმიდა გრიგოლ ნოსელი ბრძანებს, რომ ანგელოზში, რომელიც აბრაამს გამოეცხადა, ძე ღმერთი მოიაზრება (წმ. გრიგოლ ნოსელი, გვ. 46).

ამ კუთხით აღსანიშნავია ესაია წინასწარმეტყველის წიგნში გადმოცემული თეოფანია, რომლის მიხედვითაც წინასწარმეტყველმა საყდარზე დაბრძანებული უფალი იხილა. წმ. იოანე ოქროპირის განმარტების მიხედვით, იგი ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასია. ამავეს ბრძანებს ნეტარი იერონიმეც (ორჟონია, 2017).

დანიელის წინასწარმეტყველებაში გადმოცემულია თხრობა იმის შესახებ, თუ როგორ უბრძანებს ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი მოსახლეობას კერპის თაყვანისცემას. მხოლოდ შორეულ შუამდინარეთში გადასახლებული სამი იუდეველი ყრმა - ანანია, აზარია და მისაელი - იტყვის უარს მეფის ბრძანების აღსრულებაზე. განრისხებული ნაბუქოდონოსორი მყისვე ბრძანებას გასცემს, რომ ისინი გახურებულ ღუმელში ჩააგდონ. შესაბამის თხრობის მიხედვით, ამ სამ ადამიანთან ერთად ცეცხლში ვინმე უცნობი მეოთხეც განიჭვრიტებოდა, რომელსაც ბაბილონის მეფე ასე ახასიათებს: „მე ვხედავ აწ-ესერა, ოთხთა კაცთა განჴსნილთა, რომელნი ვლენან შორის ცეცხლსა და განრყუნილებაჲ არარაჲ არს მათ თანა. და **ხილვაჲ მეოთხისაჲ მის მსგავს არს ძესა ღმრთისასა“** (ბიბლია, 2015, დან. 3:92).

წმინდა ანასტასი სინელის მიხედვით, ცეცხლის ღუმელში გამოჩენილი მეოთხე არსება ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასია (ორჟონია, 2017).

ძველ აღთქმაში ხატთაყვანისცემის აკრძალვის უპირველესი მიზეზია ის, რომ ამ პერიოდში ღმერთი არ არის განკაცებული, და შესაბამისად, ღვთის ხილვა (კაცობრივი, ხილვადი ბუნებით) და მისი გამოსახვა შეუძლებელი იყო.

თუმცა, აქვე, საგანგებოდ აღვნიშნავთ რომ მიუხედავად აკრძალვისა, გამონაკლისის სახით ძველ აღთქმაში გამოსახულებებს მაინც ვხვდებით. მაგალითად, მოსემ, ღვთის ბრძანებით, სპილენძის გველი გააკეთა (ბიბლია, 2015 რიცხვ. 21: 8-9). ასევე, გამოსახულებები გვხვდება, საწამებელ (მოწმობის) კარავზე. ღმერთი ეუბნება მოსეს: ,,და ჰქმნე ორნი ქერობინნი ოქროჲსანი ქანდაკებულად და დასდგნე იგინი ორთავე მათ კიდეთა სალხინებელისათა. რომელი-იგი ჰქმნე: ერთი

ერთკერძოსა მას კიდესა და ქერობინი იგი ერთი მეორესა მას კიდესა მის სალხინებელისასა" (ბიბლია, 2015, გამ. 25:18-19).

წმინდა გამოსახულებებს ვხვდებით სოლომონ მეფის მიერ აგებული ტაძარში და ტაძრის კედლებზეც (ბიბლია, 2015, მე-3 მეფ. 6:23-38).

უაღრესად მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ შემდეგი: **თუკი ღმერთმა ძველი აღთქმის პერიოდში ადამიანს გამოსახულებათა შექმნა აუკრძალა, იგივე ღმერთი რატომ უბრძანებს მოსეს „საწამებელ კარავში" ქერუბიმთა გამოსახვას?** ამ საკითხთან დაკავშირებით წმინდა იოანე დამასკელი საუბრობს: ,,**არა ესრეთ ვთქუ, ვითარმედ: არა შეჰქმნასა სახე ქერუბინთაჲ, ვითარცა მონათა, წინაშე მდგომელთაჲ სალხინებელისათაჲ, არამედ, ვითარმედ: ,,არა იქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსი" (ბიბლია, გამოს. 20:4); და კერპნი გამოსადნობელნი არა იქმნნეთ თავისა თქუენისა" (ბიბლია, გამოს. 34:17), რეცა ვითარცა ღმრთისაჲ; არა ჰმსახურო დაბადებულსა ნაცვლად დამბადებელისა. ესრეთვე ჰყოფდით და თქუენცა**" (წმ. იოანე დამასკელი, 2013, გვ. 183-184).

დამასკელი მამის თანახმად, **ღმერთს არ აუკრძალავს ღვთისმსახური და ადამიანთა ღვთის წინაშე შუამდგომელი ქერუბიმის გამოქანდაკება**.

ძველი თუ ახალი აღთქმის პერიოდში მცხოვრები ადამიანის უმთავრესი მოვალეობაა ემსახუროს დამბადებელს და არა დაბადებულს.

წმინდა დამასკელი მამა იმის გადმოსაცემად, რომ ხატთაყვანისცემა მასზე გამოხატულის თაყვანისცემას ნიშნავს, შემდეგ მსჯელობას წარმოგვიდგენს: ,,**ხატი მეფისა მეფე არს, და ხატი ქრისტესი ქრისტე არს, და ხატი წმიდა წმიდაჲ არს. და არცა მპყრობელობაჲ განიჭრების, არცა დიდებაჲ განიყოფების, არამედ პატივი ხატისა გამოხატულისა მის პირმშოჲსა სახისადა იქმნების**" (წმ. იოანე დამასკელი, 2013, გვ. 170-171).

წარმოდგენილი მოძღვრების თანახმად, თუკი მეფის ნახატი მეფეზე მიუთითებს, ქრისტეს ხატიც ქრისტეს გამომსახველია.

ხატმეტყველება მხოლოდ იესო ქრისტეს ცალკეულ ხატებს არ მოიცავს, არამედ სახარებაში აღწერილი მაცხოვრის მიერ აღსრულებულ საქმეთა შესახებ მხატვრულ თხრობასაც გადმოგვცემს. სახარებისეული მოვლენების გამოსახვასთან დაკავშირებით საუბრისას წმიდა იოანე დამასკელი ბრძანებს: ,,**ჭეშმარიტად გახდა**

იგი ადამიანი ჩვენს გამოსახსნელად, როდესაც იცხოვრა მან მიწაზე და დაჰყო ადამიანებთან, ისაკვირლმოქმედა, ივნო, ჯვარს ეცვა, აღდგა და ამაღლდა, როდესაც ჭეშმარიტად მოხდა ეს ყოველივე და დასანახი გახდა ადამიანებისთვის, ამასთან აღიწერა კიდეც ჩვენს შესახსენებლად და სასწავლად, რომლებიც იმჟამად იქ არ ვიყავით, რომ ჩვენ, არ მხილველთ, სმენის გზით გვერწმუნა და უფლისმიერი ნეტარება მოგვეპოვებინა, ხოლო, **რადგან ყველა არ იყო ასოთა მცოდნე და არ ჰქონდა კითხვის გულმოდგინება, მამებმა ამგვარად თანაგანჭვრიტეს, რომ ყოველივე ეს, როგორც რამ რჩეულნაღვაწნი, ხატებში აღწერილიყო. სწორედ ამიტომ, როდესაც არ ვფიქრობთ უფლის ვნებულებაზე, ვნახავთ თუ არა ქრისტეს ჯვარცმის ხატს, მაცხოვნებელი ვნებულება გაგვახსენდება, დავეცემით და თაყვანს ვცემთ მას, თუმცა - არა ნივთს, არამედ მასზე გამოსახულს“** (წმ. იოანე დამასკელი, 2019, გვ. 622).

წმინდა იოანე დამასკელის მიხედვით, მაცხოვრის ამქვეყნიური მოღვაწეობა წერილობითად აღიწერა, თუმცა არსებობდნენ ადამიანები, რომლებმაც წერა-კითხვა არ იცოდნენ. სწორედ მათთვის იყო აუცილებელი სახარებისეული მოვლენების გამოსახვა, რათა საცნაური გამხდარიყო მასში აღწერილი მოვლენების შინაარსი. ოთხთავის მიხედვით შექმნილი თითოეული იკონოგრაფიული კომპოზიცია (მაგალითად, ჯვარცმის გამოსახულება) შესაბამის ევანგელესეულ თხრობას გვახსენებს და უფლისადმი თაყვანისცემისათვის აღგვძრავს.

წმინდა ბასილი დიდი ბრძანებს: ,,ვაღიარებ წმინდა წინასწარმეტყველებს, მოციქულებსა და მოწამეებს და მოვუწოდებ მათ, რათა მეოხნი იყვნენ წინაშე ღვთისა, რათა მათ მიერ, მათივე შუამდგომლობით, ღმერთი მოწყალე იყოს ჩემდამი. ამიტომაც ხატზე მათ გამოსახულებებსაც ვცემ თაყვანს“ (ლებედევი, 2012, გვ. 379).

ბასილი დიდის მიხედვით, ხატის ფუნქციაა ადამიანი ლოცვით დააკავშიროს მასზე გამოსახულთან.

ხატთაყვანისცემა თავად მაცხოვრის მიერ იკურთხა. ამას ასაჩინოებს ედესის მეფე ავგაროზთან დაკავშირებული აპოკრიფული ხასიათის თხრობა (დღესდღეობით აღნიშნული აპოკრიფის ოთხი რედაქცია გვაქვს, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია სინური რედაქცია). ხსენებულ აპოკრიფში

წარმოდგენილია ერთი მხრივ, ავგაროზის მიერ მაცხოვრისთვის გაგზავნილი წერილი, მეორე მხრივ, იესო ქრისტეს პასუხი. წერილიდან ირკვევა, რომ ედესის მეფე ავგაროზი ავად გამხდარა და იგი მაცხოვარს მასთან ჩასვლასა და განკურნებას სთხოვს. უფალი საპასუხო წერილში ავგაროზს მისწერს, რომ მან ჯერ უნდა აღასრულოს თავისი განგებულება და რომ მისი ამაღლების შემდეგ მასთან გააგზავნის თავის მოწაფეს, თადეოზს, რომელიც განკურნავს მას და მის ქალაქსაც მოაქცევს. ავგაროზი წერილს მიიღებს, თუმცა, შემდეგ იგი იგებს, რომ იესო ქრისტეს შეპყრობას განიზრახავენ და უფალთან მალემსრბოლსა და მხატვარს აგზავნის, რომელსაც მაცხოვრის სახების დახატვას და მასთან გამოგზავნას ავალებს. მხატვარი ვერ ახერხებს უფლის სახების ტილოზე გადატანას და მაცხოვარს სთხოვს დახმარებას. უფალი საპასუხოდ პირს იბანს, ტილოს ართმევს, სახეზე იდებს და ,,მეყსეულად გამოისახა ხატი პირისა მისისაჲ მას ზედა“ (ჭელიძე , მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება წმინდა ხატთა თაყვანისცემის შესახებ, 2020, გვ. 222).

განკაცებულმა ღმერთმა სასწაულებრივად ტილოზე ასახული თავისი სახება თადეოზ მოციქულს გადასცა და უთხრა, რომ მისი ამაღლების შემდეგ ედესაში წასულიყო და სიწმიდე ავგაროზისთვის გადაეცა. უფლის ამაღლების შემდეგ თადეოზი მართლაც გაემგზავრება ედესისკენ. იგი გზად იეროპოლში გაივლის, სადაც ღამის გასათევად ვინმე მეკეცის სახლში გაჩერდება. თადეოზი ღამეს ამ ადამიანთან გაათევს და ტილოზე გამოსახულ ხატს ორ კეცს შორის ჩაასვენებს, რის შედეგადაც კეცზე სასწაულებრივად გადადის მანდილიონზე გამოსახული ქრისტეს სახების ასლი. ტილოზე მაცხოვრის გამოსახულება კი ედესაში ჩააბრძანა მოციქულმა თადეოზმა და ედესის მეფე განიკურნა (ჭელიძე , მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება წმინდა ხატთა თაყვანისცემის შესახებ, 2020, გვ. 220-225).

პირველი ხატი ხელთუქმნელია, რომელიც თავად მაცხოვარმა შექმნა და მან ამ სახით ხატთა თაყვანისცემა აკურთხა.[3]

---

[3] ქართული წყაროების თანახმად არსებობს **ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატიც, რომელიც ,,აწყურის ხატად“** იწოდება. ისტორიული წყაროს თანახმად, მას შემდეგ რაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს საქადაგებლად და მოსაქცევად ივერია ერგო, უფლისგან მიიღო ბრძანება, რომ არ გამომგზავრებულიყო ჩვენს ქვეყანაში, რადგან მისი ამ სოფლიდან გასვლა იყო მოახლოებული. უფალი საკუთარ ხორციელ დედას ეუბნება, რომ სახის ფიცარზე დადებით გამოსახოს მისი ხატი და ანდრია პირველწოდებულს გამოატანოს საქართველოში. მარიამი ასეც იქცევა. იგი ითხოვს

პირველხელთქმნილ გამოსახულებასთან დაკავშირებით საყურადღებოა წმ.იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ქართული თარგმანების უწყება. მათე მახარებლის თხრობის თანახმად, სინაგოგის მთავრის იაიროსის 12 წლის ასული მძიმე დაავადებით დაუძლურდა. ამიტომაც ბავშვის მამამ გადაწყვიტა, რაც შეიძლება მალე მისულიყო ქრისტესთან და შვილის განკურნება ეთხოვა. მთავრის სახლისაკენ მიმავალ უფალს გზაზე ხვდება ,,დედაკაცი ვინმე, რომელი იყო სისხლისა დინებასა ათორმეტ წელ, მოუჴდა ზურგით და შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა. რამეთუ იტყოდა გულსა თჳსსა, ვითარმედ: შე-ხოლო თუ-ვახო სამოსელსა მისსა, ვცხოვნდე. ხოლო იესუ მიექცა, იხილა იგი და ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. და განიკურნა დედაკაცი იგი მიერ ჟამითგან" (ბიბლია, მთ.9:20-22)[4].

წმინდა იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ძველი ქართული თარგმანების თანახმად, რომელიც **ექვთიმე მთაწმინდელს ეკუთვნის,** ვკითხულობთ: **„არა უმადლო იპოვა დედაკაცი იგი, არამედ წარვიდა სახედ თჳსად და ვითარცა სიტყუაჲ ჭეშმარიტი მოძღვართაგან მოვალს, ვითარმედ: სახლსა თჳსსა მან ყოველთა პირველად ხატი მაცხოვრისაჲ შექმნა და თაყუანის-სცემდა მას ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა"** (წმ. იოანე ოქროპირი, 2014ა, გვ. 465).

საქმე ისაა, რომ სისხლდენისაგან განკურნებული დედაკაცის მიერ მაცხოვრის პირველი გამოსახულების შექმნასთან დაკავშირებული უწყება ბერძნულ ტექსტში არ გვხვდება. როგორც ჩანს, აღნიშნულ ადგილზე მთაწმინდელმა მოძღვარმა ხსენებული ამბავი ოქროპირის განმარტებას თავად შეჰმატა. შესაბამისად, ზემოხსენებული ცნობა არა კონსტანტინოპოლის ეკლესიის წინამძღოლს ეკუთვნის, არამედ წმინდა ექვთიმე ათონელს (ორჟონია 2017: 90). რასაკვირველია, უდიდესი ქართველი წმინდა მამა მყარი საფუძვლის გარეშე არ ჩაამატებდა აღნიშნულ ცნობას.

წარმოდგენილი თხრობის თანახმად, **სისხლდენით დაავადებულმა ქალიშვილმა, განკურნების შემდეგ გადაწყვიტა უფლის მიმართ მადლიერება**

ფიცარს, სახეზე მიიდებს, რის შედეგადადაც ფიცარზე სასწაულებრივად აისახება ღვთისმშობლის ყრმით ხელში გამოსახულება (ჭელიძე , მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება წმინდა ხატთა თაყვანისცემის შესახებ, 2020, გვ. 317-318).

[4]აღნიშნულ თხრობას უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს ლუკა მახარებელი (ლკ.8:41-56).

გამოეხატა და მაცხოვრის პირველი გამოსახულება შექმნა. ასე რომ, იკონოგრაფიამ დასაბამი ჯერ კიდევ მაცხოვრის ხორციელი ცხოვრების ჟამს აიღო[5].

პირველი ქრისტიანული გამოსახულებები, ძირითადად, სიმბოლური ხასიათისაა და მათ კატაკომბებში ვხვდებით. პირველი ქრისტიანები, უმთავრესად, ბიბლიურ სიმბოლოებს იყენებდნენ, როგორიცაა, მაგალითად,

---

[5] როგორც **წმ. ექვთიმე მთაწმინდელი სხარების IX თავის ოქროპირისეულ განმარტებასთან დაკავშირებით გადმოგვცემს, ქრისტეს პირველი გამოსახულება სისხლდენის სნებისაგან განკურნებულმა დედაკაცმა შექმნა პანეადში** და შეიტყო რა იულიანე განდგომილმა, რომ პალესტინის ჩრდილოეთით, ხსენებულ ქალაქში აღმართული იყო ქრისტეს ქანდაკება, რომელიც სამადლობლად ქრისტეს სამოსის შეხებით განკურნებულ ქალბატონს აეგო, ბრძანა დაემსხვრიათ იგი, სანაცვლოდ კი მისი ქანდაკება დაედგათ. მისი ბრძანება შეასრულეს, თუმცა, მოგვიანებით, იულიანეს ქანდაკებას მეხი დაეცა და დაიმსხვრა.
„პანეადელი სისხლმდინარე“ - ამ სახელით მოიხსენიებს წმ.იოანე დამასკელი ხსენებულ ქალს თავის ნაშრომში **„სამი სიტყვა ხატთაყვანისცემის შესახებ“.** ქალაქის სახელი მისი უძველესი ვერსიიდან Πανειας _ დან მომდინარეობს, რომელსაც მოგვიანებით ჰეროდე დიდის ძემ, ფილიპემ კეისარ ავგუსტუსის საპატივცემულოდ „ფილიპეს კესარია“ დაარქვა (ორჟონია, კულტურის წარმომავლობისა და დანიშნულების შესახებ, 2017, გვ. 91).
პანეადელი სისხლმდინარე დედაკაცის განკურნებისა და მის მიერ სამადლობელად და მორწმუნეთათვის ყოველდღიურ სავედრებელ ნუგეშად ქრისტეს გამოსახულების შექმნის შესახებ ისტორიულ ცნობას ვხვდებით III-IV საუკუნეებში მოღვაწე რომაელ საეკლესიო ისტორიკოს ევსები კესარიელთანაც, რომელიც თავისი ნაშრომის „საეკლესიო ისტორია“ XVIII თავში გადმოგვცემს ამ მოვლენასთან დაკავშირებულ იმ ცნობებს, რომელიც მას მოეპოვებოდა. სრული სახით წარმოვადგენთ ხსენებულ ცნობას: „მაგრამ, მას შემდეგ, რაც ეს ქალაქი გავიხსენეთ, ღირსეულად არ მიმაჩნია იმ ამბისათვის გვერდის ავლა, რომელიც ჩვენ შემდეგაც გახსენების ღირსია. რადგან ამბობენ, რომ ის სისხლმდინარე, რომელმაც, როგორც წმიდა სახარებიდან გვაქვს ნასწავლი, ჩვენი მაცხოვრისაგან მოიპოვა ამ ვნებისაგან გათავისუფლება, აქედან წამოვიდა. ამ ქალაქში მის სახლზე მიუთითებდნენ და მაცხოვრის მიერ მის მიმართ ქველმოქმედების საკვირველი ძეგლებიც არის შემორჩენილი. **ამბობენ, რომ ამ სახლის კარიბჭესთან მაღალ ქვაზე იდგა ქალის ბრინჯაოს გამოსახულება, მუხლმოდრეკილი და მლოცველის მსგავსად წინ ხელებგაწვდილი, მის პირდაპირ კი - იმავე მასალისაგან ფეხზე მდგარი კაცის სხვა გამოსახულება, ორმაგი მოსასხამით მოკრძალებულად შემოსილი და ქალის მიმართ წინ გაწვდილი ხელით;** მის ფეხებთან ძეგლზე უცხო რამ სახეობის მცენარე იყო აღმოცენებული, რაც ბრინჯაოს ორმაგ მოსასხამს კიდეზე აუყვებოდა და ყველანაირი სნეულების შხამსაწინააღმდეგო საშუალებად მოქმედებდა. ამბობენ, რომ ეს ქანდაკება იესოს ხატებას ატარებდა და შემორჩენილი იყო ჩვენს დრომდეც. ასე რომ, ქალაქში გაჩერებისას თვით ჩვენი თვალებით დავინახავდით და, არაფერია საკვირველი, რომ ძველად წარმართთაგან ჩვენი მაცხოვრისაგან ქველმოქმედების მიმღებთ ეს გაეკეთებინათ. როდესაც მოგვითხრობენ, რომ მისი მოციქულების, პავლესა და პეტრეს და თვით ქრისტეს ხატები ფერების მეშვეობით სურათებზე არის შემორჩენილი, ბუნებრივია, ძველები, სიფრთხილის გარეშე, მათი, როგორც მხსნელების, წარმართული ჩვეულებით, ამ სახით პატივის მიგებას იყვნენ მიჩვეულნი“ (ევსები, 2007 , გვ. 310-311).

კრავი, ნოეს კიდობანი და სხვა. როცა ეკლესიაში წარმართებმა დაიწყეს შესვლა, ეს სიმბოლოები მათ გაუგებრად და უცხოდ ეჩვენათ. მაშინ ჭეშმარიტებასთან მათ დასაახლოებლად, ეკლესიამ ზოგიერთი ისეთი წარმართული სიმბოლო მიიღო, რომელთაც შეეძლოთ გადმოეცათ ქრისტიანული სწავლება. რა თქმა უნდა, ადრექრისტიანული სიმბოლოების მიღებისას ეკლესია მათ წარმართული შინაარსისგან წმენდდა.

ქრისტიანულმა ეკლესიამ თავის წიაღში მოსული წარმართებისთვის მაცხოვნებელი სწავლების ასახსნელად ის ანტიკური მითებიც კი გამოიყენა, რომლებიც რაიმე სახით გამოდგებოდა ქრისტიანობასთან პარალელისთვის. ერთი მხრივ, ანტიკური მითების ქრისტიანულ ყაიდაზე გარდაქმნის, მეორე მხრივ, ბიბლიური ისტორიების წარმოჩინებით, ხდებოდა პირველი სიმბოლური გამოსახულებების შექმნა. მოვიხმობთ რამდენიმე მათგანს:

ჩვენი ინტერესის სფეროს, განსაკუთრებით, წარმოადგენს ანთროპომორფული გამოსახულებები, რადგან სწორედ აღნიშნული ტიპის მხატვრობის განვითარებაა სახარებისეული თხრობის გამომსახველი იკონოგრაფიის ჩამოყალიბება. ერთ-ერთი უპირველესი ანთროპომორფული გამოსახულება, რომელიც უშუალოდ სახარებისეულ თხრობასთან (და არა წარმართულ, ქრისტიანულ მსოფლხედვის მიხედვით გარდაქმნილ მითებთან) არის კავშირში, გახლავთ ,,მწყემსი კეთილის“ გამოსახულება, რომელიც წარმოდგენილია ჭაბუკის სახით, რომლის გარშემო ცხვრებია გამოსახული. ხოლო თავად ამ ჭაბუკს მხარზე ერთი ცხვარი ჰყავს შესმული. მაგალითად, ერთ-ერთ კატაკომბაში მწყემსს ტუნიკი აცვია, მხრებზე ცხვარიც ჰყავს და მისგან მოშორებით ორი ცხვარია, რომელთაც თავები მწყემსისკენ აქვთ მობრუნებული (Ferrua, 1991, გვ. 61).

წარმოდგენილი გამოსახულება ლუკას სახარების შემდეგი სიტყვებისა და შესაბამისი ეგზეგეზისის ილუსტრაციაა: ,,და ეტყოდა მათ იგავსა ამას და ჰრქუა: „ვის თქუენგანსა კაცსა ედგას ასი ცხოვარი და წარუწყმდეს მას ერთი მათგანი, არამე დაუტევნესა ოთხმეოცდაათცხრამეტნი იგი უდაბნოსა ზედა და წარვიდეს წარწყმედულისა მისთჳს, ვიდრემდე პოვოს იგი? და პოვოს რაჲ, **დაისუას იგი მჴართა თჳსთა ზედა სიხარულით;** და მო-რაჲ-ვიდეს იგი სახიდ თჳსა, მოუწოდოს

მეგობართა და მოძმეთა და ჰრქუას მათ: „ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული“. გეტყჳ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათჳს ცოდვილისა, რომელმან შეინანოს, ვიდრეღა არა ოთხმეოცდაათცხრამეტთა მათ მართალთა, რომელთა არა უჴმს სინანული“ (ბიბლია, ლკ. 15:3-7).[6]

გრიგოლ ღვთისმეტყველი ასე განმარტავს მწყემსის მიერ ცხვრის მხარზე შესმის სიმბოლიკას: „მწყემსი კეთილი, რომელმაც იპოვა დაკარგული ცხვარი და შეისვა მხარზე, იტვირთა როგორც ჯვარი (Григорий Богослов, თ. გ.).

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებით, უფალმა ჰპოვა რა წარწყმედილი ცხვარი, თავის მხრებზე შეისვა იგი. ვინაიდან „ამან უძლურებანნი ჩუენნი იტჳრთნეს და სალმობათა ჩუენთათჳს ნუგეშინის გუეცეს“(ბიბლია, 2015, ისაია 53:4) დაუზარებლად აიღო თავზე ყველა ჩვენი ტვირთი; მან გადაიხადა ყველაფერი, რაც ჩვენ გვმართებდა და შრომის გარეშე გვიხსნა ჩვენ და მიგვიყვანა სახლამდე, ანუ ზეცამდე“ (წმინდა თეოფილაქტე ბულგარელი, 2011).

დამოწმებული სახარებისეული ტექსტისა და შესაბამისი ეგზეგეზისის თანახმად, ,,მწყემსი კეთილის“ გამოსახულება მოასწავებს უფალს, რომელმაც არც ერთი ადამიანის დაღუპვა არ ინება და საკუთარი ჯვარცმით (ჯვრის ტვირთვით) გამოიხსნა კაცობრიობა ჯოჯოხეთისგან. შესაბამისად, გამოსახულ ჭაბუკში უფალი მოიაზრება, გარშემო ცხვრებში - მართალი ადამიანები, ხოლო მხარზე შესმულ ცხოვარში ცოდვით დაცემული კაცობრიობაა ნაგულისხმევი, რომლის მხარზე შესმით მათი ცოდვისაგან დახსნაა გამოხატული.

უშუალოდ სახარებისეული სცენების განთავსების პირველი შემთხვევებიც კატაკომბურ მხატვრობაში გვაქვს. ამ კუთხით აღსანიშნავია მოგვთა თაყვანისცემის იკონოგრაფია - მარიამი სავარძელში თავდაბურული ზის, ხელში ყრმა უპყრია და ვერცხლისფერი, განივი ზოლებით მორთული შესამოსელი აცვია.

[6] დასახელებული შინაარსის სწავლება მათეს სახარებაშიც გვხვდება (ბიბლია, 2015, მთ. 18: 12-14), თუმცა, ლუკა მახარებლის მიერ გადმოცემული თხრობა ზედმიწევნით გადმოგვცემს დასახელებულ იკონოგრაფიის შინაარსს. მაგალითად, ლუკა მახარებელთან ნათქვამია, რომ მწყემსმა ცხოვარი **„დაისუას (იგი) მჴართა თჳსთა ზედა სიხარულით“ (ბიბლია, 2015, ლკ. 15:5), რასაც არ ამბობს მათე მახარებელი.**

მისი მარჯვენა ხელი მოგვის გამოსახულების მიმართ არის გაწვდილი. მოგვებს მუხლამდე ტუნიკები მოსავთ და ხელში ძღვენი უჭირავთ (Ferrua, 1991, გვ. 61).

IV-V საუკუნეებში ძველი და ახალი აღთქმის მოვლენათა ამსახველი ისტორიული ციკლები გაჩნდა. მართლმადიდებელი ეკლესიის ძირითადი საეკლესიო დღესასწაულების უმრავლესობა ამ დროს დაწესდა და მათი შესატყვისი ხატების იკონოგრაფიული სქემების წარმოშობაც ამავე პერიოდს მიეკუთვნება. სახარებისეული მოვლენების ამსახველი კომპოზიციებია გამოსახული მონცისა და ბობიოს ვერცხლის მცირე ზომის ამპულებზე, რომლებიც 600 წელს ლომბარდიელთა დედოფალ თეოდელინდას უძღვნეს (უსპენსკი ლ., 2014, გვ. 28).

წმინდა ნილოს სინელი ტაძარში ბიბლიური სცენების განთავსების აუცილებლობაზე საუბრობს: ,,დაე, ტაძრის კედლები საუკეთესო ოსტატის ფერწერამ ძველი და ახალი აღთქმის გამოსახულებებით დაამშვენოს, რათა მათ, ვინც წერა-კითხვა არ იცის და წმინდა წერილის წაკითხვა არ შეუძლია, ფერწერულ გამოსახულებათა ხილვისას გაიხსენონ ქრისტესთვის თავდადებულთა გმირული მოსაგრეობა და აღიძრან მოშურნეობით“ (უსპენსკი ლ., 2014, გვ. 28).

წმინდა ნილოს სინელის სიტყვების თანახმად, ბიბლიისეული იკონოგრაფიის კიდევ ერთი ფუნქცია იკვეთება - **წერა-კითხვის უცოდინართათვის წმინდა წერილის გაცნობის საშუალება (როგორც ზემოთ გადმოვეცით, იმავეს წმიდა იოანე დამასკელიც წარმოსთქვამს).**

წმინდა წერილის შინაარსის მხატვრულ გამოსახულებებად გარდაქმნის მნიშვნელობაზე საუბრობს წმინდა **კირილე ალექსანდრიელიც**: ,,ამრიგად, რომელი ჩვენგანი არ ისურვებდა ფიცარზე გამოსახულიყო აბრაამის ისტორია, რომელიც შეიძლება მხატვარმა გამოსახოს ნაწილ-ნაწილ ან ცალკე?“ (ლებედევი, 2012, გვ. 378).

ბიბლიისეულ თხრობათა გამოსახულების ერთ-ერთი ფუნქციაა ადამიანებს სულიერი ,,აღტყინება“ მოუტანოს და ღვთაებრივ საიდუმლოებებთან დააკავშიროს. ამის დასტურია **წმინდა გრიგოლ ნოსელი**, რომელსაც უცრემლოდ ვერ შეეძლო ეცქირა აბრაამის მიერ ისაკის მსხვერპლშეწირვის გამოსახულებისთვის. იგი ბრძანებს: **,,არა ერთხელ მიხილავს ამ ტანჯვის**

ფერწერული გამოსახულება და უცრემლოდ არასოდეს ამიქცევია მისთვის გვერდი; ასე ცოცხლად წარმოადგენს მას ხელოვნება“ (ლებედევი, 2012, გვ. 378).

ქრისტიანული თვალთახედვით, ხატი სიწმინდეს წარმოადგენს და მისი შეურაცხყოფა **თავად მასზე გამოსახულის შეურაცხყოფის ტოლფასია.** სწორედ ამას **გადმოგვცემს წმინდა ანასტასი: „როგორც იმპერატორის პორტრეტის შეურაცხმყოფელი სამართლიანად ექვემდებარება სასჯელს, თითქოს მას თვით იმპერატორისათვის მიეყენებინოს შეურაცხყოფა, თუმცა პორტრეტი სხვა არაფერია, თუ არა ცვილით შერეული ხე და საღებავი, სწორედ მსგავსადვე რომელიმე (წმინდანის) შეურაცხმყოფელი შეურაცხყოფას აყენებს მას, ვისი გამოსახულებაცაა ის“** (ლებედევი, 2012, გვ. 383).

წმინდა გერმანე კონსტანტინეპოლელი, რომელმაც საგანგებო ჰომილია შექმნა ხატმებრძოლთა წინააღმდეგ, ბრძანებს: „სამართლად გამოვხატავთ ხატთა მოსახსენებლად მისისა მიდგომილებისა და შობისა, აღზრდისა და ნათლისღებისა, სასწაულთა და ნიშთა, ჰურიათა სივერაგესა, თაბორს ფერისცვალებისა ჯუარისა მიერისა ვნებისა, სამ დღე დაფლვისა, სადღესასწაულობისა მისდა ბრწყინვალისა დიდებით აღდგომისა, მოწაფეთა მიმართ სიონს ბჭეთა ხშულთა შესვლისა, ზეცად ამაღლების და კუალად მეორედ დიდებით მოსვლისა მისისა ყოვლად საზარელისა. არა თუ ფერით ნაქმნებსა ამას ხატსა შინა შემოსწერთ ღმერთსა, შემოქმედსა ცათა და ქუეყანისა, ზღუათა და უფსკრულთა, ხილულთა და უხილავთასა; ნუ იყოფინ!“ (წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელი, 2008, გვ. 47-49).

წმინდა გერმანე კონსტანტინეპოლელის მიხედვით, უფლის ამქვეყნიური ცხოვრების ამსახველი მხატვრული სიუჟეტები გვახსენებენ მაცხოვრის მიერ კაცთა ხსნისათვის გაღებულ მსხვერპლს. მაგალითად, იესო ქრისტეს ფერისცვალების ხატი ადამიანებს ამ უაღრესად მნიშვნელოვან ისტორიასა და მის მნიშვნელობას ახსენებს, ხოლო მისი ჯვარცმის ხატი ჯვარცმული მაცხოვრისა და ჯვარცმის მნიშვნელობაზე მეტყველებს. ასე, სახარებაში აღწერილი ყოველი მოვლენის იკონოგრაფია, ამავე მოვლენის სახარებისეულ თხრობასა და შესაბამის ეგზეგეზას შეამეცნებინებს მისდამი მზერალთ.

მაცხოვრის გამოსახულება, ცალკეულ ხატებსა თუ სახარებისეულ კომპოზიციებში „მაკურთხეველი მარჯვენითა“ და შარავანდედით არის

წარმოდგენილი. **,,მაკურთხეველი მარჯვენა“ ადამიანების მიმართ საღვთო კურთხევის მიცემის აღმნიშვნელია,** რასაც კარგად წარმოაჩენს წმიდა მამათა ქვემოწარმოდგენილი მსჯელობები.

ლუკა მახარებელი მაცხოვრის ,,ამაღლების“ სახარებისეული თხრობისას ამბობს: „განიყვანნა იგინი გარე ვიდრე ბეთანიადმდე და **აღიპყრნა ჴელნი თჳსნი და აკურთხნა იგინი.** და იყო, კურთხევასა მას იესუ‌Ისსა მათა მიმართ განეშორა მათგან და აღვიდოდა ზეცად" (ბიბლია, ლკ. 24:50-51).

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებით: ,,უფალმა „აკურთხა“ მოწაფეები, შესაძლოა იმიტომ, რომ ძალა მიენიჭებინა მათთვის, რომელიც დაიფარავდა მათ სული წმინდის გარდამოსვლამდე, ან შესაძლოა ჩვენს დასამოძღვრადაც, რათა ჩვენ, როდესაც სადმე მივდივართ, ჩვენდამი დაქვემდებარებულნი მფარველობის ქვეშ დავტოვოთ კურთხევის მეშვეობით“ (წმინდა თეოფილაქტე ბულგარელი, 2011).

ყოველივე ზემოთქმულის შეჯერების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხატებზე გამოსახული, მაცხოვრის მიერ შემართული ,,მაკურთხეველი მარჯვენა”, თავად უფლისადმი მლოცველთა (ხატის მომზირალთა) მიმართ საღვთო კურთხევის, მადლის მიბოძების გამომხატველია.

„მაკურთხეველი მარჯვენა“ არა მხოლოდ კურთხევის გაცემის გადმომცემია, არამედ უფლის ქადაგების მხატვრული ასახვაცაა. მხატვრულ კომპოზიციებში ადამიანის გამოსახულების **„**ხელის აღმართვის“ ჟესტით მისი ქადაგებად გაგების ტენდენცია **სათავეს წარმართული** აზროვნებიდან იღებს. ასურელებს, ეგვიპტელებს, ინდოელებს ჰქონდათ ჩვეულება თითების წყობით მიენიშნებინათ, რომ სურათზე გამოსახული პირები უნდა აღქმულიყვნენ, როგორც მოლაპარაკენი (Голубинский , 1911, გვ. 492).

დღემდე შემონახულია იმ კლასიკურ ან წარმართულ ნაწარმოებთა ხელნაწერები, რომლებიც დამშვენებულია მრავალფეროვანი მინიატურებით. მათზე გამოსახული არიან ,,მოლაპარაკე" ორატორები აწეული ხელითა და სიმბოლურად შეკრული თითებით. მაგალითად, ჰომეროსის თხზულებაში, რომელიც დაცულია მილანის ამბროსისეულ ბიბლიოთეკაში; ვირგილიუსის მიერ შესრულებულ „ენეიდაში" (ვატიკანის ბიბლიოთეკა); დიოსკორიდეს

თხზულებებში (ვენის ბიბლიოთეკა). გარდა ამისა, თითების წყობის გამოყენება **გასაუბრების ნიშნად** ცნობილია არაქრისტიანულ სკულპტურულ ძეგლებშიც, კერძოდ, ბერძნულ ანტიკურ ნიმუშებში (Голубинский , 1911, გვ. 494-495).

მსგავსი ტენდენცია იკონოგრაფიაშიც გვხდება. როგორც ისტორიული ძეგლებიდან და წყაროებიდან ცხადდება, ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ხელის თითების წყობა, გარდა კურთხევის გამოხატვისა, ასევე წარმოადგენს გასაუბრების, ქადაგების სიმბოლოს. მაცხოვარი, წინასწარმეტყველები, მოციქულები და მღვდელმთავრები გამოისახებიან ხატებზე გარკვეული თითების წყობით იმის ნიშნად, რომ ისინი არიან ცათა სასუფევლის მახარებლები, სახარების მქადაგებლები. ამას ადასტურებს VI საუკუნეში მცხოვრები სილენციარიუსი, იუსტინიანეს მიერ კონსტანტინეპოლში აშენებული წმ. სოფიის ტაძრის აღწერილობაში (Голубинский , 1911, გვ. 496).

მნიშვნელოვან მოწმობას წარმოადგენს IV-V საუკუნეში გადაწერილი მოსეს ხუთწიგნეულის ტექსტი, სადაც ჩართულია 24 მინიატურა. ისინი შესაბამისი ბიბლიისეული თხრობის ილუსტრაციას წარმოადგენენ. ამ მინიატურებზე გამოსახულ პირებს ისეთ სიტუაციებში აქვთ შეკრული თითები, როდესაც ეს ჟესტი სრულიად შეუძლებელია გაგებულ იქნას კურთხევის ან ლოცვის (პირჯვრისწერის) თვალსაზრისით - ეს იქნებოდა უბრალოდ შეუსაბამობა, ზოგიერთ შემთხვევაში მკრეხელობაც (Голубинский , 1911, გვ. 497).

მაგალითად, ასეთი ჟესტით არის გამოსახული ესავი, რომელიც პირველშობილობას ჰყიდის იაკობზე; იოსები, რომელიც სიზმარს უყვება თავის ძმებს. მინიატურაში, სადაც იოსები გამოსახულია საპყრობილეში მეპურესთან და მეღვინესთან ერთად, საპყრობილის წინ გამოსახულია კარისკაცი თავისი ცოლითურთ: ისინი დგანან პირისპირ გარკვეული წყობის მქონე თითებით - სრულიად ცხადია, რომ ისინი ერთმანეთში ლაპარაკობენ (Голубинский , 1911, გვ. 497).[7]

[7] ზემოთ აღწერილი ხელის თითების წყობის სიმბოლიკის გადმოცემისას საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება: **როგორ გამოისახებოდა ხატებზე ლოცვის პროცესი?** - ძველი საეკლესიო პრაქტიკის თანახმად, ლოცვის აღმნიშვნელი ჩვეულებრივი ჟესტი იყო ხელთაღპყრობა. ეს ჟესტი წარმოადგენდა მხურვალე და გულწრფელი ლოცვის გარეგან გამოხატულებას. **წმიდა მოციქული პავლე, როდესაც ლაპარაკობს ახალდაფუძნებული თემების ეკლესიური ცხოვრების მოწყობაზე,**

ზემოთქმული კარგად წარმოაჩენს, რომ ქრისტიანულ გამომსახველობაში **,,მაკურთხეველ მარჯვენად“ წოდებული ხელის ჟესტიკულაცია არამარტო საღვთო კურთხევას წარმოაჩენს, არამედ ღვთის სიტყვის ქადაგების გამომსახველი მხატვრული ხერხიცაა.** ამის კარგია მაგალითია სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის კონქში განთავსებული იესო ქრისტეს გამოსახულება (ილ. 1), რომელიც მაკურთხეველი მარჯვენითაა წარმოდგენილი. მაცხოვარს მარცხენა ხელში გადაშლილი წიგნი (სახარება) უპყრია ხელთ, სადაც ასომთავრული დამწერლობით შესრულებული, მისივე, იოანეს სახარებაში გადმოცემული სიტყვები იკითხება: „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა“ (ბიბლია, 2015, იო. 8: 12).

აღნიშნულით, ერთი მხრივ, გადმოცემულია მაცხოვრის მიერ გაღებული კურთხევა, მეორე მხრივ კი წარმოჩენილია, მაცხოვარი როგორც მქადაგებელი, რომელიც ,,სახარებაში დაწერილს“ ქადაგებს, წარმოთქვამს.

სახარებისეულ კომპოზიციებსა თუ მაცხოვრის ცალკეულ გამომსახველობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის შესამოსელს. იესო ქრისტეს შესამოსელი ორ ძირითად ნაწილად არის წარმოდგენილი: ქიტონი და ჰიმატიონი. ხატი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი მხრივ, ასახავს რეალურ ისტორიულ მოცემულობას, რომელშიც მასზე გამოსახული პიროვნება მყოფობდა, ხოლო, მეორე მხრივ, მიგვანიშნებს სახისმეტყველებაზეც. უფლის კვართი თავისივე საღვთო ბუნების გამომხატველია, ხოლო მისი მოსასხამი - კაცობრივი ბუნების (ამასთან დაკავშირებით მე-5 თავში დაწვრილებით ვიმსჯელებთ). ხატმეტყველებაში აღნიშნული ორი ფერით (ძირითადად, ცისფერითა და მეწამულისფერით) არის გადმოცემული.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, ხატმეტყველებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოადგენს ,,ვიზუალურ ღვთისმეტყველებას“, რომელიც მრავალ ზემოგანხილულ ასპექტს მოიცავს. მაცხოვრის ცალკეული ხატი თუ სახარებისეული კომპოზიციები მოგვითხრობენ განკაცებული ღმერთის

ტიმოთესადმი პირველ ეპისტოლეში წერს: ,,ყველგან ლოცულობდნენ კაცები და აღაპყრობდნენ თავიანთ წმიდა ხელებს რისხვისა და ეჭვის გარეშე" (ბიბლია, 2015, 1 ტიმ. 2:8).
ამ მხრივ, ყველაზე მკაფიო და კარგად ცნობილი ხატმწერლობითი ტიპი, რომელიც გამოხატავს მსგავს პრაქტიკას, არის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი ,,ორანტა".

სახარებისეულ ისტორიებსა და შესაბამის ეგზეგეზებზე. ასევე, იკონოგრაფია წარმოადგენს ,,ფერებითა და ხაზებით“ გადმოცემულ მეტყველებას, რომელიც მაცხოვნებელი ქრისტიანული მოძღვრების გადმომცემია.

თავი II. იესო ქრისტეს შობის იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები

2.1. მაცხოვრის შობის კომპოზიცია IV-V საუკუნეებში

ქრისტეს შობის იკონოგრაფია რამდენიმე სახარებისეულ ეპიზოდს აერთიანებს, რომლებიც, ძირითადად, მათესა და ლუკა მახარებლების სახარებებშია გადმოცემული. აღნიშნული ხატმეტყველების იკონოგრაფიული სქემა ასეთია: გამოსახულების ცენტრში წარმოდგენილია გამოქვაბულში მდებარე ბაგაში მწოლიარე ყრმა, რომელსაც ზემოდან ხარისა და სახედრის გამოსახულებები დაჰყურებენ. ბაგასთან ახლოს ნახევრად მწოლიარე ან მჯდომარე მდგომარეობაში წარმოდგენილია ღვთისმშობლის გამოსახულება. სხვადასხვა იკონოგრაფიულ, გავრცობილ რედაქციებში მწოლიარე წმინდა ყრმისა და ღვთისმშობელ მარიამის გამოსახულებების ირგვლივ განთავსებულია იოსებ დამწინდველის, მოგვთა და მწყემსთა თაყვანისცემის, ჰეროდეს მიერ ყრმათა მოსრვისა და ანგელოზთა გამოსახულებები. გარდა ამისა, ხშირად გვხვდება ღვთისმშობელთან დაკავშირებული აპოკრიფული თხრობების ასახვაც. კომპოზიციის თავზე გამოსახულია ვარსკვლავი, რომლის სხივი ახალშობილი ყრმის მიმართულებით ეშვება. აღნიშნულის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ უფლის ხორციელად დაბადების ორ ქართულ ფრესკას ატენის სიონიდან (ილ. 2) და ყინწვისიდან (ილ. 3). ატენის სიონის მოხატულობა XI საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება [8] , ხოლო ყინწვისის მონასტერიცა და მისი მხატვრობაც XIII საუკუნით თარიღდება. დასახელებული ტაძრების კედლის მხატვრობაში გადმოცემულია მაცხოვრის დაბადების უკვე ჩამოყალიბებული იკონოგრაფიული სქემა.

აღსანიშნია, რომ მაცხოვრის შობის კომპოზიციის გამოსახვა IV-V საუკუნეებიდან იწყება, რაც, თავდაპირველად, მხოლოდ ბაგაში მწოლიარე ყრმის, ხარისა და სახედრის გამოსახულებებით შემოიფარგლებოდა.

[8] შემორჩენილია ატენის სიონის მოხატულობის უფრო ადრეული, VII საუკუნის მოხატულობის ფრაგმენტებიც.

მსგავს გამოსახულებას საქართველოშიც ვხვდებით. კერძოდ, საცხენისის VI საუკუნის ქვაჯვარზე (ილ. 4).

აღნიშნული გამოსახულება შემდგომში მრავალსცენიანი კომპოზიციის ცენტრალური ნაწილი გახდა. იგი ქრისტეს შობის ეპიზოდისა და შესაბამისი ეგზეგეზისის იკონოგრაფიული ასახვაა. მაცხოვრის შობის შესახებ ლუკა მახარებელი მოგვითხრობს: „და იყო, მათ დღეთა შინა გამოჴდა ბრძანებაჲ აგჳსტოს კეისრისაგან აღწერად ყოვლისა სოფლისა. ესე აღწერაჲ პირველი იყო მთავრობასა ასურეთს კჳრინესსა. და წარვიდოდეს ყოველნი აღწერად კაცად-კაცადი თჳსსა ქალაქსა. აღმოვიდა იოსებცა გალილეაჲთ, ქალაქით ნაზარეთით, ჰურიასტანად, ქალაქად დავითისა, რომელსა ჰრქჳან ბეთლემ, რამეთუ იყო იგი სახლისაგან და ტომისა დავითისა, აღწერად მარიამის თანა, რომელი მითხოვილ იყო მისა, და იყო იგი მიდგომილ. და იყო, ვიდრე იყვნესღა იგინი მუნ, აღივსნეს დღენი იგი შობისა მისისანი. და შვა ძე იგი მისი პირმშოჲ და შეხჳა იგი სახუევლითა და მიაწვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათა ადგილ სავანესა მას“ (ბიბლია, 2015, ლკ. 2, 1-7).

ლუკა მახარებლის მიხედვით, კეისარ ავგუსტუსის ბრძანების შესაბამისად, იმპერიაში მცხოვრები ადამიანების სულადობრივი აღწერა უნდა ჩატარებულიყო და, ამ მიზნით, თითოეული იქ უნდა ჩასულიყო, სადაც მათი იურიდიული მისამართი იყო. იოსები და მარიამი, როგორც დავითის შთამომავლები, ბეთლემისკენ გაეშურნენ (რადგან ბეთლემი იყო დავით მეფის შთამომავალთა მშობლიური ქალაქი). სწორედ აქ მოიწია ქრისტეს შობის ჟამი და რადგან ბეთლემში მოსასვენებელი ადგილი არ იყო, ქვეყნიერების მეუფე პირუტყვების სადგომში იშვა. იგი სახვევებში შეახვიეს და ბაგაში მიაწვინეს.

2.2. გამოქვაბულის სიბნელეში გამოსახული სპეტაკი ფერების სამოსელში შეხვეული ყრმის სახისმეტყველება

ყოვლადწმინდა ქალწულისაგან ძე ღმერთის შობის იკონოგრაფია, ერთი მხრივ, სახარებისეულ თხრობას გადმოგვცემს, მეორე მხრივ, მას სახისმეტყველებითი მნიშვნელობა აქვს. ყრმა, რომელიც ბაგაშია მიწვენილი, წუთისოფლის სიბნელეში ნათლის შემომტანად სახელიდება. აღნიშნული

გარემოება უფრო მეტი სიმკვეთრით წარმოჩნდება შემდგომდროინდელ ფრესკულ გამოსახულებებში, სადაც გამოქვაბული შავი, ხოლო ყრმის სახვევი თეთრ ფერებშია წარმოდგენილი (ილ. 2; 3), რაც იოანეს სახარების შემდეგი სიტყვების ასახვაა: „ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (ბიბლია, 2015, ინ. 1:5).

დამოწმებული სიტყვები განეკუთვნება განკაცებულ ღმერთს, რომელმაც წუთისოფელში გაბატონებული ბოროტება დაამარცხა. წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „ქადაგებაჲ იგი ქრისტჱსი შორის საცთურისა ბნელსა გამობრწყინდა და იგი განაქარვა. და სიკუდილად რაჲ მოვიდა, თავად იგიცა განაქარვა და ესრეთ სძლო, რომელ შეპყრობილნიცა მას შინა აღმოიყვანნა. და ვინაჲთგან ვერცა სიკუდილი მძლე ექმნა მას, ვერცა საცთური, არამედ ბრწყინავს ყოველსა ადგილსა ძალითა თჳსითა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1993ა, გვ. 47).

გამოქვაბულის სიბნელეში „გამობრწყინებული“ მაცხოვარი ბოროტების მორევში მყოფი კაცობრიობის დამხსნელად მოიაზრება. დავიმოწმებთ შესაბამის ეგზეგეზისს:

„შობასა უფლისასა ბეთლემს წმიდისაგან ქალწულისა განათლდა სოფელი“ (თთუესა დეკენბერსა კე შობაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსი, 1980, გვ. 12).

იმავე საგალობელში განმარტებულია, რომ ნათელში საღმრთო მადლი მოიაზრება: „გამოჩნდა მადლი იგი ღმრთისაჲ მაცხოვრად ყოვლისა სოფლისა, რამეთუ მეუფჱ იშვა, ქრისტჱ, ქალაქსა დავითისსა, ბეთლემს ჰურიასტანისასა. რომელი ქუეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა შორის იქცეოდა, ესე არს ღმერთი ღმრთისაგანი, ნათელი ნათლისაგანი“ (თთუესა დეკენბერსა კე შობაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსი, 1980, გვ. 13).

დამოწმებული ეგზეგეზისი საფუძველია დასახელებულ ხატმეტყველებაში წარმოდგენილი გამოქვაბულის სიბნელეში გამოსახული, სპეტაკი ფერების სამოსელში შეხვეული ყრმა მაცხოვრისა, რითაც გადმოცემულია საეკლესიო სწავლება, რომლის მიხედვითაც, ღვთის განკაცებით იძლია ამქვეყნიური ბოროტება.

ყრმა მაცხოვრის ნათელი ფერის სახვევი მისი საღვთო ბუნების გამომხატველია. ამ მხრივ ჩვენ, შესაძლოა, პარალელი გავავლოთ მაცხოვრის

ფერისცვალების იკონოგრაფიასთან, სადაც, სახარების თხრობისა და შესაბამისი ეგზეგეზისის მიხედვით, მაცხოვრის კვართზე ასახული ბრწყინვალება საღვთო ბუნების ნათლის გამოვლინებად განიმარტება.

აღნიშნული გამომსახველობა ძის ორსახეობრივ შობასთან დაკავშირებულ სწავლებასაც მოიაზრებს: 1) მამისაგან ძის დაუსაბამო შობა ყოვლადწმიდა სამების წიაღში, რომელსაც ახალშობილი ყრმის ნათელი ფერის შესახვევი გამოხატავს და 2) ძე ღმერთის ღვთისმშობლისგან შობა, რასაც, ზოგადად, ასახავს დასახელებული ხატმეტყველება.

წმინდა ბასილი დიდის მიხედვით, გონებისთვის მიუწვდომელია მამისაგან ძის შობა და ნუ იკითხავ, თუ „როდის“, რადგან „როდის“ დროს გამოხატავს და მისი მიწვდომა შეუძლებელია: „მამაჲ იყო და ძე იშვა, ნუ იტყჳ, თუ „ოდეს“, არამედ თანა-წარჰჴედ კითხვასა ამას. ნუ გამოიძიებ, თუ ვითარ, რამეთუ შეუძლებელ არს მიგებაჲ, ვინაჲთგან „ოდესი“ ჟამიერ არს“ (ბასილი დიდი, 2010, გვ. 51).

სწორედ ეს აზრია ნაგულისხმები იოანე მახარებლის შემდეგ სიტყვებში: „პირველითგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“ (ბიბლია, 2015, ინ. 1:1).

წმინდა მამათა განმარტების თანახმად, „სიტყვა“- ში **(ὁ λόγος)** ძე ღმერთი იგულისხმება, ხოლო „პირველითგან“- ში **(Ἐν ἀρχῇ)** დაუსაბამოება მოიაზრება. **წმინდა კირილე ალექსანდრიელი** სახარების დამოწმებულ სიტყვებთან დაკავშირებით ბრძანებს: „არანაირად არ შეიძლება, რომ მხოლოდშობილთან დაკავშირებით დასაბამი აღვიქვათ დროში მოაზრებულად, რადგან **უფალი ყოველგვარ ჟამზე უწინარესია და მას წინასაუკუნო მყოფობა აქვს** (წმ. კირილე ალექსანდრიელი, 2010).

ქრისტეს შობის იკონოგრაფიაში გამოქვაბულის სიბნელეში ყრმა მაცხოვრის სხეულზე შემოსილი თეთრი (ან სხვა ნათელი ფერის) სახვევი სწორედ მის საღვთო ბუნებაზე ხაზგასმაა, რომელიც კაცებას აღურეველად შეუერთდა და ბოროტება დაამარცხა.

2.3. ჯოჯოხეთის წარმოტყვევნისა და ქრისტეს შობის იკონოგრაფიების შედარებითი ანალიზი

გარკვეული მეცნიერების აზრით, ქრისტეს შობის ზემოაღნიშნულ კომპოზიციაში თეთრ სახვევებში შეხვეული და ბნელ გამოქვაბულში მყოფი ყრმა მაცხოვარი, ასევე, მოიაზრება როგორც ჯვარცმული, საფლავად დადებული, ტილოში შეხვეული მაცხოვრის სხეული, რომელიც ბნელ აკლდამაში დაასვენეს და რომელიც აღდგა (Fr. Ayman , 2024, გვ. 1-2).

შესაბამისად, ქრისტეს შობის ხატმეტყველება აღდგომის იკონოგრაფიის შემცველია, რაც სრულად არის დაფუძნებული საღვთისმეტყველო ლიტერატურაზე, რომლის მიხედვითაც, რომ არა ქრისტეს შობა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ აღესრულებოდა დღესასწაულთა დღესასწაულად წოდებული აღდგომის მიზანი – კაცობრიობის ცოდვისაგან გამოხსნა. აღნიშნულ საეკლესიო მოძღვრებას წმინდა გრიგოლ ნოსელი ასე გადმოგვცემს: „ნუ ვინ ჰგონებს, თუ აღვსებისა ხოლო საიდუმლოსა შუენის ესევითარი ესე მადლობაჲ, არამედ ესეცა გულისჴმა-ყავნ, რამეთუ დაღაცათუ აღვსებაჲ დასასრული არს განგებულებისაჲ, და ვითარმცა ქმნილ იყო დასასრული, უკუეთუმცა დასაბამი არა ქმნილ იყო წინამძღუარ დასასრულისა? აწ უკუე, რომელი რომლისა არს დასაბამ? ცხად არს, რამეთუ შობაჲ – აღდგომისა. ამისთჳს ვიტყვი, ვითარმედ აღდგომისაცა კეთილნი შობისავე საუნჯეთა სიმდიდრენი არიან“ (წმ. გრიგოლ ნოსელი, 2010).

ნოსელი მღვდელმთავრის მიხედვით, ქრისტეს აღდგომის მადლიერნი აუცილებლად უნდა ვიყოთ, მაგრამ, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ აღდგომა (აღვსება) კაცობრიობის გამოხსნასთან დაკავშირებული საღვთო განგებულების აღსრულების დასასრულია. მაგრამ თუ არ იქნებოდა დასაბამი, როგორღა დადგებოდა დასასრული? აქედან გამომდინარე, დაისმის კითხვა: რომელი რომლის დასაბამი გამოდის? ცხადია, შობა – აღდგომისა. ამიტომაც, წმიდა გრიგოლ ნოსელი დასძენს: აღდგომის სიკეთეები შობის „საუნჯეთა სიმდიდრენი არიან“.

თუკი „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა-წარმოცალიერების“ და „ქრისტეს შობის“ იკონოგრაფიებს შევადარებთ, ბევრ საერთოს შევნიშნავთ. „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის“ (აღდგომის) იკონოგრაფიაში ქვესკნელის სიბნელეში ჩასული მაცხოვარი ნათელი ფერის სამოსლითაა მოსილი, რაც, ერთი მხრივ, გამოხატავს

სიკვდილსა და ჯოჯოხეთზე მის გამარჯვებას, მეორე მხრივ, მისი სხეულის საფლავში შეუმუსრავობასა და აღდგომის შემდგომ განღმრთობილ მდგომარეობაში მყოფობას (ამასთან დაკავშირებით აღდგომის იკონოგრაფიასთან დაკავშირებულ შესაბამის თავში ვისაუბრებთ). ყოველივე ამას დასაბამი ქრისტეს შობამ დაუდო.

დასახელებულ იკონოგრაფიათა იდეური ერთიანობა იესო ქრისტეს მიერ კაცობრიობის გამოხსნისთვის აღსრულებული ქმედებითაა განპირობებული, რომელიც, უმთავრესად, მისი შობითა და აღდგომით (განკაცების მისიის აღსრულებით) გამოვლინდა.

2.4. ბაგაში მწოლიარე ახალშობილ ყრმასთან ხარისა და სახედრის გამოსახულებების ხატმეტყველება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქრისტეს შობის კომპოზიციის ცენტრალური გამოსახულება ბაგაში მიწვენილი, სახვევებში გახვეული ყრმა მაცხოვარია, რომელსაც ხარი და სახედარი დაჰყურებს. ბაგაში მიწვენილი ყრმა იესო ქრისტეს გამოსახულება შესაბამისი სახარებისეული ტექსტის ილუსტრირებაა, რომლის მიხედვითაც, „შვა ძე იგი მისი პირმშოჲ და შეხვა იგი სახუევლითა და მიაწვინა იგი ბაგასა“ (ბიბლია, 2015, ლკ. 2:7). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **სახვევებში შეხვეული ყრმა სახისმეტყველებითადაც განიმარტება. ზემოთ შევეხეთ მისი სამოსის ფერის საკითხს, ეხლა კი ამავე „სახუევეველის“ კიდევ ერთ სიმბოლურ განმარტებას წარმოვადგენთ.** კერძოდ, შესაბამისი ეგზეგეზისის თანახმად, სახარებისეული თხრობის მიხედვით შექმნილი ქრისტეს შობის კომპოზიცია, რომელშიც ყრმა იესო ქრისტე სახვევებშია გახვეული, სახისმეტყველებითად ადამიანების ცოდვათა საკვრელისგან დახსნას მოასწავებს.

დავიმოწმებთ შესაბამის განმარტებებს:

წმიდა გრიგოლ ნოსელი ბრძანებს: „სახუევლითა შეიკრვის, რომელმან განმჴსნნა ჩუენ საკრველთაგან ცოდვათ თხზულებისაჲსა“ (წმ. გრიგოლ ნოსელი, 2010, გვ. 137).

წმინდა იოანე ოქროპირი: „სახუეველითა შეიხუევის და ჴსნასა ცოდვათასა მიანიჭებს“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2010, გვ. 148).

ნეტარი თეოდორიტე კვირელი: „იხილენ სახუეველნი მისნი, რომელმან შეკრნა უფსკრულნი ქჳშითა!“ (ნეტარი თეოდორიტე, 2010, გვ. 206).

წმინდა ათანასე ალექსანდრიელი: „რომელმან იგი ცოდვისა საკრველნი განხეთქნა, სახუეველითა შეხუეულ არს“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1959, გვ. 33).

ამავე დროს, ყრმა მაცხოვრის სახვევები მის თავმდაბლობაზე მიუთითებს. ერთ-ერთ საგალობელში ვკითხულობთ: „წიაღთა მამისათა მაღალთა შინა ქებულსა და ქუეყანასა ზედა სახუეველითა შეხუეულსა შენ, მეუფესა, გაკურთხევთ“ (უძველესი იადგარი, თთუესა დეკენბერსა კე შობაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსი, 1980, გვ. 18).

ასევე: „რომელსა ცათა საყდარნი გქონდეს, ქუეყანასა ზედა ჯერ-იჩინე ქალწულისაგან შობაჲ, სახუეველითა შეიხჳე...“ (უძველესი იადგარი, თთუესა დეკენბერსა კე შობაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსი, 1980, გვ. 19)

სახვევი, ასევე, დაცემული კაცობრივი ბუნების „უხრწნელების სამოსლით“ შემოსვას გამოხატავს. წმიდა პეტრე იერუსალიმელი ბრძანებს: „ლეღჳსა ფურცლისა წილ სახუეველთა შინა დაიფარვის, და საცნაურსა მას ცათა თანა განგჳღებს ჩუენ სამოთხესა“ (წმ. პეტრე იერუსალიმელი , 2010, გვ. 237).

რაც შეეხება ქრისტეს შობის კომპოზიციაში ახალშობილი ყრმის ზემოთ **ხარისა და სახედრის გამოსახულებებს**, საინტერესოა ის, რომ მათ შესახებ შესაბამის სახარებისეულ თხრობაში არაფერი წერია, არამედ საეკლესიო მოძღვართა განმარტებებზე დაფუძნებული სცენაა, რის შესახებაც დავიმოწმებთ რამდენიმე კომენტარს.

წმიდა გრიგოლ ნოსელის თანახმად, ბაგაში მაცხოვრის შობით აღსრულდა ესაიას წინასწარმეტყველება „ხარისა და სახედრის“ შესახებ: „იცნა ჴარმან მომგებელი თჳსი და ვირმან – ბაგაჲ უფლისა თჳსისაჲ“ (ბიბლია, 2015, ეს. 1:3).

ნისის ეპისკოპოსის მიხედვით, „ბაგაჲ პირუტყუთაჲ არს განსასუენებელი, რომელსა-იგი შინა სიტყუაჲ მიიწვინა, რაჲთა იცნას ჴარმან მომგებელი თჳსი და ვირმან – ბაგაჲ უფლისა თჳსისაჲ. **ჴარად გულისჴმა-ყავ შებმული უღელსა შჯულისასა, ხოლო ვირად ტჳრთისმკრებელად – ცოდვითა**

კერპთმსახურებისაჲთა დატჳრთული და დამძიმებული. არამედ **პირუტყუთა და ოთხფერჴთა მომზავებელი საზრდელი თივაჲ არს,** ვითარცა წერილ არს, ვითარედ რომელმან აღმოუცენის თივაჲ პირუტყუთა, ხოლო პირმეტყუელი ცხოველი პურითა იზარდების. ამისთჳსცა **ბაგასა შინა პირუტყუთასა მიიწვინა პური იგი უკუდავებისაჲ, რომელი ზეცით გარდამოჴდა, რაჲთა იხილონ რაჲ პირუტყუთა გემოჲ პირმეტყუელთა საზრდელისაჲ, პირმეტყუელ იქმნნენ და განბრძნდენ“** (წმ. გრიგოლ ნოსელი, 2010, გვ. 120).

ნოსელი მღვდელთმთავრის განმარტების თანახმად, ხარში, რომელსაც უღელს ადგამენ, ებრაელები მოიაზრებიან, ვინაიდან მათ „უღელად“ რჯული ჰქონდათ, ხოლო სახედარში, რომელსაც ტვირთს ჰკიდებენ – წარმართები, რადგან ისინი კერპთმსახურების ტვირთის ქვეშ გმინავდნენ. ძე ღმერთის განკაცებამ ორივე გამოიხსნა ცოდვისა და სიკვდილისაგან.

მისივე სიტყვებით, ბაგა, რომელშიც ახალშობილი ყრმა მიაწვინეს, **პირუტყვთა საკვების დასადებ ალაგს** წარმოადგენდა, ხოლო თავად ყრმას ზეციდან გარდამოსულ უკვდავების პურს უწოდებს. პირუტყვად (რაშიც ადამიანის ცოდვითი სიმძიმე მოიაზრება) წოდებული ადამიანი იგემებს რა აღნიშნულ პურს, პირმეტყველად (რაც ცოდვათაგან განწმედას გულისხმობს) გარდაიქმნება.

დასახელებული სახისმეტყველებითი ასპექტი, ასევე, წმინდა ევქარისტიაზე მიანიშნებს. როგორც ცნობილია, ევქარისტიის ჟამს ფეშხუმზე დაბრძანებული პური ქრისტეს წმინდა ხორცად გარდაიქმნება, რომელსაც (ბარძიმში შთასხმულ ღვინოსთან ერთად, რომელიც სისხლად გარდაისახება) ადამიანები ცოდვათა მიტევებისთვის იღებენ. სწორედ ამის გამომხატველია ის ფაქტი, რომ თანამედროვე ლიტურგიკული პრაქტიკის მიხედვით, ფეშხუმზე, რომელზეც წმიდა პური იდება, ქრისტეს შობის სცენაა გამოსახული.

მართლაც, განკაცებულმა ღმერთმა ადამიანს საკუთარი თავი მისცა „საჭმელად“, რისი მეშვეობითაც „პირუტყვი“ კაცობრიობა „პირმეტყველად“ გარდაიქმნა, რაც, ვფიქრობთ, ნიშნავს იმას, რომ ღვთის განკაცებამ ცოდვადამონებულ, „სახედაკარგულ“, ღვთის ხატებშებღალულ კაცებას პირვანდელი მადლმოსილება – „ადამიანობა“ დაუბრუნა. ვფიქრობთ,

დამოწმებული ეგზეგეზა სრულად ხსნის იესო ქრისტეს შობის კომპოზიციაში პირუტყვების ჩართვის მნიშვნელობას - ამ უდიდესმა მოვლენამ (ქრისტეს შობამ) ადამიანთა მოდგმა გამოიხსნა ცოდვისა და წყევისაგან. გამოხსნილია კაცობრივი ბუნება, ხოლო პიროვნების ხსნა თითოეულმა ადამიანმა უნდა აღასრულოს საკუთარი ღვაწლით. იგივე ხატმეტყველება გადმოგვცემს სწავლებას წმინდა ევქარისტიის უაღრესად დიდი მნიშვნელობის შესახებ, რომლის გარეშეც, სახარებისეული სწავლების მიხედვით, ვერავინ შევა ცათა სასუფეველში (ბიბლია, 2015, ინ. 6: 53). შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ხატმეტყველება იესო ქრისტეს მიერ კაცთა ხსნის შესახებ მოძღვრების ქადაგებაა.

ამავე აზრს გამოხატავს წმიდა გრიგოლ ნეოკესარიელის სიტყვებიც: „პირუტყუთა ბაგასა სიტყუამან ღმრთისამან განისუენა, რაჲთა ნანდჳლვე, რომელნი ნებით თჳსით პირუტყუ ქმნულ იქმნეს კაცნი, პირმეტყუელთაჲ იგი მისცეს მეცნიერებაჲ; ტაბლასა პირუტყუთასა დაეგო ზეცისა იგი პური, რაჲთა პირუტყუთ-სახეთა კაცთა საიდუმლოჲსა მის საზრდელისაჲ მისცეს მისაღებელი“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1959, გვ. 7).

ნეოკესარიელი მოძღვრის განმარტების მიხედვით, პირუტყვთა ბაგაში ღვთის სიტყვამ, ზეციურმა პურმა განისვენა, რათა ადამიანი, რომელიც თავისი არჩევანის შესაბამისად „გაპირუტყვდა“, „პირმეტყველად“ გარდაექმნა, რაშიც ცოდვას დაქვემდებარებული ადამიანის ღვთის მადლით გამოხსნა მოიაზრება.

ამასთან დაკავშირებით წმინდა ევსევი ალექსანდრიელი ბრძანებს: „ამას ზედა აღესრულა წინაჲსწარმეტყუელებაჲ იგი ესაიაჲსი, რომელ თქუა: „იცნა ჴარმან მომგებელი თჳსი და ვირმან - ბაგაჲ უფლისა თჳსისაჲ“ . ჴარად უწოდა, რომელნი-იგი ისრაჵლისაგანნი ერად ქრისტეჲსად იყვნეს, ხოლო ვირად – წარმართთაგანნი იგი“ (წმ. ევსები ალექსანდრიელი, 2010, გვ. 211).

ამავე საკითხზე ბრძანებს წმინდა გრიგოლ ნაზიანზელიც, რომლის მიხედვითაც, კაცთაგან თაყვანისიცემება ბაგა, რომელმაც ადამიანი „სიტყვით“ გაზარდა, რაშიც ძე ღმერთის მიერ ადამიანის გამოხსნა და სულიერი ზრდა მოიაზრება. ნაზიანზელი მოძღვარი იქვე დასძენს, რომ ესაია წინასწარმეტყველის ზემოდამოწმებული წინასწარმეტყველება ხარისა და სახედრის შესახებ, სახისმეტყველებითად წარმართებისა („არაწმინდანთა“) და ებრაელების

(„წმინდანთა“) გამოხსნას გადმოგვცემს. წმინდა გრიგოლი სახედრის და ხარის შესახებ ამბობს, რომ რჯულის მიხედვით, ერთი მათგანი წმინდაა (სახედარი), ხოლო მეორე - არაწმინდა. მათში, წმინდა მამა ებრაელებსა და წარმართებს მოიაზრებს: „უკუეთუ წმიდათაგანი ხარ, ვითარცა შჯულსა წერილ არს, და აღმოიცოხნი სიტყუასა, და ღირს ხარ შეწირვად. და უკუეთუ არაწმიდათაგანი ხარ, რომელი არა ჯერ-არს არცა დაკლვად ნაწილი წარმართებრი“ (წმ. გრიგოლ ნაზიანზელი, 2010, გვ. 74).

წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით, უფალი „ბაგასა შინა დაიდების და საზრდელ ყოველთა იქმნების“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2010, გვ. 148).

ნეტარი თეოდორიტე კვირელი ამბობს: „ბაგასა რაჲ შინა დაიდვა, მოასწავა, ვითარმედ იქმნეს იგი საზრდელ პირუტყუთა... ბაგასა პირუტყუთა მიიწვინების სიტყუაჲ ღმრთისაჲ აგებულებითა ამით ჴორცთაჲთა, რაჲთა ფლობაჲ აქუნდეს პირმეტყუელსა და პირუტყუსა ცხოველსმყოფელისა მის საზრდელისა მოღებად“ (ნეტარი თეოდორიტე, 2010, გვ. 205).

წმინდა იოანე დამასკელი შეგვაგონებს: „ეჰა, საკჳრველი საიდუმლოჲ, რამეთუ ღმერთი, საყდართა ქერობინთა მჯდომარე, ბაგასა პირუტყუთასა მიიწვინების, რაჲთა კაცნი, პირუტყუქმნულნი, ღმრთის მეცნიერებად მოიყვანნეს, რამეთუ სახედ ქერობინთა, ძრწოლით წინაშე დგომასა მეუფისასა, პირუტყუნი მობაძავ ექმნნეს...“ (წმ. იოანე დამასკელი, 2010, გვ. 251).

პეტრე იერუსალიმელი საუბრობს იმასთან დაკავშირებით, რომ სახვევებში შეხვეული და ბაგაში მიწვენილი ყრმა ყოვლის განმგებელი უფალია, რომელმაც ადამიანის „პირუტყვობა“ განაქარვა: „პირუტყუთებრისა და საცხოვართ-სახისა მის ცხორებისაგან და უფროჲსღა მერმე წამართ, საზრდელისა მის ანგელოზთმთავართაჲსა მოცემად, რამეთუ იტყჳს: „პური ანგელოზთაჲ ჭამა კაცმან“ (წმ. პეტრე იერუსალიმელი, 1982, გვ. 101).

იერუსალიმელი მღვდელმთავარი ბაგაში „დადებულ“ უფალს „ანგელოზთმთავრის“ საკვებს უწოდებს.

საინტერსოა წმინდა იოანე დამასკელის შესაბამისი განმარტება, რომელშიც ის ხარსა და სახედარში ქრისტესშობამდე პერიოდში მცხოვრებ კაცობრიობას მოიაზრებს, რომელსაც ქრისტემ განახლებული სიცოცხლე უბოძა. დამასკელი

მოძღვარი სახისმეტყველებითად განმარტავს, რომ ბაგაში არსებული წმინდა და უბიწო საკვების „აღმოცოხნით“ ისრაელიანები და წარმართები შეიცნობენ ჭეშმარიტ ღმერთს. დავიმოწმებთ შესაბამის ეგზეგეზისს: „ყრმა ვიქმენ და ბაგასა დავივანე, რაჲთა რომელი არა იცნა ძუელმან ერმან – ჴარმან და ვირმან, აწ ნეშტმან ისრაჱლისამან და არაწმიდათა წარმართთაგან გამორჩეულმან ერმან მიცნან მე ღმრთისმსახურებით აღმოცოხნითა“ (წმ. იოანე დამასკელი, 2010, გვ. 278-279).

ზემოწარმოდგენილი ეგზეგეზისის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ: ქრისტესშობის კომპოზიციაში გადმოცემული პირუტყვების საკვების ადგილას მიწვენილი ყრმა განასახიერებს „საღვთო საკვებს“, რომელმაც დაცემის მიზეზით „გაპირუტყვებულ“ კაცობრივ ბუნებას საღვთო მადლმოსილება დაუბრუნა. ზოგადად, ქრისტეს შობის ხატმეტყველება გადმოგვცემს, თუ როგორ შეცვალა ღვთის განკაცებამ დაცემული კაცობრივი ბუნება. ამავე შინაარსის მატარებელია წმინდა იოანე ოქროპირის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და სხვათა სიტყვებიც.

იოანე თესალონიკელის მიხედვით, პირუტყვები, რომლებიც ქრისტეს შობის კომპოზიციაშია გამოსახული, უფლის მიმართ თაყვანისცემას აღასრულებენ: „ცხოველთაგან პირუტყუთა თაყუანის-იცემებოდა და ზეცას სერაფიმნი ჴმობდეს: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი“ (წმ. იოანე თესალონიკელი, 2010, გვ. 246).

ერთ-ერთი საგალობლის მიხედვით, ბეთლემის გამოქვაბულში პირუტყვთა გამოსახვის კიდევ ერთი სახისმეტყველებითი მიზეზი არსებობს, კერძოდ: **პირუტყვთა სადგომელში შობილი ყრმა უძღები შვილის იგავში ნახსენებ იმ ზვარაკს უკავშირდება, რომელიც ადამიანთა ცოდვების გამო დაიკლა და რომელიც, თავის მხრივ, უბიწო დეკეულის (ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის) მიერ იშვა**. დავიმოწმებთ კონკრეტულ ტექსტს: „**ზუარაკი ჭამებული დიაკეულსა უბიწოსა მოჰყავს ქუაბსა მას წმიდასა,** რაჲთა საკჳრველად და დიდებულად გამოუთქმელად შვეს მას შინა“ (ინწკირველი თ. , 2014, გვ. 255).

ქრისტეს შობის კომპოზიციაში **ბეთლემის გამოქვაბულში შობილი და ბაგაში მიწვენილი ყრმის გარშემო ქალწული მარიამი და იოსები არიან განთავსებულნი. ბაგასა და ბეთლემს, ასევე, სახისმეტყველებითი დატვირთვა აქვს.**

მაცხოვრის ბეთლემის გამოქვაბულში მოვლინება და ბაგაში მიწვენა, რომელსაც შესაბამისი ხატმეტყველებაც გადმოსცემს, მის თავმდაბლობაზე მიუთითებს – ყოვლისმპყრობელი ღმერთი გამოქვაბულში შობას ისათნოვებს.

ამასთან დაკავშირებით პეტრე იერუსალიმელი ბრძანებს: „რომელი ცათა და ყოველსა განავსებს, პირუტყუთა საზრდელისა შთასადებელსა დაეტევების“ (წმ. პეტრე იერუსალიმელი , 2010, გვ. 235).

წმინდა მაქსიმე აღმსარებელიც საუბრობს განკაცებული ღმერთის მიერ გამოვლენილი თავმდაბლობის შესახებ, რომელმაც გამოქვაბულსა და ბაგაში შობა ინება (წმიდა მაქსიმე აღმსარებელი, 2014ა, გვ. 380-381).

ერთ-ერთ საეკლესიო საგალობელში ვკითხულობთ: „ქუაბი დაიტევს დაუტევნელსა და ბაგაჲ შეიწყნარებს ცხოვრებასა ჭეშმარიტსა საუკუნესა“ (ინწკირველი თ. , 2014ბ, გვ. 260).

როგორც ვხედავთ, საეკლესიო ლიტერატურაში ხშირად არის გამახვილებული ყურადღება იმაზე, რომ დაუტევნელი ღმერთი გამოქვაბულმა დაიტია.

2.5. ქრისტესშობის იკონოგრაფიის კავშირი „ხე ცხოვრებისას“ მნიშვნელობასა და ტაძარში აღსრულებულ ევქარისტიასთან

საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ხშირად საუბარია ბაგასა და ბეთლემზე, როგორც დახშული სამოთხის კარის გაღების სიმბოლოებზე. დავიმოწმებთ რამდენიმე მათგანს.

წმინდა გრიგოლ ნაზიანზელი ბრძანებს: „ადიდე შობაჲ, რომლითა განიჴსენ საკრველთაგან შობისათა და პატივ-ეც მცირესა ბეთლემსა, რომელმან მოგაქცია სამოთხედვე“ (წმ. გრიგოლ ნაზიანზელი, 2010, გვ. 74).

ერთ-ერთ საეკლესიო საგალობელში ვკითხულობთ: „ქალაქი, რომელ შეიყუარე, ბეთლემი, საშოდ თჳსა უწოდე და ქუაბი იგი მრწემი ცათა მიამსგავსე...“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 14).

განსაკუთრებით საინტერესოა ზოგიერთ საეკლესიო საგალობელში მოცემული განმარტება, რომლის მიხედვითაც, შობის კომპოზიციაში გამოსახული

ახალშობილი და ბაგაში მიწვენილი ყრმა-მაცხოვარი სამოთხეში დანერგული „ხე ცხოვრებისას“ სიმბოლოა, რომელმაც ადამიანი სასუფეველში დააბრუნა. დავიმოწმებთ რამდენიმე მათგანს:

„პირველ დაჴშული ედემი დღეს ბეთლემმან განგჴღო ჩუენ, რამეთუ აღმოცენდა ხჳ ცხორებისაჲ“ (ინწკირველი თ. , 2014, გვ. 147).

„სულითა წმიდითა მორწყულმან ედემმან ხჳ იგი ცხოვრებისაჲ ქალწულმან აღმოაცენა ქრისტე ქუაბსა შინა და გჴწოდს უკუდავებისა უხრწნელისა სერობასა“ (ინწკირველი თ. , 2014, გვ. 242).

„ბეთლემი სამოთხესა განაღებს, რამეთუ ხჳ ცხორებისაჲ მუნ აღმოცენდების, რომლისა ნაყოფი გემოჲსხილვითა მომწყდართა საკჴრველებით განაღმრთობს...“ (ინწკირველი თ. , 2014, გვ. 254).

ქრისტეს შობის კომპოზიციაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოდგენილია გამოქვაბული, რომლისგანაც „ნათელი“ გამოსჭვივის და რომელშიც ბაგაზე მიწვენილი ყრმა არის გამოსახული. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში წარმოდგენილი შესაბამისი სახარებისეული თხრობის მიხედვით შედგენილი გამომსახველობა სახისმეტყველებითი ხასიათისაა. „ნათელი **გამოქვაბული“ გააზრებულია ტაძრად, ბაგა – ტრაპეზად, ხოლო მასზე მიწოლილი ყრმა, რომელიც განკაცებული ღმერთია, ევქარისტიის საიდუმლოს მოასწავებს.** აქედან გამომდინარე, ქრისტესშობის კომპოზიციის იკონოგრაფია, შესაძლოა, გავიაზროთ როგორც ტაძარი, სადაც საღვთო ლიტურგია აღესრულება.

დავიმოწმებთ შესაბამის ეგზეგეზისს.

წმიდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „ტრაპეზსა ამას წესი ბაგისა მის უპყრიეს, რამეთუ აქაცა მდებარე არს ჴორცი იგი საუფლო“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2010, გვ. 182).

ასევე: „მოვედით დღეს, მორწმუნენო, და ვიხილოთ ქუაბი, რომელი გუაუწყებს სახესა მას ეკლესიისასა და ბაგაჲ უცხოსა მას ემბაზსა განმწმედელსა წარმართთასა, რომელნი სახედ პირუტყუთა იყვნეს პირველ“ (ინწკირველი თ. , 2014, გვ. 69).

წმინდა იოანე დამასკელი შეგვაგონებს: „მოვედით ბაგისა მიმართ საიდუმლოთაჲსა. მსხუერპლის შემწყნარებელსა და ღმრთის შემწყნარებელსა

ტრაპეზსა მოუჯდეთ. შიშით და ძრწოლით შეეერთნეთ ჯორცითა ჯორცსა საღმრთოსა და სულითა ცეცხლსა ღმრთეებისასა. ჯორცი ღმრთისაჲ ვჭამოთ და სისხლი ღმრთისაჲ ვსუათ“ (წმ. იოანე დამასკელი, 2010, გვ. 280).

ბეთლემსა და **ბაგას განასახიერებს სამკვეთლოც,** რომელიც საკურთხევლის მთავარი ნაწილის მარცხნივ არის განთავსებული და სადაც წმინდა ძღვენის განმზადება აღესრულება. წმინდა გერმანე კონსტანტინეპოლელის მიხედვით, „სამკვეთლო არის ბეთლემი, სადაც ქრისტე იშვა (წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელი, 2008, გვ. 68).

სწორედ ამიტომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში ფეშხუმზე, რომელიც სამკვეთლოზე დაბრძანდება და რომელზეც წმინდა ძღვენი განემზადება, ქრისტეს შობის კომპოზიციაა გამოსახული.

საინტერესოა ისიც, რომ ბეთლემის გამოქვაბულში შობილი ყრმა საღვთისმეტყველო ლიტერატურაში კიდევ ერთი სახისმეტყველების შემცველია. კერძოდ, იგი განასახიერებს **ქერუბიმებზე დაბრძანებულ უფალს,** რომელიც, ძველი აღთქმის პერიოდში, სწორედ ამგვარი სახით განეცხადა წინასწარმეტყველს. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ქერუბიმებზე მჯდომი და ბეთლემის გამოქვაბულის ბაგაში მიწვენილი ყრმა ერთი და იგივე ღმერთია, ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასი, რომელიც ახალ აღთქმაში განკაცდა. ასევე, ბაგა განიხილება, ზოგადად, ღვთის ტახტად, რომელზეც უფალმა ჯდომა ინება. დავიმოწმებთ შესაბამის ეგზეგეზისს.

წმიდა იოანე თესალონიკელი: „ქუაბსა შინა შობაჲ სათნო-იყო ფრიადითა სახიერებითა კაცთმოყუარებისაჲთა, ბაგასა შინა მიიწვინა, ქერობიმთა ზედა განსუენებული“ (წმ. იოანე თესალონიკელი, 2010, გვ. 246).

წმინდა იოანე ოქროპირი: „პოვა ქუაბი და არათუ სახლი, და შობილი იგი ბაგასა შინა მიდრკა, რომელმან დამოდრიკნა ცანი, **საყდარ** იქმნა სამეუფო პირუტყუთა იგი ტაბლაჲ“ (წმინდა მთავარეპისკოპოსი იოანე, 1982, გვ. 276).

2.6. იესო ქრისტეს შობის იკონოგრაფიაში მთის გამოსახვის სახისმეტყველება

განსახილველი იკონოგრაფიის ადრეულ კომპოზიციაში ყურადღება ექცეოდა გამოქვაბულის შიდა სივრცეს, სადაც ბაგაში მიწვენილი ყრმა მაცხოვარი და პირუტყვები იყვნენ გამოსახულნი, ხოლო გვიანდელ იკონოგრაფიაში, განსაკუთრებით კედლის მხატვრობაში, აქცენტირება ხდება მთაზე გამოკვეთილ გამოქვაბულის გამოსახულებაზე, სადაც მაცხოვარი იშვა (ილ. 2; 3).

უნდა ითქვა ის, რომ ღვთისმშობლის ერთ-ერთი სახე-სიმბოლო სწორედ მთა არის. დანიელ წინასწარმეტყველი ამბობს: „ჰხედევდ, ვიდრემდე გამოსთქდა ლოდი მთისა მისგან თჳნიერ ჴელისა“ (ბიბლია, 2015, დან. 2:34).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, უხელოდ გამოკვეთილი მთა კაცობრივი განზრახვის გარეშე მუცლადღებულ ღვთისმშობელს მოასწავებს (Святой Августин , თ. გ.).

ამავეს ბრძანებს წმ. იოანე ოქროპირიც: „დანიელ წინასწარმეტყველმა თქვა, რომ ის (მარიამი, გ. ვ.) არის მთის ლოდი, კაცის ხელით გამოუკვეთელი (ბიბლია, 2015, დან. 2:34), რაც მამაკაცის გარეშე შობაზე მიუთითებს (წმ. იოანე ოქროპირი, თ. გ.).

აქედან გამომდინარე, მაცხოვრის შობის იკონოგრაფიაში მთის ჩართვა კიდევ ერთხელ მიუთითებს ყოვლადუბიწო ქალწულისაგან ღვთაებრივი ყრმის დაბადებაზე, ყოვლადწმიდა მარიამის მარადქალწულობაზე. ზოგადად, მთა განსაკუთრებული მოვლენების აღსრულების ადგილია. მთაზე აღსრულდა და, შესაბამისად, ხატმეტყველებაშიც აისახა იესო ქრისტეს ფერისცვალება, ჯვარცმა, ამაღლება. მთა შესაბამის საღვთისმეტყველო ლიტერატურაში განიხილება როგორც ამქვეყნიურ სიამეთაგან განშორებულობა და ღმერთთან, ზეცისკენ მსწრაფველი სულიერი მდგომარეობა, თანახმად მეფსალმუნის სიტყვებისა: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა? უბრალოჲ ჴელითა და წმიდაჲ გულითა, რომელმან არა აიღო ამაოებასა ზედა სული თჳსი და არცა ეფუცა ზაკუვით მოყუასსა თჳსსა“ (ბიბლია, 2015, ფსლ. 23: 3-4).

2.7. მოგვთა და მწყემსთა მიერ აღსრულებული თაყვანისცემა

ახლა განვიხილავთ დასახელებული ხატმეტყველების კომპოზიციის სხვა სახარებისეულ სიუჟეტებს. ნიმუშად ავიღებთ ზემოდასახელებული ატენის სიონის ფრესკულ მხატვრობაში წარმოდგენილი „შობის“ მხატვრული კომპოზიციის ვრცელ იკონოგრაფიულ სქემას (ილ. 2), სადაც იოსების სიზმრისეული ჩვენების ასახვასაც ვხვდებით (ილ. 5).

სიზმრისეული ჩვენების შედეგად იოსებს ეჭვის მდგომარეობა დაუცხრა და მარიამზე ზრუნვა იდო თავს. წმ. იოანე ოქროპირი ბრძანებს: „იხილა იოსებ ქალწული მიდგომილი და შეწუხნა, რამეთუ იჭჯ ცოდვისაჲ მოუჴდა გულსა, ვითარ-იგი არასადა სმენილ იყო კაცთა შორის უთესლოდ მუცლად-ღებაჲ. და მეყსეულად დაადგრა მას ანგელოზი და იჭჯ იგი განუქარვა, და ყოველივე შიში გულისა მისისაგან განიოტა. და იხილა რაჲ შობაჲ უფლისაჲ, აღივსო სიხარულითა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014ა, გვ. 129).

დასახელებულ იკონოგრაფიაში, ასევე, გამოსახულია სამი მოგვი, რომელნიც, ზემომონათხრობისამებრ, სამ ძღვენს – ოქროს, გუნდრუკსა და მურს მიართმევენ ახლადშობილ მაცხოვარს. ადრექრისტიანულ პერიოდში, ძირითადად სარკოფაგებში, „მოგვთა თაყვანისცემა“ ცალკე სცენადაც გამოისახებოდა. მაგალითად, ასეთი სახის გამოსახულებას ვხვდებით III და IV საუკუნეების რომის სარკოფაგებში.

განვიხილავთ მოგვების იუდეაში ჩამოსვლის შესახებ სახარებისეულ თხრობასა და შესაბამის განმარტებას. სახარების თანახმად, ისინი აღმოსავლეთიდან ჩამოდიან იუდეაში. მათ გზის მაჩვენებლად წინ უძღვის ვარსკვლავი, რომელმაც ისინი ჯერ იერუსალიმში, ხოლო შემდეგ ბეთლემში ჩაიყვანა, სადაც ახალშობილი მაცხოვარი იმყოფებოდა. იერუსალიმში ისინი ხვდებიან ჰეროდეს, რომელიც გაიგებს რა მოგვთა იუდეაში ჩამოსვლის მიზეზს, თავისთან იწვევს რჯულის მეცნიერებს და ეკითხება „იუდეველთა მეფის“ დაბადების ადგილისა და დროის შესახებ. ისინი ჰეროდეს შეახსენებენ მიქეას წინასწარმეტყველებას, რომელშიც მაცხოვრის შობის ადგილად ბეთლემია დასახელებული. ამის შემდეგ ჰეროდე მასთან მოუხმობს მოგვებს და ეუბნება, რომ იპოვონ ახალშობილი მეფის ადგილსამყოფელი და მასაც შეატყობინონ, რათა თაყვანი სცეს მას. რეალურად კი, ახალშობილის მოკვდინება ჰქონდა განზრახული,

რადგან მასში მეფობის მოსურნეს ხედავდა. როდესაც მოგვები მეფის სასახლიდან გამოვიდნენ, კვლავ ეჩვენა მათ ვარსკვლავი (რომელიც მათი იერუსალიმში ყოფნისას გაუჩინარებული იყო) და ბეთლემში ახალშობილ მაცხოვართან, მარიამთან და იოსებთან მიიყვანა. მოგვებმა თაყვანი სცეს ყრმას და მას მიართვეს სამი ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური. უფლის განჩინების შესაბამისად, ისინი სხვა გზით ბრუნდებიან თავიანთ ქვეყანაში (ბიბლია, 2015, მთ. 2:1-12).

როგორც ცნობილია, ღმერთმა მოგვებს ვარსკვლავის მეშვეობით განუცხადა თავისი განკაცების შესახებ. საინტერესოა, რატომ ინება ღმერთმა წარმართებისთვის ამის გაცხადება მაშინ, როცა ისრაელის მკვიდრთ ჰქონდათ სწავლება და წინასწარმეტყველება ღვთის განკაცების შესახებ. **მეტიც, შესაბამისი სახარებისეული ტექსტის თანახმად, იერუსალიმის მკვიდრებმა (ზოგადად, სრულიად იუდეამ) მოგვებისგან, წარმართული სამყაროსგან, გაიგეს მესიის მოვლინების შესახებ,** რასაც საგანგებოდ აღნიშნავს ნეტარი იერონიმე, რომელიც ბრძანებს: **„იუდეველები თავიანთი მხსნელის დაბადებას წარმართებისგან იგებენ“** (Иероним Стридонский блаженный, თ. გ.).

წარმართული სამყარო უფრო გამზადებული შეხვდა ქრისტეს მოვლინებას, ვიდრე რჩეული ებრაელი ერი, რის გამოც მათ (წარმართებს) ერგოთ პატივი, მესიის განკაცება პირველებს შეეტყოთ. ამ საკითხთან დაკავშირებით წმინდა ბასილი დიდი ბრძანებს: „მოგუნი, უცხოქმნულნი ღმრთისაგან და განშორებულნი აღთქუმათაგან წარმართნი, პირველად თაყუანისცემისა ღირს-იქმნნეს. ესე ამისთჳს, რამეთუ **მტერთა მიერნი წამებანი უფროჲსღა ღირს რწმუნებისა არიან. რამეთუ უკუეთუმცა ჰურიათა მიერ თაყუანისცემულ იყო პირველ, საგონებელმცა იყო, ვითარმედ თჳსსა პატივ-სცეს მათ ნათესავობასა.** ხოლო აწ, რომელნი არა იცნობდეს, ვითარცა ღმერთსა თაყუანის-სცეს, რაჲთა თჳსნი იგი დაისაჯნენ, რამეთუ იგი ჯუარს-აცუეს“ (წმ. ბასილი დიდი, 2010, გვ. 60).

დამოწმებული განმარტების თანახმად, უფლის მიერ წარმართებისთვის ღვთის განკაცების შეტყობინება ყოველგვარ მიკერძოებას გამორიცხავდა და მესიის მოვლინების საყოველთაოობას უფრო აშკარას ხდიდა. ამავე ეგზეგეზისის მიხედვით, ძე ღმერთის განკაცება პირველად ებრაელთათვის რომ განცხადებულიყო, შესაძლოა, ვინმეს ეფიქრა, რომ ღმერთი თავის ხორციელ

ნათესავებს, ებრაელებს, რაიმე უპირატესობას ანიჭებდა. ამიტომ ინება უფალმა, რომ მისი განკაცების შესახებ ებრაულ სამყაროს წარმართთაგან შეეტყო.

საინტერესოა, ვინ იყვნენ ხსენებული მოგვები. **გადმოცემის თანახმად, ისინი მეფეები იყვნენ და მათი სახელები იყო: მელქიორი, გასპარი და ბალთაზარი** (წილკნელი ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი), თ. გ.).

სახარებაში არაფერია ნათქვამი მოგვების რაოდენობისა და მათი სახელების შესახებ. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს მოსაზრება, რომ ისინი სამნი იყვნენ. ეს გადმოცემა იკონოგრაფიაშიც აისახება, კერძოდ – სან აპოლინარე ნუოვოს ფრესკაზე (V-VI სს.) თითოეული მოგვის გამოსახულების თავზე მათივე სახელების წარწერებია განთავსებული (ინწკირველი თ. , 2014, გვ. 182).

ქრისტესშობის კომპოზიციის ზედა ნაწილში, როგორც ზემოთ ვახსენეთ, გამოსახულია **ვარსკვლავი,** რომლის სხივი ახალშობილ ყრმაზე ეშვება.

ძველი აღთქმის ერთ-ერთ წიგნში დაცულია წინასწარმეტყველება „ვარსკვლავის“ ამოსვლის შესახებ, რომელიც ბალაამ ბოსორელმა წარმოთქვა: „აღმობრწყინდეს ვარსკულავი იაკობისგან და აღდგეს კაცი ისრაჴლისაგან და მოსრნეს მთავარნი მოაბისანი“ (ბიბლია, 2015, რიცხ. 24:17). წარმოდგენილი წინასწარმეტყველება უკავშირდება მესიის მოსვლას, რომლის შობაც ვარსკვლავის მეშვეობით განცხადდებოდა.

წმინდა იოანე ოქროპირი თავის ერთ-ერთ ჰომილიაში მოიხმობს ძველი აღთქმის ისტორიას „რიცხვთას წიგნიდან“, სადაც მოთხრობილია თუ რა გარემოებაში წარმოითქვა წინასწარმეტყველება „აღმოსავლეთიდან აღმობრწყინვებული ვარსკვლავის“ შესახებ. წმინდა მამის მიხედვით, იერუსალიმში ჩამოსული მოგვები არიან **ბალაამ მოგვის შთამომავლები,** რომელთა მიმართ აღსრულდა ხსენებული წინასწარმეტყველება – მათ გამოუჩნდათ ვარსკვლავი, რომელმაც ისინი განკაცებული ღმერთის თაყვანისსაცემად იერუსალიმში ჩამოიყვანა (წმ. იოანე ოქროპირი, 2010, გვ. 149).

აღნიშნულთან დაკავშირებით წმინდა იოანე დამასკელიც საუბრობს: „იხილეს მოგუთა **სპარსთა, მეფეთა ვარსკულავთმრაცხველთა, ბალამ ბოსორელისა შვილისშვილთა** და განჰკრთეს ბრწყინვალებასა მას ზედა ვარსკულავისასა და ბალამის წინაᲲსწარმეტყუელებაᲲ მოაᲯსენეს, რომელი-იგი თქუა, ვითარმედ:

„აღმობრწყინდეს ვარსკულავი იაკობისგან და აღდგეს კაცი ისრაჭლისაგან და მოსრნეს მთავარნი მოაბისანი“ (წმ. იოანე დამასკელი, 2010, გვ. 252).

დამოწმებული განმარტება ადასტურებს, რომ წინასწარმეტყველება ვარსკვლავის გამოჩინების შესახებ ჯერ კიდევ ძველი აღთქმის პერიოდში არსებობდა. კერძოდ, მოსე წინასწარმეტყველი „რიცხვთა“ წიგნში წარმოგვიდგენს ბალაამის სიტყვებს (რომელმაც, ბიბლიის თანახმად, ღვთის სიტყვა ისმინა): „გამობრწყინდეს ვარსკულავი იაკობისგან და აღდგეს კაცი ისრაჭლისაგან და მოსრნეს მთავარნი მოაბისანი“ (ბიბლია, 2015, რიც. 24:17).

წმინდა ეფრემ ასურის მიხედვით, ზემოდამოწმებული წინასწარმეტყველება **ზორობაბელს მიემართება, რომელიც ქრისტეს წინასახეა**: „ეს ზორობაბელია, იუდეველთა გადამრჩენელი და ქრისტეს, ყველა ერის გამომხსნელის, წინასახე“ (ღირსი ეფრემი, 2014, გვ. 132).

ასურელი მოძღვრის მიხედვითაც, მოხმობილი წინასწარმეტყველება ქრისტეს შესახებაა.

წმინდა იოანე დამასკელის ზემოდამოწმებული სწავლების თანახმად, მოგვები სპარსი მეფეები არიან.

მოგვების სამშობლოდ სპარსეთს ასახელებს წმინდა ბასილი დიდიც და ცალსახად მიუთითებს, რომ სახარებაში წარმოდგენილი ვარსკვლავთმრიცხველები ბალაამ ბოსორელის შთამომავლები იყვნენ და მათი საქმიანობა სათავეს მათივე წინაპრების საქმიანობიდან იღებს: „ნათესავნი სპარსთანი მოგუნი გრძნებითა და საოცრებითა და ბუნებისა წინააღდგომითა ვნებითა შეპყრობილ იყვნეს და ცათა მოქცევასა ვარსკულავთმრაცხველობასა შექცეულ იყვნეს. და ამასვე ჴელოვნებასა სწავლულ იყო ბალაამ“ (წმ. ბასილი დიდი, 2010, გვ. 59).

ზემოდასახელებული ეგზეგეზისის საფუძველზე, ქრისტესშობის ზოგიერთ ადრექრისტიანული ხანის კომპოზიციაში მოგვებს სპარსული შესამოსელი მოსავთ, მაგალითად, ზემოდასახელებულ სან აპოლინარე ნუოვოს ფრესკაზე (ინწკირველი თ. , 2014, გვ. 182). სპარსული შესამოსელით გამოისახებიან მოგვები მოგვიანო ხანაშიც.

შემდგომ ვარსკვლავთმრიცხველებს სამეფო შესამოსლებითა და გვირგვინებით ვხედავთ, რაც, ასევე, იოანე დამასკელის ზემოდამოწმებული ეგზეგეზისის ასახვაა, რომლის მიხედვითაც, მოგვები მეფეები იყვნენ. ამ კუთხით ძალიან საინტერესოა ატენის სიონის მოხატულობა (XI ს.) (ილ. 2), სადაც მოგვთა თაყვანისცემის ამსახველ ფრესკაზე განთავსებულია წარწერა: „მოგუნი მეფენი“.

იესო ქრისტეს შობის კომპოზიციის თავზე გამოსახულია ვარსკვლავი, რომლის სხივიც ახალშობილ ყრმაზე მიუთითებს. საილუსტრაციოდ მოგვაქვს ზემოდასახელებული ატენის სიონის ქრისტეს შობის ამსახველ ფრესკას (ილ. 2).

ვარსკვლავის გამოსახვის ორი მიზეზი არსებობს: პირველი – სახარების თხრობა, რომლის მიხედვითაც, ვარსკვლავმა მოგვები ჯერ იერუსალიმში, ხოლო შემდეგ ბეთლემში, ყრმის ადგილსამყოფელთან მიიყვანა. ხოლო მეორე – ვარსკვლავის საღვთისმეტყველო მნიშვნელობა. წმინდა იოანე ოქროპირი ამ ციურ მნათობს **„ძალი რაჲმე უხილავად“** მოიხსენიებს, რომელსაც ვარსკვლავის სახე ჰქონდა. დავიმოწმებთ შესაბამის ეგზეგეზისს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „არა იყო ვარსკულავი იგი ერთი მრავალთა ამათ ვარსკულავთაგანი. და უფროჲსად ეგრეთ ვიტყჳ, თუ ყოვლადვე არა ვარსკულავი იყო, არამედ ძალი რაჲმე უხილავი, ესევითარსა სახესა შეცვალებული...“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014, გვ. 96).

კონსტანტინეპოლელი მოძღვრის მიხედვით, ხსენებული ვარსკვლავი მისი ბუნებისთვის უჩვეულო თვისებებს ავლენდა: ვარსკვლავების მოძრაობის ტრაექტორიის საწინააღმდეგოდ მოძრაობდა, დღისითაც და ღამითაც მზის შუქზე აღმატებულად ანათებდა, მოგვებს ახალშობილი ყრმის სამყოფელისკენ წინამძღვრობდა (წმ. იოანე ოქროპირი, 2014, გვ. 96-97).

ქრისტესშობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საკითხავში (რომლის ავტორიც უცნობია და რომელიც XV საუკუნის ხელნაწერითაა ჩვენამდე მოღწეული) ვარსკვლავს ღვთის ძალა ეწოდება, რომელიც მიწის სიახლოვეს მოძრაობდა, მოგვებს გზას უჩვენებდა და მზეზე აღმატებულად ანათებდა: „ვარსკულავი იგი არა ვარსკულავთა ამათგანი იყო სამყაროჲსათა, არამედ **ძალი იყო, ზეგარდამო მოვლინებული...**“ (უცნობი ავტორი, 2010, გვ. 287).

წმინდა ბასილი დიდის მიხედვით, სახარებაში მოხსენიებული მნათობი ვარსკვლავია, რომელსაც განსაკუთრებული და ვარსკვლავისთვის უჩვეულო თვისებები აქვს: „და თჳთ ვარსკულავთა ბუნებაჲ ეგრეთ არს: დამტკიცებულნი იგი არაოდეს შეიძრვიან და მოძრავნი იგი არაოდეს დადგებიან. ხოლო ამას ვინაჲთგან ორივე აქუნდა თავსა შორის თჳსსა – **ძრვაჲცა და დადგომაჲცა** – საცნაურ არს, ვითარმედ არა სხუათა მსგავსი იყო: რამეთუ აღიძრა აღმოსავალით, ვიდრე ბეთლემადმდე და დადგა ზედა, სადა იყო ყრმაჲ იგი“ (წმ. ბასილი დიდი, 2010, გვ. 60).

იმავეს იმეორებს წმინდა გრიგოლ ნოსელიც: „სხუანი იგი ვარსკულავნი, ვითარცა ერთგზის დაიბადნეს და დაეწესნეს ცათა სარბიელსა, რომელთა ძრვაჲ ებრძანა, სამარადისოდ იძრვიან და რომელნი დგანან, სამარადისოდ მდგომარე არიან. **ხოლო ესე იძრვისცა და წინაცა უძღჳს მოგუთა და დადგებისცა და აუწყებს ადგილსა შობილისა მის მეუფისასა**“ (წმ. გრიგოლ ნოსელი, 2010, გვ. 114).

წმინდა მამების ზემოდამოწმებული ეგზეგეზისიდან გამომდინარე, სახარებისეული თხრობის საფუძველზე ქრისტეს შობის კომპოზიციაში წარმოდგენილი „ვარსკვლავი“, მისი თვისებების გამო, აბსოლუტურად სხვაობს სხვა, ჩვეულებრივი ვარსკვლავებისგან, კერძოდ, მოგვების „წინამძღვარი“ ვარსკვლავი მისი მოძრაობის ტრაექტორიით, თუ, საჭიროების შემთხვევაში, მოძრაობის შეწყვეტით, უშუალოდ მიუთითებდა მგზავრებს სავალი გზის მიმართულებას, რაც, ზოგადად, არ ახასიათებს ვარსკვლავების ბუნებას. რადგან ისინი, საღვთო განგებულების შედეგად, ან მუდმივად სტატიკურ ან მუდმივად დინამიკურ მდგომარეობაში არიან. მოგვებისადმი გამოჩენილი ვარსკვლავი თავისი მდგომარეობით წარმოაჩენს ღვთის განკაცების განსაკუთრებულ, უპრეცედენტო მოვლენას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგვების მეწინამძღვრედ გამორჩეული ვარსკვლავი ამგვარადაც მოიხსენიება: **„ძალი რაჲმე უხილავი“**; **„ძალი იყო, ზეგარდამო მოვლინებული...“.**

რა იგულისხმება „ზეგარდამო მოვლინებულ, უხილავ ძალაში“? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, შესაძლოა, ქრისტეს შობის ხატწერის ერთ-ერთი ვერსია დაგვეხმაროს, კერძოდ – არსებობს გამოსახულება, სადაც მოგვებს არა ვარსკვლავი,

არამედ ანგელოზები მიუძღვით და ახალშობილი ყრმისკენ მიუთითებენ. ამ მხრივ, ძალიან საინტერესოა X საუკუნის იფხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოხატულობა (ილ. 6), სადაც მოგვთა წინამძღოლებად ანგელოზები არიან გამოსახულნი, რითაც ზემოგადმოცემული განმარტების იკონოგრაფიაა გადმოცემული, რომლის მიხედვითაც, განმარტებელთა ერთი ნაწილი ვარსკვლავს „გონიერ ძალად“, ანუ ანგელოზად მოიხსენიებს. ქართული ხატმეტყველების აღნიშნული გამომსახველობა იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. უნდა ითქვას ისიც, რომ მსგავსი გამოსახულება გვხვდება კაბადოკიაში, ტოკალა-ქილისეს მოხატულობაში (ინწკირველი თ. , 2014, გვ. 182), რომელიც ოდნავ მოგვიანო ხანას - XI საუკუნეს განეკუთვნება. ზემოდასახელებული ქართული ხატმეტყველების ნიმუში ერთ-ერთი ადრეული ხანის ხატმეტყველებაა.

შესაბამისი სახარებისეული თხრობის ყველა განმმარტებელი თანხმდება იმაზე, რომ ხსენებული ვარსკვლავი სხვა ვარსკვლავთაგან აბსოლუტურად განსაკუთრებული და განსხვავებული იყო და იგი ღვთისგან კაცობრიობისთვის საყოველთაო ხსნის საუწყებლად საგანგებოდ იქნა მოვლინებული.

სახარებისეული თხრობის შესაბამისად, ქრისტესშობის კომპოზიციაში გამოსახულია, თუ როგორ მიართმევენ მოგვები ახალშობილს ძღვენს – ოქროს, გუნდრუკსა და მურს. აღნიშნული სამი ძღვენის სახისმეტყველებით მნიშვნელობაზე არაერთი წმიდა მამა საუბრობს. შესაბამისი ეგზეგეზისის მიხედვით, ყრმა მაცხოვარს ოქრო მიართვეს როგორც მეუფეს, გუნდრუკი – როგორც ღმერთს, მური – როგორც ადამიანს. კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით დავიმოწმებთ რამდენიმე საეკლესიო მოძღვრის განმარტებას.

წმინდა იოანე ოქროპირი: „მოართუეს გუნდრუკი, ვითარცა ღმერთსა, ოქროჲ, ვითარცა მეუფესა, მური, ვითარცა ჩუენთჳს განკაცებულსა, რომელსა ეგულებოდა სიკუდილისა გემოჲსა ხილვად და სამ დღე საფლავსა დადებად, რამეთუ ამისი სახე იყო მური იგი“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014ა, გვ. 125).

წმინდა გრიგოლ ნოსელი: „მათ, ვითარცა ღმრთისა, შეწირეს მისა გუნდრუკი; და ოქროჲ – ვითარცა მეუფისა; და მური – ვითარცა ჩუენთჳს ვნებად მომავალისა“ (წმ. გრიგოლ ნოსელი, 2010, გვ. 121).

წმინდა იოანე დამასკელი: „მოართუეს მას ძღუენი – ოქროჲ, გუნდრუკი და მური; ოქროჲ, ვითარცა მეუფისა, გუნდრუკი, ვითარცა ღმრთისა და მური, ვითარცა მოკუდავისა. და მაშინ აღესრულა თქუმული იგი წინასწარმეტყუელისა მიერ: „მეფეთა თარშისათა და ჭალაკთა ძღუენი შეწირონ მისსა, მეფეთა არაბიაჲსათა და საბაჲსათა ძღუენი მოართუან მას და ვითარმედ მიეცეს მას ოქროჲსა მისგან არაბიაჲსა“ (წმ. იოანე დამასკელი, 2010, გვ. 258).

უცნობი ავტორი: „ოქროჲ, გუნდრუკი და მური, ვითარცა მეუფესა და ღმერთსა და ჩუენთჳს განკაცებულსა და სიკუდილად მიმავალსა, რამეთუ ჩუენ მის მიერ უკუდავებაჲ მოვიღოთ“ (უცნობი ავტორი, 2010, გვ. 289).

მოგვების მიერ გაღებული ძღვენის განსხვავებულ სახისმეტყველებით მნიშვნელობაზე საუბრობს წმინდა მაქსიმე აღმსარებელი: „რამეთუ ესეცა მადლმან სულისა წმიდისამან აუწყა ესევითარისა ძღუნისა შეწირვად, რაჲთა სახე-გუექმნნენ ესევითარითა სულიერთა ძღუენთა შეწირვისა, რაჲთა შევსწირვიდეთ მოქალაქობასა კეთილსა და წმიდასა, ვითარ ოქროსა, ხოლო გულისხმისყოფასა და ხედვასა სულიერსა, ვითარცა გუნდრუკსა, და მოკუდინებასა ვნებათა და ასოთა მათ ჴორციელთასა, ვითარცა მურსა, რომლისაგან იქმნების უვნებლობაჲ და სასუფეველი ცათაჲ მოგუეცემის“ (წმიდა მაქსიმე აღმსარებელი, 2014ა, გვ. 387).

წმინდა მაქსიმე აღმსარებლის მიხედვით, მოგვებს ძღვენის შეწირვა სულიწმინდის მადლმა აუწყა. ოქროს შეწირვა ადამიანების მიერ წმინდა ცხოვრების ღვთისთვის მიძღვნას მოასწავებს, გუნდრუკი – სულიერ ხედვას, მური – ხორციელი ვნებების მოკვეთას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საეკლესიო საგალობელში ვკითხულობთ: „ქუაბად ბეთლემისა, წინაძღომითა **ვარსკულავთმთავრისაჲთა** და შეწირეს ოქროჲ, გუნდრუკი და მური **სახედ სამებისა ერთარსებისა** და თაყუანის-სცეს ღმერთსა, რომელი მოვიდა ცხორებად კაცთა“ (დასდებელნი ქრისტეს შობისანივე, 2014, გვ. 164).

დამოწმებული საგალობლის მიხედვით, სამი ძღვენი მოასწავებს ერთარსება სამების სამ ჰიპოსტასს.

ერთ-ერთ საგალობელში სამი ძღვნის განსხვავებულ სახისმეტყველებას ვხვდებით: **„სარწმუნოებაჲ ოქროჲსა წილ, ხოლო სიყუარული – მურისა და**

სასოებაჲ – გუნდრუკისა შევწიროთ ქრისტესა თჳსთა მომავალისა“ (ინწკირველი თ. , 2014, გვ. 197).

დამოწმებული ტექსტის მიხედვით, ოქრო რწმენის სახეა, მური – სიყვარულის, ხოლო გუნდრუკი – სასოების.

ქრისტეს შობის ხატმეტყველებაში ჩართულია მწყემსთა თაყვანისცემის სცენა (ილ. 2). დასახელებულ ხატმეტყველებაში გამოსახულნი არიან მწყემსები, რომლებიც იქვე მყოფ ცხვრებს მწყემსავენ. მათ ზემოთ მოჩანს ანგელოზი, რომელიც მწყემსებისკენ იმზირება და, როგორც მისი ჟესტიკულაცია გვამცნობს, მათ ესაუბრება. აღწერილი გამომსახველობა შესაბამისი სახარებისეული თხრობის საფუძველზეა შექმნილი (იხ. ბიბლია, 2015, ლკ. 2: 8-20).

წმინდა ათანასე ალექსანდრიელი ამბობს, რომ ანგელოზთა მიერ წარმოთქმულ საგალობელს მწყემსებიც უერთდებოდნენ: „ვიტყოდით ანგელოზთა თანა: «დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა». და მწყემსთა თანა ვიტყოდით: «ქუეყანასა ზედა მშვიდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ»“ (წმ. ათანასე ალექსანდრიელი, 2010, გვ. 44).

ერთ-ერთი უცნობი განმმარტებელი ბრძანებს: „მწყემსნი იგი შეშინდეს რაჲ და შეძრწუნდეს საკჳრველისა მის ხილვისაგან, კუალად ანგელოზმან ნათლისამან შიში იგი განუქარვა და ამცნო სიხარული“ (უცნობი ავტორი, 2010, გვ. 286).

მწყემსების ვინაობა უცნობია, თუმცა ის კი ნამდვილად ვიცით, რომ ისინი უდავოდ გამორჩეულები იყვნენ, სხვა შემთხვევაში ღმერთი მათ ქრისტეს შობის შესახებ არ ამცნობდა.

წმინდა იოანე დამასკელის მიხედვით, მწყემსები სახეობრივად დაკავშირებულნი არიან ქრისტესთან, რომელიც თავად არის „მწყემსი კეთილი“. გარდა ამისა, დასახელებული მწყემსები სასულიერო პირების მომასწავებელნიც არიან, რომელთაც ქრისტე თავისი სამწყსოს „მწყემსად“ ადგენს. დავიმოწმებთ შესაბამის განმარტებას: „მწყემსთა სიხარული დიდი ეხარა ანგელოზთაგან, რომელი-იგი არს ყოვლისა ერისაჲ, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: «იშვა თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისასა, მწყემსი მწყემსთაჲ და მწყემსთმთავარი და მღდელთმთავარი და მეუფე და მოღუაწე, რომელმან სამწყსონი სიტყჳერნი შეჰმზადნეს და მწყემსნი ბრძენნი და ჭეშმარიტნი

დაუდგინნეს, რომელთაცა სულნი მათნი დასხენ კეთილად საწმყოჲსა მათისათჳს, ვითარცა მწყემსთმთავარმან ქრისტემან დადვა ყოველთათჳს“ (წმ. იოანე დამასკელი, 2010, გვ. 252).

წმინდა გრიგოლ ნოსელის მიხედვით, მწყემსებში სასულიერო პირები მოიაზრებიან, რომელთაც ადამიანებს ქრისტესკენ უნდა უწინამძღვრონ. ამასთან დაკავშირებით ნისის ეპისკოპოსი ბრძანებს: „ჭეშმარიტად ჩუენ ვართ მწყემსნი და ვჴუმილავთ და ვიღჴძებთ სამწყსოთა ჩუენთათჳს“ (წმ. გრიგოლ ნოსელი, 2010, გვ. 116-117)

2.8. ყრმათა მოსრვის ხატმეტყველება

ქრისტესშობის კომპოზიციის ვრცელი რედაქცია აერთიანებს ,,ყრმათა მოსრვის“ სცენასაც, რომელიც, როგორც ზემოთ გადმოვეცით, წარმოადგენს მათე მახარებლის თხრობის საფუძველზე შექმნილ იკონოგრაფიას იმის შესახებ, თუ როგორ მოსრა ჰეროდემ ბეთლემში ორი წლისა და უფრო მცირე ასაკის ყრმები იმ იმედით, რომ მათ შორის ახალშობილი ,,იუდეველთა მეფე“ იქნებოდა (ბიბლია, 2014, მთ. 2:16-18).

წმიდა გრიგოლ ნოსელი ბრძანებს, რომ ზოგიერთ დედას ამ ორი წლის განმავლობაში, უკვე ორი შვილი ჰყავდა. ჯალათები ორივეს კლავდნენ და დედა, რომელიც თავის შვილებს დასაცავად ეფარებოდა, ზედ აკლავდნენ (ეკლესიის მამათა სწავლებანი განკაცების შესახებ, 2010, გვ. 121-122).

რატომ დაუშვა ღმერთმა ამ უდანაშაულო ყრმათა მოსრვა? ამ კითხვაზე წმიდა იოანე ოქროპირი პასუხობს: „ხოლო თქუენ, მორწმუნენო, რომელთა ესე სიტყუანი გესმიან, ნუ სულმოკლე იქმნებით, ნუცა იტყჳთ, თუ შეურაცხ იქმნა კლვაჲ იგი ყრმათაჲ მათ. არა ეგრეთ, არამედ იგინი ნათელსა ზეცისასა ღირს იქმნეს...“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014, გვ. 139).

ნოსელი მღვდელმთავრის მიერ აღწერილ ყრმათა მოსრვის ისტორიას შესაბამისი დრამატულობით გადმოსცემს ზემოდამოწმებული ილუსტრაცია, სადაც მეომრები მშობლებს ხელიდან გლეჯენ ბავშვებს, ზოგიც ერთდროულად ორ ყრმას კლავს და ფეხით თელავს.

კონსტანტინეპოლელი მოძღვრის მიხედვით, ყრმები ცათა სასუფეველს იმკვიდრებენ.

ამ საკითხს საგანგებო ჰომილიას უძღვნის წმიდა ბასილი სელევკიელი, რომელიც ცალსახად აღნიშნავს, რომ უფალმა, ამ ყრმების სულები ,,აბრაჰამის წიაღთა შინა დაასაყრდნა“ (წმ. ბასილი სელევკიელი, 2010, გვ. 28).

გრიგოლ ნაზიანზელის მიხედვით ყრმათა მოსრვა არის მსხვერპლი, რომელიც ქრისტეს მსხვერპლშეწირვას მოასწავებს: „მოწყუედაჲ იგი ჰეროდეს მიერ ჩჳლთაჲ! და უფროჲსღა ითქუმის, პატივ-სცა მას შესაწირავსა მობაძავ ქრისტჱსა უწინარჱს საკჳრველისა შესაწირავსა მობაძავ ქრისტჱსა უწინარჱს საკჳრველისა შესაწირავისა“ (წმ. გრიგოლ ნაზიანზელი, 2010, გვ. 75).

დამოწმებული ეგზეგეტიკის მიხედვით, ღვთის მიერ ამ განსაცდელის დაშვებამ ყრმებს ცხონება და გადარჩენა მოუტანა.

აღნიშნული გარემოება კარგადაა ასახული სინას მონასტერში დაცულ ქრისტესშობის ხატზე (XII ს.), სადაც, აღნიშნული დღესასწაულის ვრცელი რედაქციაა გამოსახული. განსაკუთრებული თხრობითი ხასიათით გამოირჩევა ქვედა რეგისტრში განთავსებული ყრმათა მოსრვის სცენა, სადაც ჯარისკაცები ყრმებსა და მათ დედებს კლავენ.

2.9. იესო ქრისტეს შობის იკონოგრაფიაში ჩართული აპოკრიფული სცენები და ანგელოზები

იესო ქრისტეს შობის გავრცობილ იკონოგრაფიულ რედაქციაში გვხვდება ორი დედაკაცის მიერ ყრმა მაცხოვრის განბანვის სცენა. მაგალითისთვის დავასახელებთ ატენის სიონის კედლის მხატვრობას (ილ. 2). აღნიშნული ხატმეტყველება აპოკრიფული ჩანართია, რაც ეფუძნება ზემოდამოწმებულ „იაკობის პირველსახარებაში“ გადმოცემულ თხრობას, რომლის მიხედვითაც, ახალშობილი ყრმა იოსების შვილმა და ერთ-ერთმა ებრაელმა ქალმა განბანეს (მოციქული იაკობი, თ. გ.).

დასახელებული დღესასწაულის ამსახველ ხატში გამოქვაბულის ირგვლივ ანგელოზები არიან გამოსახულნი. უნდა ითქვას, რომ შესაბამის სახარებისეულ

თხრობაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ, რომ ადგილი, სადაც მაცხოვარი იშვა, ანგელოზებით იყო გარემოცვული, რომლებიც განადიდებდნენ და თაყვანს-სცემდნენ ახალშობილ მეუფეს. დავიმოწმებთ რამდენიმე კომენტარს საეკლესიო მოძღვართაგან.

წმინდა იოანე დამასკელი ბრძანებს: „დღეს ანგელოზნი ბაგასა გარე-მოადგან, ვითარცა წიაღთა შინა მამისათა. დასასრულისად ხედვენ დასაბამისასა და შიშით შესწირვენ თაყუანისცემასა“ (წმ. იოანე დამასკელი, 2010, გვ. 279).

ერთ-ერთ საგალობელში ვკითხულობთ: „ანგელოზნი, მოსრულნი ზეცით, გარემოჲს ბაგასა შეასხმიდეს შობასა შენსა, ქრისტე“ (ინწკირველი თ. , 2014, გვ. 78).

2.10. ქრისტესშობის იკონოგრაფიაზე მსჯელობის დასკვნითი ნაწილი

დასასრულ დავსძენთ, რომ მაცხოვრის შობის იკონოგრაფიული ასახვა რამდენიმე ისტორიას აერთიანებს, რომლებიც მხატვრული გამომსახველობით მოგვითხრობს სახარებაში წარმოდგენილ ქრისტეს შობასთან დაკავშირებულ მოვლენებს. ასევე, ზემოაღწერილი კომპოზიციები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არა მარტო სახარებისეული თხრობის, არამედ შესაბამისი ეგზეგეზისის მხატვრული გამომსახველობით გადმოცემაცაა. ქრისტეს შობით იწყება მაცხოვრის ამქვეყნად მოსაგრეობა, ამიტომაც ეს დღესასწაული აღდგომის შემდეგ უმთავრესი დღესასწაულია.

წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით, იესო ქრისტეს შობა უფალთან დაკავშირებული ყველა დღესასწაულის (თუ ზოგადად, მისი მოსაგრეობის) საფუძველია, რადგან, როგორც ის ბრძანებს, თუ ქრისტე არ იშვებოდა, ვერც ნათელ-იღებდა, ვერც ჯვარს ეცმებოდა, ვერც აღდგებოდა და არც სულიწმინდის გარდამოსვლა აღესრულებოდა. კონსტანტინეპოლელი მოძღვარი ამ უდიადეს მოვლენას „დღესასწაულების დედაქალაქს“ უწოდებს. დავიმოწმებთ შესაბამის სიტყვებს: „უკეთუ ვინმე ყოველთა დღესასწაულთა დედაქალაქად უწოდოს მას, არასადა ჰსცდეს იგი... უკეთუმცა არა შობილ-იყო ჴორციელად ქრისტე, არამცა ნათელ-ეღო მას, რომელ არს განცხადება ღმრთისა, არამცა ჯუარცუმულ იყო, რომელ არს პასექი, არამცა სული წმიდაჲ გარდამოევლინა, რომელ არს მარტჳლია,

რომლისათჳსცა ამიერ, ვითარცა მდინარენი წყაროსაგან, გამოეცნეს ესენი და იქმნნეს ჩუენდა ზატიკად მუნით გამო“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2010, გვ. 181).

თანახმად წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებისა, თუკი იესო ქრისტეს შობა ყველა საუფლო დღესასწაულის დასაბამია, მაცხოვრის შობის იკონოგრაფიაც თითოეული საუფლო დღესასწაულის, ზოგადად, სახარებისეული მოვლენების გადმომცემი ხატმეტყველების საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქრისტეს შობის კომპოზიციური გამოსახულება ღვთის განკაცების დოგმატურ სწავლებას მოიცავს, რაც იკონოგრაფიის საფუძველია. წმინდა იოანე დამასკელი თავის ცნობილ ნაშრომში – „სამი სიტყვა ხატთაყვანისცემის შესახებ“ – ამბობს: „არა თუ ღმრთეებრ იქმნა ბუნებაჲ ჴორცთა, არამედ ვითარ-იგი სიტყუაჲ, ჴორც იქმნა რაჲ, უქცეველად ეგო, ვითარ-იგი იყო... **ამისათა მინდობითა გამოვხატავ ღმერთსა უხილავსა, არა ვითარცა უხილავსა, არამედ ვითარცა ჩუენთჳს ხილულქმნილსა, მიღებითა ჴორცთა და სისხლთათა. არა თუ უხილავსა გამოვხატავ ღმრთეებასა, არამედ გამოვხატავ ღმრთისა ჴორცითა ხილულობასა** (წმ. იოანე დამასკელი, 2013, გვ. 150).

დამასკელი მამის თანახმად, უხილავი ღმერთის განკაცებამ, მისმა „ხილულქმნილობამ“ შექმნა მისი „გამოხატვის“ შესაძლებლობა.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ იესო ქრისტეს შობის ხატმეტყველება, ერთი მხრივ, მაცხოვრის შობასთან დაკავშირებულ სახარებისეულ თხრობასა და შესაბამის ეგზეგეზისს გადმოსცემს, მეორე მხრივ, აღნიშნული გამომსახველობა თითოეული სახარებისეული მოვლენის, ღვთის განკაცების არსისა და, ზოგადად, ქრისტიანული ხატმეტყველების საფუძველია.

თავი III. იესო ქრისტეს ნათლისღების იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები

იესო ქრისტეს ნათლისღება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა და მის შესახებ ოთხივე მახარებელი მოგვითხრობს. მათე (ბიბლია, 2015, მთ. 3:13-17), მარკოზ (ბიბლია, 2015, მკ. 1:9-11) და ლუკა (ბიბლია, 2015, ლკ. 3:21-22). მახარებლების თხრობა ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ოდნავ განსხვავებულია იოანე მახარებლის სახარებისეული გადმოცემა (ბიბლია, 2015, ინ. 1:29-34), რომელშიც ავტორი იოანე ნათლისმცემლის მონათხრობს გადმოგვცემს: „მაშინ მოვიდა იესუ გალილეაჲთ იორდანედ იოვანესა ნათლის-ღებად მისგან, ხოლო იოვანე აყენებდა მას და ეტყოდა: „მე მიჴმს შენ მიერ ნათლისღებაჲ, და შენ ჩემდა მოხუალა?“ მიუგო იესუ და ჰრქუა მას: „აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე“. მაშინ მიუშუა მას. და ნათელ-იღო იესუ, და მეყსეულად აღმოვიდა რაჲ წყლისა მისგან, და აჰა, განეხუნეს მას ცანი, და იხილა სული ღმრთისაჲ გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა. და ჴმაჲ იყო ზეცით და თქუა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ“ (ბიბლია, 2015, მთ. 3:13-17).

ეკლესიის მამათა განმარტებების თანახმად, ნათლისღების ჟამს ყოვლადწმიდა სამება განცხადდა: ,,მამა, რომლის ხმაც მოისმოდა ზეციდან; ძე, რომელიც იორდანეში ნათელიღებდა და სულიწმინდა, რომელიც მტრედის სახით გარდამოდიოდა ზეციდან და ძეზე დაადგრებოდა (წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, 2014ა, გვ. 177).

ნათლისღების იკონოგრაფია, ერთი მხრივ, შესაბამის სახარებისეულ თხრობას წარმოაჩენს, ხოლო მეორე მხრივ, ღრმა საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებით ასპექტებს შეიცავს.

3.1. იესო ქრისტეს ნათლისღების გამოსახვის თავისებურებები ადრექრისტიანულ ხანაში

ნათლისღების იკონოგრაფიული სქემა პირველივე საუკუნეებიდან ყალიბდება და შემდგომ საუკუნეებში ვითარდება. დღეისთვის ცნობილი ადრეული ნათლისღების გამოსახულება (III საუკუნე) კატაკომბების მხატვრობაშია შემორჩენილი (ინწკირველი თ. , 2017ა, გვ. 195). აღნიშნულ ფრესკაზე მაცხოვარი ბავშვის სახითაა წარმოდგენილი, რომლის თავზეც მტრედის გამოსახულებაა. აღნიშნული ფრინველის ნისკარტიდან იესო ქრისტეს თავზე წყლის ნაკადი გარდამოედინება. შემორჩენილია ნათლისმცემლის ხელიც, რომელიც მაცხოვარის თავზეა (თავად იოანე ნათლისმცემლის გამოსახულება არ არის შემორჩენილი (ინწკირველი თ. , 2017ა, გვ. 195-196).

ზემოდასახელებული გამოსახულებები ანტიკური ხელოვნების გავლენითაა შექმნილი. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ნათლისღების ადრეულ გამოსახულებებში იესო ქრისტეს ბავშვის სახით გამოსახვა ჭარბობს, რაც მოგვიანო ხანაში ზრდასრული მამაკაცის გამოსახულებით იცვლება. ცნობილია, რომ მაცხოვარი ზრდასრულ ასაკში, 30 წლისა, მოინათლა. საინტერესოა, თუ **რატომ გამოსახავდნენ უფალს ადრექრისტიანულ ხანაში ყრმის** სახით [9] . როგორც ცნობილია, ნათლისღებას ,,მეორედ შობა“ ეწოდება. იოანეს სახარების მიხედვით, მაცხოვარი ნიკოდიმოსს ეუბნება: ,,მიუგო იესუ და ჰრქუა მას: „ამენ, ამენ გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ჴელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათაჲ” (ბიბლია, 2015, იო. 3:3).

დასახელებულ იკონოგრაფიაში მაცხოვრის ყრმის სახით გამოსახვა მიანიშნებს ნათლისღებით ადამიანის მეორედ, სულიერ შობაზე. საეკლესიო სწავლების თანახმად, წყალში ჩადის ძველი, ცოდვით დამძიმებული კაცი და იქედან აღმოიშობა ახალი, ბრალთაგან განწმედილი ადამიანი. ამასთან დაკავშირებით წმინდა პავლე მოციქული ბრძანებს: ,,განიშორეთ თქუენგან პირველისა მისებრ სლვისა თქუენისა ძუელი იგი კაცი, განხრწნილი გულის

[9] თუმცა, იესო ქრისტეს ყრმის სახით გამოსახვის შემთხვევა მოგვიანო ხანაშიც გვხვდება. კერძოდ, საქართველოში, იმერეთის რეგიონში, ჭალას წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში, XV-XVI საუკუნეების ფრესკულ მხატვრობაში, კანკელის ქვის არქიტრავზე სებასტიელ ყრმათა წამების ხატმეტყველებაში. მოწამეები, როგორც ცნობილია, ისე აღესრულნენ, რომ ნათლობა ვერ მოასწრეს. შესაბამისად, მათი ნათლობა და ღმერთთან შეერთება „სისხლით აღესრულა“. ამდენად, აღნიშნული ხატმეტყველების ნათლისღების იკონოგრაფიასთან კავშირი აშკარაა (ვფიქრობთ, ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს).

თქუმისა მისებრ საცთურისა, და განახლდებოდეთ თქუენ სულითა მით გონებისა თქუენისაჲთა, და შეიმოსეთ ახალი იგი კაცი, ღმრთისა მიერ დაბადებული სიმართლითა და სიწმიდითა ჭეშმარიტებისაჲთა“ (ბიბლია, 2015, ეფ. 4:22-24).

იგივე მოციქული სხვა ეპისტოლეში ბრძანებს: **,,...განიძარცუეთ ძუელი იგი კაცი საქმით მისითურთ. და შეიმოსეთ ახალი იგი, განახლებული მეცნიერებად, მსგავსად ხატისა მის დამბადებელისა მისისა**“ (ბიბლია, 2015, კოლ. 3:9-10).

ქრისტიანული ცხოვრება ,,ახალი კაცის“ შობით ანუ ნათლისღებით იწყება.

მკვლევართა ნაწილი, **ნათლისღების კომპოზიციაში იესო ქრისტეს ყრმის სახით გამოსახვის კიდევ ერთ მიზეზს ასახელებს.** კერძოდ, როგორც ცნობილია, პირველ საუკუნეებში ნათლისღებისა და ქრისტეს შობის დღესასწაულები ერთად აღინიშნებოდა. შესაბამისად, მაცხოვრის ყრმის სახით გამოსახვა მინიშნება იყო ერთი მხრივ, მაცხოვრის შობაზე, მეორე მხრივ, ნათლისღების საიდუმლოზე, როგორც კაცის მეორედ შობის წარმომჩენზე (ინწკირველი თ. , 2017ა, გვ. 196).

ცნობილია, რომ ადრექრისტიანულ ხანაში გავრცელებული იყო დასხმით ნათლისღება, რაც ამავე პერიოდის ნათლისღების იკონოგრაფიაშიც აისახება. ამ კუთხით განსაკუთრებით ყურადსაღებია რავენას ბაზილიკის მოზაიკური გამოსახულება (VI საუკუნე), სადაც იოანე ნათლისმცემელი მაცხოვარს „დასხმით“ ნათლავს (ჭელიძე, 2012ბ, გვ. 482-483) [10].

ამ გამოსახულებაში მაცხოვარი წვერით არის წარმოდგენილი. შეიძლება ითქვას, რომ ეს იესო ქრისტეს წვერით გამოსახვის ერთ-ერთი პირველი შემთხვევაა (ჭელიძე, 2012ბ, გვ. 482-483). უფლის ამგვარი გამოსახვა სახარებისეული თხრობისა და შესაბამისი ეგზეგეზის ზუსტი იკონოგრაფიული ასახვაა, რომლის თანახმადაც განკაცებული ღმერთი 30 წლის ასაკში მოინათლა.

ლუკა მახარებელი ზუსტად ასახელებს მაცხოვრის ამქვეყნიური მოღვაწეობის დაწყების ჟამს მის ასაკს: „და თავადსა იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა...“ (ბიბლია, 2015, ლკ. 3: 23).

წმინდა იოანე ოქროპირი, მათეს სახარების განმარტებაში იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში ქადაგების დაწყების ჟამზე საუბრობს: „რომელნი

[10] წყალში შთაფლული მაცხოვრის გამოსახულება მოგვიანო ხანის იკონოგრაფიაში გვხვდება.

არიან დღენი იგი, რომელ იტყჳს, თუ „მათ დღეთა შინა“? რამეთუ არა თუ მათ დღეთა, ოდეს იესო ყრმაღა იყო და ნაზარეთად მოვიდა ეგვიპტით, იქმნა ქადაგებაჲ იგი იოვანესი, არამედ შემდგომად ოცდაათისა წლისა, ვითარცა ლუკა წამებს“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014, გვ. 148).

წმინდა ევსები ალექსანდრიელი ბრძანებს: ,,ოცდაათისა წლისა რაჲ იქმნა უფალი, მოვიდა ნათლისღებად...“ (წმ. ევსები ალექსანდრიელი, 2020, გვ. 175).

3.2. იესო ქრისტეს ნათლისღების სიმბოლური გამოსახულება - წყალს დაწაფებული ირმის სცენა

საინტერესოა, რომ **ადრექრისტიანულ ეპოქაში გვხდება წყალს დაწაფებული ირმის სცენები.** შესაბამის გამოსახულებას ვხვდებით V საუკუნის ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკაზე (ილ. 7). აღნიშნული გამოსახულების იკონოგრაფია არის ფსალმუნის შემდეგი სიტყვების ილუსტრაცია: ,,ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სწყურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო“ (ბიბლია, 2015, ფს. 41:2).

ფსალმუნის მიხედვით, ადამიანებს უნდა ჰქონდეთ მძაფრი ლტოლვა, წყურვილი, განღმრთობისკენ, ნათლისღებისკენ.

ნეტარი ავგუსტინე წყალს „ცოდნის წყაროს“ უწოდებს და მასზე დაწაფებისკენ მოუწოდებს ეკლესიის მრევლს (ნეტარი ავგუსტინე, ekzeget.ru, თ. გ.).

ამბროსი მედიოლანელი ზემოგადმოცემულ სიტყვებს ნათლისღებას უკავშირებს (ამბროსი მედიოლანელი, თ. გ.).

წმინდა გრიგოლ ნოსელი ირმის სახისმეტყველებაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ეს ცხოველი, სხვასთან შედარებით, წყურვილის მძაფრი განცდით გამოირჩევა. გარდა ამისა, ნოსელი მღვდელმთავრის მიხედვით, ირემი გველით იკვებება, მის შხამს შთანთქავს, რომელსაც მიღებული წყლით ანეიტრალებს. აღნიშნული გარემოება, წმინდა მამის მიხედვით, სახისმეტყველებითად განიმარტება: ცოდვის შხამისაგან მოწამლული ადამიანი მხოლოდ საღვთო მადლმოსილებით იკურნება. სწორედ ამიტომ, ირჩევს და ასახელებს მეფსალმუნე

ირემს, რომელიც სახისმეტყველებითად საღვთო მადლს (რომელიც უპირველესად ნათლისღებით მიიღება) დაწაფებულ ადამიანს გამოხატავს (წმ. გრიგოლ ნოსელი, თ. გ.).

მსგავს განმარტებას გვაწვდის ნეტარი იერონიმეც, რომელიც იესო ქრისტეს სამარიტელ დედაკაცთან საუბრის სახარებისეულ ეპიზოდს დაიმოწმებს, სადაც მაცხოვარი წყაროსა და მისგან გამომავალ ცხოვრების წყალზე საუბრობს (იო. 4:13-14). წმინდა მამის მიხედვით, ირმის წყაროზე დაწაფება, სახისმეტყველებითად, მაცხოვრის მიერ გახმოვანებულ „წყალი ცხოველისადმი“, ანუ საღვთო მადლისადმი ადამიანის ლტოლვას გამოხატავს (ნეტარი იერონიმე, 2025).

წმინდა იოანე ოქროპირი აღნიშნავს, რომ როგორც ირემი ჭამს გველს, ასევე უნდა შთანთქას (გაანადგუროს) ადამიანმა ცოდვები. იგი ფსალმუნში გახმოვანებულ „წყურვილს“ საღვთო სიყვარულად სახელდებს, რომელიც ადამიანის ერთადერთი გადამრჩენელია (წმ. იოანე ოქროპირი, 2025)

3.3. იესო ქრისტეს ნათლისღების ჩამოყალიბებულ იკონოგრაფიულ სქემაში სამების განცხადება

მოგვიანო ხანაში უკვე ჩამოყალიბდა **ნათლისღების, დღეს ყველასთვის ცნობილი, იკონოგრაფიული სქემა,** რომელიც შემდეგი სახისაა: კომპოზიციის ცენტრში იორდანეში მყოფი მაცხოვარია გამოსახული, რომლის მარცხენა მხარეს იოანე ნათლისმცემელია. ის მარჯვენა ხელს ადებს მაცხოვარს თავზე. იესო ქრისტეს გამოსახულების მარჯვენა მხარეს ანგელოზები არიან განთავსებულები, რომლებიც თავს უდრეკენ და ეთაყვანებიან უფალს. მაცხოვრის თავზე, ცის ქიმიდან ეშვება მტრედი, **რომელიც ხშირ შემთხვევაში მოჰყვება ზემოდან დაშვებულ და მაცხოვრის გამოსახულებისკენ მიმართულ სხივს.** ხსენებული ხატწერა სრულად ეთანადება შესაბამის, ზემოდამოწმებულ სახარებისეულ თხრობას, რომლის მიხედვითაც იორდანეში განკაცებული ძე ღმერთის ნათლისღებისას სულიწმინდა მტრედის სახით გარდამოდის და ზეციდან მამის ხმა ისმის.

აღნიშნულ გამოსახულებაში მკაფიოდ აისახა ნათლისღების, როგორც ყოვლადწმინდა სამების განცხადების მნიშვნელობა. ძე იორდანეში გამოსახული ადამიანის სახებით გამოიხატება, სულიწმინდა - სახარების თხრობის შესაბამისად, მტრედის სახით, ხოლო მამა - იმ სხივის სახით, რომელიც ზეცის წიაღიდან გარდამოდის და ძეზე ეშვება და რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მტრედის გამოსახულება მოჰყვება. განსაკუთრებით, ეს უკანასკნელი გამომსახველობაა საინტერესო. ხატმეტყველებამ ზედმიწევნით გადმოსცა სახარებაში გადმოცემული ძისა და სულიწმინდის ფიზიკური სახება. კერძოდ, ძე ღვთისა - კაცის, სულიწმინდა - მტრედის სახით. მაგრამ, როგორც ცნობილია, მხოლოდ ნივთიერი სახების (ან ბუნების) გამომსახველობაა შესაძლებელი. ხმოვანების გამოსახვა შეუძლებელია. ამიტომ, ამ შემთხვევაში, ხატმეტყველება მამის და მისი ზეციდან მომავალი ხმის ერთგვარ გამომსახველობით ხერხს მიმართავს - მას გამოსახავს იორდანეში მყოფი უფლის სახებისკენ მიმართული სხივით, რომელსაც მტრედის სახით განცხადებული სულიწმინდა მოჰყვება. **აღნიშნული გარემოება შესაბამის ეგზეგეზას ეფუძნება, რომლის თანახმადაც ვინმეს რომ არ ჰგონებოდა, რომ ზეციდან მომავალი ხმა სხვას განეკუთვნებოდა,** ამიტომ „მამის ხმიდან“ გამომავალი მტრედის სახით განცხადებული სულიწმინდა იორდანეში მყოფ იესო ქრისტეზე დაადგრა. დავიმოწმებთ იოანე ოქროპირის შესაბამის ეგზეგეზას: „ხოლო სული წმიდაჲ ამისთჳს გამოჩნდა მაშინ, **ვითარცა ტრედი, რაჲთა ჳთარცა თითითა,** ესრეთ ცხადად უჩუენოს იოვანესცა და ერსა მას შემოკრებულსა მხოლოდშობილი იგი და საყუარელი ძე ღმრთისაჲ...“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014ა, გვ. 181). აღნიშნული გარემოება კარგად არის გადმოცემული ნათლისღების ტროპარშიც: „რაჟამს იორდანეს ნათელ-იღე შენ უფალო, მაშინ სამებისა თაყვანისცემა გამოჩნდა. რამეთუ მამისა ხმა გეწამებოდა და საყუარელად ძედ სახელგდვა შენ. და სული წმიდა **სახითა ტრედისათა დაამტკიცებდა სიტყვისა მის უცთომელობასა**“ (ნათლისღების ტროპარი, თ. გ.)

3.4. ნათლისღების კომპოზიციაში იესო ქრისტეს შიშვლად გამოსახვის სახისმეტყველება

ნათლისღების კომპოზიციაში XIII საუკუნემდე **მაცხოვარი შიშველი გამოისახებოდა.** აღნიშნული, ერთი მხრივ, ანტიკური ხელოვნების გავლენით იყო განპირობებული (სადაც შიშველი სხეულის გამოსახვა მიღებული ტრადიცია იყო), მეორე მხრივ, ამას საღვთისმეტყველო საფუძველი ჰქონდა, რასაც ქვემოთ წარმოვადგენთ. მაგალითისთვის დავასახელებთ რავენას ტაძრის (V საუკუნე) გუმბათში განთავსებულ ნათლისღების იკონოგრაფიას (ინწკირველი თ. , 2017ა, გვ. 197). აღნიშნული მხატვრობისთვის დამახასიათებელია ანტიკური ხელოვნების სტილი. მოგვიანო პერიოდში „ნათლისღების“ იკონოგრაფიის მხატვრული სტილი და გამომსახველობა ანტიკური გავლენისგან გათავისუფლდა, თუმცა, როგორც აღინიშნა, XIII საუკუნემდე მაცხოვარი იორდანეში კვლავ შიშველი გამოისახებოდა. აღნიშნული ტენდენცია კარგად ჩანს დაფნის (საბერძნეთი), ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის კედლის მხატვრობაში, რომელიც XI საუკუნეს განეკუთვნება (მოგვიანო ხანაში, კი, მას წელზე არდაგ შემორტყმულს გამოსახავენ); (ინწკირველი თ. , 2017ა, გვ. 197). აღნიშნული ტენდენცია ქართულ კედლის მხატვრობაშიც გვხვდება - მაგალითად, სვანეთში, ლაღამის მაცხოვრის სახელობის ტაძრის XIII საუკუნის ფრესკაზე (ილ. 8).

იესო ქრისტეს შიშველი გამოსახულება სახარებისეული ისტორიის თხრობას გამოხატავს, რომლის მიხედვითაც ის იორდანეში შედის და ნათელს იღებს. ამასთანავე, იესო ქრისტეს შიშველი გამოსახულება შესაბამისი ეგზეგეზის რამდენიმე ასპექტს ასახავს.

ამასთანავე, სამოსლის გარეშე გამოსახული მაცხოვარი, მისი სხეულის სიშიშვლე, სახისმეტყველებითად გადმოსცემს კაცობრივი ბუნების ხრწნადი სამოსელისგან განმოსვასა და საღვთო მადლის შემოსვას. როგორც ,,დაბადების“ წიგნიდან არის ცნობილი, შეცოდების გამო ღვთის მიერ დაწყევლილ ადამიანებს ღმერთი ტყავის სამოსელით შემოსავს (დაბ.3:21), რაც ეგზეგეტთა მიერ სახისმეტყველებითადაც განიმარტება: კერძოდ, ღვთისმადლგანძარცვული კაცობრივი ბუნება სიკვდილით შეიმოსა.

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, მას შემდეგ, რაც ადამმა და ევამ გაიხადეს უმანკოების თავდაპირველი სამოსი, მათ სიკვდილის შესამოსელი დაიმსახურეს (ნეტარი ავგუსტინე, 2015).

წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით, ჩვენი პირველმშობლები თავდაპირველი, დიდებული და ბრწყინვალე სამოსელის უღირსნი გახდნენ (წმ. იოანე ოქროპირი, 2015, გვ. 174).

წმ. ათანასე ალექსანდრიელის ბრძანებს: „რაჟამს სცოდა ადამმა და მოელოდა ამის შემდეგ მას სიკვდილი, მიიღო მან ,,ტყავის სამოსელნი", მკვდარ ცხოველთაგან შექმნილნი და იმ კვდომადობის სიმბოლოდ მყოფნი, რაც ცოდვის შედეგად მოიწია მასზე“ (ჭელიძე, 2012, გვ. 66).

ხოლო ნათლისღებისას, მაცხოვრის განშიშვლებამ ცოდვაშემოსილ ადამიანს სიკვდილი განძარცვა და კვლავ საღვთო მადლით შემოსა. ამასთან დაკავშირებით წმინდა ნინოს ნათლისღების შესახებ ქადაგებაში არის საუბარი, სადაც ის ბრძანებს: ,,ხოლო უფალმან განიშიშულა თავი თჳსი განჴრწნადისა სამოსლისაგან და შთავიდა წყალთა მათ ნათლისღებისათა, და განჴსნნა საკრველნი ცოდვისანი ყოვლისა სოფლისანი...“ (წმ. ნინო, 2020, გვ. 37).

ერთ-ერთ ლიტურგიკულ საკითხავში ვკითხულობთ: ,,პირველ საუკუნეთა ძჱ, თანა-დიდებული მამისაჲ და სულისა წმიდისაჲ იორდანედ მოხუედ დღეს ნათლის-ღებად იოვანჱსგან, განშიშულდი ჴორცითა, აცხოვნე პირველ-შექმნული ადამ“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 51).

დამოწმებული, სახისმეტყველებითი შინაარსის მქონე ფრაზის მიხედვით, მაცხოვრის განშიშვლებამ ადამიანი აცხოვნა.

განშიშვლებული მაცხოვარი ბოროტს ამარცხებს: ,,რაჟამს განშიშულდი ჴორცითა, მაცხოვარ, წყალთა მათ ზედა იორდანისათა, მტერი იგი, დამალული მას შინა, ნათლისღებითა დასთრგუნე და მოუწოდე მორწმუნეთა გალობად და ქებად შენდა“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 54).

იესო ქრისტეს იორდანეში მონათვლის დარად, ნათლისღების ჟამს ადამიანის განშიშვლება და ნათელღება ჩვენი პირველმშობელის, ადამის (რომელიც ცოდვით დაეცა) სიშიშვლისგან გამოწვეული სირცხვილის დამარცხების გამოხატულებაა. ამასთან დაკავშირებით საუბრობს წმ. კირილე იერუსალიმელი, რომელიც თავის „მისტაგოგიურ კატეხიზისში“ ასე მიმართავს მოსანათლავად განმზადებულებს: „ყველას თვალწინ შიშველნი იყავით და არ გრცხვენოდათ. ჭეშმარიტად ემსგავსეთ პირველქმნულ ადამს, რომელიც სამოთხეში შიშველი იყო და არ რცხვენოდა“ (წმ.

კირილე იერუსალიმელი, 2015, გვ. 304). აღნიშნული გარემოება კარგად არის გადმოცემული წებელდის კანკელზე (VII-VIII სს; შემორჩენილია კანკელის რამდენიმე ფილა), სადაც ნათლისღების იკონოგრაფიაში იესო ქრისტე შიშველია გამოსახული და ორთავე ხელით სარცხვენელს იფარავს.

3.5. ნათლისღების ხატმეტყველებაში იესო ქრისტეს „იორდანეშემოსილობა“

მოგვიანო ხანაში ნათლისღების იკონოგრაფიაში შიშველი მაცხოვრის გამოსახულებას „იორდანეშემოსილი“ იესო ქრისტე ანაცვლებს. შემუშავდა ქრისტეს ნათლისღების იკონოგრაფიული ტიპი, სადაც აშკარად ჩანს, რომ შიშველი და იორდანეში შთასული მაცხოვარი, თითქოს მდინარის წყლით ,,იმოსება“, მისი ტალღებით იფარება. აღნიშნული ტენდენცია კარგად ჩანს ანჩისხატის კარედის რელიეფურ ფრაგმენტში (XIV საუკუნე) (ილ. 9).

დასახელებული ხატმეტყველება შემდეგი ეგზეგეზის ზედმიწევნითი ასახვაა: ,,მხსნელი და მაცხოვარი მოვალს დღეს ნეფსით თჳსით მდინარედ იორდანისა და განშიშულდების მათ შინა განცხადებულად და შეიმოსს წყალთა ვითარცა სამოსელსა, რაჲთა განშიშულებული ზაკუვითა გუელისაჲთა შემოსნეს და და განაბრწყინნეს ნათლითა ნათლისღებისა მის თჳსისა წმიდისა და დიდებულისაჲთა“ (ინწკირველი თ. , 2014, გვ. 163).

ამასთან დაკავშირებით პროკლე კონსტანტინეპოლელიც საუბრობს: „მას დღესა, ვითარცა მეუფემან სამოსელი სამეუფეოჲ შეიმოსნა ჴორცნი იგი, ხოლო აქა დღეს წყარონი იგი მდინარეთანი შეიმოსნა“ (წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელი, 2020, გვ. 148).

ზემოდამოწმებული საღვთისმეტყველო ტექსტები მაცხოვრის სიშიშვლის და „იორდანეშემოსილების“ სახისმეტყველებით ასპექტებს ასაჩინოებს, რაც შემდეგში მდგომარეობს: მაცხოვრის შიშველი სხეულის „იორდანით შემოსვა“ მის განკაცებას მოასწავებს, რომელმაც „ზაკუითა გუელისათა“ ცოდვით დაცემული კაცობრიობა საღვთო მადლით შემოსა.

3.6. იესო ქრისტეს ნათლისღების ხატმეტყველებაში გამოსახული იოანე ნათლისმცემელი და ანგელოზები

ნათლისღების კომპოზიციაში იოანე ნათლისმცემელი **იესო ქრისტეს მარჯვენა ხელს თავზე ადებს,** ხოლო მაცხოვარი თავს უდრეკს ნათლისმცემელს, რაც იმ სახარებისეული თხრობის ასახვაა, რომლის მიხედვითაც იოანე ნათლისმცემელმა მაცხოვარი მონათლა. საინტერესოა, რომ მახარებლები ასე ზედმიწევნით არ აღწერენ იოანეს მიერ მაცხოვრის ნათლისღებას. კერძოდ, სახარებაში ვკითხულობთ, რომ თავდაპირველად, იოანე უარს ამბობს მასთან მისული იესო ქრისტეს მონათვლაზე, თუმცა, შემდეგ უფლის სიტყვებს ემორჩილება და ნათლობას აღასრულებს: ,,... იოვანე აყენებდა მას და ეტყოდა: „მე მიჴმს შენ მიერ ნათლისღებაჲ, და შენ ჩემდა მოხუალა?“ მიუგო იესუ და ჰრქუა მას: „აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე“. მაშინ მიუშუა მას” (ბიბლია, 2015, მთ. 3:14).

დამოწმებულ სახარებისეულ თხრობასთან დაკავშირებული საღვთისმეტყველო ლიტერატურა ცალსახად განაჩინებს, რომ იოანე ნათლისმცემელმა მაცხოვარი საკუთარი (მაკურთხეველი) მარჯვენის თავზე დადებით მონათლა (ასე აღასრულებდა იოანე ნათლისმცემელი ნათლობას სხვების მიმართაც). იესო ქრისტემ, საკუთარი ნათლისღებით (საკუთარი თავის მორჩილად დახრით იოანე ნათლისმცემლის წინაშე) უაღრესად დიდი თავმდაბლობა გამოავლინა. აღნიშნული გარემოება სრული სიცხადით აისახა აღნიშნულ გამომსახველობაში. ქვემოთ დავიმოწმებთ იოანე ნათლისმცემლის მაცხოვრის თავზე ხელის დადების ხატმეტყველების რამდენიმე განმარტებას, რომელნიც საფუძვლად უდევს ზემოდასახელებულ იკონოგრაფიას.

წმიდა იოანე ოქროპირის მიხედვით, იესო ქრისტემ ნათლისღებისას იოანე ნათლისმცემლის კურთხევისთვის ზეაღმართულ მარჯვენას თავი მოუდრიკა: ,,ზეუკუნიპყრა იოვანე ჴელი და თავი მოუდრიკა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2020, გვ. 129).

დასახელებული წმინდა მამის განმარტებით, იოანე ნათლისმცემელმა ძრწოლით აღაპყრო მისი მარჯვენა უფლის თავზე: „იოანე აღიპყრა მარჯუენწ̃ თჳსი

ძრწოლით დასდვა შიშით თავსა ზედა უფლისასა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1959, გვ. 81).

იმავეს ამბობს პროკლე კონსტანტინეპოლელიც: ,,შეახო იოვანე ყოვლადწმიდა თხემსა უფლისასა, ნათელ-სცა ერთსა წმიდისა სამებისაგანსა...“ (წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელი, 2020, გვ. 173).

„უძველეს იადგარში“ ვკითხულობთ: ,,დიდებაჲ შენდა მეუფეო დიდებისაო, რომელმან წინამორბედსა მოუდრიკე თავი შენი ნათლისღებად...“ (უძველესი იადგარი, განცხადებაჲ; მწუხრისა ჟამსა თქუან, 1980, გვ. 45). იმავე საღვთისმეტყველო წიგნში ვკითხულობთ: „საკუირველი საკუირველებათაჲ, უფროჲს დიდებული, წინაშე მონისა მდგომი ზეცისა მეუფეჲ მოუდრეკს თავსა, რომელმან მოდრიკნა ცანი, და ძრწოდეს ანგელოზთა წესნი, რაჟამს დამბადებელი მონისაგან ნათელს-იღებდა“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 49).

ნათლისღების იკონოგრაფიაში გამოვყოფთ იოანე ნათლისმცემლის გამოსახულების მოკრძალებულ დგომას, რაც მისი მაცხოვრის მიმართ რიდის ამსახველია. როგორც ზემოდამოწმებული სახარებისეული თხრობიდან ვიგებთ, იოანე ნათლისმცემელს არ სურდა უფლის ნათლისღება, რადგან იგი ამის ღირსად არ მიიჩნევდა საკუთარ თავს. ნათლისმცემლის ამ განწყობას კარგად გადმოგვცემს ევსები ალექსანდრიელი: „ოდეს მოვიდა ნათლისღებად, აყენებდა მას იოვანე და ეტყოდა: ,,მე მიჴმს შენ მიერ ნათლისღებაჲ, შენ ჩემდა მოხუალა?“ ვერ ძალმიც ნათლისცემად, იტყოდა, **ვერ ვიკადრებ თიჴისაგანისა ჴელისა ამაღლებად ზედა თხემსა უკუდავისა“** (წმ. ევსები ალექსანდრიელი, 2020, გვ. 176).

აღნიშნული ხატმეტყველებითი გარემოება კარგად აიხსნება ერთ-ერთ საეკლესიო საგალობელში გადმოცემული სიტყვებით, რომლის მიხედვითაც იოანეს მაცხოვრის თავზე ხელის შეხების ეშინოდა: ,,ეშინოდა იოვანეს ჴელისა შეხებად და იტყოდა: ვხედავ დამბადებელსა, შეძრწუნებულ ვარ და მეშინის დამბადებელისა ჴელისა შეხებად, რომელი კაცთმოყვარებით განსცხადნე ჩუენთჳს“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 49).

ზემოდამოწმებულ ეგზეგეზას უნდა ასახავდეს ნათლისღების იკონოგრაფიის რამდენიმე რედაქცია, სადაც იოანე ნათლისმცემელი მარჯვენა ხელით უფლის თავს ეხება, ხოლო მარცხენა ხელი ზეაპყრობილი აქვს, რითაც, ერთი მხრივ, უფალს

განადიდებს და მეორე მხრივ, საკუთარი თავის უფლის წინაშე დამცრობილობაზე მიუთითებს. აღნიშნული გადმოცემულია XIV საუკუნეების უბისას კედლის მხატვრობაში (ილ. 10).

მოხმობილი სახარებისეული თხრობისა და შესაბამისი განმარტების მიხედვით, ნათლიღებისას, უპირატესად აღსანიშნია, თავად განკაცებული ღმერთის თავმდაბლობა, რომელმაც თავისი მსახურისგან ნათლისღება ინება და ამით კაცთა მოდგა იხსნა ცოდვათაგან. იოანე ოქროპირი ამასთან დაკავშირებით ბრძანებს: ,,მოვიდა იორდანედ ნათლის-ღებად თჳსისა მონისაგან, რაჲთა ძუელი იგი კაცი კრულებისაგან განჴსნეს ღმრთეებითა თჳსითა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1959, გვ. 56).

მიქაელ მოდრეკილის ერთ-ერთ საგალობელში ნათქვამია, რომ იოანე ნათლისმცემელს ხელი უკრთოდა, როცა იესო ქრისტეს ნათლობას აღასრულებდა: „გიხილა რაჲ წინამორბედმან ძრწოდა ჴელითა: ვერ იკადრებდა შეხებად უხრწნელსა თავსა შენსა“ (წმ. მიქაელ მოდრეკილი, 1978, გვ. 133).

იოანე მტბევარის განმარტების მიხედვით, შემოქმედი, რომელიც თავს უდრეკს მის მიერ შექმნილს, ხრწნილებისგან იხსნის კაცობრივ ბუნებას: ,,სიმდაბლით მოუდრიკე თავი შემოქმედმან შექმნულსა, რაჲთა იჴსნე ხრწნილებისაგან ბუნებაჲ კაცობრივი“ (ინწკირველი თ. , 2014, გვ. 62).

ნათლისღების იკონოგრაფიაში გამოსახული იოანე ნათლისმცემელი, რომელიც მაცხოვრისკენ მიდრეკითაა გამოსახული და მას მოწიწებით ადებს ხელს თავზე, ზემო დამოწმებული საეკლესიო ლიტერატურის თანახმად, გამოხატავს უფლის მიმართ თაყვანისცემასა და კრძალვას.

ნათლისღების იკონოგრაფიულ რედაქციებში იოანეს ხელი მოკრძალებითა და ძრწოლით ეხება უფლის თავს, რის საფუძველსაც სხვადასხვა საეკლესიო საკითხავებში გადმოცემული სწავლება წარმოადგენს.

იოანე მინჩხი ერთ-ერთ საგალობელში ბრძანებს: ,,განშიშულებული რაჲ გიხილა წინამორბედმან, ძრწოდა შეხებად თავსა შენსა... რაჟამს შეახო წინამორბედმან მარჯუენე უხრწნელსა თავსა შენსა, ქრისტე ღმერთო, ადამ განთავისუფლდა ბრალთაგან ურჩებისათა...“ (წმ. იოანე მინჩხი, 2017, გვ. 165).

გრიგოლ ნეოკესარიელი ახმოვანებს (პერიფრაზის სახით) იესო ქრისტეს მიერ წარმოთქმულ სიტყვებს იოანე ნათლისმცემლის მიმართ, რომლის მიხედვითაც ის მოუწოდებს წინამორბედს, რომ მისი მარჯვენა ხელი კრძალვით შეახოს მაცხოვრის თავს, რომელსაც თავად ქერუბიმები მიაგებენ თაყვანს“ (წმ. გრიგოლ ნეოკესარიელი, თ. გ.).

ზემოთქმულისებრ, ნათლისღების იკონოგრაფიაში გვხვდება ანგელოზების გამოსახულებები, რომელნიც, ძირითადად, კომპოზიციის მარჯვენა მხარეს არიან განთავსებულები. ისინი თავდადრეკითა და მაცხოვრისადმი მიდრეკილი სხეულით გამოისახებიან, რითაც გამოხატულია მათი ქრისტესადმი თაყვანისცემა. საგულისხმოა, რომ ნათლისღების ამსახველ, შესაბამის სახარებისეულ თხრობაში ანგელოზები არ იხსენიებიან. იკონოგრაფიაში ანგელოზთა გამოსახვა დაფუძნებულია საღვთისმეტყველო ნაშრომების შინაარსზე, სადაც ხაზგასმულია, რომ ანგელოზები უჭვრეტენ ადამიანის (იოანე ნათლისმცემლის) მიერ განკაცებული ღმერთის ნათლობას და ამით გაკვირვებულები განადიდებენ მას. დავიმოწმებთ რამდენიმე მათგანს.

იოანე ოქროპირის მიხედვით, იოანე ნათლისმცემლის მიერ მაცხოვარზე დადებული ხელის (მის მიერ უფალზე ნათლისღების აღსრულების) შემხედვარე ანგელოზები **გაკვირვებას** მიეცნენ: ,,ხილვაჲ საკჳრველი. და შეახო თავსა უფლისასა ჴელი იოვანე; და ცანი განეხუნეს და იჭჳრობდეს ძწოლით წმიდანი ანგელოზნი“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2020, გვ. 145).

უფლის სიმდაბლით გაკვირვებულ და შეძრწუნებულ ანგელოზებზე საუბრობს ნათლისღებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ლიტურგიკული საკითხავი: ,,ანგელოზთა მჴედრობანი შეძრწუნდეს, გიხილეს რაჲ დღეს იორდანესა განშიშულებული შენ, მაცხოვარ, მდგომარეჲ წყალთა მათ შინა ნათლისღებასა და უხრწნელი თავი შენი მოდრეკილი ნათლისღებად იოანეჲსა, რამეთუ ნეფსით შენითა დაგლახაკებითა სოფელი განათავისუფლე“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 40).

პროკლე კონტანტინეპოლელის განმარტების მიხედვით, ნათლისღებისას იორდანესთან მოსული ანგელოზები მაცხოვარს **ემსახურებოდნენ**: ,,ხოლო აქა (იორდანესთან გ. ვ.) ანგელოზნი ზეცით მოვიდოდეს და ვითარცა ღმერთსა

შუწნიერებით მსახურებასა შესწირვიდეს“ (წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელი, 2020, გვ. 159).

„უძველეს იადგარში“ ვკითხულობთ, რომ მაცხოვრის ნათლისღების ჟამს „ანგელოზნი ზეცით მოვიდეს და მსახურებაჲ შეწირეს მისა“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 45).

ანგელოზთა გალობაზე საუბრობს იოანე მტბევარი: „იორდანისა წყალნი განსწმიდენ ნათლისღებითა შენითა, ხოლო ანგელოზნი თანა დგეს და **გალობდეს**: წმიდა ხარ, რომელი მოხუედ გამოჴსნად ადამიანთა მონებისაგან მაცთურისა, ქრისტე, ღმრთისა სიტყვაო, რომელი დიდებულ ხარ“ (წმ. იოანე მტბევარი, 2017, გვ. 58).

ზეციურ ძალთა გამოსახვის ერთ-ერთი საღვთისმეტყველო საფუძველს ასახელებს პროკლე კონსტანტინეპოლელი, რომლის თანახმადაც უსხეულო ძალნი გაკვირვებულნი არიან, თუ როგორ უდრეკს თავს განკაცებული ღმერთი ადამიანს: ,,დღეს წყალსა ზედა იორდანისასა მოვიდა მონისა ხატითა გამოჩინებული და ყოვლად პატიოსანი თავი თჳსი მოუდრიკა ჴელთა ქუწშე მიწიერისა ბუნებისასა. ძნიად უკუწ სახილველ იყო ზეცისა ძალთა, ვითარმედ სიგლახაკისა სახითა მოვიდა რა, ვითარცა კაცი ლიტონი და თავსა თჳსსა მოუდრეკს მონასა...“ (წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელი, 2020, გვ. 163).

იგივე შინაარსის მატარებელი სწავლებაა გადმოცემული ერთ-ერთ საღვთისმსახურო წიგნში: ,,საკჳრველი საკჳრველებათაჲ, უფროჲს დიდებული, წინაშე მონისა მდგომი ზეცისა მეუფწ მოუდრეკს თავსა, რომელმან მოდრიკნა ცანი, და ძრწოდეს ანგელოზთა წესნი, რაჟამს დამბადებელი მონისაგან ნათელს-იღებდა“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 49).

ზეციური ძალების მაცხოვრისკენ მიმართული ხელები დაბურულია, რაც უფლისადმი კრძალულებითი დამოკიდებულების გამომხატველია. არსებობს იკონოგრაფიული სქემა, სადაც ანგელოზების იესო ქრისტესკენ გაწვდილ ხელებს საგანგებო მატერია ფარავს. ამ კუთხით ძალიან საინტერესოა ქართული იკონოგრაფია - კერძოდ, სოლოღაშენის ლორფინის (X-XI სს.) რელიეფური გამოსახულება (ილ. 9). აღნიშნული გამომსახველობითი დეტალი ნათლისღების ხატმეტყველებაში, სავარაუდოდ, ბიზანტიის საიმპერატორო კარზე არსებული

ეტიკეტიდანაა შესული: როგორც ცნობილია, იმპერატორისთვის რაიმე ნივთის გადაცემა ან მისგან მიღება ჩვეულებრივად კი არ ხდებოდა, არამედ - მისდამი პატივისცემის ნიშნად - ქსოვილით დაფარული ხელებით (ინწკირველი თ. , 2017ა, გვ. 203).

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში სამღვდელო პირნი ზიარებისას ბარძიმს არა შიშველი ხელებით, არამედ ხელებზე გადაფარებული საგანგებო ქსოვილის (ბაღდადის) მეშვეობით ეხებიან. ამავე ქსოვილის დახმარებით აღესრულება საერო პირთა ზიარებაც.

ზემოდამოწმებული საღვთისმეტყველო ლიტერატურის საფუძველზე გასაგები ხდება ნათლისღების იკონოგრაფიაში ანგელოზთა გამოსახულებების ჩართვის მიზეზები. ანგელოზები გამოხატავენ მაცხოვრის თავმდაბლობით (რომელმაც ადამიანის მიერ ნათლისღება ინება) გამოწვეულ განცვიფრებასა და შიშს. ისინი, ამავდროულად, წარმოადგენენ უფლის მსახურებს და ქება-გალობით განადიდებენ მას.

3.7. ნათლისღების ხატმეტყველებაში წყლის, იორდანის უკუმიქცევისა და ემბაზის შესახებ

სახარებისეული თხრობის თანახმად, იესო ქრისტე მდინარე იორდანეში ინათლება, რაც ნათლისღების კომპოზიციაში სრული სიცხადით აისახება.

საინტერესოა, რატომ ინებებს უფალი წყალში ნათლისღებას? შესაბამისი ეგზეგეზის მიხედვით, როგორც წყლით განიბანება სხეულის სიბინძურე, ასევე, ნათლისღებისას ადამიანები სულიწმინდის მიერ ცოდვებისგან განიწმინდებიან. ამასთან დაკავშირებით, კირილე ალექსანდრიელი ბრძანებს: „რამეთუ მრჩობლ არს კაცი - სულთაგან და ჴორცთა შეყოფილ. ეგრეცა მრჩობლ არს განსაწმედელი იგი: უსხეულოჲ იგი უსხეულოსა, ჴორცი იგი - ჴორციელსა, წყალი იგი განსწმედს ჴორცთა და სული წმიდაჲ აღბეჰჭდავს სულთა, რაჲთა სხურებულნი გულითა, განბანილნი ჴორცითა წყლითა მით წმიდითა მოუხდეთ ღმერთსა. აწ, რაჟამს წყალსა ამას შეხვდოდი, ნუ წყალსა ამას ლიტონსა ხედავ, არამედ შეწევნასა სულისა

წმიდისასა და ცხოვრებასა ელოდე, რამეთუ თვინიერ მათ ორთასა, ვერ ეგების სრულყოფაჲ“ (წმ. კირილე ალექსანდრიელი, 2020, გვ. 43).

იგივე მოძღვარი საუბრობს იმასთან დაკავშირებითაც, რომ ნათლისღებისას წყლის გამოყენებას საფუძველი წმინდა წერილში აქვს: „უკუეთუ ვისმე სწადის კითხვად, ვითარმედ: რაჲსა წყლისაგან და არა სხჳსაგან წესისა მოეცემის მადლი იგი, საღმრთონი წიგნნი აიხუენ და ჰპოო, ვითარმედ დიდ და მთავარ არს წყალი და ოთხთა საჩინოთა მათ წესთა უმჯობჱს. ანგელოზთა საყოფელ ცანი არიან, არამედ წყალთაგანვე არიან. ქუეყანაჲ არს საყოფელი კაცთაჲ, ეგრევე წყალთა ზედა არს; და უწინარჱს ყოველთა მათ შობათა შესაქმესა ექვსთა დღეთასა ,,სული ღმრთისაჲ იქცეოდა წყალთა ზედა“.

დასაბამი სოფლისაჲ არს წყალი, დასაბამი სახარებისაჲ იორდანჱ არს...“ (წმ. კირილე ალექსანდრიელი, 2020, გვ. 44).

ხატმეტყველებაში მდინარე იორდანის არაერთგვაროვანი გამოსახულებები გვხვდება. მაგალითად, ზოგიერთ, ზემოდასახელებულ იკონოგრაფიულ რედაქციაში მდინარე იორდანე ხაზოვანი (ტალღოვანი) გამოსახულებითაა წარმოდგენილი (ილ. 10), რითაც წარმოჩენილია საეკლესიო სწავლება, რომლის თანახმადაც, ნათლისღებისას მდინარე იორდანე უკუიქცა.

დავითის მიერ დაწერილ 113-ე ფსალმუნი გადმოცემულია წინასწარმეტყველება იოარდანეს უკუქცევის შესახებ: „იორდანე უკუნიქცა მართლუკუნ“ (ფს. 113: 3). შესაბამის ეგზეგეზას არაერთი საეკლესიო საკითხავი გვთავაზობს. დავიმოწმებთ რამდენიმე მათგანს.

მიქაელ მოდრეკილი: „რაჲ არს შენდა, ზღვაო, რაჲ იხილე და ივლტი: და შენ იორდანეო რად უკუნ იქცენ კუალად“ (წმ. მიქაელ მოდრეკილი, 1978, გვ. 131).

იოანე მტბევარი: „იორდანე უკუნიქცა, რაჟამს შემოქმედი ყოველთაჲ იხილვე სიმდაბლით მდგომარე წინაშე მონისა განშიშულებული წყალთა შინა“ (წმ. იოანე მტბევარი, 2017, გვ. 53).

წმიდა ნინოს ავტორობით ცნობილ ნათლისღებასთან დაკავშირებულ საკითხავში ვკითხულობთ: „მას ჟამსა იორდანჱ, დიდი იგი მდინარჱ, შეძრწუნდა შიშითა უხილავისა დიდებისაგან შუენიერებისა ღმრთეებისა და უკუნ-იქცა თჳსსავე კუალსა“ (წმ. ნინო, 2020, გვ. 37).

წმინდა იოანე ოქროპირის განმარტების მიხედვით, იორდანემ ვერ იტვირთა მაცხოვარი და უკუიქცა. კონსტანტინეპოლელი მოძღვარი იოანე ნათლისმცემლის სიტყვების პერიფრაზ-განმარტებას გვთავზობს: „დაღაცათუ მე ნათლისცემაჲ შენი მნებავს, იორდანჱ არა თავს იდებს. გიცნა შენ, შემოქმედი, და უკუნ-აქცინა ღელვანი თჳსნი უკუმართ, არა წარვალს წარმართ, უვარ-ჰყოფს წესსა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2020, გვ. 143).

იმავე აზრს გადმოგვცემს პროკლე კონსტანტინეპოლელი: „ძნიად უკუჱ სახილველ იყო ზეცისა ძალთა, ვითარმედ სიგლახაკითა სახითა მოვიდა რა, ვითარცა კაცი ლიტონი და თავსა თჳსსა მოუდრეკს მონასა, რომლისა მხილველმან კუალად-ქცეული იხილვებოდა“ (წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელი, 2020, გვ. 163).

ერთ-ერთ საეკლესიო საკითხავში ვკითხულობთ: „დღეს ყოველი დაბადებული დღესასწაულობს, რამეთუ ნათელ-იღო იორდანესა იოვანჱსგან ძემან ღმრთისამან ჴორცითა. დადუმნეს მდინარენი და აღმართ დიოდეს“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 52).

ნათლისღების იკონოგრაფიაში ასახულ წყლის მდინარებას ადარებენ წარღვნისას წარმოქმნილ წყლის ზვირთებს. პროკლე კონსტანტინეპოლელის მიხედვით, წარღვნისას წარმოქმნილმა წყალმა კაცობრიობა დაღუპა, ხოლო ნათლისღების წყალმა წარწყმედულ ადამიანს სიცოცხლე დაუბრუნა: „აწ მოვედით და იხილეთ ესე წყლითრღუნაჲ, უმჯობესი და უსაკჳრველესი პირველისა მის, რომელი იყო ნოვეს-ზე. რამეთუ წყლითრღუნამან ნათესავი კაცთაჲ წარწყმიდა, ხოლო ამან წყალმან ნათლისღებისამან მკუდარნი განაცხოველნა“ (წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელი, 2020, გვ. 150).

წარღვნისა და ნათლისღების ,,წყლების“ სახისმეტყველებით კავშირზე საუბრობს წმინდა სოფრომ იერუსალიმელიც: „მრავალთა ნათლისღებათა მისცემდა შჯული, არამედ არცა ერთსა მათგანსა აქუნდა სრულებაჲ; პირველ შჯულისა ნოე ნათელ-იღებდა წყლითრღუნასა შინა მავალობითა და შემდგომად შჯულისა შენცა ნათლისცემად მოხუედ, არამედ ვერცა მან სრულებაჲ მისცა, ვერცა რაჲ შჯულმან სრულ-ყო, არცაღა შენ სრულებასა მისცემ, რამეთუ ესე ყოველნი: შენსა, ვიტყჳ, და მოსესთა და ნოვეს ნათლისღებასა, - ჩემისა ამის უსრულესისა ნათლისღებისა განცხადებულ წინასახე იყვნეს, რამეთუ წინაჲსწარმეტყველებით

იქმნებოდეს უფროჲს და არათუ ნათელღებულთა მათ სრულებისა მიმნიჭებელ ექმნებოდეს“ (წმ. სოფრონ იერუსალიმელი, 2020, გვ. 232).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის შემთხვევები, როცა ნათლისღების კომპოზიციაში მდინარე იორდანე მაცხოვარს თითქოს ,,მოსავს“. წყალში ჩასულ იესო ქრისტეს ფარავს იორდანეს ტალღები. იორდანე და იესო ქრისტე ერთ, განუყოფელ გამოსახულებას წარმოადგენენ.

„იორდანეშემოსილება“ უკავშირდება ნათლისღების საიდუმლოს მოქმედებას, რა დროსაც ადამიანი განიძარცვავს რა ცოდვას, ქრისტეშემოსილი ხდება. ნათლისღების ზემოდამოწმებულ ტროპარში ვკითხულობთ: „რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელგვიღებიეს, **ქრისტე შეგვიმოსიეს**“ (ნათლისღების ტროპარი, თ. გ.).

წყლის სტიქიონის არაბუნებრივი მოქმედება აკავშირებს ერთმანეთთან ნათლისღებასა და მოსეს მიერ ებრაელი ხალხის ეგვიპტიდან გამოყვანის ისტორიას. ორივე შემთხვევაში საქმე რჩეულთა სულების გამოხსნასა და გათავისუფლებას ეხება (ინწკირველი თ. , 2017ა, გვ. 204).

საღვთისმეტყველო ლიტერატურაში საუბარია ამ ორი მოვლენის ურთიერთკავშირის შესახებ. ქართველი ჰიმნოგრაფი იოანე მტბევარი თავის ერთ-ერთ საგალობელში ბრძანებს: „რომელიცა უძღოდა პირველ მოსეს მიერ ისრაწლთასა და კუერთხითა განუპო მეწამული და განიყვანნა დაულტოლველად, ესე აქა დღეს განშიშულებული ჴორცითა შთაჴჴდა წყალთა შინა იორდანისათა, ვითარცა კაცი, ღმერთი დაუსაბამოჲ, და საცნაური ფარაო, მტერი ადამის ნათესავისაჲ, დაანთქ სიღრმესა ბნელისასა და მიჴსნნეს ჩუენ მონებისაგან, ქრისტე ღმერთო, დიდებაჲ შენდა“ (წმ. იოანე მტბევარი, 2017, გვ. 56).

არსებობს დასახელებული ხატმეტყველების ადრეული ხანის კომპოზიციები, სადაც ყრმა მაცხოვარი ემბაზშია (სანათლავი ჭურჭელი) გამოსახული. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ადრექრისტიანული ხანის გამოსახულებები საქართველოში. დავასახელებთ VIII-IX საუკუნეების უსანეთის სტელაზე განთავსებულ რელიეფურ გამოსახულებას (ილ. 11) (მწუხრი ზატიკისანი, 2017, გვ. 34).

ერთ-ერთი ლიტურგიკულ საკითხავში ნათლისღებას ,,მეორედ შობის საბანელი“ (იგივე ემბაზი) ეწოდება: „განამართლოს უფალმან ერი თჳსი მშვიდობით, რომელნი განწმიდნა მადლითა ნათლისღებისაჲთა, და ნუგეშინისცეს მონათა თჳსთა, რომელი იჩინნა საბანელსა მას მეორედ შობისასა“ (მწუხრი ზატიკისანი, 2017, გვ. 36).

3.8. ნათლისღების იკონოგრაფიაში ჩართული ცეცხლის გამოსახულების შესახებ

არსებობს ადრექრისტიანული ხანის ნათლისღების კომპოზიციები, სადაც ცეცხლის გამოსახულებაცაა ჩართული. მაგალითად, 586 წლის რაბულას სახარების მინიატურა, სადაც იოანე ნათლისმცემელი ყრმის სახით წარმოდგენილ მაცხოვარს ნათლავს. წყალში, სადაც ნათლობა აღესრულება, ცეცხლის ალია გამოსახული (ინწკირველი თ. , 2017ა, გვ. 199).

ნათლისღების თემატიკასთან ცეცხლის სახისმეტყველება მისადაგებულია. იოანე ნათლისმცემელი მასთან მოსანათლად მისულ ადამიანებს ეუბნება: ,,მე უკუე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა სინანულად, ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა ვერ შემძლებელ ვარ ჴამლთა მისთა ტჳრთვად, მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა“ (მთ. 3:11). იოანე ოქროპირის განმარტების მიხედვით, ნათლისმცემელი ცეცხლში სულიწმინდის მხურვალებასა და სასიკეთო ზემოქმედებას გულისხმობს (წმ. იოანე ოქროპირი, 2014, გვ. 169).

კონსტანტინეპოლელი მოძღვარი ნათლისღებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ჰომილიაში დამოწმებულ სახარებისეულ სიტყვებს კიდევ ერთხელ განმარტავს და ამბობს, რომ უფლის მიერ ნახსენები ცეცხლი (საღვთო მადლი) კაცთა განმანათლებელია და არა მათი შემმუსრავი: „მან ნათელ გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა არა შემწუველითა, არამედ განმანათლებელითა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2020, გვ. 141).

ცეცხლის სახისმეტყველებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მოძღვრება აქვს ბასილი კესარიელს. წმინდა მამა საინტერესო პარალელებს ავლებს ,,ნათლისღების ცეცხლსა“ და ელია წინასწარმეტყველის ცხოვრებაში

მოხსენიებულ ცეცხლოვან ეტლს შორის, რომლითაც წმინდა მოღვაწე სასწაულებრივად აღიტაცა ღმერთმა ზეცად. „ელია ეტლსა ცეცხლისასა და ცხენთა ცეცხლისათა, მისდა მოსრულთა, არა შეეშინა, არამედ სურვილითა მით ზეცად აღსლვისაჲთა საშინელთა მათ შეჰკადრა და სიხარულით აღჴდა ეტლთა მათ ზედა ცეცხლისათა, რომელი იგი ჴორციელღა იყო. ხოლო შენ, რომელსა არა ცეცხლისა ეტლთა ზედა გიჴმს აღსვლაჲ, არამედ წყლისა მიერ სულისა აღმაღლებაჲ ზეცად, არა მიისწრაფო წოდებისა მის მიმართ?“ (ბასილი კესარიელი, 1983, გვ. 144).

წმინდა მამის განმარტების მიხედვით, ელია წინასწარმეტყველი არ შეშინებულა ზეციური ხილვით. მას ზეცად აღსვლის სურვილი ჰქონდა, ამიტომაც ავიდა ცეცხლოვან ეტლზე და ზეცად ამაღლდა. კონსტანტინეპოლელი მოძღვრის თანახმად, ქრისტიანს ზეცად ასამაღლებლად არ სჭირდება ცეცხლოვანი ეტლი, არამედ, სურვილისამებრ, წყლისა და სულის მიერ (ნათლისღების მადლომოსილებით) ამაღლდება.

კესარიელი მოძღვარი ცეცხლის სახისმეტყველების უკეთ წარმოსაჩენად ელია წინასწარმეტყველის ცხოვრების კიდევ ერთ ეპიზოდს განიხილავს: „აჩუენა ელია ძალი იგი ნათლისღებისაჲ საკურთხეველსა მას ზედა მსხუერპლისასა, რომელმან არა ცეცხლითა, არამედ წყლითა დაწუა შესაწირავი იგი, რამეთუ ბუნებაჲ ცეცხლისაჲ მარადის წყლის მბრძოლ არს. ვინაჲთგან უკუე მაშინ საიდუმლოდ წყალი იგი სამგზის მსხვერპლსა მას ზედა დაისხა, დასაბამ ექმნა ცეცხლსა და აღანთო ალი, ვითარცა ზეთმან, და დაასხით საკურთხეველსა მას ზედა და შეშასა. და თქუა მეორედცა: დაასხით, და მესამედცა, და დაასხეს. და სიტყუაჲ იგი აჩუენებდა, ვითარმედ ნათლისღებისა მიერ ღმერთსა მიეახლების ნათელღებული იგი და, ვითარმედ ნათელი წმიდაჲ და ზეცისაჲ სულსა შინა ნათელღებულთასა სარწმუნოებითა სამებისაჲთა აღმობრწყინდების“ (ბასილი კესარიელი, 1983, გვ. 143).

ბასილი კესარიელი იხსენიებს „მესამე მეფეთას“ წიგნში გადმოცემულ ისტორიას, რომლის მიხედვითაც ელია წინასწარმეტყველმა სამგზის დაასხმევინა წყალი შესაწირად განმზადებულ ზვარაკს, შემდეგ ილოცა და ზეციდან გარდამოსულმა ცეცხლმა შთანთქა აღსავლენი მსხვერპლი (ბიბლია, 2015, III

მეფეთა 18: 25-41). წმინდა მამის შესაბამისი განმარტების თანახმად, აღწერილი მოვლენა ნათლისღების წინასახეა.

წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით, იოანე ნათლისმცემელმა თავის ქადაგებაში ცეცხლი ძველი აღთქმის იმ მოვლენების გასახსენებლად წარმოსთქვა, რომლებიც ალის მოქმედებასთან არიან დაკავშირებულები: „ამისთჳს ცეცხლი იგი აჳსენა, რაჲთა მოაჳსენნეს მათ ძუელნი იგი ჩუენებანნი და აუწყოს, ვითარმედ უაღრეს დიდთა მათ წინასწარმეტყუელთასა ყოფად არიან, რომელნი ღირს იქმნენ მადლსა მას სულისა წმიდისასა მიღებად ქრისტეს მიერ, რამეთუ უმრავლესნი პირველთა მათ ხილვათანი ცეცხლითა იხილნეს. ესრეთ ეტყოდა მოსეს ღმერთი მაყვლოვანსა მას შინა, და ეგრეთვე კუალად მთასა სინასა ერი იგი ხედვიდა, ეგრეთვე კულად ეზეკიელს - ქერუბინთა ზედა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014ა, გვ. 169).

კონსტანტინეპოლელი მოძღვრის განმარტებით, ძველი აღთქმის მართლების დიდ ნაწილს საღვთო მადლი ცეცხლის სახით განეცხადებოდათ. ამის მაგალითად, წმინდა მამას მოსეს წინაშე ღვთის გამოცხადება მოჰყავს, სადაც უფალი წინასწარმეტყველს „შეუწველი მაყვლის“ სახით განეცხადა. „გამოსვლათას“ წიგნის მიხედვით, მოსემ იხილა მაყვლის ბუჩქი, რომელსაც ცეცხლი ეკიდა და არ იწვოდა. გარდა დასახელებული მაგალითისა, წმინდა იოანე ოქროპირი იმოწმებს სინას მთაზე მოსესთან და ეზეკიელ წინასწარმეტყველთან ღვთის გამოცხადების ბიბლიისეულ თხრობებს, სადაც თეოფანიები ცეცხლის სახით აღესრულება.

ცეცხლისა და წყლის ,,შეზავებაზე“ საუბრობს ტაბის ეპისკოპოსი იოანე: „ცეცხლი იგი საიდუმლოჲ შეზავა წყალთა და შეჰზავნა შეუზავებელთა სულნი ჴორცთა თანა განბანნა და უფალმან მონისაგან ნათელიღო და ჩუენ, ყოველთა ჭეშმარიტთა მათ ჴორცთა სიწმიდისა მისისათა: შეგინებოჳლნი და შებღალოჳლნი განვიბანენით: და რომელნი მეფობისაგან სიგლახაკესა შევრდომილ ვიყვენით მეფობადვე მოგჳყვანნა“ (წმ. იოანე ტაბიელი, 1918, გვ. 10).

დამოწმებული განმარტების მიხედვით, ღვთის ყოვლისშემძლეობის მეშვეობით, ბუნებითი თვისებებით ორი ურთიერთდაპირისპირებული სტიქიონი, ცეცხლი და წყალი ერთმანეთს შეეზავა, რითაც განკაცებული ღმერთის მიერ ადამიანის სულისა და ხორცის ნათლისღებით განწმედა წარმოჩნდა. საინტერესოა,

რომ ზემოდასახელებულ ილუსტრაციაში, რომელიც მინიატურას (ხელნაწერის ილუსტრაციას) წარმოადგენს, ცეცხლი წყალში ანთია, რაც დამოწმებულ განმარტებას ასახავს.

წმ. მიქაელ მოდრეკილის ერთ-ერთ ლიტურგიკულ საკითხავში ,,ნათლისღების ცეცხლი" კიდევ ერთ ძველაღთქმისეულ ისტორიას უკავშირდება: „რომელმან პირველ ალი საჴუმილისაჲ მის მძაფრი დაშრიტა და ღირსნი ყრმანი იჴსნნა, აქა დღეს დაწუა იორდანისა წყალთა თავები ვეშაპისაჲ და მან განბანა მწიკული ცოდვისაჲ ცუარითა ზეცისაჲთა" (წმ. მიქაელ მოდრეკილი, 1978, გვ. 132).

დამოწმებული ტექსტის თანახმად, დანიელის წინასწარმეტყველებაში მოთხრობილი ისტორია სამი ყრმის დასჯის შესახებ ნათლისღების წინასახეა. როგორც ცნობილია, მეფე ნაბუქოდონოსორის ბრძანების შესაბამისად, სამი ჭაბუკი ცეცხლში დასაწვავად ჩაყარეს, მაგრამ ცეცხლი, რომელსაც ყრმები უნდა გაენადგურებინა, უფალმა ჩააქრო. საკითხავის მიხედვით, იესო ქრისტეს ნათლობის ჟამს საღვთო ცეცხლმა შემუსრა სატანა („თავები ვეშაპისაჲში" ეშმაკი იგულისხმება, რაზეც ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ).

ერთ-ერთ ლიტურგიკულ საკითხავში საუბარია იმასთან დაკავშირებით, რომ ის ცეცხლი, რომელიც მოსე წინასწარმეტყველმა იხილა სინას მთაზე, ნათლისღებისას „ჭეშმარიტად ხორცშესხმულად" გამოჩნდა. შესაბამისად, იოანე ნათლისმცემლის მიერ ნახსენებ ცეცხლში ყოვლადწმიდა სამების მეორე ჰიპოსტასი მოიაზრება: „ღმერთი უხილავი, ნათელი მხოლოჲ, ცეცხლი უსხეულოჲ, დაუსაბამოჲ, რომელი პირველ იხილა მოსე მთასა სინასა, ესე აქა ჴორცშესხმული ჭეშმარიტად გამოჩნდა ჩუენთვის საბანელსა მას ზედა განმაცხოველებელსა იორდანესა" (ინწკირველი თ. , 2017, გვ. 120).

პროკლე კონსტანტინეპოლელი ნათელღებულ მაცხოვარს წყალში განათებულ ცეცხლს უწოდებს, რაც ზემოდასახელებული იკონოგრაფიის კიდევ ერთი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი საფუძველია: „აწ მოვედით და იხილეთ უმეტესი იგი საკჳრველი, რამეთუ მზისა იგი მზჱ იორდანესა შინა იბანების; ცეცხლი წყალსა შინა განათლდების; და კაცნი ღმერთსა ღმერთად იცნობენ და აღიარებენ" (წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელი, 2020, გვ. 148).

ერთ-ერთ საეკლესიო საგალობელში ვკითხულობთ: „მზჱ იგი სიმართლისაჲ იორდანესა შინა განიბანა“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 49).

3.9. სახარებისეულ თხრობაში გადმოცემული „განიხუენ ცანი“ - ს ეგზეგეზას სახისმეტყველებითი ასახვა ნათლისღების იკონოგრაფიაში

როგორც აღინიშნა, ნათლისღებისას ყოვლადწმინდა სამება განცხადდა. კერძოდ, მამა, რომლის ხმაც მოისმოდა ზეციდან, ძე, რომელიც იორდანეში ნათელიღებდა და სულიწმინდა, რომელიც მტრედის სახით გარდამოდიოდა ზეციდან და იორდანეში მყოფ ძეზე დაადგრებოდა. ამ საეკლესიო სწავლებას ნათლისღების იკონოგრაფია არაერთგვაროვნად გამოხატავს. უპირველესად, უნდა აღვნიშნოთ ცის სეგმენტი, რომელიც ხშირად ნახევარწრით ან წრით არის წარმოდგენილი და სადაც ანგელოზები და „მაკურთხეველი მარჯვენა“ გამოისახება. ასევე, აღნიშნული ცის სეგმენტიდან, ხშირად გარდამოდის სხივი (ხშირად სამად განტოტვილი), რომელსაც მტრედი „მოჰყვება“. წარმოდგენილი იკონოგრაფიული დეტალების გამოსახვა თითქმის ყველა ზემოდასახელებულ, ნათლისღების უკვე ჩამოყალიბებულ მხატვრულ ტიპს ახასიათებს.

აღნიშნული იკონოგრაფია წარმოადგენს შესაბამისი სახარებისეულ სიტყვების ილუსტრირებას, რომლის მიხედვითაც „განიხუენ ცანი“, რაც გამოხატავს იმას, რომ ნათელღებულმა უფალმა ადამის შეცოდების გამო დახშული სამოთხის კარი განაღო. დავიმოწმებთ შესაბამის სწავლებას, რომელიც წმინდა იოანე ოქროპირს განეკუთვნება: „ნათელ იღო იესუ და აღმოვიდა წყლისგან, რამეთუ თანა აღმოჰყვანდა ყოველი ბუნებაჲ კაცთაჲ დანთქმული ცოდვითა და იხილნა ცანი განხუმულნი, რომელნი დაუჴშნა ადამ თავსა თჳსსა და შჳლთა თჳსთა, ვითარაცა იგი მახჳლითა მით ცეცხლისაჲთა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014, გვ. 179).

კონსტანტინეპოლელი მოძღვრის განმარტების მიხედვით, მახარებლის მიერ გაჟღერებულ „გახსნილ ცაში“ იმ დაკეტილი სამოთხის კარის განღება მოიაზრება, რომელიც ღმერთმა ადამს დაუხშო.

იგივე მოძღვარი, როცა შესაბამის სახარებისეულ თხრობას განმარტავს, სვამს კითხვას: „რაჲსათჳ განეხუნეს ცანი? რაჲთა სცნა, ვითარმედ შენცა, რაჟამს ნათელ-იღებდე, ესრეთვე იქმნების, რამეთუ მოგიწოდს ღმერთი ზეცისა სასუფევლად და გასწავებს, რაჲთა არცაღა ერთი ზიარებაჲ გაქუნდეს საქმეთა თანა ქუეყანისათა. ხოლო უკუეთუ არა ხედევა თუალითა შენითა განხუმასა მას ცისასა, ნუ ურწმუნო იქმნები ამისთჳს, რამეთუ დაწყება სულიერთა და დიდებულთა საქმეთასა ხილულნი გამოჩნდებიან საკჳრველებანი უგულისხმოთათჳს, რომელთა უხმს ესევითარი ხილვაჲ...“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014, გვ. 181).

ოქროპირად წოდებული მოძღვრის ეგზეგეტიკის თანახმად, ადამიანის ნათლისღებისას, უხილავად, იგივე მეორდება, რაც იესო ქრისტეს იორდანეში ნათლობისას მოხდა - იხსნება ცა და ღმერთი ადამიანს ზეციური სასუფევლისკენ მოუწოდებს.

ნათლისღებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ჰომილიაში წმიდა სოფრონ იერუსალიმელი ამბობს, რომ უფალმა ზეცის სავანის შესასვლელი ხელმეორედ გახსნა და შიგ კაცობრივი ბუნება შეიყვანა: „ამათ ყოველთა დღესასწაულებასა ვდღესასწაულობთ ჩუენ დღეს... ამით მიერ განვწმდებით და განვახლდებით, ცხოველ ვიქმნებით და განვღმერთებით და ღმრთისა მიმართ მამისა შემავალნი ვჴმობთ: „აბბა, მამაო!“ მუნ, სადა-იგი ჩუენგან ამაღლებული ქრისტე წინამორბედად ჩუნდა შევიდა თავისა მიერ თჳსისაგან მიახლა ჩუენ შესავალი ზეცისა სავანეთაჲ, ნამდჳლვე წმიდაჲ და ცხოველი და ახალი, არასოდეს მოკუდა ვითარცა მიმღებელი დაჴსნისა რაჲსამე და დარღუევისაჲ, ვინაჲცა მადლით შვილ ღმრთისა ვიცნობებით და წიგნთა საცნაურთა აღვიწერებით და ზეცისა მათ პირმშოთა შევერთდებით“ (წმ. სოფრონ იერუსალიმელი, 2020, გვ. 240).

ნათლისღების იკონოგრაფიის უნიკალური სტილია წარმოდგენილი ზემოდასახელებულ უბისას (იმერეთი) წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის კედლის მხატვრობაში (XIV ს.), სადაც „ცის სეგმენტში“ გამოსახული ანგელოზები აღებენ „სამოთხის კარებს“ (ილ. 10) და საიდანაც მაკურთხეველი მარჯვენისა და

მისგან გამომავალი სხივი იხილვება (ანგელოზების ნათლისღების კომპოზიციაში ჩართულობის შესახებ ზემოთ უკვე ვიმსჯელეთ).[11]

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ზემოწარმოდგენილი სწავლება. როგორც ცნობილია იკონოგრაფიის საფუძველი ძე ღმერთის განკაცებაა. შესაბამისად, ქრისტიანულ ხატმეტყველებაში მხოლოდ ძე ღმერთის გამოსახვაა ნებადართული. შესაბამისად, იკონოგრაფიაში არ გამოისახება ყოვლადწმინდა სამების ორი ჰიპოსტასი: მამა და სულიწმინდა. [12] შეიძლება ითქვას, რომ ნათლისღების ხატმეტყველება ერთადერთია, სადაც ხატმწერები რთული ამოცანის წინაშე იდგნენ. მათ, ერთი მხრივ, არ უნდა დაერღვიათ კანონი მამისა და სულიწმინდის გამოუსახველობის შესახებ (ჭელიძე , 2020, გვ. 203-205), მეორე მხრივ, კი, უნდა ეჩვენებინათ ნათლისღების დროს აღსრულებული ყოვლადწმინდა სამების პირთა ერთღმრთეებითი მოქმედება. ამიტომ ისინი მამასა და სულს სიმბოლურად გამოსახავენ. როგორც უკვე აღინიშნა, ,,ცის სეგმენტში“ მამა ხშირად გამოსახულია მაკურთხეველი მარჯვენითა და მისგან მომავალი სხივებით (ან სხივით), რომელიც იორდანეში მდგარ იესო ქრისტეს გამოსახულებაზე ეშვება. ცის სეგმენტიდან მომავალი სხივებით წარმოჩენილია მამის ხმა, რომელიც ძეზე მიანიშნებდა.

„მაკურთხეველი მარჯვენა“ წყალში მყოფი ძისკენაა მიქცეული. როგორც სადოქტორო ნაშრომის პირველ თავში გვქონდა საუბარი, თითების წყობით მიღებული **ჟესტიკულაცია** ქრისტიანულ ხატმეტყველებაში (გარდა კურთხევისა) გამოხატავს საუბარსაც, ქადაგებასაც. შესაბამისად, ცის სეგმენტში გამოსახული თითების წყობა გამოხატავს მამის სიტყვებს, რომელიც ძეს მიემართება.

---

[11] ხატმეტყველებაში ვხვდებით მსგავსი ტიპის იკონოგრაფიულ დეტალს სოღლუღაშენის ლორფინის ზედაპირზეც, ამჯერად ამაღლების კომპოზიციაში. როგორც ცნობილია, იესო ქრისტეს ამაღლებით, ამაღლდა კაცობრივი ბუნება. შესაბამისად, აღნიშნული იკონოგრაფიაც ანგელოზთა მიერ „სამოთხის კარის“ განღებას გამოხატავს.

[12] ქრისტიანულ ხელოვნებაში გვაქვს ყოვლადწმიდა სამების გამოსახვის მცდელობები. თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სამების გამოსახულების არცერთი შემთხვევა არ არის სამჰიპოსტასოვანი და ერთარსება ღმერთის არსის გამომხატველი. როგორც სიტყვას არ შეუძლა გამოთქვას სამების ერთარსებობისა და სამპიროვნების შესახებ მსჯელობა, ასევე არ ძალუძს ადამიანს გამოსახოს გამოუთქმელი. შეუძლებელია გამოსახო ერთი, რომელიც სამია და სამი, რომელიც ერთია. და კიდევ: რადგან ყოვლადწმინდა სამების ორი პირი - მამა და სულიწმინდა, არ განსხეულებულა (განსხეულდა და განკაცდა მხოლოდ ძე), არ მიუღია ხორცი, მაშასადამე არ გამხდარა ხილული - ყოვლადშეუძლებელია უხილავის გამოსახვა (ჭელიძე , მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება წმინდა ხატთა თაყვანისცემის შესახებ, 2020, გვ. 204). შესაბამისად, ყოვლადწმინდა სამების გამოსახულებები სიმბოლური ხასიათის მატარებელნი არიან გვიანბიზანტიურ ხანასა და რუსულ ხატმეტყველებაში.

ნათლისღების თითქმის ყოველ ხატმეტყველებით ნიმუშში, **„მაკურთხეველი მარჯვენიდან“ გამოდის სხივები, რომელიც მაცხოვრის გამოსახულებისკენ მიემართება.** როგორც ზემოთ აღინიშნა,ზოგიერთ იკონოგრაფიულ რედაქციაში, სხივების ფონზე ხშირად ზეციდან მტრედი ეშვება, რომელიც მაცხოვრისკენ მიემართება.

სხივები გამოხატავს ნათლის სახით გამოხატულ სულიწმინდის მადლს. ამას მოწმობს აღნიშნულ დღესასწაულთან დაკავშირებული საღვთისმეტყველო ლიტერატურაში წარმოდგენილი შესაბამისი სწავლებანი.

3.10. საღვთო ნათლის შესახებ

წმიდა იოანე ოქროპირი, ნათლისღებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ჰომილიაში, დაწვრილებით საუბრობს საღმრთო ნათლის შესახებ. მას არაერთი მაგალითი მოჰყავს წმინდა წერილიდან იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და სად განცხადდა ნათლის სახით საღვთო მადლი. საბოლოოდ, კი, დაასკვნის, რომ „დღეს მოვიდა ყოველსა დაბადებულსა და ნათლითა მით ღმრთეებისაჲთა ყოველი სოფელი განანათლა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2020, გვ. 98).

ტაბიას ეპისკოპოსი იოანე ბრძანებს: „და რომელნი ბნელსა შინა ვიყვენით და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი გამოგჳბრწყინდა, განიბანა სოფელმან სიმრავლჱ იგი ცოდუათაჲ“ (წმ ივლიანე, 2020, გვ. 207).

საღვთისმეტყველო ტექსტებში ნათელღებულ ქრისტეს „ნათელი“ ეწოდება: „ღმერთი უფალი და გამოგუიჩნდი ჩუენ ნათელი ჭეშმარიტი, რომელი მოხუედ და ჯერ-იჩინე შთასვლაჲ წყალთა მათ შინა, დამბადებელმან ყოველთამან, რაჲთა ჩუენ მორწმუნენი ცოდუათაგან განგუწმიდნე“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 47).

დასახელებულ იკონოგრაფიაში სხივების სამად განტოტვის საფუძველს წმიდა ნინოს ნათლისღებასთან დაკავშირებულ ჰომილიაში ვხვდებით: „ნათელი არს ღმერთი... **ნათელი არს სამი და მზისთუალთაჲ და სწორად ბრწყინვალჱ, მიუწვდომელი და შეურყეველი**“ (წმ. ნინო, 2020, გვ. 31).

კაბადოკიელი ქალწული ზედმიწევნით განმარტავს ზოგიერთ იკონოგრაფიულ რედაქციაში სხივის სამად განტოტვის საღვთისმეტყველო საფუძველს - სამად განტოტილი სხივი ყოვლადწმინდა სამების გამომხატველია.

სახარებაში უფალი თავად უწოდებს საკუთარ თავს ნათელს: „მერმეცა ეტყოდავე იესუ და ჰრქუა მათ: „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაჲ“ (ბიბლია, 2015, იო. 8:12).

ქართულ ენაში ტერმინ „ნათლისღების“ დამკვიდრების საფუძველი ზემოდამოწმებული საღვთისმეტყველო ტექსტების შინაარსია.[13]

3.11. მტრედის სახისმეტყველება ნათლისღების ხატმეტყველებაში

ნათლისღების იკონოგრაფია გამოხატავს შესაბამის სახარებისეულ თხრობას, რომლის მიხედვითაც სულიწმინდა მტრედის სახით გარდამოვიდოდა და ძეზე დაადგრებოდა. იოანე ოქროპირის მიხედვით, იორდანეს ნაპირას შეკრებილ ადამიანებს რომ არ ჰგონებდათ ზეციდან მომავალი ხმა სხვას განეკუთვნებდა (და არა ძეს), სწორედ ამიტომ, მტრედის სახით გარდამომავალი სულიწმინდა, მამის მიერ გახმოვანებული სიტყვების კვალდაკვალ, ძეზე გარდამოვიდა და დაადგრა (წმ. იოანე ოქროპირი, 2014, გვ. 181).

წმინდა იოანე ოქროპირი საუბრობს იმასთან დაკავშირებითაც, თუ რატომ მაინცადამაინც მტრედის სახით ინება სულიწმინდამ გარდამოსვლა: მტრედი მშვიდი და სუფთა არსებაა, ხოლო „ყოვლადწმიდაჲ იგი სული სიმშვიდისაჲ არს და სიწმიდისაჲ“ (წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, 2014, გვ. 181).

---

[13] სხვადასხვა ენაში მაცხოვრის ნათლისღების გამომხატველი განსხვავებული ტერმინებია გამოყენებული. ძველ ბერძნულში „βαπτίζω“ ზმნა წყალში შთაფლვას ნიშნავს, რაც დაკავშირებულია ნათლისღების საიდუმლოს აღსრულების ხილულ მხარესთან - შთაფლვით ნათლობასთან. იმავე შინაარსის მატარებელი ტერმინია გამოყენებული ებრაულ ენაშიც („tabila“). ძველ სლავურსა და რუსულში ნათლისღება ჯვარს (крест) უკავშირდება - крещение. საეკლესიო სლავურში გამოყენებულია ტერმინი „хрест“ (და არა - крест), რაც სიტყვა „ქრისტეს“ უკავშირდება. რაც შეეხება ქართულ ტერმინს „ნათლისღება“, იგი შესატვისია ბერძნული ტერმინისა „φωτισμα“ (აღნიშნული ტერმინი წინარექრისტიანული ეპოქიდან მომდინარეობს (მელიქიშვილი, 2012, გვ. 47).

ბასილი კესარიელის განმარტების მიხედვით, მტრედის სახით გარდამოსული სულიწმინდა ნებისმიერ მორწმუნე ადამიანზე დაივანებს (წმიდა იპოლიტე რომაელი & წმიდა ბასილი კესარიელი, 1979, გვ. 189).

3.12. ჯვარი, გველი და მისი მოკვეთილ-გასრესილი თავი ნათლისღების კომპოზიციაში

განკაცებული ღმერთის ნათელღების რიგ კომპოზიციებში იორდანეში შთასული იესო ქრისტე ფეხით გველს თრგუნავს. აღნიშნული იკონოგრაფიული ჩანართის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული, XI საუკუნის გამომსახველობა საქართველოში გვხვდება - კერძოდ, ღვთისმშობლის ხატის (ზარზმის მონასტრიდან) კარედის მოჭედილობის ფრაგმენტზე განთავსებულ ნათლისღების ხატმეტყველებაში (ილ. 12).

ჯვრისა და გველის (გველეშაპის) გამოსახულებების ჩართვას ნათლისღების კომპოზიციაში აქვს საღვთისმეტყველო საფუძვლები. ქრისტემ ჯვრით დაამარცხა სიკვდილი, ხოლო ნათლისღების საიდუმლო, რომელიც იორდანეში მონათვლის დროს დააწესა მაცხოვარმა, შემდეგ შინაარსს მოიცავს: როდესაც ადამიანი ინათლება, კვდება ძველი კაცი და წყლიდან აღმოიშობა ახალი, ცოდვებისგან განწმედილი ადამიანი. პავლე მოციქულის მიხედვით: „ანუ არა უწყითა, რამეთუ რომელთა-ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იესუჲს მიერ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ? და თანა-დავეფლენით მას ნათლის-ღებითა მით სიკუდილსა მისსა, რაჲთა ვითარცა-იგი აღდგა ქრისტე მკუდრეთით დიდებითა მამისაჲთა, ეგრეთცა ჩუენ განახლებითა ცხორებისაჲთა ვიდოდით” (ბიბლია, 2015, რომ. 6:3-5).

ჯვრისა და ნათლისღების კავშირის უფრო ცხადად წარმოჩენისთვის, მოვიხმობთ სახარებაში გადმოცემულ თხრობას: ჯვარცმულ მაცხოვარს, მას შემდეგ რაც ფერდში ლახვარი უგმირეს, მას ჭრილობიდან გარდამოუვიდა სისხლი და წყალი (ბიბლია, 2015, იო. 19:34). ეგზეგეტთა მიხედვით, სისხლი განასახიერებს განკაცებული ღმრთის მიერ კაცთა გამოხსნისთვის დაღვრილ სისხლს, ხოლო წყალი - წმინდა ნათლისღებას, რომელმაც ცოდვათა მიტევება მოუტანა კაცობრიობას.

წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „ამათ ორთა მიერ არს საიდუმლოჲ ეკლესიისაჲ და იციან მორწმუნეთა, რამეთუ წყლითა იშუებიან და სისჴლითა და ხორცითა უფლისაჲთა იზარდებიან“ (წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, 1993ა, გვ. 312).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, იესო ქრისტეს ფერდიდან გარდამომავალი სისხლი დაიღვარა კაცთა ცოდვების მისატევებლად, ხოლო წყალი - გამოხსნის ემბაზს (სანათლავ ჭურჭელს) განასახიერებს (Августин Иппонийский блаженный ნ. , თ. გ.).

გველი სახეა ეშმაკისა, რომელიც უფლის მიერ დაითრგუნება. როგორც ცნობილია, კაცობრიობის პირველმშობლები სატანამ სწორედ გველის მეშვეობით აცდუნა. შესაბამისად, გველი განასახიერებს სატანას, რომლის შემუსვრაც იწინასწარმეტყველა უფალმა, როცა გველს უთხრა: „მტერობაჲ დავდვა შორის შენსა და შორის დედაკაცისა, და შორის თესლისა შენისა და შორის თესლისა მისისა. იგი შენსა უმზირდეს თავსა და შენ უმზირდე მისსა ბრჭალსა“ (ბიბლია, 2015, დაბ. 3:15). დამოწმებული ბიბლიისეული ციტატა არის პირველი მესიანისტური წინასწარმეტყველება. კაცობრიობის გამოხსნა ჯვრით (განკაცებული ღმერთის ჯვარზე გაკვრით) აღსრულდა. ამასთან დაკავშირებით, წმიდა თეოდორე სტუდიელი ბრძანებს: „ვითარცა იგი წარმდებად განმარტებელთა მათ ჴელთათჳს, ხესა მას ცნობადისასა ნეტარებისა მისგან ცხოვრებისა ექსორია ვიქმნენით, ეგრეთვე ახოვნებით განპყრობილთა მათ ჴელთათვის მაცხოვრისა ჩუენისა ძელსა მას ცხოვრებისასა კუალად საშუებელთა მათ სამოთხის მკჳდრ ვიქმნენით და სასუფეველსა ცათასა აღვიწიენით“ (ტრიოდიონი მარხვანი, 1901, გვ. 554).

წმინდა მამის მიხედვით, კაცობრიობა ჯვარმა დააბრუნა სამოთხეში.

ჯვრისა და ნათლისღების კავშირის შესახებ საუბრობს სოფრონ იერუსალიმელი: „ნათლისღებაჲ ჩემი არს დასაბამ ჩემისა თქუენდა მიმართ განცხადებისა, ხოლო ვნებაჲ - დასასრულ ჩემისა თქუენ თანა ქცევის“ (წმ. სოფრონ იერუსალიმელი, 2020, გვ. 230).

დამოწმებული ეგზეგეზისის მიხედვით, ნათლისღებით იწყება განკაცებული ღმერთის კაცთა შორის მოსაგრეობა, ხოლო ჯვარცმით - სრულდება.

საინტერესოა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც, ხშირად, ქრისტიანულ ქვეყნებში, ადამიანთა გარკვეული კრებულის ნათელღების სიმბოლოდ ქვაჯვარებს აღმართავდნენ, სადაც, ხშირ შემთხვევაში, მთავარ გამოსახულებად ნათლისღების კომპოზიცია იყო განთავსებული. ქვაჯვარებს მრავლად ვხვდებით საქართველოს ისტორიის ადრექრისტიანულ ხანაში (მაჩაბელი, გვ. 215-218).

„დაბადების“ წიგნის მიხედვით, ეშმაკი გველში შედის და შესაბამისად, ეს ქვეწარმავალი ხატმეტყველებაში ეშმაკის სიმბოლოა. ხოლო ვეშაპის სახისმეტყველებასთან დაკავშირებით სწავლება გადმოცემულია ფსალმუნში. კერძოდ, 73-ე ფსალმუნში ვკითხულობთ: „შენ შეჰმუსრე თავები ვეშაპთაჲ წყალთა ზედა“ (ბიბლია, 2015, ფს. 73:13).

ფსალმუნის დამოწმებული სიტყვების ერთ-ერთი განმარტება[14] არის ის, რომ უფალმა ნათლისღებისას შემუსრა წყალში დაბუდებული ეშმაკი და მას (წყალს) ნათლისღების მადლმოსილება მიანიჭა. დავიმოწმებთ შესაბამის ეგზეგეზას, რომელიც ევსები ალექსანდრიელს განეკუთვნება: **„დათრგუნა ეშმაკი წყალთა შინა და თავი მისი შემუსრა, ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყველი: „შენ შეჰმუსრე თავები ვეშაპისაჲ მის და მიეც იგი საჭმელად ერსა მას ჰინდოეთისასა“.** ხოლო ვეშაპად თქუა მრავალგულარძნილი ეშმაკი, წყლად - იორდანესა ნათლისღებაჲ, ... უკუეთუ დავიცვათ ნათლისღებაჲ უბიწოდ, ჴელმწიფებაჲ გუაქუნდეს დათრგუნვად მისა, ვითარცა იგი უფალმან თქუა: „აჰა ესერა, მიგეც თქუენ ჴელმწიფებაჲ დათრგუნვად ზედა გუელთა და ღრიანკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა“ (წმ. ევსები ალექსანდრიელი, 2020, გვ. 175-176).

წმიდა კირილე იერუსალიმელის ნათლისღებასთან დაკავშირებულ საკითხავში წერია: „ვეშაპი იყო წყალთა შინა, ვითარცა იტყჳს იობი, „რომელმან შთაიწრიდის იორდანწ᾽ თუალსა მისსა“ და რამეთუ ჯერ-იყო შემუსვრად თავები ვეშაპისაჲ მის, შევიდა თავადი წყალთა მათ შინა და შეკრა ძლიერი იგი, რაჲთა ფლობაჲ მოგუცეს ჩუენ დათრგუნვად გველთა ზედა და ღრიაკალთა და ყოველსა ძალსა მტერისასა“ (წმ. კირილე ალექსანდრიელი, 2020, გვ. 49).

[14] დამოწმებულ სიტყვებს ათანასე დიდი და თეოდორიტე კვირელი სხვა მნიშვნელობითაც განმარტავენ და ამბობენ, რომ აქ დავითი გულისხმობს მეწამულ ზღვაში დამხრჩვალ ფარონს და მის მხედრიონს. (იხ. ათანასე დიდი, თბ. 2009. და შემდეგი საიტი: https://ekzeget.ru/bible/psaltir/glava-73/stih-13/)

თეოდორიტე კვირელის განმარტების მიხედვით, იონა წინასწარმეტყველმა („იონას წიგნის“ მიხედვით) ვეშაპის წიაღი „ჯოჯოხეთის მუცლად“ მოიხსენია, რადგან განწირული იყო სიკვდილისთვის და მხოლოდ საღვთო მადლით ინარჩუნებდა სიცოცხლეს (ორჟონია ი. , 2014, გვ. 252).

ნათლისღებისას შემუსვრილ ეშმაკს „ვეშაპად“ სახელდებს წმიდა იოანე ოქროპირიც: „ამას დღესა (იგულისხმება მაცხოვრის ნათლისღების დღე - გ. ვ.) ეშმაკი იწყლა, ვეშაპი განსთქდა და ყოველი ძალი მისი დაეცა ამისთჳს, რამეთუ ღმერთი გამოჩნდა, რამეთუ ესე ესრწთ არს“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2020, გვ. 101).

წარმოდგენილი სწავლების მიხედვით, ფსალმუნში გახმოვანებული და შესაბამისად, ნათლისღების იკონოგრაფიაში ასახული, წყალში გამოსახული ვეშაპი ეშმაკის სიმბოლოა, რომელიც ნათლისღების მადლმოსილებით შეიმუსრება.

ტაბიას ეპისკოპოსი იოანე ამბობს, რომ იორდანემ ძლია ეშმაკს, რადგან ქრისტემ მასში განბანვა ინება. წმინდა ეპისკოპოსის მიხედვით, ქრისტეს სამჭედურმა ეშმაკი შეიპყრო და მოკლა: „იორდანემან სძლო ეშმაკსა, რამეთუ ქრისტწ მას შინა განიბანა და ეშმაკნი განჰკრთეს და ღმრთეებისამან სამჭედურმან ვეშაპი იგი შეიპყრა და მოსპო“ (წმ ივლიანე, 2020, გვ. 208).

წმიდა ნინო ნათლისღებისადმი მიძღვნილ ჰომილიაში ამბობს, რომ უფალმა, თავისი ნათლისღებით ვეშაპი შეკრა: „შეკრა ვეშაპი იგი განუჴსნელითა საკვრელითა სიბოროტისა“ (წმ. ნინო, 2020, გვ. 37).

არის ნათლისღების იკონოგრაფიული ტიპი, სადაც ნათლად ჩანს გველის გასრესილი და მოკვეთილი თავი. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოსარჩევია კიევის ფსალმუნის ილუსტრირება (ინწკირველი თ. , 2017ა, გვ. 198), სადაც ქრისტეს ჯვარცმისა და ნათლისღების კომპოზიციები ერთადაა წარმოდგენილი (რაც კიდევ ერთხელ ასაჩინოებს ჯვარზე აღსრულებული მსხვერპლისა და ნათლისღების კავშირს), ხოლო მათ ქვემოთ ორი თავმოკვეთილი გველის გამოსახულებას ვჭვრეტთ, რომელთა უთავო სხეულები მოკვეთილი და გასრესილი თავების მოშორებითაა გამოსახული. წარმოდგენილი ხატმეტყველება „დაბადების წიგნის“ ზემოდამოწმებული თხრობის ილუსტრირებას წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, უფლის სიტყვების შესაბამისად, მოვიდოდა დრო, როცა გველის

(ეშმაკის) თავი შეიმუსრებოდა, მეორე მხრივ კი, წარმოდგენილი იკონოგრაფია გრიგოლ ნოსელის შესაბამისი ეგზეგეზისს გადმოსცემს. ნოსელი მღვდელმთავრის მიხედვით, გველის მოჭრილი თავი განასახიერებს ეშმაკის, ბოროტების შემუსვრას. როგორც გველი თავის გასრესის შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში კვლავაც აგრძელებს სიცოცხლეს, ასევე, ქრისტეს განკაცების შედეგად ძლეული ბოროტება კვლავ განაგრძობს ბრძოლას კაცობრიობის წინააღმდეგ. თუმცა, როგორც თავმოკვეთილი გველი უეჭველად განწირულია საბოლოო სიკვდილისთვის, ასე, „თავშემუსვრილი“ ეშმაკი ქრისტეს მიერ აუცილებლად განადგურდება და ბოროტება საბოლოოდ დამარცხდება. წმინდა გრიგოლი ასახელებს იმის მიზეზსაც, თუ რატომ უშვებს უფალი ეშმაკის გარკვეული დროით მოქმედებას - რათა მასთან ბრძოლაში გამოიწვრთნენ მართალნი: „მან, ვინც დაარღვია სიკვდილის მპყრობელობა, სწორედ გველის თავში არსებული ძალა შემუსრა, როგორც ამბობს წინასწარმეტყველი (შდრ. ფს. 73: 14), ხოლო მხეცის დანარჩენი წაგრძელება, რაც თანამითესილია ადამიანურ ყოფასთან, მანამ დარჩება მუდამჟამს გამაუხეშებელი ამა ყოფისა ცოდვის ქერცლით, სანამ ბოროტებისეულ მოძრაობებში იქნება კაცობრიობა. მართალია, ეს წაგრძელება თავის ძალით უკვე მკვდარია, რადგან გაუვარგისებულია თავი, მაგრამ როდესაც ჩაივლის ჟამი და შეჩერდებიან მოძრავნი, თანახმად ამა ცხოვრების მოსალოდნელი აღსასრულისა, სწორედ მაშინ განადგურდება მტრის კუდი და კიდური, - ანუ სიკვდილი, - და ამ სახით ბოროტების სრული გაქრობა მოხდება, რაჟამს აღდგომის გზით ყველანი სიცოცხლისკენ იქნებიან ხმობილნი და რაჟამს მართალნი მყის ზენა სავანეში გადასახლდებიან, ხოლო ცოდვათა თანამდებნი გადაეცემიან გეჰენიის ცეცხლს“ (წმ. გრიგოლ ნოსელი, 2011, გვ. 177-178).

ნათლისღების ხატმეტყველებაში იოანე ნათლისმცემლის შესამოსელს გამოვყოფთ, რის შესახებაც სახარება გვაუწყებს: ,,ხოლო თავადსა იოვანეს ემოსა სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავისაჲ წელთა“ (ბიბლია, 2015, მთ. 3: 4).

3.13. იოანე ნათლისმცემლის შესამოსელი

ნათლისღების იკონოგრაფიაში სახისმეტყველებითი ხასიათისაა იოანე ნათლისმცემლის შესამოსელი. წმ. იოანე ოქროპირის ეგზეგეზის მიხედვით, **უფლის წინამორბედის შესამოსელი** მის ანგელოზებრივ ცხოვრებაზე მეტყველებდა.[15] კონსტანტინეპოლელი მოძღვრის თანახმად, ბეწვის შესამოსელი ადამიანური საზრუნავებისგან განრიდებას მოასწავებს. გარდა ამისა, იოანე ნათლისმცემელი საკუთარი შესამოსელით მოუწოდებს ქრისტეს მიმდევრებს სამოთხისეული მდგომარეობაში დაბრუნებისკენ, სადაც ადამიანს სამოსელი არ სჭირდებოდა: „ამისთჳს სამოსელიცა მისი თმისაჲ იყო, რაჲთა ასწაოს კაცთა სივლტოლაჲ შუებისა და ფუფუნებისაგან და ძიებად პირველისა მის აზნაურებისა, რომელი იგი აქუნდა ადამს, ვიდრეღა არა ჴმარებულ იყო მისა სამოსელთა საბურველი. ესრეთ უკუე აქუნდა სახესა მას ნათლისმცემელისასა წესი სინანულისა და აზნაურებისა მის უფლებისა ვნებათაჲსა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014ა, გვ. 155).

აქლემის ბეწვთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო განმარტება აქვს თეოფილაქტე ბულგარელს: იოანე სიტყვითაც და გარეგნობითაც სინანულისკენ განაწყობდა ადამიანებს, რადგან სამგლოვიარო ტანისამოსს ატარებდა. ამბობენ, რომ აქლემი საშუალოა წმინდა და არაწმინდა ცხოველებს შორის, ის წმინდაა იმის გამო, რომ იცოხნება და არაწმიდაა, რადგან განუყოფელი ჩლიქები აქვს. ვინაიდან იოანეს ღმერთთან მიჰყავდა წმინდა ებრაელი ერიც და უწმინდური წარმართებიც და ძველსა და ახალ აღთქმის შუა მოსაგრეობდა, ამიტომ აქლემის ბეწვის შესამოსელს ატარებდა“ (ნეტარი თეოფილაქტე, 2009, გვ. 56).

იგივე შინაარსის მატარებელი სწავლება აქვს თეოდორე მოფსუეტელს, რომელიც ზედმიწევნით განმარტავს აქლემის წმინდა და არაწმინდა ცხოველებს შორის მყოფობას და ამბობს, რომ მისი ბეწვით იოანე ნათლისმცემლის შემოსვა

[15]არსებობს იოანე ნათლისმცემლის ხატები, სადაც სადაც იგი ფრთებით გამოისახება. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს არის ერთადერთი წმინდანი, რომელსაც ფრთებით გამოხატავს იკონგრაფია (როგორც ცნობილია, ფრთებით, მხოლოდ ანგელოზები გამოისახებიან), რაც განპიროვებულია მისი ანგელოზებრივი ცხოვრების წარმოჩინების მიზეზით. იოანე ოქროპირი ბრძანებს, რომ იგი უდაბნოში ცხოვრობდა, როგორც ანგელოზი (წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, 2014, გვ. 155)კირილე ალექსანდრიელი კი ბრძანებს, რომ ის „ფრთოვან ჰყოფდა სულსა“ (წმ. იოანე ოქროპირი, საკითხავნი ხარებისანი, 1959, გვ. 86).

ებრაელებისა და წარმართების მიმართ სასუფევლის დამკვიდრებისკენ მოწოდებას განასახიერებს (Феодор Мопсуестийский епископ, თ. გ.).

ეფრემ ასურის განმარტების მიხედვით კი, იოანე წინამორბედის მიერ აქლემის ბეწვით შემოსვა განპირობებული იყო იმით, რომ წმინდა ცხვარი ჯერ არ იყო გაპარსული (იგულისხმება ის, რომ მაცხოვრის ვნება ჯერ არ იყო აღსრულებული) . (Ефрем Сирин преподобный, თ. გ.).

წმინდა კირილე ალექსანდრიელის მიხედვით, აქლემის ბეწვი „მონაზონობისა საქმესა თჳსაგან აჩუენებდა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1959, გვ. 86).

რაც შეეხება ტყავის სარტყელს, წმინდა იოანე ოქროპირის განმარტების მიხედვით, „წესი იყო ესე ძუელთა მათ მოღუაწეთაჲ სახედ მოკუდინებისა ჴორცთჲასა და სახედ სიმჴნისა და მუშაკობისა და სახედ დაჴსნილობათა და შუებათა განშორებასა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014, გვ. 156).

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის განმარტების მიხედვით, ტყავი მკვდარი ცხოველის გარეკანია, მისგან დამზადებული სარტყელი მისით შემოსილის მიერ ვნებების მოკვდინების მომასწავებელია (ნეტარი თეოფილაქტე, მათეს სახარების განმარტება, თბილისი, 2009. , 2009, გვ. 56).

იმავეს ამბობს ნეტარი იერონიმეც (Иероним Стридонский блаженный, екзегеть Библия и Толкования, თ. გ.).

ღირსი ისიდორე პელუსიელის მიხედვით, წმინდა იოანე ნათლისმცემელი თავისი შესამოსელითა და საკვების მიღების წესით გვასწავლის თუ რას ნიშნავს ნამდვილი ასკეტი (Исидор Пелусиот преподобный, თ. გ.).

იოანე ნათლისმცემლის გამოსახულების უკან, ზოგიერთ რედაქციაში, გამოსახულია მცენარე (ან მცენარეები). აღნიშნული, ერთი მხრივ, მიუთითებს იოანე ნათლისმცემლის სამოღვაწეო ასპარეზზე - უდაბნოზე, მეორე მხრივ, გამოსახული მცენარე განასახიერებს „მკალს“, რომლითაც, სახარების თანახმად, წმინდა წინამორბედი იკვებებოდა - „საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ველური“ (ბიბლია, 2015, მთ. 3:4).

როგორც ზემოდამოწმებული ეგზეგეზისიდან იკვეთება, ხატმეტყველებაში წარმოდგენილი იოანე ნათლისმცემლის შესამოსელს ჰქონდა არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ სახისმეტყველებითი დატვირთვაც.

უნდა ითქვას ისიც, რომ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ხშირად ადარებენ **იოანე ნათლისმცემელსა და ელია წინასწარმეტყველს.** თავად მაცხოვარი წინამორბედს „ელიას“ უწოდებს (ბიბლია, 2015, მთ. 17:12-13). ამ ორ დიდ მოღვაწეს აერთიანებთ მეუდაბნეობა და მკაცრი ცხოვრების წესი. გარდა ამისა, ისინი ორივენი წინასწარმეტყველები არიან (თუმცა, მაცხოვარი და, შესაბამისად, სახარების განმარტებლები იოანეს აღმატებულ მოღვაწედ მიიჩნევენ - „არა აღდგომილ არს ნაშობთაგანი დედათაჲ უფროჲს იოვანეს ნათლისმცემლისა“ (ბიბლია, 2015, მთ. 11:11). ხშირად იოანე ნათლისმცემელი და ელია წინასწარმეტყველი იკონოგრაფიაში ერთი და იგივე შესამოსლებით გამოისახებიან.

3.14. იოანე ნათლისმცემლის ქადაგების იკონოგრაფიული ასახვა

ზოგიერთ იკონოგრაფიულ რედაქციაში, იოანე ნათლისმცემლის უკან გამოსახულია ხეზე მიბჯენილი ცული, რაც წარმოადგენს უფლის წინამორბედის შემდეგი სიტყვების ილუსტრირებას: „რამეთუ აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს. ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას“ (ბიბლია, 2015, მთ.3: 10).

იოანე ოქროპირი ყურადღებას ამახვილებს ნათლისმცემლის დამოწმებული წინადადების პირველ სიტყვაზე „ყოველი“ და ამბობს, რომ მნიშვნელობა არ აქვს აბრაამის შთამომავალი ხარ თუ წარმართი, ყოველი ნაყოფის არგამომღები ადამიანი „მოკვეთისა და ცეცხლად დადებისთვისაა“ განწირული. იგივე მოძღვარი იმასაც ბრძანებს, რომ წარმოდგენილ სიტყვებში დიდი ნუგეშიც დევს, რადგან „გამოაჩინა, ვითარმედ რომელმან გამოიღოს ნაყოფი კეთილი, ყოველსავე სატანჯველისაგან განრომილ არს“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014, გვ. 167).

შემდგომი მსჯელობისას, კონსტანტინეპოლელი მოძღვარი განმარტავს ხის მიერ ნაყოფის გამოღების სახისმეტყველებას. წმინდა მამის თანახმად, ხის ნაყოფის გამოღება გარემო პირობებზე, ბუნებაზეა დამოკიდებული, ხოლო ადამიანის მიერ კეთილ საქმეთა აღსრულებას მხოლოდ ერთი რამ სჭირდება - მის მიერ გამოვლენილი ნება (წმ. იოანე ოქროპირი, 2014, გვ. 167). მისივე სიტყვებით, ხესთან

ცულის დებით ნათქვამია, რომ ჯერ არ დამდგარა აღსასრულის ჟამი (არ ამოქმედებულა ცული), შესაბამისად, ადამიანებმა უნდა იჩქარონ, სანამ ჯერ კიდევ აქვთ სინანულის დრო და შესაძლებლობა (წმ. იოანე ოქროპირი, 2014, გვ. 167).

ნეტარი იერონიმეს მიხედვით, ცულში სახარების სიტყვა მოიაზრება, რომლის არ მოსმენის შემთხვევაში ადამიანი დაისჯება (Иероним Стридонский , თ. გ.).

ისიდორე პელუსიელის მიხედვით, იოანე ნათლისმცემელმა იუდეველი ხალხის უნაყოფობა (კეთილ საქმეთა არქონა) შეადარა უნაყოფო ხეს, რომლის ფესვებთან ცული ძევს და იგი მოჭრის ამ ხეს. იმავე მოძღვრის თანახმად, მოჭრილ ხის ძირზე ახალი ხალხი „დაემყნობა". ხის ძირი, როგორც ღვთის მარადიული კანონები, რჩება, და მასზე (საღვთო კანონებზე) ქრისტეს მცნებების მიმდევარი ხალხი „დაემყნობა და აღმოცენდება" (Исидор Пелусиот , თ. გ.) [16]

3.15. იესო ქრისტეს ნათლისღებისა და აღდგომის იკონოგრაფიათა შედარებითი ანალიზი

ნათლისღების იკონოგრაფიულ რედაქციათა შორის **განსაკუთრებულია ერთ-ერთი, XVII-XVIII საუკუნეების ფერწერული ხატი (საბერძნეთი), რომელიც ძალიან ჰგავს აღდგომის ხატმეტყველებით გამომსახველობას.** დასახელებულ ხატში

[16]აღნიშნული სწავლება პავლე მოციქულის რომაელთა მიმართ ეპისტოლეს შემდეგი მონაკვეთის შინაარსიდან მომდინარეობს: „ხოლო თქუენ გეტყჳ, წარმართთა მაგათ: რაოდენ-ესე ვარ მე წარმართთა მოციქულ, მსახურებაჲ ესე ჩემი ვადიდო, ვაშურო ხოლო თუ ჴორცთა ჩემთა და ვაცხოვნნე ვინმე მათგანნი? რამეთუ, უკუეთუ განვრდომაჲ იგი მათი დაგება სოფლისა, რაოდენ-მე შეწყნარებაჲ მათი, არა თუ ცხორებაჲ მკუდართაგან? ხოლო უკუეთუ დასაბამი იგი წმიდა არს, და თბეცა; **და უკუეთუ ძირი იგი წმიდა არს, და რტონიცა მისნი. ხოლო უკუეთუ რტოთა მათგანნი ვინმე გარდასტყდეს, ხოლო შენ ველური ზეთის ხილი იყავ და დაემყენ მათ ზედა და თანა-ზიარ ძირისა და სიპოხისა ზეთის ხილისა იქმენ, ნუ ექადი რტოთა მათ.** ხოლო უკუეთუ ექადი, არა თუ შენ ძირი იგი გიტჳრთავს, არამედ ძირსა მას - შენ სთქუა უკუე: გარდასტყდეს რტონი იგი, რაჲთა მე დავემყნა, კეთილ! იგინი ურწმუნოებითა მათითა გარდასტყდეს, ხოლო შენ სარწმუნოებითა სდგა; ნუ ჰმაღლოი, არამედ გეშინოდენ. უკუეთუ ღმერთმან ბუნებითთა მათ რტოთა არა ჰრიდა, ნუუკუე შენცა არა გრიდოს. აწ უკუე იხილე სიტკბოებაჲ და სასტიკებაჲ ღმრთისაჲ: დაცემულთა მათ ზედა - სასტიკებაჲ, ხოლო შენ ზედა - სიტკბოებაჲ, უკუეთუ ეგო სიტკბოებასა მას ზედა; უკუეთუ არა, შენცა მო-ვე-ეკუეთო. და იგინი, თუ არა დაადგრენ ურწმუნოებასა მათსა ზედა, და-ვე-ემყნენ; რამეთუ შემძლებელ არს ღმერთი კუალად დამყნად მათდა. უკუეთუ შენ ბუნებითისა მისგან მოეკუეთე ველურისა ზეთის ხილისა და გარეშე ბუნებისა დაემყენ კეთილსა ზეთის ხილსა, რავდენ უფროჲს იგინი ბუნებითსა მას დაემყნენ თჳსსავე მას ზეთის ხილსა" (რომ. 11:13-24).

იორდანე შავი ფერისაა და მის ფონზე გამოსახული მაცხოვარი ასევე ძალიან ჰგავს „ჯოჯოხეთში ჩასულ“,“ შავ (ჯოჯოხეთის გამომხატველი ფერი) ფონზე გამოსახულ, ქვესკნელში მართალთა სულების დასახსნელად შთასულ იესო ქრისტეს (ინწკირველი თ. , 2017ა, გვ. 198). გარდა ამისა, შუა საუკუნეების ხატმეტყველებაში, ნათლისღების რიგ სცენებში გამოსახავენ იორდანეში, ხის კვარცხლბეკზე (ხშირად, ჯვრის ფორმისა) მდგომ მაცხოვარს (ასეთი ზემოთ უკვე დავასახელეთ - XIV საუკუნის სერბეთის გრაჩენიცას მონასტრის ფრესკულ მხატვრობაში ჩართული ნათლისღების იკონოგრაფია (ინწკირველი თ. , 2017ა, გვ. 198), რაც ანალოგს პოულობს „სულთა საპყრობილეში“ უფლის შთასვლის ქრისტიანული გამომსახველობის ნიმუშებთან, სადაც იესო ქრისტე ჯვარედინი ფორმის კვარცხლბეკზე მდგარი წარმოჩნდება.

ნათლისღებისა და ქრისტეს აღდგომის კავშირზე საუბარია საღვთისმეტყველო ტექსტებში. ბასილი დიდი, ნათლისღებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ჰომილიაში ბრძანებს: „დღისა მის აღვსებისა რაჲმცა უმახლობლეს იყო ნათლის-ღებად? რამეთუ დღე იგი საჴსენებლი არს აღდგომისაჲ, ხოლო ნათლისღებაჲ ძალი არს აღდგომისა მიმართ“ (ბასილი კესარიელი, 1983, გვ. 140).

კესარიელი მოძღვრის მიხედვით, არ არსებობს მოვლენა, რომელიც ისე ახლოს იყოს ნათლისღებასთან, როგორც აღდგომის დღე და მისი მნიშვნელობა, რადგან ნათლისღება აღდგომას მოასწავებს, ამასთანავე, ეს დღესასწაული აღდგომის ძალაა.

საეკლესიო მოძღვრების თანახმად, ადამიანის ნათლისღება შემდეგნაირად გაიაზრება: წყალში კვდება და იფლობა ძველი, ცოდვებისგან დამძიმებული ადამიანი და იქედან აღმოიშობა ახალი, ბრალთაგან განთავისუფლებული კაცობრივი ბუნება (როგორც ზემოთ ვთქვით, სწორედ ამ გაგებით ეწოდება ნათლისღებას „მეორედ შობა“).

გადმოცემულ საეკლესიო მოძღვრებას წმინდა პავლე მოციქული გადმოგვცემს თავის „რომაელთა მიმართ“ ეპისტოლეში: „ანუ არა უწყითა, რამეთუ რომელთა-ესე ნათელ - ვიღეთ ქრისტე იესუჲს მიერ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ? და თანადავეფლენით მას ნათლის-ღებითა მით სიკუდილსა მისსა, რაჲთა ვითარცა-იგი აღდგა ქრისტე მკუდრეთით დიდებითა მამისაჲთა,

ეგრეთცა ჩუენ განახლებითა ცხორებისაჲთა ვიდოდით. რამეთუ უკუეთუ თანა-ნერგ ვექმნენით მსგავსებასა მას სიკუდილისა მისისასა, ეგრეთცა აღდგომასა მას მისსა ვიყვნეთ“ (ბიბლია, 2015, რომ. 6:3-5).

დამოწმებული სიტყვების ეგზეგეზისის მიხედვით, როგორც მაცხოვარი აღესრულა ხორციელად, ჩვენც, ასევე უნდა მოვკვდეთ ცოდვების მიმართ (იგულისხმება ის, რომ როგორც მიცვალებული ვეღარ ჩადის ცოდვებს, ადამიანსაც ასეთივე მიმართება უნდა ჰქონდეს ცოდვის მიმართ). ნათლისღება ჩვენი ჯვარცმაა: როგორც ქრისტეს სიკვდილის მიზეზი ჯვარცმა გახდა (რის შემდეგაც იგი დაფლეს), ასევე, ადამიანების „ცოდვების მიმართ სიკვდილის“ საფუძველია ნათლისღება.

წარმოვადგენთ წმინდა კირილე იერუსალიმელის შესაბამის ეგზეგეზას: „უკუეთუ თანა-ნერგ ექმნე შენ მსგავსებასა მას სიკუდილისა მისისასა, ეგრეცა აღდგომასა ღირს იქმნე, ვითარცა იგი იესუ ცოდვანი სოფლისანი თავს-იხსნა და მოკუდა, რაჲთა მოაკუდინოს ცოდვაჲ და სიმართლით აღდგეს, ეგრეცა შენ შთახვიდე წყალსა მას და ვითარცა სახედ რაჲმე დაეფვლი წყალთა მათ შინა, ვითარცა იგი იესო კლდესა მას შინა, მერმე კუალად აღსდგე და განახლებული ცხოვრებითა ხჳდოდი“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1959, გვ. 88).

3.16. იესო ქრისტეს ნათლისღების იკონოგრაფიაზე მსჯელობის დასკვნითი ნაწილი

როგორც ზემოდამოწმებული თეოლოგიური ნაშრომებიდან იკვეთება, ნათლისღების ხატმეტყველება სხვადასხვა საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებით ასპექტებს მოიცავს. მასში გადმოცემულია არამარტო ნათლისღების სახარებისეული ისტორია, არამედ მისი ეგზეგეტიკაც. ასევე, გადმოცემულია ნათლისღების, როგორც საეკლესიო საიდუმლოს მნიშვნელობის შესახებ მოძღვრებაც. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული იკონოგრაფიის თითოეული რედაქცია არამხოლოდ უფლის ნათლობის სახარებისეული თხრობის შესახებ მოუთხრობს მნახველებს, არამედ ნათლისღებისკენ და განახლებული ცხოვრებისაკენ მოუწოდებს.

თავი IV. იესო ქრისტეს ფერისცვალების იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები

უფალ იესო ქრისტეს ფერისცვალების შესახებ ნაუწყებია მათეს (ბიბლია, 2015, მთ. 17:1-10), მარკოზისა (ბიბლია, 2015, მარკ. 9:2-9) და ლუკას (ბიბლია, 2015, ლკ. 9:28-35). სახარებებში. შესაბამისი თხრობის მიხედვით, იესო ქრისტე მთაზე სამ მოციქულთან, პეტრეს, იაკობსა და იოანესთან ერთად ადის: „და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე, ძმაჲ მისი, და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან. და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი. და აჰა, ეჩუენნეს მათ მოსე და ელია მის თანა, და თანა-ზრახვიდეს. მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: „უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ. და, თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მოსესა და ერთი ელიაჲსა“. და ვიდრეღა იგი ამას იტყოდა, აჰა ესერა, ღრუბელი ნათლისაჲ აგრილობდა მათ. და აჰა, ჴმაჲ იყო ღრუბლით გამო და თქუა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ“. და ესმა რაჲ ესე მოწაფეთა, დავარდეს პირსა ზედა თჳსსა და შეეშინა ფრიად. და მოუჴდა მათ იესუ, შეახო ჴელი და ჰრქუა: „აღდეგით და ნუ გეშინინ!“ და აღ-რაჲ-იხილნეს თუალნი მათნი, არავინ იხილეს, გარნა იესუ ხოლო მარტოჲ. და გარდამო-რაჲ-ვიდოდეს იგინი მიერ მთით, ამცნო მათ იესუ და ჰრქუა: „ნუვის უთხრობთ ხილვასა ამას, ვიდრემდის ძე კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს“ (ბიბლია, 2015, მთ. 17; 1-9).

4.1. იესო ქრისტეს ფერისცვალების ადრექრისტიანული ხანის ხატმეტყველება (რავენაში მდებარე წმინდა აპოლინარეს ბაზილიკის საკურთხევლის მოზაიკა)

მახარებელთა მიერ წარმოდგენილი თხრობებისა და შესაბამისი ეგზეგეზის მიხედვითაა შექმნილი დასახელებული დღესასწაულის კომპოზიციის იკონოგრაფია. მისი მხატვრული სახე დროთა განმავლობაში იცვლებოდა და

ყალიბდებოდა. ყოველ იკონოგრაფიულ ტიპს აქვს ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშანი: მაცხოვრის გამოსახულება ყოველთვის წრეშია წარმოდგენილი, რის სიმბოლურ დატვირთვაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

წარმოდგენილი საუფლო დღესასწაულის ყველაზე ადრეული ხატმეტყველებითი ტიპი იტალიაში, ქალაქ რავენაში მდებარე წმინდა აპოლინარეს ბაზილიკის საკურთხევლის მოზაიკებში გვხვდება (ინწკირველი თ. , 2018, გვ. 112). ხსენებულ კომპოზიციაში მაცხოვრის ნაცვლად წრეში ჩაწერილი ჯვარია გამოსახული. ჯვრის მკლავების გადაკვეთის არეში მედალიონში ჩაწერილი მაცხოვრის სახეებაა წარმოდგენილი. ჯვრის მარჯვენა და მარცხენა მხარეს, ღრუბლების ფონზე, მოსე და ელია წინასწარმეტყველთა გამოსახულებებია განთავსებული და ზეციდან ხელის მტევანი ეშვება. „მიწაზე“ მოციქულთა – პეტრეს, იაკობისა და იოანეს გამოსახულებები ცხვრების სახით არიან წარმოდგენილნი. ჯვრის თავზე ბერძნულენოვანი წარწერაა: ΙΧΘΥΟΣ (თევზი); ჯვრის ქვემოთ კი სხვა, ლათინურენოვანი წარწერა – sauls mundi (სამყაროს მხსნელი). მაცხოვრის გამოსახულების შარავანდედზე ბერძნული ანბანის პირველი და ბოლო ასოები წერია – **Α (άλΦά)** და **Ω (ωμεγά)** – რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ „გამოცხადების“ ტექსტის შემდეგ ფრაზას: „მე ვარ ანი (άλΦά) და ϑ (ωμεγά)“, იტყჳს უფალი ღმერთი, რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, ყოვლისა- მპყრობელი“ (ბიბლია, 2015, გამოც. 1.8) [17].

„აპოკალიფსის“ დამოწმებულ მუხლს ასე განმარტავს წმინდა ანდრია კესარია-კაბადოკიელი: „აქა ქრისტეს იტყჳს, რომელი არს ღმერთი და მპყრობელი ყოველთაჲ, დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი, რომელი არს და რომელი მარადის იყო და აღსასრული არა აქუს, ვითარცა მამისა თანა-არსსა, რომელი მიაგებს თითოეულსა საქმეთა მათთაებრ“ (წმ. ანდრია კესარია-კაბადოკიელი, 1961, გვ. 498).

წმინდა მამის მიხედვით, „აპოკალიფსის“ წარმოდგენილი სიტყვები წარმოაჩენს ქრისტეს ბუნებით ღმერთობას, ყოვლისმპყრობელობას, დაუსაბამობას, დაუსრულებლობას, მამის თანაარსობას, იგი ყველას მათი

[17] აღწერილი კომპოზიციის ნაწილია რავენის პირველი ეპისკოპოსის, წმინდა აპოლინარეს გამოსახულება, რომლის საფლავზე არის აგებული აღნიშნული ტაძარი.

საქმეების შესაბამისად მიაგებს. „ფერისცვალების“ კომპოზიციაში განმარტების ჩართვა ცალსახად უკავშირდება ამავე დღესასწაულის არსს, რომელიც გულისხმობს, რომ გაცხადდა ძე ღმერთის საღვთო ბუნება, მისი დაუსაბამობა და დაუსრულებლობა. გარდა ამისა, წმინდა ანდრია კესარია-კაბადოკიელის მიხედვით, წარმოდგენილ სიტყვებში, ასევე, მოიაზრება ძე ღმერთის მიერ თითოეული ადამიანი საკუთარ საქმეთა მიხედვით განსჯა, რაც მისი მეორედ მოსვლითა და საყოველთაო სამსჯავროს აღსრულებით განხორციელდება, რისი ერთ-ერთი წინასახეცაა მაცხოვრის ფერისცვალება (ამ საკითხზე ქვემოთ დაწვრილებით მსჯელობას წარმოვადგენთ).

ადრექრისტიანულ გამოსახულებებში ხშირად გვხვდება თევზის სიმბოლიკა, რაც ალეგორიულად მაცხოვართანაა დაკავშირებული. ბერძნულ ენაზე თევზის სახელი ΙΧΘΥΟΣ იშიფრებოდა, როგორც აბრევიატურა „იესო ქრისტე, ღვთის ძე, მაცხოვარ (**Ιησοῦς Χριστός, Θεοῦ Υἱός, Σωτήρ**).

ლათინური წარწერა (sauls mundi) მიუთითებს საღვთო ბუნების განცხადებაზე.

წარმოდგენილი იკონოგრაფიული რედაქცია არის ამავე ხატმეტყველების სიმბოლურად გამოსახვის ერთ-ერთი ნიმუში[18]. ჯვარი და მასში ჩაწერილი უფლის სახება სიმბოლურად „გაბრწყინებულ მაცხოვარს“ წარმოადგენს. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, ჯვარი უფლის მიერ სიკვდილზე გამარჯვების იარაღი და სიმბოლოა, რასაც კარგად ასახავს წმინდა იოანე ოქროპირი: „ჯუარი აღემართა და სოფელი განწმიდნა, სიკუდილი უკუნ-იქცა. ჯუარი აღემართა და და ეშმაკნი განიბნინეს. ჯუარი აღემართა და სიკუდილი იძლია, ეშმაკი შეიკრა და კაცთა კრულებანი განჰᲬსნდეს ღმერთი იდიდების და სოფელი განთავისუფლდების“ (წმ. იოანე ოქროპირი;, 1994, გვ. 205).

ჯვრის საღვთო მნიშვნელობის ზემოდამოწმებული, იოანე ოქროპირისეული განმარტება მიესადაგება თაბორზე აღსრულებული საღვთო განგებულების არსს – როგორც მაცხოვარმა ჯვრით გამოავლინა თავისი ძალმოსილება, ასევე, მისი ფერისცვალებით, უფლის საღვთო ბუნების დიდებულება წარმოჩნდა, რითაც მან

[18] უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის ქრისტიანულ იკონოგრაფიაში გავრცელებული იყო სიმბოლური გამოსახულებები.

(უფალმა) კაცობრიობა სიკვდილისგან იხსნა. ერთი მხრივ, ჯვრით, ხოლო მეორე მხრივ, თაბორზე გამოვლენილი „უქმნელი ნათლით“ განკაცებული ღმერთის უსაზღვრო ძალმოსილება გამოვლინდა. წარმოდგენილი ეგზეგეზა დასახელებულ ხატმეტყველებაში ჯვრის ჩართვას გასაგებს ხდის.

როცა ჯვრისა და იესო ქრისტეს ურთიერთდამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ კიდევ ერთ გარემოებას. კერძოდ, მაცხოვარი ბრძანებს, რომ მის მეორედ მოსვლამდე „კაცის ძის ნიშანი“ გამოჩნდება: „და მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისაჲ ცათა შინა და მაშინ იტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი და იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავლითა“ (ბიბლია, 2015, მთ. 24:30). წმინდა იოანე ოქროპირი ამგვარად განმარტავს ამ ადგილს: „«სასწაული ძისა კაცისაჲ» არს პატიოსანი და ცხოველსმყოფელი ჯუარი, რომელი იგი მაშინ გამოჩინებად არს; უბრწყინვალეს არს მზისთუალისა, რამეთუ იგი დაბნელდების, ხოლო ესე ბრწყინავს, ესოდენ უმეტეს იყოს ნათელსა მზისასა ბრწინვალებაჲ მისი“ (წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, 2014ბ, გვ. 372).

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა „დიდაქეში“ გადმოცემული სწავლება, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ძეგლის ავტორი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ ცაში გამცხადებად ჯვარს „ჭეშმარიტების ნიშანდებას“ უწოდებს: „ჭეშმარიტების ნიშანდებაც სწორედ მაშინ გამოვლინდება: უპირველესად, ეს იქნება ნიშანი ცაში გავრცობისა“ (მოძღვრება თორმეტი მოციქულისა, თ. გ.).

დამოწმებული მოძღვრების თანახმად, ჯვარი მაცხოვრის მეორედ მოსვლის ნიშანია, ხოლო ფერისცვალება (როგორც ამას ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობიდან დავინახავათ) – მისი მეორედ მოსვლის წინამომასწავებელი.

ცხვრის სიმბოლიკაში მოციქულთა მოაზრებას, რა თქმა უნდა, სახარებისეული საფუძველი აქვს. როგორც ცნობილია, იოანეს სახარებაში მაცხოვარი თავის სამწყსოს ცხვრად მოიხსენიებს, ხოლო საკუთარ თავს – მწყემსად: „მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართათჳს“ (ბიბლია, 2015, იო.10, 11). აქედან გამომდინარე, მოციქულები მისი პირველი „ცხვრები“ (მოწაფეები) არიან.

ზემოდან დაშვებული ხელი მამის „მაკურთხეველ მარჯვენას“ [19] განასახიერებს, რომელიც „გაბრწყინებულ“ მაცხოვარზე მიუთითებს და სახეობრივად გამოხატავს მამის სიტყვებს, რომელიც თაბორის მთაზე გაისმა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ“ (ბიბლია, 2015, მთ.17, 5).

წარმოდგენილი გამოსახულება სიმბოლური ხასიათის მატარებელია და სახისმეტყველებითად გადმოგვცემს შესაბამის სახარებისეულ თხრობას, რომელიც შემდეგს გულისხმობს: მაცხოვარი ჯვარცმამდე 40 დღით ადრე საღვთო დიდებულებით (რომელიც წრით, არის გადმოცემული) განეცხადა მოციქულებს (რომელნიც ცხვრების სახით არიან წარმოდგენილნი). ზემოგანხილული წარწერები მხილველთ ეხმარებიან შესაბამისი იკონოგრაფიის არსის გაგებაში – იესო ქრისტე (თევზის ბერძნულენოვანი წარწერის სახით) არის ყოველივეს დასაწყისი და დასასრული („ალფა“ და „ომეგა“).

4.2. იესო ქრისტეს ფერისცვალების იკონოგრაფიული სქემის განვითარება და ჩამოყალიბება

იესო ქრისტეს ფერისცვალების კომპოზიციის იკონოგრაფიული ტიპის შემდგომი განვითარება VI საუკუნის წმინდა ეკატერინეს სახელობის სინაის მონასტერშია დაცული. ფრესკა მოზაიკური ტექნიკით არის შესრულებული, რომელიც იმპერატორ იუსტინიანეს დაკვეთით შესრულდა და რომელმაც, ფაქტობრივად, განსაზღვრა კიდეც მოხსენიებული ხატმეტყველების იკონოგრაფიული სქემა. იგი დღემდე მსოფლიო მართლმადიდებლურ ხელოვნებაში მხოლოდ მცირედი ცვლილებებითა და ვარიაციებით გვხვდება (ინწკირველი თ. , 2018, გვ. 113). სქემა ასეთი სახისაა: კომპოზიციის ცენტრში წარმოდგენილია „დიდებაში“ გამოსახული მაცხოვარი, რომლის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მოსე და ელია წინასწარმეტყველების გამოსახულებებია განთავსებული. ხოლო მათ ქვემოთ, სახარებისეული ისტორიის შესაბამისად,

[19] „მაკურთხეველი მარჯვენის“ სულიწმინდის სიმბოლოდ გამოსახვას მოგვიანო პერიოდის „ფერისცვალების“ უკვე ჩამოყალიბებულ იკონოგრაფიულ გამოსახულებებშიც ვხვდებით.

გამოსახულნი არიან პეტრე, იაკობ და იოანე მოციქულები. შევეცდებით დასახელებული იკონოგრაფიული სქემა თავისი ვარიაციებით განვიხილოთ და წარმოვაჩინოთ ხსენებული კომპოზიციის გამოსახვის განმაპირობებელი საღვთისმეტყველო-ეგზეგეტური საფუძვლები.

თაბორზე განცხადებული სასწაულის ჩამოყალიბებული იკონოგრაფიული სქემის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნიმუში საქართველოშია დაცული - კერძოდ, ზარზმის მონასტრის ჭედური ხატი, რომელიც 886 წლით თარიღდება (ილ. 13). მართალია, ხატი დაზიანებული სახითაა შემორჩენილი, მაგრამ მასზე ზედმიწევნითაა აღბეჭდილი აღნიშნული საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები.

4.3. მანდორლას სახისმეტყველება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპოზიციის ცენტრში განთავსებულია ოვალურ წრეში ჩაწერილი მაცხოვრის გამოსახულება. ხელოვნებათმცოდნეები (მსოფლიო მასშტაბით) ხსენებულ ოვალურ წრეს „მანდორლას“ უწოდებენ. ხოლო, ქართველი ხელოვნების ისტორიკოსები და ხატმწერები, გარდა ზემოდასახელებული ტერმინისა, იყენებენ – „დიდებას“[20]. განვიხილოთ ორივე მათგანი.

უნდა ითქვას, რომ მაცხოვრის გამოსახულება წრეში წარმოდგენილია მაშინ, **როცა ხაზგასმულია ძე ღმერთის საღვთო ბუნების დიდებულება და „სოფელზე გამარჯვება“.**

შესაფერისი იქნება განვიხილოთ აღნიშნული ტერმინის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. აღნიშნული ტერმინი ლათინური წარმოშობისაა (Mandorla) და ქართულად „ნუშს“ ნიშნავს (მისი გარეშემოწერილობა მაცხოვრის გამოსახულებებზე ნუშის ფორმისაა). „ნუშისებრ ფორმას“ ბიბლიური საფუძვლები აქვს. კერძოდ, ძველი აღთქმის ერთ-ერთ წიგნში მოთხრობილია, რომ მოსე წინასწარმეტყველმა საწამებელ (დასამოწმებელ) კარავში, აღთქმის კიდობნის წინ, შეიტანა და დააწყო თითოეული ტომის (როგორც ცნობილია ისრაელში სულ 12

[20]მაგალითად, ამ ტერმინს იყენებენ გიორგი ჩუბინაშვილი და შალვა ამირანაშვილი. ასევე, სხვა თანამედროვე ხელოვნებათმცოდნეები თუ ხატმწერები.

ტომი იყო) წარმომადგენლის, მათ შორის, ლევის ტომის შთამომავალის – აარონის, კვერთხები. საღვთო განგებულებით, ვისი კვერთხიც აყვავდებოდა, ის იქნებოდა უფლის რჩეული. როგორც ბიბლიაში წერია – „მეორე დღეს შევიდა მოსე მოწმობის კარავში, და აჰა, აყვავდა აარონის კვერთხი – ლევის სახლიდან, აყვავდა, გაიფურჩქნა ყვავილი და გამოიბა ნუში“ (ბიბლია, 2015, რიცხვ.17:23)[21].

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ მოსეს კარავში აყვავებულ ხედ „ნუშის“ (שְׁקֵדִים:) მოხსენიება მხოლოდ ებრაულ ტექსტებში გვხვდება, ხოლო „სეპტუაგინტაში“ (ძველი აღთქმის ბერძნულენოვან თარგმანში) შესაბამის ადგილას გამოყენებულია – ნიგოზი (**κάρια**). გამომდინარე იქიდან, რომ ძველი ქართული თარგმანების უმეტესობა სეპტუაგინტას მისდევს, შესაბამისად, მათში ნახსენებია „ნიგოზი“. ხოლო თანამედროვე თარგმანებში (მაგალითად, ზურაბ კიკნაძისა), რომელნიც ებრაულიდან ითარგმნა, „ნუშია“ გამოყენებული (ზემომოყვანილი, შესაბამისი ბიბლიური ციტატა დასახელებული რედაქციიდანაა დამოწმებული).

ასევე დავძენთ, რომ აღნიშნული ფორმა წარმართულ (ანტიკურ) ხელოვნებაშიც გამოიყენებოდა, სადაც ის სიმბოლურად გამოხატავდა ზეცაში შესასვლელ კარიბჭეს. საინტერესოა, რომ იგი ბუდიზმშიც გვხვდება.

საეკლესიო ეგზეგეტთა მიერ აარონის კვერთხის განედლება მაცხოვრის მკვდარი სხეულის აღდგომისა და მისი საღვთო ბუნების სიმბოლოდ განიმარტება, რასაც კარგად წარმოაჩენს წმინდა კირილე ალექსანდრიელი, რომლის მიხედვითაც, სახისმეტყველებითად აარონის განედლებული კვერთხი ქრისტესა და მისი აღდგომის სიმბოლოა (Кирилл Александрийский , თ. გ.).

აყვავებულ ნუშს მაცხოვრის წინასახედ მიიჩნევს წმინდა ეფრემ ასურიც: „აარონის კვერთხი, რომელიც ერთადერთი განედლდა ყველა კვერთხს შორის, სულიერი ხედვით გამოხატავს ემანუელის თაყვანსაცემ სხეულს, რომელიც, გახდა რა ბუნებით ხრწნადთა ძე, ერთადერთი მყოფობდა საფლავში უხრწნელად და, დაითმინა რა დაუმსახურებელი ტანჯვა, მხოლოდ თავის თავში გამოავლინა უხრწნელების, უვნებლობისა და უკვდავების საიდუმლო. **ასევე, აარონის კვერთხი, რომელიც ყველა კვერთხიდან ერთადერთი განედლდა, აჩვენებს, რომ**

[21] იხ. ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, საქართველოს ბიბლიური საზოგადოების გამოცემა, მთარგმნელ-რედაქტორები ზურაბ კიკნაძე და მალხაზ სონღულაშვილი, თბ. 2001 წ.

ხრწნადთა ძის, ქრისტეს სხეული ერთადერთი იყო, რომელსაც ხრწნილება არ შეხებია და საფლავში არ დარჩენილა“ (ღირსი ეფრემი, 2014, გვ. 124).

დამოწმებულ მამათა სწავლება შესაბამის იკონოგრაფიაში მაცხოვრის სხეულის გარშემო გამოსახული ფორმის სახისმეტყველებითი შინაარსის საფუძველია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფლის სხეულის გარეშემოწერილობა გამოხატავს განკაცებული ღმერთის სხეულზე ნათლის სახით გამოვლენილ (მხილველთა დატევნისაებრ) საღვთო ბუნებას. იგი განასახიერებს იმ ნათელს, რომელიც მოციქულებმა მაცხოვრის სხეულზე იხილეს და რაც, დამოწმებულ მამათა ეგზეგეზის თანახმად, განკაცებული ღმერთის საღვთო ბუნების (რომელიც მის კაცობრივ ბუნებაში იყო დაფარული) ადამიანურ სხეულში გამოვლინების მომასწავებელია.

როგორც ცნობილია, თაბორის მთაზე, განკაცებულმა ღმერთმა თავისი საღვთო ბუნების დიდებულება გამოავლინა. შესაბამისად, მოციქულებმა დიდებით შემოსილი უფალი იხილეს. წმინდა გრიგოლ პალამას მიხედვით, უფალმა თავის მოწაფეებს მასში მყოფი საღვთო ბუნების დიდებულება ახილვინა (წმიდა გრიგოლ პალამა , 2010).

წმინდა იოანე ოქროპირი თაბორზე მაცხოვრის გაბრწყინებას „შემოქმედის დიდებას“ უწოდებს: „დღეს თაბორი ცათა მობაძავ იქმნების, რამეთუ ხედავს **დიდებასა შემოქმედისა თჳსისასა,** და შეიმკვების ღრუბლითა ნათლისაჲთა და იხარებს ჴმითა მამისაჲთა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1994, გვ. 294).

სწორედ დამოწმებულ განმარტებათა გათვალისწინებით ეწოდება ქართულ ხატმეტყველებით-ხელოვნებათმცოდნეობით სამეცნიერო შრომებში მანდორლას „დიდება“.

ეს წრე, შესაძლოა, შარავანდედის მნიშვნელობითაც გავიაზროთ. მართლაც, მისი ფორმა შარავანდედის მსგავსია (დიდი ზომის შარავანდედია). როგორც ცნობილია, შარავანდედი ხატმეტყველებაში წმინდანების (ასევე, იესო ქრისტეს ხატების) გამოსახვისას გამოიყენება, რომელიც განასახირებს პიროვნების (მათ შორის, სხეულის, რომლითაც ისინი გამოისახებიან) განღმრთობილ მდგომარეობას. ზუსტად იმავე მნიშვნელობით არის გამოყენებული ის შესაბამის იკონოგრაფიაში მაცხოვრის სხეულზე გამოსახვისას, სადაც სწორედ საღვთო

ბუნების გამოვლინების მხილველნი შეიქმნებიან მოციქულები. სწორედ ამ გაგებით, ერთ-ერთი ლიტურგიკული ტექსტის თანახმად, მაცხოვრის ფერისცვალებას „ღვთაებრივი შარავანდედის გამობრწყინება“ ეწოდება: „აჰა-ესერა, მოეახლა მზისა სიმართლისა გამოჩინებაჲ მსხდომარეთა ბნელსა და აჩრდილთა, **რამეთუ ღმრთეებითა შარავანდედთა გამობრწყინვებად** აღვალს თაბორს“ (თუენი, 2015, გვ. 63).

ამასთანავე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ წმინდანთა გამოსახულებას შარავანდედი მხოლოდ მათ თავებს გარეშემოწერს, ხოლო თაბორზე აღსრულებული სასწაულის იკონოგრაფიაში წრე მაცხოვრის სხეულის გამოსახულებას სრულად გარემოიცავს. აღნიშნული გარემოებით (შარავანდედის ზომით) ხაზგასმულია შემდეგი: უფალს, როგორც განკაცებულ ღმერთს, საღვთო მადლი, რომელიც ნათლის სახით გამოვლინდა, არავისგან მიუღია, რადგან თავად არის წყარო ყოველივე მადლისა, ხოლო წმინდანებს ქრისტე უბოძებს მადლმოსილებას. ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია, წმინდა გრიგოლ პალამას ეგზეგეზა, რომლის მიხედვითაც, თაბორზე გამოვლენილი ნათელი, რომელიც საღვთო მადლის გამომხატველი, ქრისტეს კაცობრივ სხეულში დამალული საღვთო ბუნების ბრწყინვალება იყო და, რომელსაც, ხატმეტყველება ნათელი ფერებით დაწერილი გარე წრით გადმოსცემს, მას არავისგან მიუღია. მისივე სწავლებით, თაბორზე გაბრწყინებული ნათელი უქმნელია და იგი ქრისტეს საღვთო ბუნებას განეკუთვნება. შესაბამისად, თაბორზე უფალს ცვალებადობა არ განუცდია – არ გარდაქმნილა იმად, რაც არ იყო (წმიდა გრიგოლ პალამა , 2010).

ეგზეგეტთა ნაწილი ხშირად ადარებს ერთმანეთს სინას მთაზე მოსე წინასწარმეტყველის სხეულზე გადასულ საღვთო ნათელსა და თაბორზე მაცხოვრის გაბრწყინებას. როგორც ცნობილია, „გამოსვლათას“ წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ გაბრწყინდა ღვთის წინაშე წარდგენისას მოსეს სხეული სინას მთაზე: „და ვითარცა გარდამოვიდოდა მოსე მთისა მისგან სინაჲსა და ორნი ფიცარნი იგი ჴელთა შინა მოსჷსთა. და გარდამოჴდა რაჲ მიერ მთით, მოსე არა უწყოდა, **რამეთუ დიდებულ იყო ფერი პირისა მისისაჲ სიტყჳთა მით მისითა ღმრთისა მიმართ. და იხილეს აჰრონ და ყოველთა ძეთა ისრაჷლისათა მოსე და იყო**

დიდებულ მათ წინაშე ფერი პირისა მისისაჲ, და შეეშინა მიახლებად მისდა“ (ბიბლია, 2015, გამოს. 34: 29-30).

დავიმოწმებთ **თეოდორე ჰარანელის შესაბამის ეგზეგეზას**: „ყოვლისა განსრულებისა იყო ბრწყინვალებაჲ მისი (იესო ქრისტესი, გ. ვ.), არა ვითარცა ბრწყინვალებაჲ მოსწსი, რამეთუ პირი მხოლო მისი ბრწყინავდა და შინაგან არა აქუნდა ბრწყინვალებაჲ, ხოლო ქრისტწს ბრწყინვალებაჲ ყოვლადვე სრულ იყო, ვითარცა გარეშე, ეგრეცა შინაგან“ (წმ. თეოდორე ჰარანელი, 1994, გვ. 297).

აღნიშნული გარემოება კარგად არის ასახული და წარმოდგენილი იკონოგრაფიაში, სადაც მაცხოვრის სხეულიდან გამოსული ნათელი (საღვთო მადლი) მოსე წინასწარმეტყველს (და არა მხოლოდ მას) ეფინება, რაც, დამოწმებული ეგზეგეზის შესაბამისად, განასახიერებს, ერთი მხრივ, განკაცებული უფლის ბუნებით მადლს, რომელიც დატევნისამებრ ყველას უნაწილდება, მეორე მხრივ, მის მიერ მადლის მიბოძებას საკუთრივ მოსესადმი.

სწორედ ამის გამომხატველია მაცხოვრის სხეულზე გარშემორტყმული მანდროლა-შარავანდედი, რომლის გარეშემოწერილობა (წმინდანების შარავანდედის გარეშემოწერილობასთან შედარებით) უფლის ბუნებითი მადლის წმინდანთა ღვთივმიბოძებულ მადლმოსილებაზე აღმატებულებას გამოხატავს. უფრო კონკრეტულად, აღწერილი იკონოგრაფიული დეტალით გამოიხატება ის, რომ საღვთო მადლი წმინდანებს მადლის პირველწყაროდან – ღვთისგან ებოძებათ (როგორც მოსე წინასწარმეტყველთან დაკავშირებულ მოხმობილ თხრობაშია გადმოცემული). სწორედ ამიტომ, აღნიშნული გარეშემოწერილობა მაცხოვრის სხეულს სრულად გარემოიცავს, ხოლო წმინდანების გამოსახვის შემთხვევაში, მხოლოდ მათი თავებია „შარავანდმოსილი“.

დამოწმებული **საეკლესიო ეგზეგეზისის თანახმად, მაცხოვარმა თაბორზე სახილველი გაბრწყინებით ადამიანებს, დატევნისაებრ, გამოუვლინა თავისი საღვთო ბუნება.**

სახარებისეულ თხრობათა შესაბამისად, მთაზე ასული მაცხოვრის გარეგნობა იცვლება, რომელსაც მახარებლები სხვადასხვა ეპითეტებით გადმოგვცემენ. მათე მახარებელი ამბობს, რომ „**იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი**“–

(ბიბლია, 2015, მთ. 17:2). მარკოზ მახარებელი ამგვარად გადმოგვცემს: „**იცვალა სხუად ხატად წინაშე მათსა. და სამოსელი მისი იქმნა ბრწყინვალე და სპეტაკ, ვითარცა თოვლი, რომელ ყოველსავე მმურკნვალსა ქუეყანასა ზედა ვერ ჴელ-ეწიფების ეგრეთ განსპეტაკებად**“ (ბიბლია, 2015, მარკ. 9:2-3). ლუკა მახარებელი ასე აღწერს მთაზე აღსრულებულ დიდებულ სახილველს: „**და იყო ლოცვასა მას მისსა ხილვაჲ პირისა მისისაჲ სხუა, და სამოსელი მისი სპეტაკ და ელვარე**“ – (ბიბლია, 2015, ლკ. 9:29).

ხატმეტყველებაში ხსენებული სახით წარმოდგენილი თაბორზე გაბრწყინებული ნათლის უკეთ გასაგებად საინტერესო და მნიშვნელოვანია თავად ტერმინ „ფერისცვალების“ ეტიმოლოგია. აღნიშნული სიტყვა ორიგინალსა და სხვადასხვა თარგმანში განსხვავებული ინტერპრეტაციით გვხდება, რომელიც მაცხოვრის თაბორზე გაბრწყინების ეგზეგეზისის სხვადასხვა ასპექტს ასახავს. წარმოვადგენთ ხსენებული ტერმინის ბერძნულ, ლათინურ, სლავურ და ინგლისურენოვან ვარიანტებს. ბერძნულ დედანში გამოყენებულია ზმნა: **μεταμορφο΄ω.** მთლიანი წინადადება ამგვარადაა: **καὶ μεταμορφω΄θη ε)΄μπροσθεν αυ)τῶν** (ბიბლია, 2015, მთ. 17:2; მარკ. 9:2). ლათინურ თარგმანში ვხდებით სიტყვას: transfiguratus. მთლიანი კონტექსტი ასეა: et transfiguratus est ante eoset resplenduit facies eius (ბიბლია, 2015, მთ. 17, 2). სლავურ-რუსულში გამოყენებულია ტერმინი преображать – и преобразися предъ ними (სლავ.); и преобразился пред ними (რუს.) (ბიბლია, 2015, მთ. 17, 2). ინგლისურ ენაზე ლათინურიდან მომდინარე სიტყვაა გამოყენებული – transfigured – and was transfigured before them (ბიბლია, 2015, მთ. 17, 2).

„ბერძნული ზმნა **μεταμορφο΄ω** კომპოზიტია და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „გარდასახვას“, „გარდახატებას“, „ფორმის შეცვლას“, „სხვა ხატად შეცვლას“, „ერთი ფორმის სხვაგვარად გარდაქმნას“. ლათინური (და მისგან გამომავალი ინგლისური) ტერმინი transfiguratus ასევე კომპოზიტია და თითქმის იმავეს ნიშნავს, რასაც ბერძნული სიტყვა, თუმცა მაინც უფრო ვიწრო გაგებით – trans არის „ცვლილება“, ხოლო figura – „გამოსახულება“, „სახე“, „მდგომარეობა“. მთლიანად სიტყვა transfiguratus უპირატესად გარეგნული გამოსახულების ცვლილებას უკავშირდება. შესაბამისად, ლათინური ტერმინი უპირატესად მაცხოვრის

სხეულის დროებით ცვლილებაზე მიუთითებს. რუსულენოვანი ტერმინი - преобразися. სიტყვა „образ“ გამოსახულებას, სახეს, ხატებას (ხატს) ნიშნავს, შესაბამისად, სლავურ-რუსულ თარგმანში აღნიშნული ტერმინი, შესაძლოა, ვთარგმნოთ, როგორც „სახის, ხატისცვლილება“. სწორედ ამ მნიშვნელობითაა ეს სიტყვა ნათარგმნი ქართულ, გიორგი მთაწმინდელისეულ მარკოზის სახარების თარგმანში: „და იცვალა სხუად ხატად წინაშე მათსა“ (ბიბლია, 2015, მარკ. 9:2). საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ძე ღმერთი მამის ბუნებით ხატად იწოდება: „უცვალებელ ხატ ღმრთისა მამისა არს მხოლოდშობილი ძე, ვითარცა პირმშოჲ ხატი...“ (ჭელიძე, 2012).

წარმოდგენილი ტერმინის ეტიმოლოგიურ-ლინგვისტური განხილვა ცხადყოფს, რომ იესო ქრისტეს თაბორზე აღსრულებული განგებულების ამსახველი სიტყვა არის ამავე დღესასწაულის მნიშვნელობის შემცველი. გარდა ამისა, დამოწმებული ტერმინის განხილვისას წარმოჩენილი ეგზეგეტიკური ასპექტები კარგად არის ასახული ამავე დღესასწაულის გადმომცემ იკონოგრაფიაში, რაზეც ქვემოთ დაწვრილებით მსჯელობას წარმოვადგენთ.

მათე მახარებელი გაბრწყინებულ მაცხოვარს მზეს ადარებს, მარკოზი – თოვლსა და მათეთრებელს, ლუკა მახარებელი კი, უფლის სახების „სისპეტაკესა და ელვარებაზე“ საუბრობს.

წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით, მახარებელთა მიერ გამოყენებული მაცხოვრის „ნათლის“ გამომხატველი ეპითეტები მხოლოდ შედარებითია და ადამიანთათვის გასაგებ ენაზეა გამოთქმული, რეალურად კი, შეუძლებელია ხსენებული „ნათლის“ სახილველის სრული დამტევნელობით სიტყვიერი წარმოჩენა. ღმრთეება მზის სინათლეზე უბრწყინვალესია, მაგრამ, რადგანაც ამქვეყნად არაფერია მზეზე ბრწყინვალე, მოციქულები (მახარებლები) მის სინათლეს ადარებენ თაბორზე მაცხოვრის გაბრწყინებას (წმ. იოანე ოქროპირი, 1991, გვ. 398).

ამ საკითხზე საუბრობს **წმინდა გრიგოლ პალამაც**, რომლის მიხედვითაც, უწყებული ეპითეტები მხოლოდ პირობითი ასახვაა იმ საღვთო ნათლისა, რომელიც მაცხოვრის სხეულზე „გაბრწყინდა“. ხსენებული „ბრწყინვალების“ მზის სიკაშკაშესთან შედარება განპირობებულია იმით, რომ ხილულ სამყაროში არ

არსებობს მზის სინათლეზე აღმატებული ბრწყინვალების მქონე რამ და, როგორც ფიზიკურად მხილველთათვის მზეა ყველაზე დიდი ნათების მატარებელი, ასევე, „სულიერი მზერის“ მქონე ადამიანებისათვის ქრისტე ღმერთი არის უაღმატებულესი, არაამქვეყნიური „ნათება“. მისივე განმარტებით, ნათლის სახით, როგორც ისათნოვა [უფალმა], გამოავლინა მცირედი ღმრთეებისა და მესაიდუმლოებს (ე. ი. მოციქულებს, გ. ვ.) განუცხადა მასში დამკვიდრებული ღმერთი“ (წმ. გრიგოლ პალამა, 1865, გვ. 429).

მართლაც, ვერცერთი სიტყვა სრულად ვერ გადმოსცემს მაცხოვრის „ნათებას“, რომელიც, ადამიანთა დატევნისამებრ, თავისი საღვთო ბუნების გამოვლინების ამსახველი იყო. მახარებელთა მიერ გამოყენებული ეპითეტები, რომლებსაც ისინი ხსენებული ნათლის გადმოსაცემად იყენებენ, მხოლოდ შედარებითია. **იგივე შეიძლება ითქვას ამავე ხატმეტყველებაში გამოყენებულ წრეზე**, რომელიც წარმოადგენს თაბორზე გამოვლენილი ნათლის ხატმეტყველების მეშვეობით გამოსახვის მცდელობას. **თუმცა, როგორც სიტყვების მეშვეობით სრული სისავსით არ გადმოიცემა თაბორზე მაცხოვრის გაბრწყინება, ასევე, ვერც ხატწერა ასახავს მას სრულად.**

4.4. ხატმეტყველების ბრძოლა ეკლესიის წიაღში წარმოშობილ მწვალებლობათა წინააღმდეგ იესო ქრისტეს ფერისცვალების იკონოგრაფიის მაგალითზე

ნახსენებმა გამოსახვამ განსაკუთრებული განვითარება XIV-XV საუკუნეებში ჰპოვა. ამის მიზეზი იყო შემდეგი: აღნიშნული პერიოდისთვის გავრცელდა ბარლაამის ანტიქრისტიანული მოძღვრება, რომლის მიხედვითაც, თაბორზე გაცხადებული მაცხოვრის ნათელი ქმნილი იყო. აღნიშნულ მწვალებლობას დაუპირისპირდა წმინდა გრიგოლ პალამა. 1341 წლის 10 ივნისს აია სოფიას ტაძარში კრება გაიმართა, სადაც ხსენებული საკითხი განიხილეს, და რომელზეც ბარლაამის სწავლება საჯაროდ დაიგმო (კოპლატაძე, 2009, გვ. 565-566). როგორც ცნობილია, წმინდა გრიგოლ პალამამ თაბორზე აღსრულებულ სასწაულთან დაკავშირებით, „უქმნელი ნათლის“ შესახებ საგანგებო ჰომილია წარმოთქვა.

წმინდა ეკლესია არამარტო საეკლესიო მოძღვართა შრომებითა და სხვადასხვა საღვთისმეტყველო ლიტერატურით ებრძოდა ხსენებულ ერესს, არამედ ხატმეტყვლებითაც. ამის დასტურია XIV-XV საუკუნეებში შექმნილი, შესაბამისი დღესასწაულის ამსახველი ხატები, სადაც შარავანდედი განსაკუთრებული ხაზოვნებითა და ფერადოვნებით არის წარმოდგენილი.

ამ კუთხით საინტერესოა ქართული მხატვრობა. მაგალითად, ლაშთხვერის ტაძრის დასავლეთის კედელზე განთავსებული „ფერისცვალების“ XVI საუკუნის ფრესკა, (ილ. 14), სადაც ნათელი წრე განსაკუთრებული გამომსახველობითი სიმკვეთრითაა გადმოცემული. კერძოდ, იგი ორი ფერით - მეწამულისა და თეთრი ფერების კომბინაციითაა წარმოდგენილი. კერძოდ, მეწამულისფერ წრეს გარედან თეთრი წრე გარეშემოწერს, რაც, ვფიქრობთ, ძე ღმერთის საღვთო და კაცობრივ ბუნებაზე მიუთითებს. როგორც ზემოთ, იესო ქრისტეს შესამოსელის სახისმეტყველების განხილვისას გადმოვეცით, ხატმეტყველებაში თეთრი - საღვთო, ხოლო მეწამულისფერი - კაცობრივი ბუნების ასახვაა. შესაბამისად, დასახელებულ მხატვრობაში გადმოცემულია გრიგოლ პალამას ზემოდამოწმებული ეგზეგეზა, რომლის მიხედვითაც, თაბორზე ძე ღმერთის კაცობრივ სხეულში დაფარული საღვთო ბუნება გამოვლინდა (კაცთა დატევნისაებრ).[22]

აღნიშნული ხატმეტყველებით, ასევე, ხაზგასმულია ზემოდასახელებული წმინდა მამის მიერ ჩამოყალიბებული საეკლესიო, უცთომელი მოძღვრება, რომლის მიხედვითაც, თაბორზე განცხადებული ნათელი უქმნელია.

დავიმოწმებთ წმინდა მამის შესაბამის ეგზეგეზას: „...არა სხვა, არამედ რომელიც ჰქონდა დაფარულად, ის ბრწყინვალება გამოაჩინა. ხოლო [მას] ჰქონდა

[22]უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ტენდენცია მოგვიანო ხანაშიც გაგრძელდა. ამ კუთხით საინტერესოა მაგალითად, აღნიშნული პერიოდის გერგეტისა და წალენჯიხის კედლის მხატვრობის იკონოგრაფიაში მაცხოვრის ფერისცვალების კომპოზიციაში იესო ქრისტეს გამოსახულების სამოსლის მკვეთრად ღია ფერებს ვხვდებით. გერგეტის სამებაში კოლორიტი მთლიანობაში ძალზე ნათელია, ფონი – ქათქათა თეთრი. მაცხოვრის სამოსშიც ტრადიციული მუქი ლურჯი მოსასხამის ნაცვლად გამოიყენება მომწვანო-ფირუზისფერი (იხ. სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“, 2013 წ., N 7, ასმათ ოქროპირიძე, გერგეტის სამების სახისმეტყველებისათვის, გვ. 109). აღნიშნული გარემოება კარგად პასუხობს შესაბამისი ეპოქის ზემოგადმოცემულ ეკლესიაში არსებულ მდგომარეობას. მაცხოვრის ფერისცვალების იკონოგრაფიაში ფერადოვნების კიდევ უფრო (წინარე ეპოქასთან შედარებით) გაღიავება (განსპეტაკება) წმიდა გრიგოლ პალამას საეკლესიო მოძღვრების, – „უქმნელი ნათლის“ შესახებ, – ვიზუალიზაციას წარმოადგენს.

ხორცის მიერ დაფარული საღვთო ბუნების ბრწყინვალება; მაშ ასე, ცხადია, რომ ღმრთეების არის ის ნათელი, და თანაც შეუქმნელია. და როდესაც ქრისტემ ფერი იცვალა, მსგავსად ღვთისმეტყველთა სწავლებისა, არათუ ის მიიღო, რომელიც არ იყო, არცთუ იმად შეცვლილა, რაც არ იყო, არამედ რაც იყო, ის საკუთარ მოციქულებს გამოუჩინა, აუხილა მათ თვალები და სიბრმავიდან [გამოიყვანა] და მხედველები გახადა“ (წმ. გრიგოლ პალამა, 1865, გვ. 433).

წმინდა გრიგოლ პალამას დამოწმებული სწავლების ილუსტრაციაა **დასახელებულ კომპოზიციებში (და, არა მხოლოდ განხილული ხატმეტყველების ნიმუშებში) წარმოდგენილი მაცხოვრის სახება, რომლის სამოსელიც თეთრია (სპეტაკისფერია), რაც მისი სხეულის გარშემო გარემოცულ გარედანაც აისახება – ის, რაც აქამდე ხორცის მიერ დაფარული იყო, სახილველი გახდა. ძე ღმერთის საღვთო ბუნების დიდებულება ხილულად ნათლის სახით გამოვლინდა,** რასაც ხატმეტყველება ბრწყინვალე მაცხოვრის სახებით გამოხატავს. თავად უფლის სამოსელიც ბრწყინავს.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ორიგენეს შენიშვნაც, რომლის მიხედვითაც, **თაბორის მთაზე მოციქულებმა მაცხოვრის არა მონის, არამედ ღვთის ხატი იხილეს** (Ориген, Екзегеть Библия и Толкования, თ. გ.).

სწორედ ეს „ხატია“ წარმოჩენილი დასახელებულ ხატმეტყველებაში. ამასთან, აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ, საეკლესიო მოძღვრების მიხედვით, ძე ღმერთის საღვთო ბუნება უხილავია, ხოლო კაცობრივი – სახილველი. როგორც აღვნიშნეთ, ხატმეტყველების მთელი არსი სწორედ ძე ღმერთის განკაცებაა – ის, რაც უხილავი იყო, სახილველი გახდა, რის გამოც შესაძლებლობა შეიქმნა ღმერთის გამოსახვისა. **თაბორის მთაზე კაცობრიობას სახილველად განეცხადება არამარტო მისი კაცობრივი ბუნება, არამედ - საღვთოც (დატევნისაებრ).** სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს აღსრულებული თეოფანიის უდიადეს და არსებით მნიშვნელობას. **„მთასა მაღალსა“ საღვთო ბუნების ნათლის სახით გამოვლენამ არსებითად მნიშვნელოვანი საკითხი განაპირობა: ერთი მხრივ, შესაძლებელი გახდა, რომ მახარებლებს აღეწერათ და სამყაროსათვის ეუწყებინათ ზეარსი და უხილავი ბუნების სიდიადე, ხოლო მეორე მხრივ, იგივე მოვლენა, იკონოგრაფიის**

მეშვეობით, შეიქნა კიდევ უფრო ხელმისაწვდომი და ადვილად აღსაქმელი – არა მხოლოდ სულიერ-გონებრივი, არამედ მატერიალური თვალისთვისაც[23].

4.5. მანდორლას სახისმეტყველების კავშირი მოციქულებისა და წინასწარმეტყველების გამოსახულებებთან ფერისცვალების იკონოგრაფიაში

საინტერესოა, რომ **ოვალური წრიდან, რომლითაც უფლის სახეებაა გარემოსილი, ხშირად გამოედინება სხივები, რომლებიც თაბორზე განცხადებულ წინასწარმეტყველებსა (მოსესა და ელიას) და მოციქულებს (პეტრეს, იოანესა და იაკობს) ეფინება.** კომპოზიციის ეს დეტალი შესაბამისი სწავლებიდან იღებს სათავეს. უფლის მიერ გამოვლენილ დიდებასა და მისგან წარმოქმნილ სხივებზე **ნეტარი თეოდორიტე კვირელი** ამბობს: „იგი [უფალი] ავლენდა საღვთო დიდების ბრწყინვალებას და წარმოქმნიდა სინათლის სხივებს“ (Феодорит Кирский блаженный, თ. გ.).

აღნიშნული იკონოგრაფიული დეტალი მოციქულთათვის საღვთო მადლმოსილების ბოძებას გამოხატავს. ერთ-ერთი საგალობელი გვამცნებს: „რომელმან მთასა თაბორსა დღეს ფერისცვალებითა ნათელი გამოაბრწყინა და მოწაფენი სიხარულითა აღავსნა... მოციქულნი დღეს შეუხებელითა ნათლითა გამობრწყინდეს...“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 261).

ასე რომ, მაცხოვრის ბრწყინვალების (სხივების) მოციქულებსა თუ წინასწარმეტყველებზე გადასვლას მათზე უფლის მადლის მიბოძების სახისმეტყველებითი დატვირთვა აქვს[24].

---

[23] ბუნებრივია, საღვთო ბუნების როგორც წერილობით, ისე იკონოგრაფიულ აღწერაში იგულისხმება მხოლოდ იმ შედარებითი ეპითეტების გამოყენება, რომლებიც სახარებისეულ თხრობაშია გადმოცემული – მზესავით გაბრწყინება (მთ. 17, 2), მისი სამოსლის ბრწყინვალება და თოვლივით სისპეტაკე (მარკ. 9, 3), მისი პირისახისა და სამოსლის სისპეტაკე და ელვარება (ლკ. 9, 29), სხვა შემთხვევაში შეუძლებელია უხილავი და გამოუთქმელი ბუნების რაიმე სახით აღწერა-გამოსახვა.

[24] სხვადასხვა იკონოგრაფიულ რედაქციაში მანდორლადან გამოსული სხივების რაოდენობა განსხვავებულია. გვხდება სამ, ხუთ, ექვს და რვა სხივად გამომავალი „ნაკადები“. რასაკვირველია, თითოეულ დასახელებულ ციფრს შესაბამისი სახისმეტყველებითი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, სამი ყოვლადწმინდა სამებაზე მიანიშნებს; ექვსი – ჰექსამერონზე [ხილული სამყაროს ექვს დღეში შექმნაზე]; რვა კი – სამყაროს დასასრულზე. თუმცა, ზუსტად რას გამოხატავს აღნიშნულ სხივთა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **მაცხოვარს საკუთარი საღვთო ბუნება წინასწარმეტყველთა და მოციქულთა წინაშე სრულად არ გამოუვლენია,** რადგან მისი ღმრთეების სრული დამტევნელობა, რა თქმა უნდა, არავის ძალუძს. ამას ცხადად ამოწმებს ერთ-ერთი ჰიმნოგრაფიული ტექსტი, რომელშიც ვკითხულობთ: „შეძრწუნდეს მოციქულნი ჴმისა მისგან საშინელისა და დაცუივეს პირსა ზედა თუისსა და შეეშინა ფრიად პეტრეს, იაკობს და იოანეს“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 265).

4.6. მანდორლა, როგორც ძე ღმერთის საღვთო ბუნების იკონოგრაფიულად ამსახველი

მაცხოვრის ფერისცვალებასთან დაკავშირებით, უაღრესად საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება, რომელიც, ასევე, ასახულია ამავე მოვლენის იკონოგრაფიაში. როგორც ამის შესახებ უკვე მივუთითეთ, თაბორის მთაზე, ნათლის სახით ხილულად წარმოჩინდა ძე ღმერთის საღვთო დიდებულება, თუმცა უფლის „გაბრწყინება“ არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მისი გარეგნობის (სხეულისა და სამოსლის) სხვა არსად გარდაქმნას; რადგან ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ, წმინდა გრიგოლ პალამას თქმისებრ, ძე ღმერთის სამი ბუნება უნდა ვაღიაროთ, რაც, რაღა თქმა უნდა, წარმოუდგენელი მკრეხელობა იქნება (წმ. გრიგოლ პალამა, 1865, გვ. 433).

ეს კარგად არის ასახული განსახილველ ხატმეტყველებაში, სადაც მაცხოვრის სახე ზუსტად ისეთივეა, როგორიც მაცხოვრის სხვა ხატებსა თუ ათორმეტ დღესასწაულთა იკონოგრაფიულ სცენებში. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამ შემთხვევაში მაცხოვრის სხეული და შესამოსელი სპეტაკ ფერებშია წარმოდგენილი.

ფერისცვალების ხატმეტყველებაში, წრეში ჩაწერილი მაცხოვრის გამოსახულება **მისი სხეულის „განღმრთობილობის“ გამოხატულებაცაა.** საეკლესიო სწავლების მიხედვით, ქრისტეს სხეული აღდგომის შემდეგ

რაოდენობა და რა კავშირშია ფერისცვალების კონტექსტთან მიმართებაში, ამაზე ზედმიწევნითი მითითება საღვთისმეტყველო ტექსტებში არ მოგვეპოვება.

განღმრთობილი[25] ბუნებისა იყო, სწორედ ამიტომ იკონოგრაფიაში, სადაც იესო ქრისტეს გაბრწყინებული გამოსახულება გვხდება, წარმოჩნდება, ერთი მხრივ, მისი საღვთო ბუნება, ხოლო, მეორე მხრივ, მისი კაცობრივი ბუნების განღმრთობილი მდგომარეობა.

წმინდა ეფრემ ასურის მიხედვით, მაცხოვრის საღვთო ბუნების დიდებულება თავისსავე ხორცში იყო დაფარული, რომელიც სწორედ თაბორზე დატევნისამებრ გამოვლინდა: „და კუალად უჩუენა მათ დიდებაჲ მისი პირველ აღდგომისა, რაჲთა ოდეს აღდგეს მკუდრეთით ბუნებითა ღმრთეებისა მისისაჲთა, გულისჴმა-ყონ, ვითარმედ არა მოიღო დიდებაჲ იგი სასყიდლად შრომისა თჳსისა, არამედ წინავე საუკუნეთა აქუნდა მამისა თანა და მის მიერ, ვითარცა თქუა: „მადიდე მე, მამაო, თავისა შენისა თანა დიდებითა მით, რომელი მაქუნდა წინაშე შენსა უწინარეს სოფლის დაბადებისა“ (ბიბლია, 2015, იო. 17:5). და დიდებაჲ ეგე ღმრთეებისა მისისაჲ იყო დაფარულ ჴორცთა მათ შინა, და გამოუჩნდა იგი მოციქულთა, რაჟამს აღიყვანნა იგინი მთად“ (წმ. ეფრემ ასური, 1966, გვ. 12).

იესო ქრისტემ მოციქულების მთაზე აყვანით, მათ აუწყა, რომ იგი არის მამა ღმერთის ბუნებითი ძე. მოციქულებს უნდა ეხილათ უფლის განღმრთობილი სხეული, რათა გაეაზრებინათ, რომ მაცხოვარი უძლურების გამო კი არ ეცვა ჯვარს, არამედ - საკუთარი ნებით. **თაბორზე მაცხოვარმა საღვთო ბუნებით კაცობრივი ბუნების განღმრთობა წარმოაჩინა.** სწორედ ეს არის საფუძველი იმისა, რომ მაცხოვრის გამოსახულება არამარტო საღვთო დიდებაშია გამოსახული, **არამედ თავად მაცხოვრის სახე და მისი შესამოსელიც „განსპეტაკებულია“** – ღია ფერებშია

[25]საეკლესიო მოძღვრების თანახმად, ძე ღმერთმა დაცემული ადამიანური ბუნება მიიღო, დაცემის მიზეზის – ცოდვის გარეშე; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღმერთმა შეიმოსა ცოდვით დაცემული, ცოდვით დაზიანებული, ცოდვით შებორკილი ზოგადი (ყველა ადამიანისთვის საზიარო) ბუნება, თუმცა მას საკუთარი, პიროვნული ცოდვა არ ჰქონია. ასეთი სხეული ჰქონდა მას მკვდრეთით აღდგომამდე. ხოლო მკვდრეთით აღდგომის შემდეგ მას უვნებო, განღმრთობილი სხეული აქვს, რისი დასტურიცაა ის, რომ სახარების მიხედვით, აღდგომის შემდეგ უკვე დახშულ კარში შედის. უფალმა საკუთარი კაცობრივი ბუნების (მათ შორის, სხეულის) განღმრთობით, ზოგადად, განაღმრთო კაცობრივი ბუნება. შესაბამისად, ფერისცვალებისას, როცა უფლის განღმრთობილი სახე იხილვებოდა, ეს, ზოგადად, კაცობრივი ბუნების განღმრთობის გამომხატველიც იყო. ამას ადასტურებს ფერისცვალებისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი საგალობელი, საიდანაც ვისმენთ, რომ ქრისტემ, თაბორზე ადამის დაბნელებული ბუნება განაღმრთო: „დღეს ქრისტემან მთასა ზედა თაბორსა ადამისი შეცვალა დაბნელებული ბუნებაჲ და ღმერთ-ყო განმანათლებელმან მისმან“ (სადღესასწაულოჲ რომელს არს გამორჩეული თუჱნი , 2013, გვ. 391).

წარმოდგენილი, რომლის სახისმეტყველებითი საფუძველი საღვთისმეტყველო ტექსტებში იკითხება. მოვიხმობთ რამდენიმე მათგანს.

წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „ვხედავთ დღეს ღმერთსა ქუეყანასა ზედა და კაცსა ვხედავთ ცათა შინა, და ამას ვხედავთ ღმერთსა სრულსა ყოვლითავე დიდებითა და კაცსა სრულსა ყოვლითავე თჳნიერ ცოდვისა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1991, გვ. 395).

კონსტანტინეპოლელი მღვდელთმთავრის მოძღვრების მიხედვით, თაბორზე უფლის სახით „ღმერთი მიწაზე და კაცი ცაში“ იხილვებოდა. შესაბამისად, მოციქულებმა იხილეს სრული ღმერთი და სრული კაცი.

დამოწმებულ სწავლებათა ილუსტრაციას წარმოადგენს იესო ქრისტეს ფერისცვალების კომპოზიცია, რომელშიც ხორციელად განსპეტაკებული მაცხოვარი ნათელი ფერის მანდორლითაა გარემოცული.

„ოქროპირად“ წოდებული მოძღვარი საუბრობს იმაზე, თუ **რატომ განუცხადა უფალმა ამგვარად თავი** საკუთარ მოციქულებს. იგი ორ მიზეზს ასახელებს: 1) როცა მოციქულები მას დამცრობილსა და შეურაცხყოფილს იხილავდნენ, ხსომებოდათ, რომ რეალურად იგი ღმერთია, ღმერთკაცია და არ დაეკარგათ მისი აღდგომის იმედი. და 2) **აღდგომის შემდეგ, როცა ის „განღმრთობილი ხორცის“ მატარებელი შეიქმნებოდა,** მოციქულებს ეცნოთ, რადგან, **„მთასა მაღალსა“ მას სწორედ ამგვარი სახება ჰქონდა: „ამისთჳს გიჩუენე ხატი ესე დღეს და არა სხუათა, რამეთუ თანა-ყოფად ხართ ღამესა მას მიცემისა ჩემისასა. და მერმე კუალად ხილვად გიც გამოსრული საფლავით, შემოსილი დიდებითა მით და მოქცეული მკუდრეთით, შემოსილი ძლიერებითა, რაჲთა ნუუკუე მიხილოთ სიმდაბლით, უსასო იქმნნეთ აღდგომისა ჩემისათჳს. და მერმე მიხილოთ დიდებით და რომელნიმე ორგულდეთ. ხოლო აწ შეისწავეთ ხატი ესე და მერმე მიხილოთ რაჲ, მიცანთ მე. ესვითარითა უწყებითა აუწყებდა მათ უფალი. დაღათუ სიტყჳთ არა ეტყოდა ამას, ხოლო საქმენი იგი საცნაურ იქმნნეს, რამეთუ ამისთჳს იქმნებოდეს“** (წმ. იოანე ოქროპირი, 1991, გვ. 401).

წმინდა იოანე ოქროპირის დამოწმებული სწავლების მიხედვით, უფალმა მოციქულებს თავისი დიდებულება განუცხადა იმისათვის, რათა როდესაც მას დამცირებულს (შეპყრობილს, ვნებულს) იხილავდნენ, არ დაეკარგათ მისი

აღდგომის იმედი და არც აღდგომის შემდეგ, როცა უფალი მათ წინაშე განდიდებული (სიკვდილზე გამარჯვებული, განღმრთობილი კაცობრივი ხორცით) წარდგებოდა, არ შეჰპარვოდათ მასში ეჭვი და ეცნოთ იგი.

თავად წმინდა ოთხთავშიც უცხადესადაა ნაუწყები, რომ მაცხოვრის ყოვლადპატიოსანი და ყოვლად უცოდველი ხორცი ყველა თავისი ბუნებითი თვისებით იყო აბსოლუტურად იმგვარი, როგორიც გახდა ადამის სხეული ცოდვით დაცემის შემდეგ, რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანის ხორცი გახდა ბიოლოგიურად ხრწნადი, მოკვდავი და ვნებული, თუმცა, მაცხოვარმა ამგვარი სხეული მიიღო ყოვლად უცოდველად და სრული უცოდველობით (ჭელიძე, 2016, გვ. 272-273).

მხოლოდ ჯვარცმის შემდეგ აღდგომისას აღუდგინა იმავე სხეულს მაცხოვარმა თავდაპირველი (ცოდვამდელი) უხრწნელება, უკვდავება და უვნებობა (ჭელიძე, 2016, გვ. 282).

ანასტასი სინელი ბრძანებს: „ვნებამდე ხრწნადი იყო ქრისტეს ყოვლადწმინდა სხეული, ხოლო მესამე დღეს აღდგომის შემდეგ – უხრწნელი“ (ჭელიძე, 2010).

ლეონტი ბიზანტიელი (VI ს.) ივლიანისტთა (მწვალებლობა, რომლის ფუძემდებელიც ივლიანე გახლდათ) საპირისპიროდ განაჩინებს: „ცხადია, რომ აღდგომამდე ხრწნადი იყო სხეული, აღდგომის შემდეგ კი უხრწნელი (ჭელიძე, 2010).

წმინდა მაქსიმე აღმსარებელი გვასწავლის: „ამრიგად, კაცთმოყვარეობის გამო გახდა რა სრული კაცი ღვთის მხოლოდშობილი ძე და სიტყვა, რომ გამოეხსნა მას ამგვარი უკეთური დაუძლურებისაგან კაცთა ბუნება, ადამის შესაქმისეული პირველი აგებულებისაგან მიმღებელს ჰქონდა უცოდველობა უხრწნელების გარეშე (διχὰ τῆς ἀφθαρσιας), ხოლო შემდეგში ცოდვის გამო ბუნებაზე მოწევნილი შობისაგან მხოლოდ მიიღო ცოდვის გარეშე ვნებულობა“ (ჭელიძე, 2016, გვ. 283).

თაბორის მთაზე აღსრულებული თეოფანიის იკონოგრაფია ზემოდამოწმებული საეკლესიო სწავლების ვიზუალიზაციას გვთავაზობს, როცა „დიდებაში“ ჩაწერილი მაცხოვრის გამოსახულება, ერთი მხრივ, გადმოსცემს მაცხოვრის ვნებად (ვნების, ცოდვის გარეშე მიღებულ) სხეულს, ხოლო, მეორე მხრივ, იმავე სხეულის მომავალ (აღდგომის შემდგომდროინდელ) მდგომარეობას.

4.7. ფერისცვალების იკონოგრაფიის კავშირი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლასთან

გაბრწყინებული, „დიდებით“ გარემოცული მაცხოვრის გარეგნობა მისი მეორედ მოსვლის წინამოსწავებაცაა – ეგზეგეტთა მიხედით, უფალი იესო ქრისტე სწორედ იმგვარი სახით განეცხადება კაცობრიობას მისი მეორედ მოსვლისას, რა სახითაც იგი თაბორის მთაზე იხილეს მოციქულებმა. დავიმოწმებთ წმინდა მამათა შესაბამის კომენტარებს.

თაბორის მთაზე გამოვლენილ მაცხოვრის ბრწყინვალებასთან მეორედ მოსვლის წინასახეობრივ დაკავშირებას ვხვდებით წმინდა ეფრემ ასურთან, როდესაც ამბობს: „კაცნი იგი, რომელთათჳს თქუა, ვითარმედ: „არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდის იხილონ სახე მოსვლისა მისისაჲ», ესე არიან სამნი იგი მოციქულნი, რომელნი აღიყუანნა მთად და უჩუენნა მათ სახე იგი **მეორედ მოსვლისა მისისაჲ დიდებითა ღმრთეებისა მისისაჲთა,** და ჴორცითა კაცებისა მისისაჲთა“ (წმ. ეფრემ ასური, 1966, გვ. 11).

ფერისცვალებასთან ქრისტეს მეორედ მოსვლას აკავშირებს, ასევე, ნეტარი იერონიმე და ამბობს: „იგი (მაცხოვარი, გ. ვ.) ეჩვენა მოციქულებს ისეთი, როგორიც იქნება საყოველთაო სამსჯავროს დროს“ (Святой Иероним, თ. გ.).

ასევე: „ეჭვგარეშეა, რომ უფალმა ფერი იცვალა იმ დიდებულებით, რომლითაც უკანასკნელ ჟამს ის მოვა თავისი სუფევით“ (Святой Иероним, თ. გ.).

იესო ქრისტეს ფერისცვალების სახარებისეული იკონოგრაფია ერთ რამეს ემსახურება: რათა ადამიანს განაცდევინოს აღნიშნული დღის მადლმოსილება (იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერ საუფლო დღესასწაულზე). მაცხოვრის ბრწყინვალებასთან „თანამონაწილეობისათვის“ გვიხმობს წმინდა ეკლესია ერთ-ერთ ლიტურგიკულ საკითხავში: „დღეს იხარებენ ყოველნი კიდენი ქუეყანისანი და გალობენ ძენი კაცთანი, რამეთუ შემოქმედმან ღმრთეებისა ხატი იცვალა“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 261).

4.8. მოსე და ელია წინასწარმეტყველები ფერისცვალების იკონოგრაფიაში

მაცხოვრის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მოსე და ელია წინასწარმეტყველები გამოისახვიან, რაც ზუსტი ილუსტრაციაა სახარებისეული თხრობისა, რომლის მიხედვითაც, უფლის გვერდით ეს ორი წინასწარმეტყველი იდგა. მათი გამომსახველობის ფორმა თითქმის ყველა იკონოგრაფიულ რედაქციაში ერთი და იგივეა – **ისინი თაყვანს სცემენ მაცხოვარს და, ასევე, ხშირ შემთხვევაში, მაცხოვრისკენ მიმართული გაშლილი ხელებით არიან გამოსახულნი, რაც, გარდა უფლისადმი თაყვანისცემის გამოხატულებისა, მიუთითებს მაცხოვართან დიალოგზე, რაც, თავის მხრივ, ასახვაა, ასევე, სახარებისეული სიტყვებისა: „აჰა, ეჩუენნეს მათ მოსე და ელია მის თანა, და თანაზრახვიდეს“** (ბიბლია, 2015, მთ. 17:3). მათი საუბარი კი, ლუკა მახარებლის უწყებით, შეეხებოდა მაცხოვრის მომავალ ვნებასა და ჯვარცმას (ბიბლია, 2015, ლკ. 9:31).

უფლისა და წინასწარმეტყველთა დიალოგს წმინდა კირილე ალექსანდრიელი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებისა და მაცხოვრის დაკავშირებად წარმოაჩენს; ამასთან, ძველი აღთქმა მოსესა და ელიას სახით თაყვანს-სცემს სამყაროს გამომხსნელს (Св. Кирилл Александрийский , თ. გ.)

როგორც აღვნიშნეთ, თაბორის მთაზე საღვთო მადლი მაცხოვრის გაბრწყინებული სხეულიდან გამომავალი „სხივების“ სახით გარდამოვიდა, რომლებიც წინასწარმეტყველებს „ეფინება“. ამასთან დაკავშირებით, ნეტარი თეოდორიტე კვირელი ამბობს: „მან გამოავლინა საღვთო დიდებულების ბრწყინვალება და წარმოქმნა სინათლის სხივები, რომლებიც აღემატებოდა თვალების აღქმულობას“ (блаженный Феодорит Кирский , თ. გ.).

„საღვთო წრისა“ და მისგან გამოსული „მადლის ნაკადების“ საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტების უკეთ გასააზრებლად დავიმოწმებთ წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებას: „მთასა მას ზედა სინასა ეჩუენა რაჲ ღმერთი მოსეს და უნდა, რაჲთა შიში დასდვას უგულისჴმოთა მათ და გულფიცხელთა ჰურიათა, ღრუბელი ბნელისაჲ გამოაჩინა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: «შევიდა მოსე ნისლსა მას და ღრუბელსა. და ვითარცა კუამლი

საჴუმილისაჲ, აღვიდოდა ნისლი იგი და ღრუბელი, და ქუხილი იყო და ელვაჲ და ჴმაჲ სასტიკებისაჲ» (გამოსლ. 24, 18; 19, 16-18). და კუალად წინაჲსწარმეტყველი იტყჳს რისხვისა მისისასთჳს, ვითარმედ: «ბნელისა წყალნი ღრუბელთა შინა ჰაერისათა» (ფსალ. 17, 12). ხოლო აქა ვინაჲთგან არა შეშინებაჲ ენება, არამედ სწავლად მოციქულთა და უწყებად ჭეშმარიტებისა, ამისთჳს ღრუბელი ნათლისაჲ ჰფარვიდა და ძუელსა მას შინა ნისლი იყო და არმური, ხოლო აქა – ნათელი თუალთშეუდგამი და ჴმაჲ სიხარულისაჲ“ (წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, 2014ბ, გვ. 175).

დამოწმებული ეგზეგეზის შესაბამისად, მანდორლა, შესაძლოა, ასევე განიხილებოდეს იმ ნათლის ღრუბლის მხატვრულ ასახვად, რომელიც თაბორის მთაზე განეფინა.

თუ რატომ სახელდობრ ეს ორი წინასწარმეტყველი განცხადდა მაცხოვართან სასაუბროდ, ამასთან დაკავშირებით საეკლესიო მოძღვრები შემდეგს ბრძანებენ:

წმინდა ეფრემ ასური: „ეს მოხდა იმისათვის, რათა წარმოჩენილიყო, რომ იესო ქრისტე არ არის ელია, არამედ ღმერთი ელიასი; არც იერემია, არამედ ის, რომელმაც განწმინდა წინასწარმეტყველი დედის მუცელშივე; არც ერთი რომელიმე წინასწარმეტყველთაგანი, არამედ წინასწარმეტყველთა უფალი, რომელიც აგზავნიდა მათ ხალხში. იგია შემოქმედი ზეცისა და მიწის, მეუფე ცოცხალთა და მკვდართა, რომელმაც უბრძანა ზეცას და გადმოიყვანა ელია, მისცა მიწას ნიშანი და მკვდრეთით აღადგინა მოსე“ (წმ. ეფრემი, თ. გ.).

ამავეს ამბობს **წმინდა იოანე ოქროპირიც:** „ვინაჲთგან ერნი იტყოდეს მისთჳს, ვითარმედ ელია არს, სხუანი იტყოდეს, იერემია არსო, სხუანი იტყოდეს, ერთი ვინმე არსო წინაჲსწარმეტყუელთაგანი. ამისთჳს თავნი იგი წინაჲსწარმეტყუელთანი წარმოადგინნა, რაჲთა იხილონ მოწაფეთა, თუ რავდენი განყოფილებაჲ არს შორის მეუფისა და მონათა, და ცნან, ვითარმედ ჭეშმარიტ იყო სიტყუაჲ იგი პეტრესი, რომელ აღიარა ძედ ღმრთისა ცხოველისად“ (წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, 2014ბ, გვ. 171).

ზუსტად ამავეს იმეორებს წმინდა თეოდორე ჰარანელიც: „ამისთჳს გამოუცხადა მოციქულთა, ვითარმედ არა ელია არს, არამედ ღმერთი არს იგი

ელიასი... რაჲთა აუწყოს, ვითარმედ მომავლინებელი არს წინაჲსწარმეტყუელთაჲ...“ (წმ. თეოდორე ჰარანელი, 1991, გვ. 406).

ეს ნათლად წარმოჩნდა განხილულ იკონოგრაფიაში, სადაც მოსე და ელია წინასწარმეტყველები იესო ქრისტესკენ არიან მიდრეკილნი – ეთაყვანებიან მას, რითაც ხატმეტყველება განაცხადებს მათ „დამცრობილობას“ უფლის წინაშე და მიანიშნებს გაბრწყინებულ მაცხოვარზე როგორც მათზე (ყოველივესა და ყველაფერზე) აღმატებულზე.

წმინდა იოანე ოქროპირი მოსე და ელია წინასწარმეტყველთა განცხადების კიდევ ერთ მიზეზზე საუბრობს. კერძოდ: იუდეველები ხშირად ადანაშაულებდნენ უფალს სჯულის დარღვევასა და ღვთის გმობაში, რომ თითქოს იგი იტაცებდა მამის დიდებას, რომელიც მას არ ეკუთვნოდა. ამიტომაც ქრისტემ, რათა ეჩვენებინა, რომ მისდამი წაყენებული ბრალდებანი შურიდან მომდინარეობდა, თავისთან იხმო მოსე და ელია, რომელნიც მის წინაშე წარდგნენ როგორც მსახურნი: „ამისთჳს წარმოადგინა შჯულისმდებელი იგი მოსე და მოშურნე იგი მგმობართა ზედა ელია. რამეთუ არცა, თუმცა შჯულისა გარდამავალ იყო და არამცა მეუფე იყო შჯულისაჲ, წარმოუდგამცა მოსე, ვითარცა მონაჲ, არცა, თუმცა ცუდად იტყოდა თავსა თჳსსა ძედ ღმრთისა, წარმოუდგამცა ძრწოლით ელია, მოშურნე იგი ღმრთისმსახურებისათჳს“ (წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, 2014ბ, გვ. 172).

საინტერესოა, რომ ერთ-ერთ საეკლესიო საკითხავში ვხდებით ცნობას იმის შესახებ, რომ მოსე და ელია წინასწარმეტყველებმა თავიანთ სიცოცხლეშივე იხილეს მაცხოვრის ფერისცვალების წინასახეები. კერძოდ: მოსე წინასწარმეტყველის დროს ებრაელთა მიმართ მოვლენილი „ცეცხლის სვეტი“, სხვა განმარტებებთან ერთად, თაბორზე აღსრულებული სასწაულის წინასახედაც გაიაზრება (სხუანი გალობანი ამისვე დღესასწაულისანი, 2018, გვ. 186-187), ხოლო ელია წინასწარმეტყველს, კლდეზე „ნიავწულილსა მას შინა“ ღმერთის გამოცხადებით, უფალმა წინასწარ აუწყა, რომ იგი ხორცშესხმული ღმერთის მხილველი გახდებოდა (ინწკირველი თ. , 2018, გვ. 160).

მოსესა და ელია წინასწარმეტყველთა თაბორის მთაზე განცხადების საინტერესო მიზეზს ასახელებს წმინდა კირილე ალექსანდრიელი: „აწ უკუე, მოსჳს

და ელიაᲘს წარდგომაᲘ და ურთიერთად მიმართი უბნობაᲘ – განგებულებაᲘ რაᲘმე იყო ფრიად კეთილად მაჩუენებელი შჯულისა და წინაᲘსწარმეტყუელთა მიერ წინამძღუანვებლობისა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტᲔსსა, ვითარცა შჯულისაცა და წინაᲘსწარმეტყუელთა მეუფისა და მათ მიერ წინაᲘსწარჩუენებულისასა, რომელთა ურთიერთას ერთჴმობითა წინა-ქადაგეს და რამეთუ არა შეუᲜავებელ არიან შჯულისმიერთა თანა წინაᲘსწარმეტყუელთანი“ (წმ. კირილე ალექსანდრიელი, 2004, გვ. 8).

ალექსანდრიელი მოძღვრის დამოწმებული განმარტების მიხედვით, მოსესა და ელიას გამოჩენა და მათი საუბარი ქრისტესთან მაჩვენებელია იმისა, რომ **რჯული და წინასწარმეტყველება ერთმანეთთან ჰარმონიული შეთანხმებით წინა-აუწყებდნენ მესიას.**

ამავეს ამბობს ორიგენეც: **„მოსე როგორც კანონი და ელია როგორც წინასწარმეტყველება გაერთიანდა იესოს სახარებაში“** (Ориген, Екзегеть Библия и Толкования, თ. გ.).

მოსე და ელია წინასწარმეტყველების გამოცხადება და მაცხოვართან საუბარი, მოციქულთა (ზოგადად, კაცობრიობის) წინაშე წარმოაჩენს მათ მიერ (და არა მარტო მათ მიერ) წარმოთქმულ რჯულდებასა და მესიანისტურ წინასწარმეტყველებებს. ამასთან დაკავშირებით ნეტარი იერონიმე ბრძანებს: „აქ (მოსესა და ელიას განცხადებით) წარმოჩენილია რჯული (მოსეს სახით) და წინასწარმეტყველებები (ელიას სახით), რომლებიც უწყვეტად და მრავალი განმეორებითი წინასწარმეტყველებებით განაცხადებენ, როგორც უფლის ვნებას, ისე მის აღდგომას“ (Св. Иероним, თ. გ.).

ორიგენე საუბრობს იმის შესახებაც, რომ მოსე წინასწარმეტყველმა, როგორც „გამოსვლათას“ წიგნშია აღწერილი, სინას მთაზე მოისმინა უფლის სიტყვები იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანს არ ძალუძდა დაენახა ღვთის სახე და ცოცხალი დარჩენილიყო, ხოლო „მაღალ მთაზე“ მოსესთვის ეს დანაკლისიც შეივსო და „ჭვრეტს ღვთის ძის სახეს, როგორც მზეს“ (Ориген, Екзегеть Библия и Толкования, თ. გ.), **რაც ხატმეტყველებაში „გაბრწყინებული წრიდან“ გამოსული „მზის სხივების“ სახით არის გადმოცემული.**

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთ იკონოგრაფიულ რედაქციაში მოსე წინასწარმეტყველი გამოსახულია „რჯულის ორი ფიცრით“, ან წიგნით, რაც ასევე „რჯულის კანონთა“ კრებულს მხატვრულად ასახავს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ დავასახელებთ აჭის (გურია) წმინდა გიორგის სახელობის მონასტრის კედლის მხატვრობას, რომელიც XIII-XIV საუკუნეებს განეკუთვნება. აღნიშნულ იკონოგრაფიაში მოსე წინასწარმეტყველს წიგნი უპყრია ხელთ (ილ. 15), რაც „რჯულის კანონთა“ კრებულის მხატვრულ ასახვას წარმოადგენს და რომელსაც შესაბამის ეგზეგეზაში აქვს საფუძველი. კერძოდ: წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით, ქრისტეს მოციქულებმა მთაზე განცხადებული პიროვნებების ამოცნობა შეძლეს მათთვის დამახასიათებელი რეგალიებით – მათ დაინახეს, რომ ერთ მათგანს რჯულის სიტყვებით აღბეჭდილი ქვის ფილები ეჭირა ხელში და მიხვდნენ, რომ ეს ისრაელისთვის რჯულის დამკანონებელი მოსე იყო; მეორე პიროვნება ცეცხლოვანი ეტლით განცხადდა თაბორის მთაზე, რისი ნახვის შემდეგაც მოციქულებისთვის ცხადი გახდა, რომ იგი ცეცხლოვანი ეტლით ამაღლებული ელია წინასწარმეტყველი იყო (წმ. იოანე ოქროპირი, 1991, გვ. 398).

კონსტანტინეპოლელი პატრიარქის ზემოდამოწმებული ეგზეგეზა შესაბამის ხატმეტყველებაში მოსე წინასწარმეტყველის მიერ ხელში რჯულის ფიცრების დაჭერის საფუძველი გახდა[26].

მოგვიანო ხანაში (დაახლოებით XV საუკუნიდან) აღნიშნულ კომპოზიციას დაემატა საინტერესო დეტალი. კერძოდ: მოსე წინასწარმეტყველის გამოსახულების გვერდით ჩაამატეს ანგელოზის მიერ მოსეს „შავი ფონიდან“, ან რაღაც გარკვეული „სივრციდან“ აღმოყვანების სცენა, ხოლო ელია წინასწარმეტყველის გამოსახულების გასწვრივ წარმოდგენილია ის, თუ როგორ გამოჰყავს ანგელოზს ელია ღრუბლებიდან, ან „ციდან“. აღწერილი იკონოგრაფიული გამოსახულების სახისმეტყველების საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი ეგზეგეზა (რომლის შესახებაც, გარკვეულწილად, ზემოთ ვისაუბრეთ), რომლის მიხედვითაც, უფალმა თავისთან იხმო მოსე წინასწარმეტყველი საფლავიდან და ელია წინასწარმეტყველი, რომელსაც სიკვდილი არ უხილავს,

[26] დღეისათვის შემორჩენილ კომპოზიციებს შორის არსად გვხდება ელია წინასწარმეტყველის „ეტლით“ გამოსახვის სცენა. თუმცა, შესაძლოა, არსებულიყო კიდეც, რასაც წმინდა იოანე ოქროპირის ხსენებული ჰომილია გვავარაუდებინებს.

რითაც მან წარმოაჩინა თავისი მეუფება ცოცხლებსა (ელია წინასწარმეტყველის სახით) და მიცვალებულებზე (მოსე წინასწარმეტყველის სახით).

ამასთან დაკავშირებით, საუბრობს წმინდა კირილე ალექსანდრიელი, რომლის მიხედვითაც, წინასწარმეტყველების მოხმობით უფალმა წარმოაჩინა თავისი ძალაუფლება ცოცხლებსა და გარდაცვლილებზე (წმ. კირილე ალექსანდრიელი, 2004, გვ. 9).

ამავეს ამბობს წმინდა იოანე ოქროპირიც, რომელიც, ჩამოთვლის რა მოსე და ელია წინასწარმეტყველების თაბორზე განცხადების მიზეზებს, ამგვარ რამეს ამბობს: „რაჲთა ცნან ყოველთა, რამეთუ იგი არს უფალი ცხოველთა და მკუდართაჲ, და ჴელმწიფებაჲ აქუს ცხორებისა და სიკუდილისაჲ, და მეუფე არს ზეცისა და ქუეყანისაჲ და ქუესკნელთაჲ, ამისთჳს პირველვე აღსრულებული იგი, და რომელსა არღა ეხილვა გემოჲ სიკუდილისაჲ, შორის წარმოადგინნა“ (წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, 2014ბ, გვ. 172).

თეოდორე ჰარანელის მიხედვით: „ამისთჳს მოუწოდა მოსეს მკუდრეთით და ელიას ცხოველით საყოფლით მისით, რაჲთა უწყოდიან, ვითარმედ ღმერთი არს ცხოველთა და მკუდართაჲ, რომელი-იგი მოსე სიკუდილად მიიყვანა და ელია ქუეყანით ეტლითა ცეცხლისაჲთა მიცვალა. ამან უწოდა მოსეს და ვერ დააყენეს იგი ბჭეთა სიკუდილისათა და ელია **დამარხულისაგან ადგილისა** მსწრაფლ მოიყვანა“ (წმ. თეოდორე ჰარანელი, 1994, გვ. 296).

მოხმობილი განმარტებანი, როგორც ჩანს, საფუძველია ფერისცვალების სახარებისეული თხრობის დასახელებული იკონოგრაფიული დეტალისა (ვგულისხმობთ, მოსე და ელია წინასწარმეტყველების გამომსახველობას), რომლის მიხედვითაც, მაცხოვარმა ელია „ღრუბლებიდან“ („დამარხულისაგან ადგილისა“) გამოიხმო და მოსე წინასწარმეტყველი მკვდრეთით აღადგინა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ **უფალია მეუფე „ცოცხალთა და მკვდართა“.**

4.9. სამი მოციქულის გამოსახულება იესო ქრისტეს ფერისცვალების იკონოგრაფიაში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღნიშნული დღესასწაულის გამოსახულების ქვედა სივრცეზე (მაცხოვრისა და განცხადებულ წინასწარმეტყველთა ქვემოთ) სამი მოციქულია განთავსებული: პეტრე, იაკობი და იოანე, რაც ზედმიწევნით იმეორებს სახარებისეულ თხრობას.

რატომ მაინცდამაინც ეს სამი მოციქული აიყვანა უფალმა თაბორზე? ამასთან დაკავშირებით წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „ესე ამისთჳს, რამეთუ უზეშთაესსა საზომსა იყვნეს იგინი. პეტრე მჴურვალისა მისთჳს სიყუარულისა წარემატა და თავ იქმნა კრებულისა მის მოციქულთაჲსა; და იოვანე ფრიადისა მის სიწმიდისა და სიმშჳდისა და სიკეთისათჳს სულისა მისისა უფროჲს ყოველთა შეყუარებულ იყო. ეგრეთვე იაკობ ფრიადისა სიმჴურვალისაგან...“ (წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, 2014ბ, გვ. 171).

უმეტეს ხატწერით რედაქციაში პეტრე მოციქული სახით უფლისკენ და მისკენვე ხელგაშვერით გამოისახება, რაც, **როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პეტრეს მაცხოვრისადმი თქმული სიტყვების მხატვრული ასახვაა.** დანარჩენი ორი მოციქული, უმეტესად, დამხობილია, რაც გადმოგვცემს შესაბამის სახარებისეულ თხრობას, რომლის მიხედვითაც, მოციქულები შეძრწუნდნენ, როცა უფალი გაბრწყინებული იხილეს.

4.10. ორ რეგისტრად გაყოფილი „ფერისცვალების“ იკონოგრაფია

მას შემდეგ, რაც ფერისცვალების იკონოგრაფიული სქემა ჩამოყალიბდა, იგი თითქმის ყოველთვის ორ რეგისტრადაა გაყოფილი. გამოსახულების ზედა რეგისტრში მაცხოვარი და წინასწარმეტყველები არიან გამოსახულნი, ხოლო ქვედაში – მოციქულები. საღვთისმეტყველო ტექსტებში ხშირად გვხდება აღნიშნული მოვლენის, როგორც „მიწისა და ზეცის შეერთების“ სიმბოლური გააზრება. ზედა რეგისტრში გამოსახულია ზეციური, სოფლისმიღმა სამყოფელი, ხოლო ქვედაში – ადგილი, სადაც მოციქულები მყოფობენ – ამქვეყნიური ალაგი. „ცასა“ და „მიწას“ განკაცებული ღმერთი „აერთებს“ (არიგებს). მთაზე ცხადდება უფლის საღვთო ბუნების დიდებულება, რომელმაც კაცობრივი ბუნება განაღმრთო, რაც ცალსახად გამოხატავს ზეციური სამყოფელის (ღვთის) მიერ ქვეყნიური

ალაგის (ადამიანის) „გაზეციერებას“. სწორედ ამას ბრძანებს წმინდა იოანე ოქროპირი თაბორის მთის სახილველზე: „ეჰა, დიდებული, საკჳრველი, გამოუთქუმელი და გამოუკულეველი, მიუწვდომელი, რომელი იხილა დღეს ნათესავმან კაცთამან. ვხედავთ დღეს ღმერთსა ქუეყანასა ზედა და კაცსა ვხედავთ ცათა შინა, და ამას ვხედავთ ღმერთსა სრულსა ყოვლითავე დიდებითა და კაცსა სრულსა ყოვლითავე თჳნიერ ცოდვისა“ (წმ. თეოდორე ჰარანელი, 1991, გვ. 395).

წარმოდგენილი ორი რეგისტრი ორ – ძველი და ახალი აღთქმის ეკლესიადაც შეგვიძლია გავიაზროთ, რომლებიც ღვთის განკაცებამ დააკავშირა. შესაბამისად, დასახელებული ხატმეტყველება (თაბორის მთის სახილველი) ეკლესიის სახედაც კი შეიძლება აღვიქვათ. ამასთან დაკავშირებით წმინდა ეფრემ ასური ამბობს: „იქმნა მთაჲ იგი სახე ეკლესიისა და შეაერთნა იესუ ორნივე იგი აღთქუმანი, და ესრჱთ შეიწყნარა ეკლესიამან, და გჳცნობიეს, რამეთუ იგი არს მომცემელი ორთავე მათ აღთქუმათაჲ“ (წმ. ეფრემ ასური, 1966, გვ. 14).

მართლაც, საეკლესიო მოძღვრების თანახმად, ქრისტეა ორივე აღთქმის მომცემელი. ფერისცვალებისას მიწა ზეცის ნაწილი გახდა, მიწიერება „ზეციერებად“ გარდაიქმნა. ამასთან დაკავშირებით წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „დღეს თაბორი ცათა მობაძავ იქმნების, რამეთუ ხედავს დიდებასა შემოქმედისა თჳსისასა, და შეიმკობის ღრუბლითა ნათლისაჲთა და იხარებს ჴმითა მამისაჲთა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1994, გვ. 294).

ორი აღთქმის, ორი სამყაროს, ორი ეკლესიის გაერთიანების გამომსახველია ასევე განხილულ იკონოგრაფიაში ზედა რეგისტრში ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა, ხოლო ქვედა რეგისტრში ახალი აღთქმის მოციქულთა გამოსახვაც. როგორც ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობისას აღინიშნა, **მაცხოვრის „საღვთო წიაღიდან“ გამომავალი სხივები, მოციქულებსა და წინასწარმეტყველებს ერთნაირად „ეფინებათ“, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათთვის საღვთო მადლის მიბოძების მხატვრული ასახვაა.** ეს კი თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ძველი და ახალი აღთქმის მამები ერთ საღვთო წიაღში ერთიანდებიან. მათი ერთიანობის შესახებ წმინდა ეფრემ ასური ამბობს: „მიჰხედეს ურთიერთას წინამძღუართა მათ ძუელისა შჯულისათა წინამძღურთა მათ ახლისა სჯულისათა. იხილა წმიდამან მოსე სიმონ განწმედილად. იხილა განმგებელმან მან მამისამან თანა-მყოფი

იესუჲსი. ერთმან განაპო ზღუაჲ, რაჲთა ვიდოდის შორის ღელვათა მისთა, მეორემან აღმართა კარავი, რაჲთა ეკლესიაჲ აღაშენოს. და ძუელისამან მან ქალწულმან მიჰხედა ახლისასა მის ქალწულსა, ელია – იოანეს, რომელი აღმაღლდა ეტლითა ცეცხლისაჲთა, მას, რომელი იგი მიეყრდნა მკერდსა მას“ (წმ. ეფრემ ასური, 1966, გვ. 14).

შესაბამისად, თაბორზე უფალმა ძველი და ახალი აღთქმის წმინდანები ერთად წარმოადგინა.

ამასთან, ვისაც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები ჭვრეტდნენ, ახლა თაბორის მთაზე ახალი აღთქმის მოციქულებთან ერთად უშუალოდ ხედავენ. წმინდა იოანე ოქროპირი ამასთან დაკავშირებით ბრძანებს: „დღეს მოსე შჯულისმდებელი გჳრგჳნოსან იქმნების წამებითა მამისაჲთა, რამეთუ რომლისათჳს წინა-აუწყა ისრაჱლსა, ვითარმედ: „წინასწარმეტყუელი ერთი აღგიდგინოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ძმათაგანვე შენთა, ვითარცა-ესე მე, მისი ისმინეთ“ (ბიბლია, 2015, II სჯულ. 18:15). ამას დაამტკიცებს მამაჲ და იტყჳს: „ეგე არს ძჱ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ““ (წმ. იოანე ოქროპირი, 1959, გვ. 191).

დამოწმებულ სიტყვებზე დაყრდნობით ვიტყვით, რომ მოსეს მიერ წარმოთქმული საწინასწარმეტყველო სიტყვები თაბორზე აღსრულდა, როდესაც თავად მამა ღმერთი მიუთითებს ძეზე, რომ სწორედ ის არის, ვისზეც იწინასწარმეტყველა მოსემ და ვისაც უნდა მოუსმინონ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხატმეტყველება მოციქულებსა და წინასწარმეტყველებს ორ რეგისტრში განათავსებს, რითაც წარმოაჩენს მათ შორის ეპოქალურ სხვაობას. **თუმცა მაცხოვრის გამოსახულებიდან თითოეულ მათგანზე გადასული სხივებით წარმოჩენილია ის, რომ განკაცებული ღმერთის გამომხსნელობითი მადლი ორივე ეპოქის (აღთქმის) წარმომადგენლებს შეეხო.**

4.11. მთის გამოსახულება იესო ქრისტეს ფერისცვალების ხატმეტყველებაში

მაცხოვრის ფერისცვალების ხატწერაში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია მთის გამოსახვას. შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებულ თითქმის ყოველ იკონოგრაფიულ სქემაში გამოისახება მთა (ხშირად სამად განტოტილი), რომლის წვერზეც მაცხოვარი და წინასწარმეტყველები დგანან, ხოლო ფერდზე მოციქულთა გამოსახულებებია განთავსებული.

მთის ჩართვას აღნიშნულ იკონოგრაფიაში, ძირითადად, ორი მიზეზი აქვს: ერთი მხრივ, რეალურ-ისტორიული, რაც გადმოცემულია სახარებისეულ თხრობაში, რომლის მიხედვითაც უფალმა მოციქულები „მთასა მაღალსა“ აიყვანა; ხოლო, მეორე მხრივ, სულიერ-სახისმეტყველებითი, რაც საეკლესიო მოძღვართა ჰომილიებსა და შრომებში ნათლადაა ასახული. დავიმოწმებთ რამდენიმე მათგანს.

წმინდა გრიგოლ პალამას მიხედვით: „იმის გამო იხილვება ღმერთი მთაზე, რომ, გარკვეულწილად, თავად ჩამოდის საკუთარი სიმაღლიდან, ხოლო ჩვენ აღგვამაღლებს ქვემორე დაგლახაკებულობისგან, რათა საზომისაებრ მისაწვდომი ყოფილიყო ქმნილი ბუნებისათვის, რამდენადაც შეურყეველია დაუტევნელი[27]“ (წმ. გრიგოლ პალამა, 1865, გვ. 428).

ნეტ. თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებით: „უფალი მთაზე ადის; მაღალ მთაზე აჰყავს იმის საჩვენებლად, რომ ის, ვინც მიწიერზე მაღლა არ დადგება, ასეთი ჭვრეტის ღირსი ვერ გახდება“ (ნეტარი თეოფილაქტე, 2009, გვ. 229).

წმინდა გრიგოლ ნოსელი თავის ცნობილ შრომაში: „ცხოვრება მოსესი, ანუ სათნოებისეული სრულქმნილების შესახებ“ – განიხილავს რა მოსეს მიერ „შეუწველი მაყვლის“ ხილვის ეპიზოდს, ამგვარ რამეს ბრძანებს: „ამ სინათლისგან ვსწავლობთ, აგრეთვე, იმას, თუ რა ვიღვაწოთ ჭეშმარიტების სხივთა შიგნით დასადგომად, და იმასაც, რომ **არ ძალგვიძს შებორკილი ფეხებით ზეაღვისწრაფოთ იმ სიმაღლემდე, სადაც იხილვება ჭეშმარიტების სინათლე,** თუ არ მოხდება ისე, რომ შემოეხსნას სულის ნაბიჯებს ტყავის მკვდარი და მიწიერი შესამოსელი, რაც იმთავითვე გარეშემოეცვა ჩვენს ბუნებას, როდესაც კი, ურჩობის გამო, გავშიშვლდით საღვთო ნებისგან“ (წმ. გრიგოლ ნოსელი, 2011, გვ. 52).

[27] იგულისხმება, რომ ღმერთი ქმნილებისთვის იმ საზომით ხდება მისაწვდომი, რამდენადაც მიუწვდომელია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღმერთი ხდება მისაწვდომი, ეს მის მიუწვდომლობას (დაუტევნელობას) სრულებითაც არ არღვევს.

სწორედ მთას, როგორც სულიერი ამაღლების მიმანიშნებელს, წარმოაჩენს დავით წინასწარმეტყველი შემდეგი სიტყვებით: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა? უბრალოჲ ჴელითა და წმიდაჲ გულითა, რომელმან არა აღიღო ამაოებასა ზედა სული თჳსი და არცა ეფუცა ზაკუვით მოყუასსა თჳსსა. ამან მოიღოს კურთხევაჲ უფლისაგან და წყალობაჲ ღმრთისაგან მაცხოვრისა მისისა“ (ბიბლია, 2015, ფსალმ. 23:3-5).

ასე რომ, დამოწმებულ განმარტებათა მიხედვით, იესო ქრისტეს მიერ თაბორის მთაზე მოციქულთა აღყვანებას შემდეგი სახისმეტყველებითი დატვირთვა აქვს: უფლის მთაზე გამოჩენა მის განკაცებას, „საკუთარი სიმაღლიდან“ შთამოსვლას განასახიერებს, რათა მან ადამიანი განაღმრთოს. გარდა ამისა, ის, ვინც საკუთარი ცხოვრებით მიწიერებაზე არ ამაღლდება, ვერ გახდება საღვთო მადლის მიმღები („ღვთის მჭვრეტელი“). თაბორის მთა ზეციური სამყოფელის, ზეცის „მობაძავ იქმნა“ მასზე განცხადებული სახილველის გამო, შესაბამისად, მასში (ზეცის სამკვიდრებელში) დასავანებლად აუცილებელია ადამიანი სულიერი განწმენდით ზეაღიწიოს.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ, როგორც ლუკა მახარებელი გვაუწყებს, უფალი თაბორის მთაზე სალოცავად ადის, რომელიც სიმბოლურად ლოცვის დროს ადამიანის სულიერ ამაღლებასა და გარდაქმნაზე მიანიშნებს (ნეტარი თეოფილაქტე, 2009, გვ. 70).

4.12. იესო ქრისტეს ფერისცვალების კომპოზიციების ვრცელი რედაქცია

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ მოგვიანო ხანაში ვხვდებით ე.წ. ვრცელ რედაქციებს, სადაც ძირითად კომპოზიციას ემატება მაცხოვრისა და მოციქულების მთაზე ასვლისა და მთიდან გარდამოსვლის სიუჟეტები. წარმოდგენილი სცენა, რასაკვირველია, შესაბამის სახარებისეულ თხრობას ეფუძნება, რომელშიც ნათქვამია, რომ ფერისცვალება „მთასა მაღალსა“ აღესრულა, სადაც მაცხოვარმა აიყვანა მოციქულები, ხოლო მთაზე აღსრულებული სასწაულის შემდეგ ერთად ჩამოვიდნენ იქიდან (ბიბლია, 2015, მთ. 17:9-13).

4.13. იესო ქრისტეს ფერისცვალების იკონოგრაფიაზე მსჯელობის შემაჯამებელი ნაწილი

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვიტყვით, რომ იესო ქრისტეს ფერისცვალების კომპოზიცია გადმოგვცემს შესაბამისი სახარებისეული თხრობისა და მისი ეგზეგეზის იკონოგრაფიულ ასახვას. კომპოზიციის ცენტრალურ გამოსახულებას წარმოადგენს მანდორლით გარემოცული იესო ქრისტე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხატმეტყველება მისი მეშვეობით გამოხატავს განკაცებული ღმერთის საღვთო ბუნებას, რომელიც, ზემოდამოწმებული ეგზეგეზის მიხედვით, მის სხეულსა და შესამოსელზე ნათლის სახით გამოვლინდა. სწორედ ამ „შეუქმნელ ნათელს“ გამოხატავს აღნიშნული გამომსახველობა. მისი ნათებით გამოსახული მაცხოვარი, ასევე, გამოხატავს მისი აღდგომის შემდგომდროინდელ, განღმრთობილ კაცობრივ ხორცს. ამასთან, მის იმ სახებას, რითაც ის მეორედ მოსვლისას დიდებულად განეცხადება კაცობრიობას. გარდა ამისა, დასახელებული იკონოგრაფია სახეობრივად გადმოგვცემს თაბორზე განფენილ „ნათლის ღრუბელს“.

„ოვალური წრიდან“ გამომავალი სხივები წინასწარმეტყველებსა და მოციქულებს „ეფინება“, რაც განასახიერებს საღვთო მადლის ბოძებას მორწმუნეებისადმი. წინასწარმეტყველთა გამოსახულებები მაცხოვრისკენ არიან მიმართულნი, რითაც გადმოცემულია მათ შორის წარმართული დიალოგი მაცხოვრის მომავალი ვნების შესახებ. ამავდროულად, მათი დგომის პოზები ქრისტესადმი თაყვანისცემას გამოხატავს.

კომპოზიციაში გადმოცემული მოციქულების დგომის ფორმა სახარებაში აღწერილი მათივე მდგომარეობის ასახვაა. პეტრე მოციქული, რომელიც სახით უფლისკენ არის გამოსახული და ხშირ შემთხვევაში ხელებიც მისკენ აქვს მიმართული, განასახიერებს მის ზემოგადმოცემულ, სახარებაში აღწერილ საუბარს უფალთან. ხოლო დანარჩენი ორი მოციქულის მიწაზე განრთხმა ან პირქვე მათი წარმოდგინება, სრულად ასახავს იმ შეძრწუნებას, რაც სახარების თანახმად მათ დაეუფლათ.

დასახელებულ იკონოგრაფიაში წარმოდგენილი მთაზე მყოფი წინასწარმეტყველები და უფალი, გარდა სახარებისეული თხრობის გადმოცემისა, რომლის თანახმადაც ფერისცვალება „მთასა მაღალსა“ აღესრულა, სახეობრივად ადამიანის გონების საღვთო სიმაღლემდე ზეაწევნულობას გამოხატავს.

ასე რომ, მაცხოვრის ფერისცვალების ხატმეტყველება არის შესაბამისი სახარებისეული თხრობისა და წმინდა მამათა ეგზეგეზის იკონოგრაფიული გადმოცემა.

თავი V. იესო ქრისტეს „ვნების ციკლად“ წოდებული მოვლენებისა და ჯოჯოხეთის წარტყვევნა-წარმოცალიერების (აღდგომის) იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო - სახისმეტყველებითი ასპექტები

სახარებაში განსაკუთრებული ხაზგასმითაა წარმოდგენილი იესო ქრისტეს ვნებისა და მისი აღდგომის შესახებ თხრობა, რადგან სწორედ ამით აღსრულდა ძე ღმერთის განკაცების მიზანი - კაცობრიობის გამოხსნა ცოდვისა და წყევისაგან. შესაბამისად, სახარების ხატმეტყველებაში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა იესო ქრისტეს ვნებისა და აღდგომის იკონოგრაფიულ ასახვას. ქრისტეს ვნებასთან დაკავშირებულ გამომსახველობას „ვნების ციკლი“ ეწოდება.

წინამდებარე თავში ჩვენ მიერ განხილული იქნება შემდეგი სახარებისეული ეპიზოდების ხატმეტყველება და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები: საიდუმლო სერობა, ჯვარცმა, გარდამოხსნა და ჯოჯოხეთის წარმოცალიერება.

5.1. „საიდუმლო სერობის“, ევქარისტიის მნიშვნელობის ასახვა ხატმეტყველებაში

იესო ქრისტეს უკანასკნელი ტრაპეზი მოციქულებთან „საიდუმლო სერობად“ იწოდება და მის შესახებ ოთხივე მახარებელი მოგვითხრობს (ბიბლია, 2015, მთ. 26: 17-30; ბიბლია, 2015, მარკ. 14: 12-26; ბიბლია, 2015, ლკ. 22:7-23; ბიბლია, 2015, იო. 13: 1-30). შესაბამისი თხრობის მიხედვით, ჯვარცმამდე, იესო ქრისტემ მოციქულებთან ტრაპეზი ინება. იესო ქრისტე უკანასკნელ პასექზე მოციქულებთან ერთად არის, სადაც ზიარების საიდუმლო დაწესდება - უფალი თავის სისხლად და ხორცად გარდაქმნის პურსა და ღვინოს: ,,და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოიღო იესუ პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ჴორცი ჩემი. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგან ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა

აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა (ბიბლია, 2015, მთ. 26:26-28).

„საიდუმლო სერობით“ პირველი ლიტურგია აღსრულდა. ამავე ტრაპეზზე მაცხოვარი მოციქულებს გაუმხელს, რომ იგი ერთ-ერთი მოციქულის მიერ გაიცემა. იოანეს სახარებაში საიდუმლო სერობისას მაცხოვრის მიერ მოციქულების ფერხთბანვაცაა გადმოცემული.

„საიდუმლო სერობა“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იკონოგრაფიული გამოსახულებაა და ქრისტიანულ ხელოვნებაში იგი საკმაოდ ადრეულ პერიოდში გაჩნდა. ინახით მჯდომი იესო ქრისტესა და მოციქულების გამოსახულებები ჯერ კიდევ კატაკომბების მხატვრობაში გვხვდება (II-III სს.). ზოგიერთი მეცნიერი ამ გამოსახულებებს საიდუმლო სერობის წინასახედ მიიჩნევს [28]. იესო ქრისტეს უკანასკნელი ტრაპეზის ადრეული **ხატმეტყველება რავენის სან-ვიტალე ნუოვოს ეკლესიის მოხატულობასა და VI საუკუნის რაბულის სირიული სახარების დასურათებაში** წარმოდგენილი (ჭელიძე, 2020, გვ. 6). ორივე შემთხვევაში აქცენტი გაკეთებულია ამ გამოსახულების ზიარებასთან დაკავშირებულ შინაარსზე.

5.2. იესო ქრისტეს მიერ მოციქულთა ზიარების ხატმეტყველება

ადრეული პერიოდიდანვე ვხვდებით იესო ქრისტეს მიერ მოციქულთა ზიარების გამოსახულებას, სადაც მაცხოვარი თორმეტ მოციქულს ღვინითა და პურით აზიარებს [29]. კონკრეტულად, დასახელებულ ხატმეტყველებაში, სალხინებლის ქვეშ, ტრაპეზთან მდგარი მაცხოვარი მის მარჯვენა მხარეს გამოსახულ ექვს მოციქულს მიაწვდის ღვინოს (ქრისტეს სისხლს), მარცხენა მხარეს კი - დანარჩენ ექვს, პურს (ქრისტეს ხორცს) (ჩხარტიშვილი, 2010).

აღნიშნული ტიპის იკონოგრაფიას საქართველოშიც ვხვდებით. კერძოდ, უბისის ტაძრის კედლის მხატვრობაში მაცხოვარი ორ რიგად წარმოდგენილ მოციქულებს აზიარებს (ილ. 16; 17).

---

[28] სიტყვა "საიდუმლო" სერობას მოგვიანებით დაემატა. ეს დასახელება გვიანი პერიოდის ტექსტებში გვხვდება. ადრე კი საქართველოში მას "უფლის სერობას" უწოდებდნენ. გარდა ამისა, შესაბამის იკონოგრაფიაში გვხდება კიდევ ერთი სახელდება: „მისტიკური ვახშამი“.

[29] აქ, რასაკვირველია, იესო ქრისტეს სისხლი და ხორცი მოიაზრება.

იესო ქრისტეს მიერ მოციქულების ზიარება ევქარისტიის საიდუმლოს დაწესებასა და მის უაღრესად დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს. საეკლესიო მოძღვრების თანახმად, ევქარისტიის აღსრულების შედეგად პური და ღვინო იესო ქრისტეს სისხლად და ხორცად გარდაიქმნება, რომლითაც ადამიანი ქრისტეს თანაზიარი ხდება. ამასთან დაკავშირებით სახარებაში ვკითხულობთ: „რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგომილ არს, და მე მის თანა“ (ბიბლია, 2015, იო. 6: 56).

დამოწმებული სიტყვები ზიარების საიდუმლოს უაღრესად დიდ მნიშვნელობას წარმოაჩენს. იესო ქრისტეს სისხლისა და ხორცის მიღების შედეგად ადამიანში თავად განკაცებული ღმერთი დაივანებს.

აღნიშნულის შესახებ წმინდა კირილე იერუსალიმელი საუბრობს: „სრული გულსავსებით ვეზიაროთ ქრისტეს სხეულსა და სისხლს, ვინაიდან პურის სახით გეძლევა შენ სხეული და ღვინის სახით გეძლევა შენ სისხლი, რომ ქრისტეს სხეულთან და ხორცთან ზიარებული გახდე თანასხეული და თანასისხლი ქრისტესი, რამეთუ ამ გზით ვხვდებით, აგრეთვე, ქრისტეშემოსილნი“ (ჭელიძე, 2020, გვ. 61).

იესო ქრისტეს მიერ მოციქულთა ზიარების იკონოგრაფიაში უფალი წარმოგვიდგება, როგორც მღვდელმთავარი (მღვდელი), რომელიც ევქარისტიას აღასრულებს, რაც შესაბამის საეკლესიო მოძღვრებას ეფუძნება, რომლის მიხედვითაც, ლიტურგიის მსვლელობის ჟამს ქრისტეა „შემწირველიც და შეწირულიც“ (კონდაკი, 2016, გვ. 146).

განკაცებული ღმერთის მღვდელმოქმედების შესახებ გვმოძღვრავს პავლე მოციქული, რომელიც მოიხმობს ძველი აღთქმის პატრიარქის, აბრაამისა და მელქისედეკის შეხვედრის ისტორიას, სადაც მელქისედეკი აბრაამს პურითა და ღვინით უმასპინძლდება (ბიბლია, 2015, დაბ. 12:18). მოციქულთა თავი ამბობს, რომ მელქისედეკი განკაცებული ღმერთის წინასახეა (ბიბლია, 2015, ებრ. 7).

V საუკუნის უდიდესი მამა, წმინდა კირილე ალექსანდრიელი აღნიშნავს: „შევსვათ მისი წმიდა სისხლი ჩვენი შეცოდებებისაგან განსაწმედელად და მასში (ღმერთში), აღდგომაში მონაწილეობისთვის, და მასთან გვწამდეს, რომ იგი თავად არის მღვდელიც და მსხვერპლიც, თავად არის შემწირველიც და შეწირულიც,

მიმღებიც და გამცემიც ისე, რომ ორ პირად არ გავყოთ საღმრთო და განუყოფელი და შეურწყმელი შეერთება ერთისა ყოვლადპატიოსანი სამებიდან“ (მართლმადიდებლური ეკლესიის საიდუმლოებანი, 2010, გვ. 247).

როგორც აღინიშნა, უბისის (და სხვა ანალოგიურ) კედლის მხატვრობაში წარმოდგენილ იკონოგრაფიაში იესო ქრისტე მოციქულებს აზიარებს. ამასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში მღვდელმთავარი სამღვდელო პირებს საკურთხეველში აღნიშნული გამომსახველობის ანალოგიურად აზიარებს - ეპისკოპოსი წმინდა ხორცს სასულიერო დასის წარმომადგენლებს ხელის გულზე უდებს, ხოლო წმინდა სისხლს ბარძიმიდან საკუთარი ხელით მიაღებინებს. უნდა ითქვას ისიც, რომ ზიარების მიღების ამგვარი წესი VII საუკუნემდე ერისკაცების მიმართაც არსებობდა. ადრეული წყაროების მიხედვით, სიწმინდე მზიარებელის ხელისგულზე დაიდებოდა (ჭელიძე, 2020, გვ. 167). აღნიშნული წესი ტრულის კრების განჩინებით იყო განსაზღვრული, სადაც ვკითხულობთ: „თუ ვინმეს სურს ეზიაროს უხრწნელ სხეულს ჟამისწირვის დროს და თანაზიარების გზით ერთი გახდეს მასთან, ხელები დააწყოს ჯვრის სახედ, ამგვარად მივიდეს ახლოს და მიიღოს მადლის ზიარება“ (ჭელიძე, 2020, გვ. 169).[30]

საინტერესოა წმინდა ზიარების მიღებისას ხელების ზემოაღწერილი წყობის სახისმეტყველებაც, რის შესახებაც წმინდა კირილე იერუსალიმელი თავის მეხუთე მისტაგოგიურ კატეხიზისში საუბრობს: „ხოლო მოსვლისას (იგულისხმება საზიარებლად მისვლა - გ. ვ.) ნურც გაწვდილი ხელის მტევნით და ნურც გაშლილი თითებით მოხვალ, არამედ მარცხენა იყოს საყდრად მარჯვენისა, რომელიც ელოდება მეუფის შეწყნარებას. ხელისგულის სიღრმეში მიიღე ხორცი ქრისტესი და წართქვი „ამინ“ (წმ. კირილე იერუსალიმელი, 2015, გვ. 320).

[30] როგორც საეკლესიო წყაროებით ირკვევა, ტრულის კრებაზე აღნიშნული განჩინების მიღება გამოწვეული იყო იმ პერიოდში ზიარების მიღების ეკლესიისთვის შეუწყნარებელი ფორმის გამო. კერძოდ, წმინდა ზიარებას ჭურჭელში აბრძანებდნენ და ისე მიიღებდნენ. აღნიშნულ გარემოებაზეა საუბარი დასახელებული კრების შესაბამის კანონში, სადაც ვკითხულობთ: „ვინაიდან იმათ, რომლებიც საღვთო ძღვენის მისაღებად ხელის სანაცვლოდ ჭურჭლებს ამზადებენ ოქროსგან ან სხვა რამ ნივთისგან და ამ ჭურჭლებისგან ღირს იჩენენ ზიარებას, არანაირად არ შევიწყნარებთ“ (ჭელიძე, ზიარების საიდუმლოს შესახებ, 2020, გვ. 169).

დამოწმებული ეგზეგეზისის მიხედვით, მარცხენა ხელზე დადებული მარჯვენა, რომლის ხელისგულზეც ქრისტეს წმინდა ხორცი უნდა დასვენდეს, განასახიერებს ღვთის ტახტს, რომელზეც უფალი დაბრძანდება.

გარდა ამისა, ჯვრის სახედ დაწყობილი ხელები განასახიერებს ჯვარს და მასზე აღსრულებულ მსხვერპლს (ჭელიძე, 2020, გვ. 177). სწორედ ამას ბრძანებს წმიდა იოანე დამასკელი თავის ცნობილ დოგმატურ ნაშრომში: „მივეახლოთ მას მგზნებარე მოსწრაფებით, ჯვრისსახოვნად გამოვსახოთ ხელისგულები და მივიღოთ ჯვარცმულის სხეული“ (წმ. იოანე დამასკელი, 2019, გვ. 584).

ამავე ეპოქაში ბარძიმიდან წმინდა სისხლის მიღების წესი იყო განსაზღვრული. წმინდა კირილე იერუსალიმელის დამოწმებული საღვთისმეტყველო ნაშრომის მიხედვით, „ქრისტეს ხორცთან ზიარების შემდეგ მიეახლე სისხლის სასმისს, არა გაწვდილი ხელით, არამედ ქედდადრეკით. თაყვანისცემისა და კრძალულების ნიშნად თქვი „ამინ“ და განიწმინდე ქრისტეს სისხლთან ზიარებითაც“ (წმ. კირილე იერუსალიმელი, 2015, გვ. 321).

აღწერილი იკონოგრაფია, რომელზედაც მაცხოვარი მოციქულებს თავისი ხორცის (პურის სახით) ხელში ჩადებით და ბარძიმიდან სისხლის (ღვინის სახით) მიღებით აზიარებს, შესაბამის საეკლესიო ლიტერატურაში გადმოცემულ შინაარსზეა დაფუძნებული, რომლის მიხედვითაც, VII საუკუნემდე წმინდა ზიარების მიღება სწორედ აღნიშნული სახით აღესრულებოდა.[31]

დასახელებული იკონოგრაფია წარმოაჩენს საეკლესიო სწავლებას წმინდა ზიარების უაღრესად დიდი მნიშვნელობის შესახებ.

5.3. სახარებისეული თხრობის ასახვის თავისებურებები შუა საუკუნეების და შემდგომდროინდელ „საიდუმლო სერობის“ ხატმეტყველებაში

„საიდუმლო სერობის“ ხატმეტყველების ნიმუშებში განსაკუთრებული ადგილი დავითგარეჯის უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოში არსებულ ფრესკულ

[31] თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში გავრცელებული ზიარების წესი - კოვზით მიღება - დამკვიდრდა მე-10 საუკუნეში (ჭელიძე, ზიარების საიდუმლოს შესახებ, 2020, გვ. 208).

გამოსახულებას უკავია (ილ. 18), რომელიც უნიკალურია როგორც შინაარსით, ასევე მხატვრული მახასიათებლებითაც (X-XI სს.) ამ გამოსახულებაში მაგიდაზე ვხედავთ ბარძიმებს, პურის სამკუთხა ნატეხებს, რაც ევქარისტიის ასახვაა. უნდა ითქვას ისიც, რომ მაღალმხატვრული ოსტატობითაა შექმნილი მოციქულთა თავებისა და ხელების მოძრაობის რიტმი, რაც მათ შორის საუბრის გამომხატველია. განსაკუთრებით საყურადღებოა იესო ქრისტეს პურისა და ბარძიმისკენ გაწვდილი ხელი, რომელიც სწორედ დამოწმებულ სიტყვებს გამოხატავს: „მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ჴორცი ჩემი... სუთ ამისგან ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა“ (ბიბლია, 2015, მთ. 26:26-28).

უნდა ითქვას ისიც, რომ თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში ევქარისტიის აღსრულებისას, ძღვნის კურთხევის წინ, სამღვდელო პირი აღნიშნულ სიტყვებს წარმოთქვამს და მარჯვენა ხელით ტრაპეზზე დაბრძანებულ შესაწირ ძღვენზე მიუთითებს.

„საიდუმლო სერობის“ იკონოგრაფიის შემდგომ განვითარებას **ყინწვისისა და უბისის** ტაძრების მოხატულობაში ვხვდებით. თუმცა, განსაკუთრებით ექსპრესიულია უბისას მხატვრობა (სადაც საიდუმლო სერობა ცალკე კომპოზიციადაა გამოყოფილი, ხოლო მოციქულთა ზიარების სცენა, რასაც უკვე შევეხეთ - ცალკე გამოსახულებად), რომელიც ვინმე დამიანეს განეკუთვნება. ეს საკმაოდ დიდი კომპოზიცია XIV საუკუნისთვის დამახასიათებელი თხრობითი ელემენტების სიუხვითაც გამოირჩევა (ილ. 19).

ადრეული ნიმუშებისგან განსხვავებით, მაცხოვარი კომპოზიციის ცენტრშია, მოციქულები მის მარჯვენა და მარცხენა მხარეს არიან განთავსებულები. იოანე ღვთისმეტყველი უფლის მუხლს არის ჩახუტებული და იესო ქრისტეს მასზე ხელი აქვს გადახვეული. იოანე მოციქულის უკან კი პეტრე მოციქულის გამოსახულებაა. აღნიშნული გამომსახველობა იოანეს სახარების შესაბამისი, დამოწმებული თხრობის ამსახველია, რომლის თანახმადაც პეტრე მოციქული იოანე ღვთისმეტყველს ანიშნებს, მაცხოვარს მისი გამცემლის ვინაობის შესახებ ჰკითხოს.

უბისის ტაძრის მოხატულობაში იუდა მაგიდაზეა გადაწოლილი და ბარძიმს ხელით ეხება. ეს კომპოზიცია სახარებისეული ტექსტის იმ ნაწილს შეესაბამება,

სადაც მოცქულთა მიერ დასმულ კითხვაზე, თუ ვინ არის გამცემი, მაცხოვარი პასუხობს: „ერთმან ათორმეტთაგანმან, რომელმან შთამოყოს პინაკსა ამას ჴელი ჩემ თანა, იგი მიმცემს მე“ (ბიბლია, 2015, მარკ. 14:20). შესაბამისად, აღნიშნული ხატმეტყველება იუდას გამცემლობის სივერაგეს უსვამს ხაზს.

წმიდა იოანე ოქროპირი იუდას მიმართ ბრძანებს: „ჰ, სიბრმე იგი უბადრუკისა მის განმცემელისაჲ! საიდუმლოთა მათ ეზიარებოდა და თჳსსავე უკეთურებასა ზედა ეგო; და შესაძრწუნებელსა მას ტრაპეზსა პურისმტე იყო და არა მოიქცა ბოროტისაგან. ამისთვის იტყჳს მახარებელი იოვანე, ვითარმედ: „შემდგომად პურისა მაშინ შევიდა მისა ეშმაკი... არა თუ ჴორცისა მისგან და სისხლისა სამეუფოჲსაცა არა ძრწოდა, ჰე, ძრწოდა, გარნა ურცხჳნობამან მან და უშჯულოებამან იუდაჲსმან მისცა მას კადნიერებაჲ მის ზედა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014ბ, გვ. 429).

დამოწმებული ეგზეგეზისიდან ორი რამ ირკვევა: იუდა აღნიშნული ტრაპეზის პურისმტე იყო და ასევე ის, რომ გამცემელი კადნიერებით ეზიარა, რაც საიდუმლო სერობის ხატმეტყველებაში აისახა.

ექვთიმე ზიგაბენის მიხედვით, იესო ქრისტეს მიერ წარმოთქმული ზემოდამოწმებული სიტყვების წარმოთქმის მიზეზი არის უფლის სურვილი, რომ იუდაში სირცხვილის გრძნობა გააღვივოს (Евфимий Зигабен, თ. გ.).

საინტერესოა ის, რომ პინაკში გამოსახულია თევზი (და არა პური). ერთ-ერთი განმარტებით, თევზში წმინდა ეკლესია მოიაზრება. ამასთან დაკავშირებით მოვიხმობთ სახარების ეპიზოდს, რომლის მიხედვითაც მაცხოვარი თევზაობისას მოუხმობს მოციქულებს, მოუწოდებს მათ თავი დაანებონ თევზაობას და ,,კაცთა მებადურებად“ აქცევს მათ: ,,და იქცეოდა რაჲ იესუ ზღჳსკიდესა მას გალილეაჲსასა, იხილნა ორნი ძმანი: სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრეა, ძმაჲ მისი, ითხევლიდეს რაჲ სათხევლითა ზღუასა მას, რამეთუ იყვნეს მესათხევლე. და ჰრქუა მათ: „მოვედით და შემომიდეგით მე, და გყვნე თქუენ მესათხევლე კაცთა“. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ბადე მათი და შეუდგეს მას“ (ბიბლია, 2015, მთ. 4:18-20).

იოანე ოქროპირის მიხედვით, ბადეში მაცხოვრის მოძღვრება იგულისხმება, ხოლო მასში მოყოლილ თევზებში, ეკლესიის მომავალი წევრები მოიაზრებიან:

,,რამეთუ ვითარცა იგინი საყვირითა ხოლო უფლისაჲთა მოინადირნეს, ესრეთ ჰრწმენა, ვითარმედ მათ მიერცა მოინადირნენ კაცნი, და ეგრეთცა იქმნა მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014ბ, გვ. 208-209).

ბერძნულ ენაზე თევზის სახელი „იხთიოს“ («ΙΧΘΥΟΣ») იშიფრებოდა, როგორც აბრევიატურა: „იესო ქრისტე ღვთის ძე მაცხოვარი“ –«Ιησους Χριστος, Θεου Υιος, Σωτηρ». შესაბამისად, თევზი იესო ქრისტეს სიმბოლოცაა.

წარმოდგენილ განმარტებათა მიხედვით, თევზს ორი სახისმეტყველებითი განმარტება აქვს: იგი სახეა თავად ქრისტესი და სახეა ეკლესიისა. იუდას პინაკისკენ მიმართული ხელი შესაძლოა გავიაზროთ, როგორც უფლის შეურაცხყოფის გამომხატველი ჟესტიკულაცია. ზოგად ჭრილში, იუდას მიერ თევზის ხელყოფა ქრისტესა და მისი მიმდევრების მიმართ ბოროტი ძალის წინააღმდეგობას გამოხატავს.

დასახელებულ ხატმეტყველებაში მოციქულები ხელების ჟესტიკულაციით არიან გამოსახულნი. ერთმანეთის მზირალთ მეტად აღელვებული სახეები აქვთ, რითაც იუდას მიერ უფლის გაცემის შესახებ იესო ქრისტესა და მოციქულებს შორის საუბრის შესაბამისი სახარებისეული თხრობაა გადმოცემული.

ამავე დროს, ჰორიზონტალურად გაშლილი მაგიდის წინა პლანზე გამოტანილია ბარძიმთა რიგი; შუაში – ერთი დიდი ბარძიმი, რომელშიც დიდი თევზია მოთავსებული. დანარჩენებში კი თევზის დანაწევრებული ნაწილები აწყვია. როგორც აღინიშნა, თევზი იესო ქრისტეს სახეა. შესაბამისად, აღნიშნული გამომსახველობა პროსკომიდიის იკონოგრაფიული გადმოცემაა, სადაც მსხვერპლს ანაწევრებენ.

სახარებაში გადმოცემულია, რომ „უკანასკნელი ტრაპეზი“, რომელიც აღსრულდა, ძველი აღთქმის პასექის აღმნიშვნელი იყო: „ხოლო პირველსა მას დღესა უცომოებისასა მოუჴდეს მოწაფენი იესუს და ჰრქუეს მას: „სადა გნებავს, და მოგიმზადოთ შენ ჭამად პასქაჲ ესე?“ ხოლო იესუ ჰრქუა მათ: „წარვედით ქალაქად კაცისა ვისამე და არქუთ მას: „მოძღუარი ეგრეთ იტყჳს: ჟამი ჩემი ახლოს არს, შენ თანა ვყო პასქაჲ ესე მოწაფითურთ ჩემით“. და ყვეს ეგრეთ მოწაფეთა, ვითარცა უბრძანა მათ იესუ, და მოუმზადეს პასექი იგი“ (ბიბლია, 2015, მთ.26:17-19).

„საიდუმლო სერობით“ უფალმა, ერთი მხრივ, აღასრულა და დაასრულა ძველი აღთქმის პასექი, რომელიც თავისთავში ღვთის განკაცების საიდუმლოს დაიტევდა, მეორე მხრივ, აღნიშნულ ტრაპეზზე იესო ქრისტეს მიერ აღსრულებული ქმედებით ახალი აღთქმის პასექს - უსისხლო მსხვერპლშეწირვას დაედო დასაბამი.

იოანე ოქროპირის მიხედვით, „საიდუმლო სერობის“ ტრაპეზი პასექის აღნიშვნის ჟამს აღესრულება, რითაც ამ დღესასწაულში დაფარული ღვთის განკაცებისა და მის მიერ კაცობრიობის გამოხსნის შესახებ არსებული საიდუმლო გაცხადდება: „რაჲსათჳს ჟამსა მას პასექისასა აღასრულებს ამას საიდუმლოსა? რაჲთა ყოვლით კერძო ვიცნათ, ვითარმედ ძველისაცა შჯულისანი სახენი იყვნეს ახლისა ამის აღთქუმისანი და ამას მოასწავებდეს“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014ბ, გვ. 430).

კონსტანტინეპოლელი მოძღვარი იმასაც ბრძანებს, რომ მოსეს რჯულის მიხედვით პასექის დროს დაკლული ცხვარი ევქარისტიის ჟამს აღსრულებული უსისხლო მსხვერპლშეწირვის წინასახე იყო: „ჰხედვა, ვითარ განაშორებს მათ წესთაგან ჰურიათასა? „ამას ჰყოფდით მოსაჴსენებლად ჩემდა“. ვითარცა-იგი დაკვლასა მას კრავისასა აღასრულებდით მოსაჴსენებლად საკჳრველებათა მათ, ეგჳპტეს ქმნილთა, ეგრეთვე ამას ჰყოფდით მოსაჴსენებლად ჩემდა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014ბ, გვ. 431).

იესო ქრისტეს მირ აღსრულებული პირველი ევქარისტიით დასაბამი დაედო წმინდა ძღვნის კურთხევას. როგორც უკვე აღინიშნა, წირვის დროს პური და ღვინო ქრისტეს სისხლად და ხორცად გარდაიქმნება.

უბისის „საიდუმლო სერობის“ იკონოგრაფიაში მკვეთრი გამომსახველობითაა წარმოდგენილი **მრგვალი, ნახევრად ოვალური ფორმის პურები, რაც ქრისტეს ხორცის გამომხატველია.** საინტერესოა, რომ ძველი აღთქმის პასექის აღნიშვნისას საპასექო პური საფუარის გარეშე ცხვებოდა. საეკლესიო სწავლების თანახმად, საიდუმლო სერობის ჟამს იესო ქრისტემ გაფუებული პური გამოიყენა, რაზეც გამოსახული პურების სიდიდე და ოვალურობა მიანიშნებს.

საიდუმლო სერობის ჟამს გაფუებული პურის გამოყენებას მისი ბერძნული შესატყვისის ეტიმოლოგიაც ადასტურებს. სახარების შესაბამის ბერძნულ ტექსტში

გამოყენებულია სიტყვა „არტოსი“. წარმოვადგენთ მათეს სახარების შესაბამის ტექსტს: „**Εσθιόντων δὲ αὐτῶν λαβὼν ὁ Ἰησοῦς ἄρτον καὶ εὐλογήσας ἔκλασεν καὶ δοὺς τοῖς μαθηταῖς εἶπεν, Λάβετε φάγετε, τοῦτό ἐστιν τὸ σῶμά μου**“ („და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოიღო იესუ პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ჴორცი ჩემი“ (ბიბლია, 2015, მთ. 26: 26). სახელდება „არტოსი (არტონი)“ ქართულად გაფუებულ ხორბლის პურს ნიშნავს. წმიდა მამათა განმარტებების მიხედვით, უფალმა საგანგებოდ გამოიყენა გაფუებული პური, რითაც ახალი აღთქმის ევქარისტიისას გამოსაყენებელი პურის სახე (გაფუებული) დააწესა. სახარების თხრობის მიხედვით, საფუარი, რომელიც ცომს უერთდება და აფუებს, სასუფევლის სახეა: „მერმე სხუასა იგავსა ეტყოდა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან და შეჰრთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდის აღაფუვნა იგი ყოვლად“ (ბიბლია, 2015, მთ. 13:33).

ახლი აღთქმის პერიოდში უკვე აღარ არის ძველი აღთქმის სიღარიბე, სიმწირე და „უფუარობა“ (ხაჩიძე, 2010, გვ. 279).

ზოგიერთ შემთხვევაში საიდუმლო სერობის გამოსახულებას ემატება ფერხთა ბანვის ეპიზოდიც (მაგალითად, ვარძიაში), რასაც, მხოლოდ იოანე მახარებელი გადმოგვცემს.

5.4. იესო ქრისტეს ჯვარცმისა და გარდამოხსნის ხატმეტყველება

ვნების ციკლის ამსახველი შემდეგი იკონოგრაფიული გამოსახულებებია იესო ქრისტეს ჯვარცმისა და გარდამოხსნის ხატმეტყველება. შესაბამის სახარებისეულ თხრობას ოთხივე მახარებელი გადმოგვცემს (ბიბლია, 2015, მთ. 27: 33-61; ბიბლია, 2015, მარკ. 15:22-47; ბიბლია, 2015, ლკ. 23: 33-54; ბიბლია, 2015, იო. 19:17-38).

უფალი ჯვარს ეცვა გოლგოთაზე. იგი ჯვარს აცვეს ორ ავაზაკს შორის. ლუკას სახარების მიხედვით, მარცხნივ თანაჯვარცმული ავაზაკი გმობდა მას, ხოლო მარჯვნივ თანაჯვარცმული „ეტყოდა იესუს: მომიჴსენე მე, უფალო, ოდეს მოხჳდე

სუფევითა შენითა. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ამინ გეტყჳ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა“ (ბიბლია, 2015, ლკ. 23:42).

იგივე მახარებლის მიხედვით, მაცხოვრის ჯვარზე აღსრულებამდე „ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე. და დაბნელდა მზე, და განიპო კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის შორის. და ჴმა-ყო ჴმითა დიდითა იესუ და თქუა: მამაო, ჴელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა“ (ლკ. 23: 44-46). ამის შემდეგ, იოანე მახარებლის მიხედვით, ჯვარცმულმა მაცხოვარმა „მიიდრიკა თავი და განუტევა სული“ (ბიბლია, 2015, იო. 19: 30).

იოანე მახარებელი მოგვითხრობს ჯვარცმული ქრისტეს კვართისა და შესამოსელის შესახებ. ამასთანავე, წინამდებარე სახარებისეულ ამონარიდში საუბარია იმის თაობაზე, თუ როგორ ჩააბარა ჯვარცმულმა ქრისტემ საკუთარი დედა იოანე ღვთისმეტყველს (ბიბლია, 2015, იო.19:23-27).

იგივე მახარებელი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ და რატომ დაუმტვრიეს წვივები ავაზაკებს, ხოლო აღსრულებულ მაცხოვარს ფერდში მახვილი უგმირეს. შესაბამისი თხრობის მიხედვით, რადგან მეორე დღეს პასექი თენდებოდა, ებრაელებს არ სურდათ მაცხოვრისა და ავაზაკების სხეულები ჯვარზე დაეტოვებინათ. მათ გადაწყვიტეს ჯვარცმულებისთვის წვივები დაემტვრიათ, იმ მიზნით, რომ თუ ისინი ცოცხლები იქნებოდნენ, მომკვდარიყვნენ, რათა მათი სხეულები ჯვრიდან ჩამოეხსნათ და დაეკრძალათ. მაცხოვართან მისულებს ის გარდაცვლილი დახვდათ, მაგრამ მის სიკვდილში რომ დარწმუნებულიყვნენ „ერთმან ერისაგანმან ლახურითა უგუმირა გუერდსა მისსა, და მეყსეულად გარდამოჴდა სისხლი და წყალი“ (ბიბლია, 2015, იო. 19:31-34).

უფლის სხეულის ჯვრიდან გარდამოხსნისა და დაფლვის შესახებ მარკოზ მახარებელი მოგვითხრობს: მოვიდა იოსებ არიმათიელი, შუენიერი მზრახველი, რომელი-იგიცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა, იკადრა და შევიდა პილატესა და მოითხოვა გუამი იესუჲსი. ხოლო პილატეს დაუკჳრდა, უკუეთუ აწვე მოკუდა, და მოუწოდა ასისთავსა მას და ჰკითხა, უკუეთუ ადრევე მოკუდა. და ისწავა ასისთავისა მისგან ესე და მიჰმადლა გუამი მისი იოსებს. და მან იყიდა არდაგი და გარდამოჰჴსნა იგი ჯუარისა მისგან და წარგრაგნა იგი არდაგითა მით და დადვა იგი საფლავსა, რომელი იყო გამოკუეთილ კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი კარსა

ზედა მის საფლავისასა. იყო მუნ მარიამ მაგდალენელი და მარიამ იოსესი და ხედვიდეს, სადა-იგი დასდებდეს მას“ (ბიბლია, 2015, მარკ. 15:43-47).

5.5. იესო ქრისტეს ჯვარცმის მომასწავებელი ძველაღთქმისეული ისტორიების მიხედვით შექმნილი გამოსახულებები ადრექრისტიანულ ხანაში

იესო ქრისტეს ჯვარცმის ხატმეტყველება V საუკუნიდან იღებს სათავეს. ადრე ქრისტიანულ ხანაში იესო ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლის შესახებ სწავლება ძველი აღთქმის თხრობათა მიხედვით შექმნილი გამოსახულებებით გადმოიცემოდა. ამ კუთხით აბრაამის მსხვერპლშეწირვის იკონოგრაფია იყო გავრცელებული, რომლის გამოსახულებასაც რომის კატაკომბებში ვხვდებით (ინწკირველი თ. , 2015, გვ. 296).

ბიბლიაში გადმოცემული შესაბამისი თხრობის მიხედვით, აბრაამის რწმენის გამოცდის მიზნით, მას ღმერთი საკუთარი შვილის მსხვერპლად შემოწირვას უბრძანებს, რაზეც ის თანხმდება. ძველი აღთქმის გამორჩეულ მამამთავარს ისააკი მორიას მთისკენ მიჰყავს და მაშინ, როდესაც შვილის შესაწირავად აღმართავს ხელს, ღმერთი ეცხადება, აჩერებს და აკურთხებს მას. აბრაამი იქვე, ჯაგნარში რქებით გაბმულ ვერძს შესწირავს ღმერთს (ბიბლია, 2015, დაბ. 22: 1-18).

დამოწმებული ბიბლიისეული თხრობის შესაბამისი ეგზეგეზა განკაცებული ღმერთის მიერ კაცობრიობისთვის გაღებული მსხვერპლის თემის შემცველია. დავიმოწმებთ წმინდა მამათა მიერ გადმოცემულ რამდენიმე განმარტებას. თეოდორიტე კვირელის მიხედვით, ისააკი განკაცებული ღმერთის წინასახეა (Феодорит Кирский блаженный, თ. გ.).

წმინდა ალექსანდრე კვიპრელი ამბობს, რომ უფლის განგებით გამოჩინებული ვერძი, რომელიც აბრაამმა ღმერთს შესწირა, განკაცებული ღმერთის მსხვერპლგაღების წინასახეა: „აბრაჰამ, მამათ-მთავარმან, აღთუქმაჲ ღმრთისაჲ ფიცით შეიწყნარა, ოდეს იგი წარავლინა ქუეყანასა მართალსა, რაჲთა შეიწყნაროს ძჱ თჳსი საყუარელი, რომელმან იგი შეიწყნარა მოსწრაფედ მორჩილებაჲ მისი. არამედ უჩუენა მას ვერძი, დამოკიდებული რქითა ნერგსა

საბეკსა, რომელი ითარგმანების „შენდობა“, სახითა მით, რომელი მოსწრაფედ იყო ყოფადი იგი შენდობაჲ შეცოდებათაჲ ყოველთა კაცთაჲ ძელისა მიერ დამშჭუალვითა კრავისა მის გონიერისაჲთა ძელსა მას ზედა ჯუარისასა“ (წმ. ალექსანდრე კვიპრელი, 1978, გვ. 38-39).

ეფრემ ასურის მიხედვით, მას შემდეგ, რაც ღმერთმა აბრაამს შვილის შეწირვის ნება არ დართო, სასწაულებრივად გაჩნდა ვერძი, რომელიც ხის ტოტებში რქით იყო გაბმული. ასურელი მოძღვრის მიხედვით, მსხვერპლის აღსრულების ადგილას, ამ ჟამამდე ხე არ იდგა, რასაც ადასტურებს ის, რომ ისააკი თავად ეზიდება მსხვერპლშეწირვისთვის საჭირო შეშას. ყოველივე ეს მოასწავებს მას „ვინც კრავივით იქნებოდა ხეზე მიმსჭვალული და მთელი სამყაროსთვის სიკვდილს იგემებდა“ (ღირსი ეფრემი, 2014, გვ. 118).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საეკლესიო ტრადიციაში იესო ქრისტეს ჯვარცმის ადგილად მიჩნეულია მორიას მთა - ალაგი, სადაც აბრაამმა ისააკის მსხვერპლშეწირვა აღასრულა. ამავე მთაზე, „მეფეთას“ წიგნების თანახმად, სოლომონმა ტაძარი ააგო (გვასალია, 2014, გვ. 366).

ადრექრისტიანულ ხანაში იესო ქრისტეს ჯვარცმის შედეგად ადამიანის გამოხსნის სწავლების გადმოსაცემად, კიდევ ერთი ძველაღთქმისეული წინასწარმეტყველი გამოისახებოდა - იონა ვეშაპის მუცელში. შესაბამის იკონოგრაფიას რომის კატაკომბის III საუკუნის მხატვრობაში ვხვდებით (ინწკირველი თ. , 2015, გვ. 296).

მაცხოვრის ვნებასა და ჯვარცმასთან იონა წინასწარმეტყველის კავშირი სახარებაშია განცხადებული. თავად განკაცებული ღმერთი ბრძანებს: „ვითარცა იგი იონა იყო მუცელსა ვეშაპისასა სამ-დღე და სამ-ღამე, ეგრეთ იყოს ძე კაცისა გულსა ქუეყანისასა სამ-დღე და სამ-ღამე“ (ბიბლია, 2015, მთ. 12:40).

სახარების დამოწმებულ ციტატას ასე განმარტავს იოანე ოქროპირი: ,,ხოლო სახისა მისთჳს იონაჲსა, რომელ თქუა, თუ: „ვითარცა-იგი იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა, ეგრეთ იყოს ძე კაცისა გულსა ქუეყანისასა“ მან კეთილად იცოდა, თუ რაზომი ჟამი დაყო იონა მუცელსა ვეშაპისასა, რამეთუ ხედვიდა შთანთქმასაცა მისსა და გამოსვლასაცა ქუეყანად, და უცთომელად აღასრულა იგი, ვინაჲთგან ბრძანა სახისა მის აღსრულებაჲ; და ესოდენ დაყო საფლავსა შინა, რაოდენი მან

მუცელსა ვეშაპისასა, რაჲთა ჭეშმარიტად სარწმუნო და მტკიცე იყოს საიდუმლოჲ დაფლვისა და სიკუდილისა მისისაჲ, და ესრეთ აღდგომაჲცა უეჭველ იქმნას“ (წმ. იოანე ოქროპირი, 2014ბ, გვ. 44).

წარმოდგენილი სწავლების თანახმად, იონა წინასწარმეტყველის შესახებ არსებული ბიბლიური თხრობა ძე ღმერთის განკაცების წინასახეა. ვეშაპის მუცელში იონა წინასწარმეტყველის ყოფნა და მისი ამონთხევა მაცხოვრის დაკრძალვასა და სამი დღის შემდეგ აღდგომას მოასწავებს.

წარმოდგენილ იკონოგრაფიაში საინტერესოა ის, რომ იონა ვეშაპის მუცელში მლოცველია გამოსახული, რაც ეფუძნება ბიბლიაში წარმოდგენილ თხრობას, რომლის თანახმადაც წინასწარმეტყველმა ვეშაპის მუცელში ილოცა (ბიბლია, 2015, ინ. 2:2).

წმიდა იოანე ოქროპირის მიხედვით, „ზღჳსა მჴეცისა მუცელსა იყო რაჲ, იონა ჯუარის სახედ ჴელნი განიპყრნა და მოასწავა ვნებაჲ მჴსნელისაჲ და სამ დღე დაფლვაჲ და გამოაჩინა უზეშთაეს ბუნებისა აღდგომაჲ წარმოდგინებითა მით ვნებულისა მის ჴორცითა ქრისტეს ღმრთისა, რომელმანცა აღდგომითა იჴსნა დაბადებულნი“ (ორჟონია, 2022, გვ. 191).

წმინდა მამის მიხედვით, იონა წინასწარმეტყველი ჯვრის სახედ ხელაპყრობილი აღავლენდა ლოცვას.

ქრისტეს ჯვარცმის იკონოგრაფიის ერთ-ერთი წინაგამოსახულება იყო დანიელ წინასწარმეტყველი ლომთა ხაროში (ინწკირველი თ. , 2015, გვ. 296), სადაც წმინდა წინასწარმეტყველი, ბიბლიისეული თხრობის შესაბამისად, ხელაპყრობილი ლოცულობს. ამასთან დაკავშირებით, ჯვრისადმი მიძღვნილ პარაკლისში, ვკითხულობთ: „ჯურღმულსა მას შინა ლომთასა დანიილ ჯუარისა სახედ ჴელნი რაჲ განიპყრნა, შეუხებლად იხსნა იგი მათგან და აღჳრ ასხნა მძჳნვარებასა მათსა, და აკურთხევდა იგი ქრისტჱსა ღმერთსა ჩუენსა“ (პარაკლისების კრებული, 2021, გვ. 51).

იგივე მნიშვნელობის მატარებელია მოსე წინასწარმეტყველის ხელაპყრობილი, ლოცვის მდგომარეობაში გამოსახვა ამალეკთან ბრძოლისას. საქართველოს ეკლესიის მნათობის, წმინდა გიორგი მთაწმინდელის მიერ შედგენილ საღვთისმსახურო წიგნ „თვენში“ ვკითხულობთ: „მოსე გამოგსახა შენ,

ჭელნი რაჲ ზეცად განიპყრნა და დასცა ამალეკი, პატიოსანო ჯუარო, ჩუენ, მორწმუნეთა ძელო უძლეველო“ (წმ. გიორგი მთაწმინდელი, 2007, გვ. 220).

ზემოდამოწმებული ეგზეგეზისის შესაბამისად, ძველი აღთქმის მართალთა მიერ აღვლენილი ლოცვისას მათ მიერ ჯვრის სახედ ხელაპყრობა თავად ჯვარსა და ჯვარცმულ მაცხოვარს მოასწავებს. იესო ქრისტეს ჯვარცმის კომპოზიციებში ერთ, უაღრესად საინტერესო იკონოგრაფიულ სქემას ვხვდებით შემოქმედის „უფლის ფერისცვალების ტაძარში“ (ილ. 20). კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელზე გამოსახულია ჯვარზე ხელგანრთხობილი (არა მიმსჭვალული) მაცხოვარი, რომელიც ორივე ხელებით (სამღვდელმთავრო კურთხევით), შესაბამისი თითების წყობით აკურთხებს. ამით იესო ქრისტეს კაცობრიობისთვის ლოცვაა ხაზგასმული. მისი სიტყვები: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“ (ბიბლია, 2015, ლკ. 23:34), ზოგად საკაცობრიოა. გარდა ამისა, აღნიშნული ჟესტით წარმოჩენილია ჯვარცმული მაცხოვრის ღმრთეება და სიკვდილზე გამარჯვება.

თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში, ლიტურგიის მსვლელობისას, განსაკუთრებული ლოცვების წარმოთქმის დროს მწირველი მღვდელი (ან მღვდელმთავარი) ხელაღპყრობილი ლოცულობს. ხელაღპყრობილი ლოცვის წესს ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში ვხვდებით, რის დასტურადაც ზემოდასახელებული ვეშაპის მუცელში წმინდა იონას ლოცვა და დანიელ წინასწარმეტყველის ლომთა ხაროში ღაღადისი შეგვიძლია დავასახელოთ, რომლის დროსაც ხსენებული წინასწარმეტყველები ზეაღპყრობილი ხელებით აღავლენდნენ ღვთისადმი ვედრებას.

როგორც ცნობილია, მაცხოვარი ჯვარზე მისი მტანჯველებისთვის ლოცულობდა. გარდა ამისა, უფლის ხელაპყრობა კაცობრიობისთვის აღვლენილ ლოცვას განასახიერებს.

5.6. იესო ქრისტეს ჯვარცმის ჩამოყალიბებული იკონოგრაფიული სქემა

V საუკუნეში ყალიბდება იესო ქრისტეს ჯვარცმის იკონოგრაფია, სადაც ჯვარზე გაკრული მაცხოვარი და ავაზაკები არიან გამოსახული, რასაც

მოგვიანებით მენელსაცხებლე დედების, ჯარისკაცების, ღვთისმშობლისა და იოანე ღვთისმეტყველის გამოსახულებები ემატება. ამ კუთხით, ერთ-ერთი ადრეული გამოსახულების ნიმუში V საუკუნის წმინდა საბინას ტაძრის ხის კარზე გამოსახული კომპოზიცია გახლავთ (ინწკირველი თ. , 2015, გვ. 296).

შუა საუკუნეებში იღებს დასაბამს იესო ქრისტეს ჯვარცმის კომპოზიციაში, ჯვრის ქვემოთ ადამიანის თავის ქალის გამოსახულება. აღნიშნულის საილუსტრაციოდ დავასახელებთ აჭის „წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში“ განთავსებულ იესო ქრისტეს ჯვარცმის ამსახველ ფრესკას (ილ. 21).

საეკლესიო განმარტებათა მიხედვით, ეს ადამის თავის ქალაა.

ეკლესიის მამათა განმარტებების შესაბამისად, გოლგოთაზე, სადაც იესო ქრისტე აცვეს ჯვარს, ადამის საფლავი იყო განთავსებული. ნეტარი იერონიმე ბრძანებს, რომ მაცხოვრის ჯვარი სწორედ იმ ადგილას არის აღმართული, სადაც ადამი იყო დაკრძალული (Библейские комментарии отцов Церкви и других авторов, 2005, გვ. 139).

იმავე შინაარსის მატარებელია იოანე ოქროპირის განმარტებაც: „და ამისთჳს არა სხუასა ადგილსა ჯუარს-ეცუა, არამედ თხემისა ადგილსა, სადა იგი თქმულ არს პირველთა ჟამთაგან, ვითარმედ საფლავი იყო ადამ მამისა ჩუენისაჲ. რამეთუ შემდგომად სამოთხით გამოსვლისა , მორაჲკუდა, მას ადგილსა დაეფლა. ამისთჳს ჯერ იჩინა უფალმან მას ადგილსა მიღებაჲ სიკუდილისაჲ, სადა იგი მიიღო სიკუდილმან დასაბამი უფლებისა თჳსისაჲ, რაჲთა დაჴსნაჲცა მისი მასვე ადგილსა იქმნას, და რაჲთა მუნ განაქარვოს ცოდვაჲ ადამისი...“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1993ბ, გვ. 485).

წმ. იოანე ოქროპირისეული სწავლება მაცხოვრის ჯვარცმის გამოსახულების ქვეშ ადამის თავის ქალის გამოსახვის კიდევ ერთ მიზეზს გვიხსნის: სიკვდილს დამორჩილებულ ადამს, განკაცებულმა ღმერთმა თავის ჯვარცმით გამოხსნა მიანიჭა. გარდა ამისა, ქრისტეს ჯვარცმის შედეგად გამოხსნილ იქნა, ზოგადად, ადამის (ადამიანის) ბუნება. საეკლესიო საკითხავებში არაერთხელ გვხდება შესაბამისი სწავლება. დავიმოწმებთ რამდენიმე მათგანს.

წმიდა თეოდორე სტუდიელი ბრძანებს: „ვითარცა იგი ადამის მიერ ყოველნი სიკუდილისა მივეცენით, ეგრეთცა ქრისტეს მიერ აღდგომასა და უხრწნელსა მას ცხოვრებასა მიმთხუვევად ღირს ვიქმნეთ“ (ტრიოდიონი მარხვანი, 1901, გვ. 554)

საღვთისმსახურო წიგნი გვაუწყებს: „რომელი კაცთმოყუარებისათჳს ნეფსით ჩუენთჳს საფლავსა დაიდევ და ძლიერებითა ღმრთეებისაჲთა საკრველნი სიკუდილისანი განხეთქენ, წარმოსტყუენე ჯოჯოხეთი, **განაახლე ადამი**, აღდგომაჲ ყოველთაჲ მოგუანიჭე“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 304).

კიდევ: „რომელმან ჯუარითა სიკუდილი მოაკუდინე და ჯუარითა ადამ დაცემისაგან აღადგინე და ცოდვანი ჩუენნი ჯუარსა შეამშჭვალენ და ჯოჯოხეთსა მყოფნი განანათლენ აღდგომისა მადლითა“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 306).

იესო ქრისტეს ჯვარცმის ქვეშ ადამის თავის ქალის გამოსახვა ორი მიზეზითაა განპირობებული: პირველი მიზეზი შესაბამის საეკლესიო გადმოცემას ეფუძნება, რომლის მიხედვითაც, ადამის საფლავი ქრისტეს ჯვარცმის ალაგია. მეორე მიზეზი კი იმ საეკლესიო სწავლებითაა განპირობებული, რომლის თანახმადაც, უფალმა ცოდვის ტყვეობიდან გამოიხსნა ადამი და მისი სახით კაცობრივი ბუნება.

5.7. ჯვრის გამოსახულებები ადრექრისტიანულ ხანაში

ჯვარცმის იკონოგრაფიის განვითარების ერთ-ერთი საინტერესო ეტაპი III საუკუნეში ვლინდება. ამ დროს ტრადიციად დამკვიდრდა სარკოფაგებზე ტრიუმფალური - გამარჯვების ნიშნებით აღბეჭდილი ჯვრის გამოსახვა. მაგალითად, ვატიკანში დაცულ IV საუკუნის მონოგრამაზე მხედრებით მარჯვენა და მარცხენა მხრიდან გარემოცული ჯვარი და მის თავზე - გვირგვინია გამოსახული (ინწკირველი თ. , 2015, გვ. 296). საგულისხმოა, რომ აღნიშნულ გამოსახულებაში ჯვარი ექვსმკლავიანია. მსგავსი ტიპის ჯვრები ამ ეპოქისთვის დამახასიათებელია. ზოგიერთი მსგავსი ფორმის გამოსახულებაში ამოკვეთილია ბერძნული ასოები „ალფა“ და „ომეგა“. ამგვარ გამოსახულებას იტალიაში, რავენაში, არქიეპისკოპოს თეოდორეს სარკოფაგზე გამოსახულ VII საუკუნის მონოგრამაზე ვხვდებით (ინწკირველი თ. , 2015, გვ. 296-297). A (άλΦά) და Ω (ωμεγά) – „გამოცხადების“ ტექსტის შემდეგ ფრაზაზე მიანიშნებენ: „მე ვარ ანი (άλΦά) და ϑ

(ωμεγά), იტყჳს უფალი ღმერთი, რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი“ (გამოც. 1.8) **Εγώ εἰμι τὸ Ἄλφα καὶ τὸ Ὦ, λέγει κύριος ὁ θεός, ὁ ὢν καὶ ὁ ἦν καὶ ὁ ἐρχόμενος, ὁ παντοκράτωρ.**

„აპოკალიფსის“ დამოწმებული სიტყვები ჯვრის ესქატოლოგიასთან კავშირია წარმოჩენილი. როგორც ცნობილია, სახარების მიხედვით, იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ ცაზე „სასწაული ძისა კაცისაჲ“ (ბიბლია, 2015, მთ. 24:30) გამოჩნდება, რაშიც, შესაბამისი განმარტებით, ჯვარი მოიაზრება. მათეს სახარებაში უფალი ბრძანებს: „და მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისაჲ ცათა შინა და მაშინ იტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი და იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავლითა“ (ბიბლია, 2015, მთ. 24: 30).

ნეტარი იერონიმეს მიხედვით, ეს ნიშანი „ჯვრად“ უნდა გავიგოთ (Иероним Св., თ. გ.).

კირილე იერუსალიმელის მიხედვით, ქრისტეს ჭეშმარიტი ნიშანი არის ჯვარი (Св. Кирилл Иерусалимский , თ. გ.).

იმავეს ბრძანებს წმ. იოანე ოქროპირი: „სასწაული ძისა კაცისაჲ“ არს პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარი, რომელი იგი გამოჩინებად არს“ (წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, 2014ბ, გვ. 372).

ადრექრისტიანულ ეპოქაში ჯვრის სხვადასხვა ფორმის გამოსახულებები გვხდება. ყველაზე გავრცელებული იყო ისეთი გარეშემოწერილობის ჯვრის სახეობა, სადაც ორი მკლავი გვერდულად კვეთს ერთმანეთს (X). სწორედ ამგვარი ტიპის ჯვრების სხვადასხვა ვარიაციას წარმოადგენს დასახელებული მონოგრამისა და სარკოფაგის გამოსახულებები. ეს არის ერთგვარი ნიშანი, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში აქვს, სადაც მისი გამოსახვა ჯვრის წინამომასწავებელი იყო. ,,გამოსვლათას“ წიგნში გადმოცემული ისტორიის მიხედვით, ეგვიპტელთა მონობაში მყოფ ისრაელ ერს მოსემ კრავის დაკვლა და მისი სისხლისგან ჯვარედინი ნიშნის სახით სახლის კარების წირთხლებზე წასმა უბრძანა: „და მოიღოს სისხლისა მისისაგანი და სცხოს ორთავე წყირთლთა და ზღურბლსა კარისასა სახლსა შინა, რომელსა-იგი ჭამდენ მუნ“ (ბიბლია, 2015, გამ.

12:7). მოსეს სიტყვის აღმსრულებელი ებრაელები ღვთის სასჯელს, პირმშოთა სიკვდილს გადაურჩებოდნენ (ბიბლია, 2015, გამ. 12:13).

საინტერესოა, რომ წმინდა გრიგოლ ნოსელი აკონკრეტებს ებრაელთა სახლის კარების წირთხლზე გამოსახული ნიშნის ფორმას და ამბობს, რომ ეს იყო ჯვარედინი ხაზების კვეთით შედგენილი ნიშა (Григорий Нисский святитель, თ. გ.).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ებრაელების სახლებზე ცხვრის სისხლისგან ნიშნის დასმის შედეგად სიკვდილი განერიდებოდა ებრაელებს, რაც ქრისტეს მიერ დაღვრილი სისხლის შედეგად სიკვდილის დამარცხების წინასახე იყო (блаженный Августин , თ. გ.).

ბასილი დიდი ასე მიმართვას განკაცებულ ღმერთს: „მოსემ, ისრაელიანთა კარის ზღურბლზე, ცხვრის სისხლი დადო ნიშნად, შენ კი ჩვენ მოგვეცი ნიშანი - უბიწო კრავის სისხლი, სამყაროს ცოდვებისთვის დაკლული“ (Василий Великий, თ. გ.).

ეფრემ ასურის მიხედვით, კრავის სისხლი უფალ იესო ქრისტეს მოასწავებს (ღირსი ეფრემი, 2014, გვ. 36).

ქრისტიანულ ხელოვნებაში, სახელდობრ, იუსტიანიანე II-ის ლითონის ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე ცხვრის გამოსახულება გვხდება (ინწკირველი თ. , 2015, გვ. 296), რაც წარმოდგენილი ბიბლიური თხრობისა და შესაბამისი ეგზეგეზის ასახვაა. კერძოდ, როგორც აღვნიშნეთ, „გამოსვლათას“ წიგნის მიხედვით, ისრაელიანთა სახლების კარების წირთხლებს დაკლული კრავის სისხლი ცხეს, რაც განკაცებული ღმერთის მიერ გაღებულ მსხვერპლს მოასწავებს. იგივე სახისმეტყველებითი მნიშვნელობით გვხვდება კრავი აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლშეწირვისას. ქრისტეს წინასახედ კრავის სახელდება ყველაზე გამოკვეთილად ესაია წინასწარმეტყველის შესაბამის სიტყვებშია გადმოცემული: „...ვითარცა ცხოვარი, კლვად მიიგუარა და, ვითარცა ტარიგი წინაშე მრისუველისა, უჴმობელად დგა, ეგრეთ არა აღაღებს პირსა თჳსსა“ (ბიბლია, 2015, ეს. 53:7).

ამბროსი მედიოლანელის მიხედვით, ესაია წინასწარმეტყველის დამოწმებული სიტყვები, ქრისტეს ნებაყოფლობით ვნებას გამოხატავს (Амвросий Медиоланский святитель, თ. გ.).

იოანე ოქროპირი ბრძანებს: „როგორც ცხვარი ჰყავთ დასაკლავად და როგორც კრავი დუმს მპარსველების წინაშე, ისე არ გააღო პირი და აჩვენა თავისი თვინიერება... წინასწარმეტყველმა მას ცხვარი უწოდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის დუმდა, არამედ იმიტომ, რომ ის იყო მსხვერპლი“ (Иоанн Златоуст святитель, თ. გ.).

დამოწმებული ეგზეგეზა განგვიმარტავს, თუ რატომ გამოისახება ჯვარზე ცხვარი. თუ შეიძლება ითქვას, ეს არის იესო ქრისტეს ჯვარცმის სიმბოლური, ზოომორფული გამოსახულება, რომელიც შემდეგ პერიოდში ანთროპომორფულმა, უფლის ჯვარცმულმა გამოსახულებამ შეცვალა.

5.8. ჯვარცმული, კვართშემოსილი იესო ქრისტეს გამოსახულება

ჯვარცმის ადრეულ იკონოგრაფიაში, იესო ქრისტე კვართშემოსილი გამოისახებოდა. მსგავსი ტიპის გამოსახულებები ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაშიც გვხდება. მაგალითად, ხახულის კარედზე განთავსებულ VIII საუკუნის კვადროფოლიუმზე სამოსლით ჯვარზე გაკრული მაცხოვარია წარმოდგენილი (ილ. 22). მსგავსი ტიპის გამოსახულებას ვხვდებით ქართული კედლის მხატვრობაშიც. კერძოდ, დავით გარეჯის მონასტრის ერთ-ერთი საბერის ჩრდილოეთ კედელზე ჯვარზე გაკრული კვართშემოსილი იესო ქრისტეა გამოსახული (ილ. 23), რომელიც X საუკუნეს განეკუთვნება.

სახარების თხრობის თანახმად, მაცხოვარი სამოსლისგან განძარცვეს და ჯვარზე გააკრეს, ხოლო მის კვართზე წილი ყარეს (ბიბლია, 2015, იო. 19:23-24). საინტერესოა, რატომ გამოისახება მაცხოვარი სამოსლით. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა იესო ქრისტეს კვართის შესახებ არსებულ საეკლესიო სწავლებას შევეხოთ.

თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ მაცხოვარს ორი შესამოსელი ეცვა: ქიტონი და ჰიმატიონი. ქიტონი იყო კვართი, ხოლო ჰიმატიონი ძველ ბერძნულ წამოსასხამს წარმოადგენდა.

როგორც ზემოთ (სადოქტორო ნაშრომის პირველ თავში) აღინიშნა, იესო ქრისტეს ,,კვართი", მისი საღვთო ბუნების გამომხატველია. ეს სწავლება იოანეს სახარებაში გადმოცემულ თხრობასა და შესაბამის ეგზეგეზას ეყრდნობა.

იოანე მახარებელი ბრძანებს, რომ იესო ქრისტეს კვართი სასწაულებრივი, არაჩვეულებრივი შესამოსელი იყო: ,,ხოლო იყო კუართი იგი უკერველ, ზეით გამოქსოვილ ყოვლად" (ბიბლია, 2015, იო. 19:24).

წარმოვადგენთ, კვართის ,,ზეიდან უკერველობის" შესახებ წმიდა მამათა ეგზეგეტიკას. **წმიდა კვიპრიანე კართაგენელი** ბრძანებს: ,,კვართი მატარებელი იყო იმ ერთობისა, რაც მოდის ზემოდან ანუ ციდან და მამისგან" (ჭელიძე ე. , 2012, გვ. 48).

ის, რომ მაცხოვრის კვართი თავისივე საღვთო, ხოლო მისი ქიტონი, ანუ მოსასხამი, კაცობრივ ბუნებათა გამომხატველია, ცალსახად მიუთითებს **წმიდა იოანე ოქროპირი**: ,,ხოლო შენ გიკჳრდინ წინაჲსწარმეტყუელისა სიბრძნით თქუმაჲ ყოვლისაჲვე, არათუ, ვითარმედ განიყვენ ოდენ, არამედ ვითარმედ წილი განიგდეს კუართსა ზედა. ხოლო სიტყუაჲ იგი, თუ **„ზეით მოქსოვილ", არა ცუდად არს, არამედ ვჰგონებ, თუ იგავი არს, რომელი მოასწავებს, ვითარმედ არა ლიტონი ოდენ კაცი იყო ჯუარსცუმით, არამედ ზეცითცა ღმრთეებაჲ აქუნდა, რომელ-იგი ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ უვნებელად ეგო და განუკუეთელად, ხოლო ჴორცთა ბუნებამან ივნო და მოიწყლა. და კუალად ვიეთნიმე იტყჳან, ვითარმედ სახესა მასცა სამოსლისასა მოასწავებს მახარებელი..."** (წმ. იოანე ოქროპირი, 1993ბ, გვ. 309).

წმიდა იოანე ოქროპირის მიხედვით, იოანე მახარებლის მიერ იესო ქრისტეს კვართის მიმართ გაჟღერებული სიტყვები „ზეით მოქსოვილ", უფლის შესამოსლის იგავურ გააზრებაზე მიუთითებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ კვართი განკაცებული ღმერთის უვნებო საღვთო ბუნებას გამოხატავს. ხოლო ქიტონის დანაწევრება ძე ღმერთის კაცობრივი ბუნების მიმართ მიყენებული ვნებისა და სიკვდილის წარმომაჩინებელია.

სწავლება უფრო გავრცობილად გადმოცემულია წმ. ათანასე ალექსანდრიელის ცნობილ ჰომილიაში ,,უფლის ჯვარცმისა და ჯვრის შესახებ": „შეიმოსა მან აგრეთვე კვართი, რომელიც იყო „უკერველი და მთლიანად ზევიდან ნაქსოვი", რომ ამათგან მაინც შესძლებოდათ იუდეველებს რწმუნება იმისა, თუ ვინ

და საიდან არის ის, ვინც ესენი შეიმოსა, რომ არის არა მიწისგან, არამედ ზევიდან მომავალი იყო სიტყვა და, რომ არა დანაწილებადი, არამედ დაუნაწილებელი ჰგიეს სიტყვა მამისა და, რომ ადამიანი გახდა რა, არათუ განრღვევადი სხეული ჰქონდა იგივე - მამაკაცისა და ქალისაგანი, არამედ - მარტოოდენ ქალწულისაგანი, მოქსოვილი სულიწმინდის ხელოვანებით. ამიტომ ჯალათები, ერთი მხრივ, სხვა სამოსლებს ანაწილებენ, რადგან დანაწილებადნი იყვნენ ისინი, ანაწილებენ კი ოთხად და, ოთხნაწილედი მსოფლიოს ცოდვის გამო, აღმოსავლეთისკენ, დასავლეთისკენ, ჩრდილოეთისა და სამხრეთისკენ განიმზერენ ეს ნაწილები, რომელთა განმჭვრეტი იოანე მასზე (უფალზე, ე.ჭ.), შემოსილზე, ამბობდა: „აჰა, კრავი ღვთისა, ამღები სოფლის ცოდვისა“. მარტოოდენ კვართის განრღვევა ვერ შეძლეს [ჯალათებმა] მისგან მოსწავებული ნიშანდების შიშით" (ჭელიძე, 2012, გვ. 66-67).

დამოწმებულ სწავლებათა თანახმად, იესო ქრისტეს ორი შესამოსელი - ქიტონი და ჰიმატიონი, მისი ორბუნებოვნების გამომხატველია. კვართი - მის საღვთო, ხოლო გარეშესამოსელი კაცობრივ ბუნებას გამოსახავს.

ეკლესიის მამათა სწავლების შესაბამისად, სამოსელი - კვართი, რომელიც ჯვარცმის იკონოგრაფიაში იესო ქრისტეს მოსავს, მისი საღვთო ბუნების გამოხატულებაა. ჯვარცმული მაცხოვრის კვართშემოსილი გამოსახვა (შემოსილი კვართის სიმთელე და განურღვევლობა) მიუთითებს იმას, რომ არ ვნებულა საღვთო ბუნება, არამედ კაცობრივი. გარდა ამისა, როგორც წარმოდგენილი სწავლებიდან იკვეთება, კვართი, რომელიც ხატმეტყველებაში ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს მოსავს, ეკლესიის განურღვეველობას მოასწავებს.

ჯვარცმის ვრცელ იკონოგრაფულ რედაქციაში ჯარისკაცების მიერ იესო ქრისტეს გარეშესამოსელის დანაწევრების გამოსახულებასაც ვხვდებით. მაგალითად, აღნიშნული კარგად ჩანს დავითგარეჯის საბერეების მოხატულობაში (ილ.24), რაც, როგორც ზემოთ გადმოვეცით, ქვეყნის ოთხსავე კუთხეში განვრცობილ ქრისტიანულ სწავლებას გამოხატავს.

როგორც აღინიშნა, ჯვარზე გაკრული იესო ქრისტეს კვართით გამოსახვა განკაცებული ღმერთის საღვთო ბუნების გამომხატველია. **შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ IV-V საუკუნეებში ასეთი იკონოგრაფიული ტიპის**

ხატმეტყველებაში დამკვიდრება იმდროინდელ ეკლესიაში არსებული პრობლემის, არიანელობის წინააღმდეგ მიმართული აქტიც იყოს. როგორ ცნობილია, არიოზი და მისი მიმდევრები განკაცებული ძე ღმერთის საღვთო ბუნებას აკნინებდნენ. იმ ეპოქის ხატმწერები იესო ქრისტეს ჯვარზე კვართშემოსილად გამოსახვით სიმბოლური სახით წარმოაჩენდნენ მის საღვთო, უქმნელ და უვნებო ბუნებას.

5.9. ჯვარცმული ქრისტეს ფერდის ლახვრით განგმირვისა და იქედან სისხლისა და წყლის წარმოდინების ხატმეტყველება

ამავე პერიოდის იკონოგრაფია დაწვრილებით გადმოგვცემს იესო ქრისტეს ჯვარცმის სახარებისეულ თხრობას. კერძოდ, ზემომოხმობილ რაბულას სახარების მინიატურულ ხატმეტყველებაში გამოსახულია ორი ჯარისკაცი, რომელთაგან ერთი შუბზე წამოცმულ, ძმრით გაჟღენთილ ღრუბელს მიაწვდის მაცხოვარს, ხოლო მეორე ფერდში ლახვარს უგმირავს მას, რის შედეგადაც მისი სხეულიდან სისხლი და წყალი წარმოსდინდება.

იოანეს სახარების მიხედვით, რადგან ჯვარცმიდან მეორე დღეს, შაბათს, პასექის დღესასწაული დგებოდა, ისრაელიანებმა ჯვარცმულების მოკვდინება გადაწყვიტეს (ბიბლია, 2015, იო. 19:31). უნდა ითქვას, რომ ჯვარზე გაკრული ადამიანი, ხშირად, რამდენიმე დღე ცოცხლობდა, რის შემდეგაც მტანჯველი სიკვდილით აღესრულებოდა. საჭიროების შემთხვევაში, ჯვარცმულის სწრაფად მოკვდინების მიზნით მას წვივებს უმტვრევდნენ. მაცხოვართან თანაჯვარცმულ ორ ავაზაკს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, წვივები დაუმტვრიეს და მოკლეს, ხოლო იესო ქრისტე უკვე გარდაცვლილი დახვდათ. თუმცა, მის გარდაცვალებაში საბოლოოდ დარწმუნებისთვის ჯარისკაცმა მას ფერდში ლახვარი უგმირა: „ხოლო მო-რაჲ-ვიდეს იესუჲსა და იხილეს იგი, რამეთუ მომკუდარ იყო, არა განუტეხნეს წჯვნი მისნი, არამედ ერთმან ერისაგანმან ლახურითა უგუმირა გუერდსა მისსა, და მეყსეულად გარდამოჴდა სისხლი და წყალი“ (ბიბლია, 2015, იო. 19:33-34).

რას განასახიერებეს სახარების თხრობის შესაბამისად ხატმეტყველებაში ასახული მაცხოვრის ფერდიდან გარდამოსული სისხლი და წყალი?

ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს გასცემს წმინდა იოანე ოქროპირი: „ესეცა აქა წინასწარმეტყველებაჲ იყო, რომელი იტყოდა: „იხილონ, რომელსაცა უგმირეს“, და შემდგომად ამისა სარწმუნოებისა მიზეზ იქნებოდა ურწმუნოთათჳს, ვითარ იგი თომას, და კულად საიდუმლოჲ საშინელი აღესრულებოდა, რამეთუ „გარდამოეცა სისხლი და წყალი“. და არა ლიტონად და ცუდად გამოვიდეს ორნი ესე წყარონი, არამედ ვინაჲთგან ამათ ორთა მიერ არს საიდუმლოჲ ეკლესიისაჲ და იციან მორწმუნეთა, **რამეთუ წყლითა იშვებიან და სისხლითა და ჴორცითა უფლისაჲთა იზარდებიან.** ამისთჳსცა წყალსა შევჰვრევთ ღჳნოსა თანა და ესრეთ შევსწირავთ მას წმიდასა ჟამისწირვასა, რაჲთა, ოდეს მოუჴდებოდით წმიდასა მას ბარძიმსა, ესრეთ შეგუერაცხოს, ვითარმცა გუერდსა მას მეუფისასა მივეახლებოდეთ და მისგან მოვიღებდით და ესევითარითა გულის-სიტყჳთა მოუჴდებოდეთ“ (წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, 1993ბ, გვ. 321).

წმინდა იოანე ოქროპირი მაცხოვრის გვერდის განგმირვისა და წყლისა და სისხლის წარმოდინების რამდენიმე მიზეზს ასახელებს. უპირველესად შენიშნავს, რომ მაცხოვრის ფერდში ლახვრის გმირებით აღსრულდა წინასწარმეტყველება, რომელიც აღნიშნული მოვლენის სამომავლოდ აღსრულების შესახებ გვამცნობდა. ხოლო რაც შეეხება უშუალოდ სისხლსა და წყალს, ამაში ოქროპირად წოდებული მამა ეკლესიის ორ უდიდეს საიდუმლოს განჭვრეტს: ნათლისღებისა და ზიარების საიდუმლოს. წმინდა მამის მიხედვით, ნათლისღების შედეგად ადამიანები სულიერად იშვებიან, ხოლო ზიარებით აღიზრდებიან.

როგორც ცნობილია, წირვის დაწყებამდე, პროსკომიდიის ჟამს, ბარძიმში ღვინოსთან ერთად წყალიც ჩაისხმება, მღვდელი კი ამბობს სიტყვებს: „ერთმან მხედართაგანმან ლახვრითა განაღო გვერდი მისი და მეყუსეულად გარდამოხდა სისხლი და წყალი“ (კონდაკი, 2016, გვ. 101). წმინდა მამის მიხედვით, ეს ლიტურგიკული მოქმედება მაცხოვრის განგმირული ფერდიდან სისხლისა და წყლის გარდამოდინებას განასახიერებს. შესაბამისად, წმიდა იოანეს მიხედვით, როცა ადამიანი ეზიარება, მას უნდა ახსოვდეს, რომ ის უფლის გვერდს მიეახლება.

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, იესო ქრისტეს განგმირული ფერდი ეკლესიის კარიბჭეა, საიდანაც ადამიანის გადამრჩენელი საიდუმლოებები „იღვრება“ (Св. Августин , თ. გ.).

ზემოწარმოდგენილი მსჯელობის მიხედვით, ხატმეტყველებაში, განსაკუთრებით ჯვარცმის ადრეულ კომპოზიციებზე, უფლის ფერდიდან წყლისა და სისხლის გარდამოდენის გამოსახვა ერთი მხრივ, შესაბამისი სახარებისეული მოვლენისა და ეგზეგეზისის წარმოჩენას, მეორე მხრივ, ორი უდიდესი საიდუმლოს - ნათლისღებისა და ზიარების - მნიშვნელობათა ხაზგასმას ემსახურება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ჩვენ მიერ უკვე დამოწმებული დავითგარეჯის საბერეების მოხატულობის ერთი იკონოგრაფიული დეტალი (ილ. 23): ჯვარცმული უფლის გვერდით დგას ქალი, რომელსაც ხელთ თასი უპყრია, სადაც მაცხოვრის ფერდიდან გადმოღვრილი სისხლი და წყალი იღვრება. აღნიშნული ჭურჭელი შესაძლოა გავიაზროთ, ერთი მხრივ, ნათლისღების ემბაზად, მეორე მხრივ, ბარძიმად, სადაც იესო ქრისტეს სისხლია მოთავსებული. ამ კუთხით საყურადღებოა წმინდა ავგუსტინეს სწავლება, რომელიც მაცხოვრის ფერდიდან გარდამოსულ წყალს „ხსნის თასს“ უწოდებს (Св. Августин , თ. გ.).

საინტერესოა ეფრემ ასურის განმარტება, - რომ როგორც ადამის გვერდიდან გამოვიდა ქალი, რომელიც მისი ცოლი შეიქმნა, ასევე, უფლის ფერდიდან გარდამოვიდა სისხლი და წყალი, რომელიც მისი ეკლესიაა. ასურელი მოძღვრის მიხედვით, ადამი მისი ნეკნიდან აღებულმა ცოლმა აცდუნა, რის შედეგადაც ქვეყნად სიკვდილი გამეფდა, ხოლო უფლის ფერდიდან გარდამოღვრილმა სისხლმა და წყალმა კაცობრიობას სიცოცხლე უბოძა (Ефрем Сирин , თ. გ.).

ამ საკითხთან მიმართებაში უაღრესად საინტერესოა პატრისტიკულ ლიტერატურაში ცნობილი, ერმის მიერ დაწერილ წიგნ „მწყემსში“ გადმოცემული უწყება, რომლის მიხედვითაც დედაკაცში ეკლესია მოიაზრება: „მოვიდა უბრწყინვალესი კაბით [მოსილი] ასაკოვანი ქალბატონი... გამომეცხადა მე, ძმანო, მძინარეს უკეთილმშვენიერესი ჭაბუკი და მითხრა: „როგორ გგონია ვინაა მოხუცი [ქალბატონი], რომლისგანაც წიგნი მიიღე?“... „ეკლესიააო“ - მიპასუხა. კვლავ

ვკითხე: „რატომაა ასაკოვანი?“ მომიგო: „რადგან ყველაზე ადრე დაფუძნდა, ამიტომაცაა ასაკოვანი, და მისდა კვალად შეიქმნა სამყარო“ (ერმი, 2012).

ვფიქრობთ, ჯვარცმის კომპოზიციაში თასით ხელში ქალის ჩართვა დამოწმებულ განმარტებას ეფუძნება. ქალი არის ეკლესიის, ევას წიაღიდან გამრავლებული ცოდვით დაცემული კაცობრიობის კრებულის სიმბოლო, რომელმაც განკაცებული ღმერთის მადლმოსილება (წმინდა ნათლისღება და ზიარება) მიიღო და „განცხოველდა“.

ამ საკითხთან მიმართებაში ძალიან საინტერესოა პავლე მოციქულის სიტყვები: „არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი ღმრთისანი ხართ, და სული ღმრთისაჲ დამკჳდრებულ არს თქუენ შორის? რომელმან ტაძარი ღმრთისაჲ განხრწნეს, განხრწნეს იგიცა ღმერთმან; რამეთუ ტაძარი ღმრთისაჲ წმიდა არს, რომელ-ეგე ხართ თქუენ” (ბიბლია, 2015, 1 კორ. 3:16-17).

თასით გამოსახული ქალი შესაძლოა განვიხილოთ როგორც ადამიანი, რომლის უმთავრესი მოვალეობაა გახდეს სულიწმინდის ტაძარი. პავლე მოციქულის მიხედვით, ამისთვის საჭიროა ადამიანმა საკუთარი თავი განიწმინდოს და არა გახრწნას.

შესაძლოა ითქვას, რომ აღნიშნული ხატმეტყველებითი დეტალი წმინდა ეკლესიის მნიშვნელობის წარმომჩენია.

5.10. მზისა და მთვარის გამოსახულებები იესო ქრისტეს ჯვარცმის კომპოზიციაში

იესო ქრისტეს ჯვარცმის ადრეულ და შუა პერიოდის იკონოგრაფიაში ხშირად ვხვდებით მზისა და მთვარის გამოსახულებებს - მაგალითად, დასახელებულ ხახულის კარედზე განთავსებულ VIII საუკუნის კვადროფოლიუმზე, ჯვარცმული იესო ქრისტეს ზემოთ, ზემოაღნიშნული ციური მნათობებია გამოსახული (ილ. 22). ასევე, XVI საუკუნის ერთ-ერთ სანაწილეზე გვხვდება ჯვარცმის რელიეფური გამოსახულება, სადაც მზისა და მთვარის პერსონიფიკაციებია წარმოდგენილი (გამოკვეთილი თვალით).

აღნიშნული დაკავშირებულია შესაბამის სახარებისეულ თხრობასთან, რომლის მიხედვითაც უფლის ჯვარცმისას გარემო ჩამობნელდა: „ხოლო მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველი ქუეყანაჲ, ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე“ (ბიბლია, 2015, მთ. 27: 45).

ზოგიერთი განმმარტებელი ამბობს, რომ ეს იყო მზის დაბნელება. ლაოდიკიის ეპისკოპოს (IV ს.) აპოლინარეს მიხედვით, იმ ჟამს გამოვლენილი სიბნელე გლოვის ნიშანი იყო - ქმნილი ბუნება გლოვობდა ჩადენილ დანაშაულს. გარდა ამისა, გარემოს დაბნელება ებრაელი ერის გონების დაბნელების აღმნიშვნელიცაა - უღირსი ქმედების მიზეზით მათ ჭეშმარიტი მზე განეშორათ (Аполлинарий Лаодикийский епископ, თ. გ.).

ეფრემ ასურის მიხედვით, ქრისტე რომ ჩვეულებრივი ადამიანის ძე ყოფილიყო, მზე არ დაბნელდებოდა. ასურელი მოძღვრის თანახმად, სამი საათით მზის დაბნელება მესამე დღეს მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის წინამოსწავებაცაა (Св. Ефрем Сирин, თ. გ.).

ნეტარი იერონიმეს მითითებით, ეს არ იყო მზის ჩვეულებრივი დაბნელება, არამედ განსაკუთრებული მოვლენა (Иероним Стридонский блаженный, Екзегеть Библия и Толкования, თ. გ.).

ორიგენეს მიხედვით, მზის დაბნელება და ზოგადად, ყველა ის სასწაული, რაც მაცხოვრის ჯვარცმის ჟამს აღესრულა, მხოლოდ იუდეაში მოხდა. მზე მხოლოდ იუდეაში (და არა სხვა ქვეყნებში) დაბნელდა, რითაც დანარჩენი (წარმართული) სამყაროს ებრაული სამყაროს მიმართ უპირატესობა წარმოჩნდა. ორიგენეს მიხედვით, სახარების თანახმად, ნათელი მხოლოდ სამი საათის განმავლობაში დაბნელდა, ხოლო შემდგომ ისევ ინათა. ეგზეგეზის ავტორი მზის ნათებაში ქრისტეს მადლს განჭვრეტს, რომელმაც თავის ეკლესიაში წარმართები და ებრაელები გააერთიანა (Ориген, Екзегеть Библия и Толкования, თ. გ.).

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მზის, მთვარისა და ვარსკვლავების ბუნებითი თვისებების შემუსვრა მაცხოვრის მეორედ მოსვლის წინასახეცაა. მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „ხოლო მეყსეულად, შემდგომად ჭირისა მის მათ დღეთაჲსა, მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი, და ვარსკულავნი დამოცჳვენ ზეცით, და ძალნი ცათანი შეიძრნენ“ (ბიბლია, 2015, მთ. 24: 29).

ამბროსი მედიოლანელი სიმბოლურად განმარტავს წარმოდგენილ სახარებისეულ სიტყვებს და ამბობს, რომ ეს სიტყვები ნიშნავს, იმას, რომ ბევრი ჩამოშორდება ღვთის თაყვანისცემას და მანათობელ რწმენას ურწმუნოების ღრუბელი დამალავს (Св. Амвросий Медиоланский , თ. გ.).

უნდა ითქვას ისიც, რომ მზისა და მთვარის გამოსახულებები მხოლოდ ორ შემთხვევაში გვხდება - იესო ქრისტეს ჯვარცმისა და მისი მეორედ მოსვლის ამსახველ იკონოგრაფიებში. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია VII საუკუნეების დოდოს რქის მხატვრობა, სადაც იესო ქრისტე „დიდებაშია“ გამოსახული (ილ. 24) და მის გარშემო ექვსი და ოთხფრთიანი ქერუბიმები და სერაფიმებია წარმოდგენილი (ესაია და ეზეკიელ წინასწარმეტყველთა წინასწარმეტყველების მიხედვით). დასახელებულ გამოსახულებაში მზისა და მთავრის პერსონიფიკაციათა ჩართვა ზემოდამოწმებული იესო ქრისტეს სიტყვების ილუსტრაციაა. კერძოდ, მაცხოვარი, მეორედ მოსვლის შესახებ ქადაგებისას ბრძანებს, რომ მზე დაბნელდება და მთავრე აღარ გამოსცემს ნათელს (ბიბლია, 2015, მთ. 24: 29). აღნიშნული ხატმეტყველებით კიდევ ერთხელ ვლინდება იესო ქრისტეს ჯვარცმისა და მისი მეორედ მოსვლის კავშირი. ამავდროულად, აღნიშნული იკონოგრაფიით ხაზგასმულია ქრისტიანული მოძღვრების უმთავრესი არსი: ჯვარცმამ და სიკვდილმა კი არ დაამცრო მაცხოვარი, არამედ განადიდა იგი - მან თვისი სიკვდილით სიკვდილი დათრგუნა.

ჯვარცმისა და „დიდების“ ხატმეტყველებებში ჩართული მზის პერსონიფიცირებული გამოსახულება, სადაც თვალია გამოკვეთილი, უშუალოდ უკავშირდება „გარდამოხსნის“ ლიტურგიკულ მსახურებაში ჩართულ საგანგებო საკითხავს, სადაც, იესო ქრისტეს ჯვარცმის გადმომცემ სახარებისეულ თხრობასთან დაკავშირებით ხშირად არის გამოყენებული ტერმინი - „მზისთუალი“, რომელიც ვერ იტევს ქრისტეს ჯვარცმის სიდიადეს და „ბნელდება“. დავიმოწმებთ შესაბამის წყაროს: „შარავანდედნი დაიფარენ მზისთუალო (დასახელებული საკითხავის მიხედვით, ამ სიტყვებს ღვთისმშობელი წარმოსთქვამს), რამეთუ ძელსა ზედა დაჰხდა დღეს, რომელმან საშოთ ჩემით აღმოსულა სათნო იყო“ (ტრიოდიონი, 1901, გვ. 554). ამავე საკითხავის მიხედვით, იოსებ არიმათიელი მის მიერ ჯვრიდან გარდამოხსნილ მაცხოვარს ასე მიმართავს:

„იესო ტკბილო ყოველთა მეუფეო, რომელი ეგე მზისთუალმან გიხილა რა ჯუარსა ზედა ვნებულად, წყუდიადი შეიმოსა“ (ტრიოდიონი, 1901, გვ. 551).

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე განფენილი ფრესკის ფრაგმენტიც, სადაც მედალიონში წარმოდგენილ პლანეტათა სიმბოლოებს შორის მზისა და მთვარის გამოსახულებებსაც ვხვდებით. დასახელებული ფრესკის იკონოგრაფია სხვადასხვა საღვთისმეტყველო ასპექტებს შეიცავს, რომელთაგან ერთ -ერთი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლას ეხება (ჩიხლაძე, გვ. 245-246).

უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული, წარმართული ტრადიციებიდან იღებს სათავეს. როგორც ცნობილია, სხვადასხვა წარმართულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, მზისა და მთვარის წარმართული კულტები არსებობდა. ისიც ცნობილია, რომ ადრექრისტიანულ ხანაში ქრისტიანული ხელოვნება (ისევე როგორც ლიტერატურა) ხშირად იყენებდა წარმართული ხელოვნების გამოსახულებებს, თუმცა მასში განკაცებული ღმერთის მოძღვრების შინაარსს დებდა. ვფიქრობთ, მზისა და მთავრის გამოსახულებათა ჩართვა იესო ქრისტეს ჯვარცმის იკონოგრაფიაში აღნიშნულის დადასტურებაა.

5.11. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და იოანე ღვთისმეტყველის გამოსახულებები იესო ქრისტეს ჯვარცმის ხატმეტყველებაში

იესო ქრისტეს ჯვარცმის იკონოგრაფიაში, მის მარჯვენა და მარცხენა მხარეს გამოსახულნი არიან ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და იოანე ღვთისმეტყველი, ხოლო მოგვიანო ხანაში, აღნიშნულ იკონოგრაფიას ემატება მენელსაცხებლე დედების გამოსახულებაც, რისი საფუძველიც გახლავთ ზემოდამოწმებული სახარებისეული თხრობა, რომლის მიხედვითაც მაცხოვრის ჯვარცმას მისი დედა, მოციქული იოანე და მენელსაცხებლე დედები ესწრებოდნენ. ნათქვამის საილუსტრაციოდ აჭის (გურია) მონასტერში განთავსებულ იესო ქრისტეს ჯვარცმის ამსახველ, XIII-XIV საუკუნის ფრესკას წარმოვადგენთ (ილ. 25), სადაც შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ღვთისმშობლისა და იოანე ღვთისმეტყველის გამოსახულებათა ექსპრესიულობაა ხაზგასმული. მაგალითად,

დასახელებულ ფრესკაში (ისევე, როგორც, ზოგადად, ამ ეპოქის ხატმეტყველებაში) ღვთისმშობელი მგლოვიარე სახით გამოისახება, რომელსაც მენელსაცხებლე დედები ანუგეშებენ. აღნიშნული ხატმეტყველებითი დეტალის საფუძველია წითელი პარასკევის (იესო ქრისტეს ჯვარცმის დღე) საგანგებო ლიტურგიკული საკითხავი - „ღვთისმშობლის დატირება“, სადაც ყოვლადწმინდა მარიამის დედობრივი განცდებია გადმოცემული.

გარდა ამისა, ზემოდასახელებული ხატმეტყველება იესო ქრისტეს მიერ მარიამისა და იოანეს მიმართ წარმოთქმულ, დამოწმებულ სიტყვებს ასახავს, რომლის მიხედვითაც, უფალმა, ყოვლადწმინდა ქალწულზე მზრუნველობა იოანე ღვთისმეტყველს დაავალა (ბიბლია, 2015, იო. 19: 25-29).

5.12. იესო ქრისტეს ჯვარზე აღსრულების ხატმეტყველება

იესო ქრისტეს ჯვარცმის ხატმეტყველებაში ჯვარზე მიმსჭვალული მაცხოვრის ორი იკონოგრაფიული ტიპი გვხდება. პირველი ტიპის (ზემოდასახელებულ) გამოსახულებებში მაცხოვარი თვალგახელილია წარმოდგენილი, რაც გამოხატავს იმას, რომ ის ჯვარზე ჯერ კიდევ ცოცხალია. ხოლო მეორე ტიპის (ზემოდამოწმებულ) ხატწერაში იგი უკვე აღსრულებულია. რასაკვირველია, ორივე გამოსახულება ეთანადება შესაბამის სახარებისეულ თხრობას, რომლის მიხედვითაც მაცხოვარი ჯვარცმიდან სამი საათის განმავლობაში ჯვარზე ცოცხალი იყო, რის შემდეგაც აღესრულა. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა იოანეს სახარება, რომლის მიხედვითაც მაცხოვარმა „მიიდრიკა თავი და განუტევა სული“ (ბიბლია, 2015, იო. 19:30)

იოანე ოქროპირი ამასთან დაკავშირებით ბრძანებს: „მოდრიკა თავი და განუტევა სული. იხილე აქა ჴელმწიფებაჲ, რამეთუ ჩუენ ოდეს მივსცეთ სული, მაშინ მიდრკების თავი. ხოლო აქა თჳთ ოდეს ინება, მოდრიკა თავი და განუტევა სული. იხილე აქა ჴელმწიფებაჲ, რამეთუ ჩუენ ოდეს მივსცეთ სული, მაშინ მიდრკების თავი. ხოლო აქა თჳთ ოდეს ინება, მიიდრიკა თავი და განუტევა სული“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1993ბ, გვ. 311).

კონსტანტინეპოლელი მოძღვრის მიხედვით, ადამიანი აღესრულება და მერე მიიდრეკს თავს, ხოლო ჯვარცმული მაცხოვრის შემთხვევა სხვაგვარი იყო: მან ჯერ თავი მიიდრიკა და შემდეგ აღესრულა, რითაც მან სიკვდილზე ძალმოსილება წარმოაჩინა.

ექვთიმე ზიგაბენის სწავლებით, უფალმა თავი მიიდრიკა და სული განუტევა. ამით მან გამოავლინა ის, რომ აღესრულა მაშინ, როცა ინება (Евфимий Зигабен, Толкование на группу стихов: Ин: 19: 30-30, თ. გ.). შესაბამისად, ეს იყო სიკვდილზე მძლავრობის კიდევ ერთი გამოვლინება.

კირილე ალექსანდრიელის მიხედვით, უფლის მიერ ჯვარზე ნათქვამი სიტყვები: „ხელთა შენთა შევვედრებ სულსა ჩემსა“, კარგად გამოხატავს უფლის აღსრულების არსს. ის არ კვდება, არამედ თავის სულს მამას აბარებს. მეორე მხრივ, სახარებიდან დამოწმებული სიტყვები კაცობრიობის ხსნის გამოხატულებაცაა, რადგან იესო ქრისტეს მიერ გამოხსნილი წმინდა ადამიანთა სულები ღვთის „ხელში“ გადადის (Св. Кирилл , თ. გ.).

5.13. „გარდამოხსნის“ ხატმეტყველება

როგორც სახარებაშია ნაუწყები, მას შემდეგ, რაც იესო ქრისტე ჯვარზე აღესრულა, იგი გარდამოხსნეს და დაკრძალეს. ლიტურგიკულ პრაქტიკაში არსებობს საგანგებო ქსოვილი, რომელზეც ჯვრიდან იესო ქრისტეს გარდამოხსნა და „დატირებაა“ გამოსახული. აღნიშნულ ქსოვილს „გარდამოხსნას“ უწოდებენ და იგი წითელი პარასკევისა და დიდი შაბათის მსახურებების დროს გამოიყენება. „გარდამოხსნის“ ქსოვილი განასახიერებს იმ ტილოს - ,,არდაგს“, ,,არმენაკსა წმიდასა'', რომელზეც, ოთხივე სახარების თანახმად, ჯვრიდან გარდამოხსნილი მაცხოვრის სხეული დააბრძანეს, ,,წარგრაგნეს'' (იოსებ არიმათიელმა) და დაკრძალეს. ,,გარდამოხსნაზე'' ჯვრიდან ჩამოხსნილი, მიწაზე, სარეცელზე ან ლოდზე დასვენებული გარდაცვლილი ქრისტეა გამოსახული, რომელიც ანგელოზებითა და მტირალი ახლობლებითაა გარშემორტყმული.

როდიდან დაიწყეს გარდამოხსნების მორთვა ,,ქრისტეს დატირების“ სცენებით, ცნობილი არაა. სავარაუდოდ, ეს უნდა მომხდარიყო არა უადრეს XII-

XIII საუკუნეებისა.

თავად ტერმინი ,,გარდამოხსნა'' არ შეესაბამება ამ კომპოზიციის შინაარსს, რადგან აქ ,,დატირება" და არა ჯვრიდან გარდამოხსნაა გამოსახული. მაგრამ ,,დატირება უფლისა" გარდამოხსნაზე გამოსახული იკონოგრაფიული თხრობის განუყოფელი ნაწილია, რასაც „მეფეთმეფე ბაგრატის" მიერ შეწირულ ქსოვილზე არსებული წარწერა ადასტურებს: „შვენიერმან იოსებ ძელისაგან გარდამოჴსნა უხრწნელი გუამი შენი, ქრისტე, და არმენაკითა წმინდითა წარგრაგნა სურნელებით შემურვილი [ახა]ლსა საფლავს დაგდვა. არამედ მესამე დღეს აღსდეგ და მოანიჭე სოფელს დიდი წყალობა...'' (ბერიძე , 1983, გვ. 14-15).

„გარდამოხსნის" გამოსახულება ამშვენებს ოდიკებსაც (ტრაპეზზე გადასაფარებელი, რომელიც ევქარისტიის დროს იშლება და მასზე წმინდა ძღვენით ბარძიმ-ფეშხუმი დაბრძანდება).

თავდაპირველად, ილიტონებზე არანაირი გამოსახულება არ იყო. ღვთისმსახურებისა და ტრაპეზის სიმბოლიკის განვითარებასთან ერთად, როცა ტრაპეზზე ილიტონის გარდა ახალი საბურველიც გაჩნდა, სხვადასხვა საგანის სიმბოლურ ინტერპრეტაციაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. ქრისტეს გარდამოხსნა გამოისახებოდა და გამოისახება დაფარნაზე (პერექელზე), რომელიც წარმოადგენს ბარძიმ-ფეშხუმის საერთო საბურველს. არსებობს მოსაზრება, რომ პირველად „გარდამოხსნა" სწორედ დაფარნებზე გამოისახებოდა (ჭაბუკიანი, თ. გ.)

„გარდამოხსნის" ხატმეტყველება სრულიად მიესადაგება ლიტურგიის მსვლელობის შინაარსს. დასახელებულ იკონოგრაფიაში ლოდზე დასვენებული მაცხოვრის სხეული ტრაპეზზე დაბრძანებულ წმინდა ძღვენს მოასწავებს. ზოგადად, ლიტურგია კიდევ ერთხელ წარმოაჩენს და ახსენებს ადამიანს განკაცებული ღმერთის მსხვერპლგაღების შედეგად კაცობრიობის გამომხსნელობას.

„გარდამოხსნის" მსახურება, რამაც ,,დაფარნა-გარდამოხსნათა'' არსებობის საჭიროება შექმნა, კონსტანტინოპოლის წმინდა სოფიას ტაძარში XVI საუკუნიდან ჩნდება და აქედან სხვა ქვეყნებშიც ვრცელდება.

„დატირებით“ ლუსკუმის საფარებლის მორთვა, ბიზანტიაში დაკანონდა და, როგორც ჩანს, ეს მოხდა არა უადრეს XII-XIII საუკუნეებისა. ბიზანტიიდან ეს ჩვეულება სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებშიც გავრცელდა. ქართულ წერილობით ძეგლებში ტერმინი - ,,გარდამოხსნა'' პირველად უფრო გვიან გვხვდება. „გარდამოხსნის მსახურება“ იხსენიება მხოლოდ იმ ტიპიკონებში, რომლებიც XVIII საუკუნეში რუსული ტიპიკონების მიხედვითაა რედაქტირებული. საქართველოში ისევე, როგორც სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში, ,,გარდამოხსნა'' ადრევე უნდა იყოს შემოსული. ყოველ შემთხვევაში მისი არსებობის დადასტურება უკვე XV საუკუნიდან შეგვიძლია.

მაგალითად, საინტერესოა, საქართველოში დაცული ყველაზე ადრეული გარდამოხსნა (ილ. 26), რომელიც გიორგი მერვეს შეუწირავს (ჭაბუკიანი, თ. გ.), რასაც მასზე არსებული წარწერა გვამცნობს: ,,ქწ. დიდისა მეფეთ მეფისა ალექსანდრეს ძესა მეფეთამეფესა გიორგის გაუმარჯოს და ცოდვანი მისნი შეუნდვნენ ღმერთმან, რომლისა ბრძანებითა საფლავად დადება მხსნელისა ჩვენისა იესოს ქრისტესი შეიმზადა.''

დასახელებულ წარწერაში საინტერესოა ის, რომ გარდამოხსნა მოხსენიებულია, როგორც „საფლავად დადება“.

იკონოგრაფიაში არდაგზე დასვენებული მაცხოვარია გამოსახული. მის თავთან და ფეხებთან ქერუბინიანი სამწერობლებით ხელში მთავარანგელოზებს ვხედავთ. სარეცელს მიღმა მტირალი დედანი არიან წარმოდგენილი. ერთ-ერთი მათგანი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელია, დანარჩენი, კი - მენელსაცხებლე დედები. აქვე, მგლოვიარე იოანე ღვთისმეტყველის გამოსახულებაა. ასევე, ვხვდებით მაცხოვრის ფერხთით იოსებ არიმათიელს, რომელსაც ხელთ არდაგი უპყრია. აღსანიშნავია, რომ არც ერთი პირი არ ეკარება ქრისტეს ცხედარს. ყველა ფიგურას შარავანდი აქვს. ისინი ქრისტეს გამოსახულებასთან შედარებით, უფრო მცირე ზომისანი არიან, რითაც განკაცებული ღმერთის აღმატებულებაა ხაზგასმული.

კომპოზიციის ქვედა რეგისტრში ,,აღდგომის'' ხატმეტყველებაა, რაც მენელსაცხებლე დედების მიერ ცარიელი საფლავის ნახვის გამომსახველობითაა წარმოდგენილი. ხოლო ზედა რეგისტრში იესო ქრისტეს ამაღლების

იკონოგრაფიაა - მანდორლაში გამოსახულ იესო ქრისტეს ორი ანგელოზი აღამაღლებს (ჭაბუკიანი, თ. გ.).

„გარდამოხსნის“ ხატმეტყველებაში აღდგომისა და ამაღლების იკონოგრაფიათა ჩართვა ძე ღმერთის განკაცების მნიშვნელობას წარმოაჩენს - უფალმა, საკუთარი ჯვარცმით, აღდგომითა და ამაღლებით გამოიხსნა კაცობრივი ბუნება. გარდა ამისა, საეკლესიო ეგზეგეზისის თანახმად, იესო ქრისტეს სიკვდილი, აღდგომა და ამაღლება ადამიანების სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის წინასახეცაა.

ძალიან საინტერესოა ერთ-ერთ საგალობელში გადმოცემული იესო ქრისტეს სუდარის შესახებ არსებული განმარტება, რომლის მიხედვითაც მასში (სუდარაში) შეხვეული „დღისა შემმოსელი ცათაჲ ღრუბლითა, შეუწერელი ღმერთი განშიშულებული შეიხუევის ტილოჲთა და სუდარითა, რაჲთა დაფაროს სიშიშვლჱ ადამ პირველისაჲ და განსძარცუოს სამოსელი იგი ტყავისაჲ, ურჩებით შემოსილი“ (ინწკირველი თ. , 2015, გვ. 241).

წარმოდგენილი სწავლებით, უფალი ინებებს მისი შიშველი სხეულის სუდარაში გახვევას, რითაც ადამის შეცოდების გამო წარმოქმნილ სიშიშვლის გრძნობას ფარავს. ასევე, აღნიშნული ეგზეგზა საუბრობს იმასთან დაკავშირებითაც, თუ როგორ განძარცვა განკაცებულმა ღმერთმა ადამიანს „ტყავის შესამოსელი“. როგორც ცნობილია, დაბადების წიგნის მიხედვით, სამოთხიდან გამოძევებულ ადამს ღმერთმა ტყავის შესამოსელი მისცა. ეფრემ ასურისა (ღირსი ეფრემი, 2014, გვ. 56-57) და იოანე ოქროპირის (წმ. იოანე ოქროპირი, 2015, გვ. 174-175) შესაბამისი ეგზეგეზისის მიხედვით, ეს ქმედება, სახისმეტყველებითად, შემდეგს განასახიერებს: ჩადენილ შეცოდებათა გამო ადამმა საღვთო მადლი განიძარცვა და სიკვდილი შეიმოსა. ხოლო, განკაცებულმა ღმერთმა კვლავ პირვანდელ პატივში აღადგინა კაცობრივი ბუნება.

გარდამოხსნის გამოსახულება საგანგებო ქსოვილზე იქარგებოდა და იგი წარმოადგენს წითელი პარასკევისა და დიდი შაბათის მსახურების ერთ-ერთ აუცილებელ საღვთისმსახურო ნივთს.

„ვნების ციკლის“ იკონოგრაფია „ჯოჯოხეთის დაღუპვის“ ხატმეტყველებით გვირგვინდება, რომელიც იესო ქრისტეს აღდგომისა და სულით ჯოჯოხეთში შთასვლის შესახებ მოგვითხრობს.

5.14. ქრისტეს აღდგომის გამოსახულებები ადრექრისტიანულ ხანაში

სახარებაში ქრისტეს აღდგომის შესახებ არაფერია ნათქვამი. ოთხივე მახარებელი ზედმიწევნით მოგვითხრობს იესო ქრისტეს ჯვარცმისა და აღსრულების შესახებ. ამის შემდეგ სახარებისეული თხრობის ქრონოლოგიური ,,ჯაჭვი“ წყდება და თხრობა მოციქულებისა და ,,მენელსაცხებლე დედების“ მიერ ცარიელი საფლავის ნახვის შესახებ თხრობით გრძელდება (ბიბლია, 2015, მთ. 28: 2-4; ბიბლია, 2015, მარკ. 16:1-8; ბიბლია, 2015, ლკ. 24: 1-12; ბიბლია, 2015, იო. 20:1-10).

მათეს სახარების მიხედვით, შაბათ დილით მისულ მარიამ მაგდალინელსა და „სხუა მარიამს“ აკლდამაში ანგელოზი ხვდებათ, რომელიც, იქამდე, მახარებლის მიხედვით, „...**გარდამოჴდა ზეცით, მოვიდა და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა და დაჯდა მას ზედა. ხოლო იყო ხილვაჲ მისი, ვითარცა ელვაჲ, და სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი. ხოლო საშინელებისაგან მისისა შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქმნნეს, ვითარცა მკუდარნი“** (ბიბლია, 2015, მთ. 28: 2-4). **ანგელოზებმა დედებს ქრისტეს აღდგომა ახარეს.**

ლუკა მახარებლის მიხედვით, საფლავში შესულ მენელსაცხებლე დედებს იქ ორი ანგელოზი ხვდება: „...**აჰა ესერა, ორ კაც ზედა მოადგეს მათ სამოსლითა ელვარითა.** და ვითარ შეშინებულ იყვნეს იგინი და დაედრიკნეს პირნი მათნი ქუეყანად, ჰრქუეს მათ: „რაჲსა ეძიებთ ცხოველსა მას მკუდართა თანა? არა არს აქა, არამედ აღდგა...“ (ლკ. 24: 4-6).

იოანე მახარებლის მიხედვით, მას შემდეგ, რაც მარიამ მაგდალინელმა ცარიელი საფლავი იხილა, მოციქულებთან მივიდა და ამის შესახებ ამცნო მათ, რის შემდგომადაც პეტრე და „სხუაჲ იგი მოწაფჱ“ (რომელშიც იოანე ღვთისმეტყველი მოიაზრება) საფლავისკენ მიემართებიან. მოციქულები ცარიელ საფლავსა და

სუდარას ნახულობენ. „...იხილეს და ჰრწმენა. რამეთუ არღა იცოდეს წერილისაჲ, ვითარმედ ჯერ-არს მისი მკუდრეთით აღდგომაჲ. წარვიდეს უკუე კუალად თჳსაგან მოწაფენი იგი“ (ბიბლია, 2015, იო. 20:8-10).

იესო ქრისტეს აღდგომა ,,დღესასწაულთა დღესასწაულად“ იწოდება, ამიტომაც ხატწერაში მის ასახვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სანამ დასახელებული ხატმეტყველების დღეს არსებული, საყოველთაოდ ცნობილი იკონოგრაფიული რედაქციები გავრცელდებოდა, აღდგომის სცენის იკონოგრაფია მხოლოდ სახარებაში მოთხრობილი შესაბამისი ფაქტების აღწერას გადმოგვცემდა. როგორც ცნობილია, ხატწერის პირველი ნიმუშები ქრისტიანთა განსასვენებლების - კატაკომბების მხატვრობაშია წარმოდგენილი. დურაევროპოსის (სალოცავი სახლი სირიაში) 232 წლის მოხატულობაში სამი ქალია წარმოდგენილი, რომლებიც ჯერ კიდევ დახურული სარკოფაგისკენ მიეშურებიან. IV-V საუკუნეების ნიმუშებზე, მონცას ამპულებსა და სპილოს ძვლის ფირფიტის რელიეფებზე უკვე კარგად გამართული, სახარების თხრობასთან ბევრად დაახლოებული კომპოზიციებიც გვხდება (ინწკირველი თ. , 2015ა, გვ. 203-204).

აქ, როგორც ამ პერიოდის სხვა ნიმუშებში, მაცხოვრის საფლავი როტონდის, მრგვალი ნაგებობის, სახითაა წარმოდგენილი, რადგან ამ ადგილას მართლაც იდგა ქრისტიანთა მიერ აგებული ასეთი ფორმის შენობა. ანგელოზი ამ რელიეფებზე ფრთებისა და შარავანდედის გარეშეა გამოსახული, ხოლო კომპოზიციის ზედა მარჯვენა კუთხეში მაცხოვრის ამაღლების სცენაა, რომლებზეც ღრუბლებზე აღმავალი იესო ქრისტეს ცის სეგმენტიდან გამოსული მამის მარჯვენაზე ხელი აქვს ჩაჭიდებული. მის ქვეშ ორი მოციქულია გამოსახული. აღდგომის და ამაღლების მოვლენათა ერთად გამოსახვა უჩვეულო მოვლენა არ არის, რადგან პირველი საუკუნეების ქრისტიანთათვის ეს დღესასწაულები, სულთმოფენობის დღესასწაულთან ერთად, ერთიან საღვთისმსახურო ციკლს შეადგენდა და, შესაბამისად, როგორც საეკლესიო ტიპიკონი, ისე საეკლესიო მხატვრობის უადრესი ნიმუშებიც მათ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირს წარმოგვიდგენს (ინწკირველი თ. , 2015ა, გვ. 203-204).

როგორც ცნობილია, აღდგომის შედეგად, კაცობრივი ბუნება იქნა გამოხსნილი. ხოლო მაცხოვრი, თავისი ამაღლებით გამოხსნილ კაცობრიობას

ზეცაში დავანებისკენ მოუწოდებს: „და მე ოდეს ავმაღლდე ქუეყანით, ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა“ (ბიბლია, 2015, იო.12: 32).

5.15. აღდგომისა და ჯოჯოხეთის წარტყვევნა-წარმოცალიერების ხატმეტყველება

ჩამოყალიბდა ,,მენელსაცხებლე დედები მაცხოვრის საფლავთან“ იკონოგრაფიული სქემა, თუმცა ქრისტიანული გამომსახველობის მესვეურნი ხვდებოდნენ, რომ ქრისტეს აღდგომის შეძლებისაებრ სრულად გადმოსაცემად ზემოგადმოცემული მხატვრული თხრობა არ კმაროდა. საჭირო იყო სხვა, უფრო ძლიერი გამომსახველობა, რომელიც უკეთ წარმოაჩენდა აღდგომის მნიშვნელობას. ამიტომაც შემუშავდა ჯოჯოხეთში იესო ქრისტეს სულით ჩასვლის იკონოგრაფია (ინწკირველი თ. , 2015ა, გვ. 206), რომელსაც საფუძვლად დაედო შესაბამისი სახარებისეული ტექსტი და ეგზეგეზა.

აღნიშნული იკონოგრაფიის ყველაზე ადრეულ ნიმუშად ვენეციის წმინდა მარკოზის (სან მარკო) ტაძრის (IX ს.) ტიმპანში განთავსებული გამოსახულება ითვლება (ინწკირველი თ. , 2015ა, გვ. 208), რომელიც, თავის მხრივ, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, IV საუკუნის კონსტანტინეპოლის აღდგომის ტაძრიდან უნდა მოდიოდეს. ასევე ადრეულია ჰოსიოს ლუკას და დაფნის მონასტრის „ჯოჯოხეთის წარმოცალიერების“ მოზაიკური ფრესკები, რომელნიც XI საუკუნეს განეკუთვნებიან (ინწკირველი თ. , 2015ა, გვ. 208).

XI-XII საუკუნეებიდან დასახელებული ხატმეტყველება აუცილებელი ხდება როგორც ტაძრის, ისე წმინდა წერილის ტექსტის დეკორირებისას. მისი იკონოგრაფიული სქემა საუკუნეების განმავლობაში, ფაქტობრივად, უცვლელი რჩება. ხსენებული იკონოგრაფია ერთადერთია დანარჩენ ათორმეტ დღესასწაულთა ამსახველ ხატმეტყველებათაგან, რომელიც არა უშუალოდ სახარებისეულ თხრობას, არამედ მის ეგზეგეზას გამოსახავს. აღნიშნულ ხატმეტყველებაში ქრისტეს აღდგომის არსი უფლის მიერ ჯოჯოხეთის შემუსვრითა და იქედან ადამიანთა აღმოყვანებითაა წარმოჩენილი.

როგორც აღვნიშნეთ, წმიდა სახარება არაფერს მოგვითხრობს უშუალოდ ქრისტეს აღდგომაზე, ჯოჯოხეთის შემუსვრასა და იქედან მართალთა სულების აღმოყვანებაზე. ამასთან დაკავშირებით საუბრობს პეტრე მოციქული, რომელიც ამბობს: ,,რამეთუ ქრისტემანცა ერთ გზის ცოდვათა ჩუენთათჳს ივნო, მართალმან მან ცრუთათჳს, რაჲთა ჩუენ წარგუადგინნეს ღმრთისა, მოკუდა ჴორცითა და ცხოველ იქმნა სულითა, რომლითაცა საპყრობილესა მას სულთა მივიდა და ქადაგა“ (ბიბლია, 2015, I პეტრე 3:18-19).

საეკლესიო სწავლების მიხედვით, ჯვარზე აღსრულებული მაცხოვარი, სანამ მკვდრეთით აღდგებოდა, კაცობრივი სულით ჩადის ჯოჯოხეთში და მართალთა სულებს ბნელეთის ტყვეობისაგან იხსნის.

ამ საკითხზე ერთხმად მეტყველებს წმინდა მამათა დასი, რომელთაც, სულიწმინდის მადლით განმარტეს წმინდა წერილი. წმინდა ეკლესია, მაცხოვრის ჯოჯოხეთში ჩასვლასა და მის მიერვე ცოდვილთა გამოხსნას, დიდ შაბათს ზეიმობს. წარმოვადგენთ წმინდა მამათა სწავლებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კირილე ალექსანდრიელის მიხედვით, მაცხოვარი, მართალთა სულების ამოსაყვანად სულით ჯოჯოხეთში ჩადის (святитель Кирилл, თ. გ.).

წმიდა იოანე დამასკელი ბრძანებს: „ჩადის ჯოჯოხეთში განღმრთობილი სული, რომ ისევე, როგორც მიწაზე მყოფთათვის ამოვიდა სიმართლის მზე, ასევე, მიწის ქვეშ წყვდიადში და სიკვდილის ჩრდილში მსხდომებსაც გამოუბრწყინდა სინათლე“ (წმ. იოანე დამასკელი, 2019, გვ. 214).

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის მიხედვით, ჯოჯოხეთში შთასულ უფალს ყველა არ უცხონებია, არამედ მხოლოდ ისინი, რომელთაც ამქვეყნიური ცხოვრება მორწმუნეობით განვლეს (Св. Григорий , 1944, გვ. 179).

ტერტულიანეც ამბობს: „უწინარეს ზეცაში ასვლამდე, ჯერ წავიდა ქვესკნელში, რათა იქიდან ამოეყვანა მამამთავრები და წინასწარმეტყველები“ (დიდი შაბათის ქადაგების საღვთისმეტყველო ანალიზი, 2015, გვ. 86).

წმ. კასიანე რომაელი: „ჩავიდა ქრისტე ჯოჯოხეთში... ,,ბნელი იგი არმური“ ტარტაროზისა, შელეწნა ბჭენი, დაამსხვრია მორწმუნეთა ჯაჭვნი და წმინდა

ტყვეები, პყრობილნი ჯოჯოხეთის მიუწვდომელ წყვდიადში, ტყვეობიდან გამოიხსნა და თანა-აღიყვანა ზეცაში“ (კასიანე რომაელი, 2015, გვ. 87).

დამოწმებული სწავლებით, უფლის ჯოჯოხეთში შთასვლა და მის მიერ იქედან მართალთა სულების აღმოყვანებაა განცხადებული. ხოლო ის, რომ ხსენებული ,,აღმოყვანება“ სწორედ მაცხოვრის ჯვარზე აღსრულების შემდგომ მოხდა, ამაზე ცალსახად მიანიშნებს ,,დიდი შაბათის“ შემდეგი საკითხავი: „რაჟამს შთახედ საფლავად ცხოვრება ეგე უკუდავი, მაშინ ჯოჯოხეთი შეაძრწუნე ელვითა მით ღუთაებისა შენისათა, ხოლო რაჟამს მკუდარნი ქუესკნელით აღმოიყვანენ, მაშინ ყოველნი ძალნი ცათანი ღაღადებდნენ: ცხოვრების მომცემელო ქრისტე ღმერთო, დიდება შენდა“ (ზატიკის ტროპარ-კონდაკები, თ. გ.).

წარმოდგენილი ეგზეგეზისის შესაბამისად, უფლის ბრწყინვალე აღდგომის ისტორია და მნიშვნელობა, შესაძლოა სამ ნაწილად დავყოთ: **მაცხოვრის ჯოჯოხეთში ჩასვლა და მისი ,,წარტყვევნა-წარმოცალიერება“, უფლის სხეულით აღდგომა და ცარიელი საფლავის ადამიანთა (მოციქულთა და მენელსაცხებლე დედათა) მიერ ხილვა**. მართლმადიდებლური ხატმეტყველება შუა საუკუნეებიდან ,,ჯოჯოხეთის შემუსვრას“ გამოსახავს, რადგან ეს უკანასკნელი არის მომცველი აღდგომის დღესასწაულის არსისა და ზოგადად, ღვთის განკაცების მიზანდასახულობისა, რაც კაცობრივი ბუნების გამოხსნასა და ჯოჯოხეთის დამარცხებაში გამოიხატება.

როგორც აღინიშნა, ადრექრისტიანულ ხანაში მენელსაცხებლე დედების ცარიელ საფლავში შესვლა და იქ ანგელოზის გამოცხადება გამოისახებოდა. გარდა ამისა, IV-V საუკუნეების ნიმუშებზე, მონცას ამპულებსა და სპილოს ძვლის ფირფიტის რელიეფებზე (ინწკირველი თ. , 2015ა, გვ. 203) ვხვდებით როტონდის ტიპის საფლავის ლოდზე მჯდომ იესო ქრისტეს გამოსახულებას. ერთ-ერთი ასეთი გამოსახულებაა, ზემოთ უკვე დამოწმებული, სპილოს ძვლის ფირფიტაზე განთავსებული IV საუკუნის გამოსახულება, რაც შესაბამისი ეგზეგეზის საფუძველზეა შექმნილი. ამასთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობებს გვაწვდის წმინდა მელეტი ეპისკოპოსი: „გარდამოჴდა ანგელოზი კარისა მის სამარისა პირსა წინაშე უფლისასა; ...ანგელოზმან ლოდი იგი გარდააგორვა, უფალი მოვიდა სამარით. ვითარცა იხილა მან ანგელოზმან, რამეთუ უფალი გამოვიდა კარსა მას

თანა სამარისასა, დავარდა და თაყუანისცა... იხილა ანგელოზმან მან, ვითარმედ გამოვიდა უფალი საფლავისაგან და დაჯდა ლოდსა ზედა, რაჲთა ბრწყინვალედ ხილვითა მიაწიოს შიში და შეძრწუნებაჲ მცველთა მათ ზედა და აღსარებისა მის სიტყვათა მიაწიოს ნუგეშინისცემაჲ სასმენელსა მგლოვარეთასა“ (წმ. მელეტი, 1994, გვ. 238-239).

წმინდა მამის მიხედვით, მას შემდეგ, რაც ანგელოზი საფლავის ლოდს გადააგორებს, მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი საფლავიდან გამოდის და ლოდზე დაბრძანდება, რათა დიდებული სახილველით შეძრწუნდნენ მცველები, ხოლო თავისი მგლოვიარე მიმდევრები ანუგეშოს. მითითებული იკონოგრაფია სწორედ აღნიშნული ეგზეგეზისის საფუძველზეა შექმნილი. ამავე სპილოს ძვლის ფირფიტაზე შეძრწუნებული მცველების გამოსახულებასაც ვხვდებით.

ამავე ეპოქის ქრისტეს აღდგომის ხატმეტყველებაში ლოდზე მჯდომარე ანგელოზის გამოსახულება ფიქსირდება. მაგალითად, აკლდამის გადაგორებულ ლოდზე მჯდომი ანგელოზია გამოსახული ყინწვისის „ქრისტეს აღდგომის“ იკონოგრაფიაში (ილ. 27).[32] როგორც დამოწმებულ სახარებისეულ თხრობაშია გადმოცემული, ანგელოზი საფლავის ლოდს გადააგორებს. მათე მახარებლის მიხედვით, „ზეციური ძალი“ გადაგორებულ ლოდზე ჯდება და მცველებს მისი შეეშინდებათ.

მარკოზ მახარებლის თანახმად, საფლავში შესულ მენელსაცხებლე დედებს სპეტაკი სამოსლით შემოსილი ანგელოზი ხვდება. ამავეს გვამცნობს მათე მახარებელიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ის საფლავის ლოდთან მყოფ ორ ანგელოზს ასახელებს (რაც შესაბამისი, დამოწმებული განმარტებით აიხსნება). სერბეთში, XIII საუკუნის მილეცივას მონასტერში, ქრისტეს საფლავზე სპეტაკი ფერით შემოსილი ანგელოზის გამოსახულებას ვხვდებით (orthodox monastery icons, თ. გ.).

იესო ქრისტეს აღდგომისას ანგელოზის თანამყოფობაზე საუბრობს მელეტი ეპისკოპოსი, რომლის მიხედვითაც მან (ანგელოზმა) საფლავიდან ლოდი გადააგორა, რის შემდეგაც იქედან უფალი გამოვიდა. ზეციური ძალის ქმნილება

[32] აღნიშნული გამომსახვეობა მსოფლიო ხელოვნების შედევრადაა აღიარებული. შესაბამის ლიტერატურაში მას „ყინწვისის ანგელოზად“ მოიხსენიებენ.

აღმდგარი უფლის წინაშე დაემხო და თაყვანისცა მას. **იგი მცველებს „საშინელითა ხატითა“ განეცხადა, ხოლო, როცა დედანი მოვიდნენ, მან შეიცვალა „საშინელი ხატება“, განსასვენებელის მარჯვნივ დადგა და ჭაბუკის სახე მიიღო. იგი ასე რომ არ მოქცეულიყო, დედებს შეეშინდებოდათ.** ზეციური მაუწყებელი აკლდამაში შევიდა, რათა დედებს უფლის სხეული მოპარული არ ჰგონებოდათ (როგორც სახარებისეული თხრობიდან ირკვევა, ამის შიში მათ ჰქონდათ). ანგელოზი პირველი ახარებს მათ ქრისტეს აღდგომას, რომლის მოწმეც თავად გახდა. მას შემდეგ, რაც მენელსაცხებლე დედები გაოცებამ შეიპყრო, სხვა ორი ანგელოზიც განცხადდა, რათა დაემოწმებინათ პირველი ანგელოზის სიტყვები. შესაბამისად, წმინდა მელეტის მიხედვით, სამი ანგელოზი ახარებდა მენელსაცხებლე დედებს ქრისტეს აღდგომას (წმ. მელეტი, 1994, გვ. 240).

წარმოდგენილი ეგზეგეტიკა ხსნის, თუ რატომ იხსენიება **მათესა და მარკოზ მახარებლებთან ერთი ანგელოზი, ხოლო ლუკა მახარებელთან - ორი**. მათე და მარკოზი საუბრობენ იმ ანგელოზზე, რომელმაც ლოდი გადააგორა, ზედ დაჯდა და შემდეგ „სხვითა ხატითა“ ეჩვენა (იქამდე კი საშინელი გარეგნობით წარმოუჩნდა მცველებს, რომელთაც ძლიერ შეეშინდათ მისი) მენელსაცხებლე დედებს, ხოლო ლუკა მახარებლის მიერ ნახსენები ორი ანგელოზი, უფლის მიერ შემდგომ მოვლენილი ანგელოზები არიან, რათა ქრისტეს აღდგომა უფრო საცნაური ყოფილიყო ადამიანთათვის და პირველ რიგში მენელსაცხებლე დედათათვის.

ზემოდასახელებულ, „ყინწვისის ანგელოზს“ მწვანე მოსასხამი მოსავს. წმინდა დიონისე არეოპაგელის მიხედვით, მწვანე ფერი სიჭაბუკესა და გაფურჩქვნას მოასწავებს (წმ. დიონისე არეოპაგელი, 2010), რაც ქრისტეს აღდგომის არსთანაა მისადაგებული. კერძოდ, როგორც ცნობილია, მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომამ განაახლა ცოდვითდაცემული კაცობრიობა და იგი „ზეცის მოქალაქედ“ (ბიბლია, 2015, ფილ. 3:20) ჰყო, რასაც უნდა გამოხატავდეს ამავე ანგელოზის შიდა სამოსის ფერი - ცისფერი.

როგორც უკვე აღინიშნა, იესო ქრისტეს აღდგომის მნიშვნელობის გამომხატველად იკონოგრაფიამ ჯოჯოხეთის წიაღში იესო ქრისტეს სულით ჩასვლის ხატმეტყველება შექმნა, რომლის ზოგადი იკონოგრაფიული სქემა ასეთია:

კომპოზიციის ცენტრში მანდორლაში ჩაწერილი იესო ქრისტეა გამოსახული, რომლის სამოსელიც სპეტაკ ფერებშია წარმოდგენილი. მაცხოვარს ადამიანები ჯოჯოხეთის ტყვეობიდან ამოჰყავს. იესო ქრისტე გადაჯვარედინებულ ორ ფიცარზე დგას, რაც ჯოჯოხეთის კარიბჭის, ბჭის შემუსვრას განასახიერებს. ამგვარად წარმოგვიდგენს ხატმეტყველება „ჯოჯოხეთის წარმოცალიერებას“ XVI საუკუნის უბისის ტაძრის კედლის მხატვრობაში (ილ. 28).

ამასთანავე, „მანდორლა-დიდების“ სახისმეტყველება ქრისტეს აღდგომის ჟამს გამოვლენილი ნათლის გადმომცემიცაა. წმ. იოანე მელეტის ეგზეგეზისის მიხედვით, აღმდგარი მაცხოვრის სხეული „ბრწყინვალედ ხილვითა“ გამოიყურებოდა (წმ. მელეტი, 1994, გვ. 139-140).

განსაზღვრება - ,,ჯოჯოხეთის ბჭე“ - თავად მაცხოვარმა გამოიყენა, როცა პეტრეს უთხრა: ,,შენ ხარ კლდე და მას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი და **ბჭენი ჯოჯოხეთისანი** ვერ ერეოდიან მას“ (ბიბლია, 2015, მთ. 16:18). უფლის მიერ ,,ბჭეზე“ დგომა მის (ბჭის) დარღვევასა და მასზე ძლევას მიუთითებს.

კასიანე რომაელის მიხედვით, ჯოჯოხეთში შთასულმა უფალმა „შელეწნა ბჭენი“ (კასიანე რომაელი, 2015, გვ. 87).

იესო ქრისტეს გამოსახულება ,,განსპეტაკებულ“ სამოსსა და „განსპეტაკებულ წრეშია“ წარმოდგენილი, რაც მისი საღვთო ბუნებისა და სიკვდილზე გამარჯვების გამომხატველია .

დასახელებულ გამოსახულებაში იესო ქრისტეს ნათელი ფერის სამოსით გამოსახვა და მის გარშემო წარმოდგენილი მანდორლა კიდევ ერთი გარემოების გამომხატველია: როგორც ცნობილია, უფალი ჯოჯოხეთში კაცობრივი სულით შთავიდა (მისი სხეული, როგორც ვიცით, ჯვარზე აღსრულდა და აკლდამაში დაიფლა). სული უნივთოა და, შესაბამისად, მისი გამოსახვა ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ, ხატმეტყველებამ იესო ქრისტეს სხეული და შესამოსელი „დიდებასა“ და ,,სპეტაკ“ ფერებში წარმოადგინა.

იესო ქრისტეს სხეულის ,,განსპეტაკებულ მდგომარეობაში“ გამოსახვა კიდევ ერთი მნიშვნელობის მატარებელია: საეკლესიო სწავლების მიხედვით, იესო ქრისტეს სხეული, აღდგომის შემდეგ, განღმრთობილ მდგომარეობაში მყოფობს. რას ნიშნავს ეს? ხსენებული სწავლების თანახმად, უფალმა განკაცებისას ჩვენი

მსგავსი, დაცემული სხეული მიიღო, თუმცა, დაცემულობის მიზეზის, ცოდვის გარეშე. ხოლო აღდგომის შემდეგ მისი სხეული უხრწნელი, უვნებო და უკვდავი შეიქმნა, რითაც მან კაცობრივი ბუნება განაახლა. აღნიშნულთან დაკავშირებით დავიმოწმებთ წმინდა იოანე დამასკელის სწავლებას: „მკვდრეთით აღდგომის შემდეგ განიშორა მან ყველა ვნებულება, კერძოდ: ხრწნადობა, შიმშილი, წყურვილი, ძილი, დაღლილობა და სხვა ამგვარი“ (წმ. იოანე დამასკელი, 2019, გვ. 510).

იესო ქრისტე, აღდგომის შემდეგ, განღმრთობილი სხეულის მატარებელია და თავად არის ამ განღმრთობის წყარო. როცა წმიდა გრიგოლ ნოსელი აღმდგარი უფლის მარიამ მაგდალინელისადმი წარმოთქმულ შემდეგ სიტყვებს: ,,ნუ შემომეხები მე“, განმარტავს, ამბობს: ,,ნუ შემომეხები მე, არამედ როდესაც ავალ მამასთან, მაშინ შეძლებ, რომ შემეხო. ეს ნიშნავს: ნუღარ აღიბეჭდავ შენს რწმენაში სხეულებრივ და მონურ ხატებას, არამედ თაყვანი ეცი ღვთის სიტყვადმყოფს, რომელიც არის მამისეულ დიდებაში და ჰგიეს ღვთის ხატებაში, - და არა ხატს მონისას“ (წმ. გრიგოლ ნოსელი, 2011, გვ. 143).

,,ჯოჯოხეთის წარმოცალიერების“ ხატმეტყველება შესაბამის ეკლესიის მოძღვრებას გადმოგვცემს, რომლის მიხედვითაც იესო ქრისტეს ჯოჯოხეთის ტყვეობიდან მართალთა სულები ამოჰყავს და სასუფეველში გადაჰყავს. ზოგიერთ კომპოზიციაში კარგად ჩანს უფლისმიერ აღმოყვანებულ პიროვნებათა ვინაობა: ადამი, ევა, დავითი, იონა წინასწარმეტყველი, ნოე და ასე შემდეგ. ადამისა და ევას გამოსახვას შესაბამისი საფუძველი აქვს - ისინი პირველი ადამიანები არიან, რომელთაც შესცოდეს. პავლე მოციქული იესო ქრისტეს ,,მეორე ადამს“ უწოდებს - ,,და ვითარცა-იგი ადამის გამო ყოველნი მოსწყდებიან, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ“ (ბიბლია, 2015, კორ. 15:22).

აღნიშნული გამომსახველობის უმრავლეს, მათ შორის დამოწმებულ კომპოზიციებში, იესო ქრისტეს ჯოჯოხეთიდან პირველი ადამი ამოჰყავს, რითაც უფლის მიერ, ზოგადად, კაცობრივი ბუნების გამოხსნაა ნაჩვენები. ადამში, როგორც პირველქმნილ ადამიანში, წმინდა მამები ხშირად მოიაზრებენ, ზოგადად, კაცობრივ ბუნებას. დავიმოწმებთ შესაბამის სწავლებას.

„უძველეს იადგარში“ ვკითხულობთ: „სამოთხჱ განღებულ არს და სიკუდილისა ბჭჱ დაჴშულ არს. პირველქმნული ადამ კუალად განახლებულ არს და სამოსელი უკუდავებისაჲ შემოსილ არს“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 217-218).

კიდევ: „ქრისტე ღმერთო... შთარაჲჰჴედ ჯოჯოხეთა, ადამი სიღრმეთაგან არმოიყვანე“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 358).

იოანე მინჩხი ბრძანებს: „ადამ პირველსა ნეტარებასა მიიცვალა, რაჟამს ქრისტე საფლავით აღდგა, და ევა მხიარულ არს ქალწულისა თანა აღდგომისათჳს მკუდართა აღმადგინებელისა და ღაღადებენ: „უფალო, დიდებაჲ ძალსა შენსა“ (წმ. იოანე მინჩხი, 1987, გვ. 286).

5.16. ქრისტეს აღდგომის იკონოგრაფიის განვრცობილი რედაქციები

მოგვიანო ხანაში აღნიშნულ ხატმეტყველების იკონოგრაფია განივრცო. კერძოდ, იესო ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთიდან აღმოყვანებული ადამისა და ევას გამოსახულებას მეფეებისა და წინასწარმეტყველების გამოსახულებებიც ემატება, რაც დამოწმებულ საეკლესიო მოძღვრებას ასახავს, რომლის მიხედვითაც ჯოჯოხეთში შთასულ იესო ქრისტეს იქედან მართალთა სულები ამოჰყავს. ამ კუთხით აღსანიშნავია „შემოქმედის გულანის“ XVIII საუკუნის მინიატურა (ილ. 29).

დავით მეფის გამოსახვას შესაბამისი საღვთისმეტყველო საფუძველი აქვს: როგორც ცნობილია, წმიდა დავითი თავის ფსალმუნებში არაერთხელ წინასწარმეტყველებს იესო ქრისტეს ვნების შესახებ. გარდა ამისა, როგორც მათეს სახარებაში წარმოდგენილი მაცხოვრის ხორციელი წარმომავლობის გენიალოგია გვაუწყებს, მეფე და წინასწარმეტყველი დავითი იესო ქრისტეს ხორციელი წინაპარია.

დასახელებული გულანის მინიატურაში ძველი აღთქმის პატრიარქებისა და წინასწარმეტყველების გამოსახულებებსაც ვხვდებით.

აღნიშნულ იკონოგრაფიას საფუძვლად უდევს შესაბამისი, ზემო მოხსენიებული საეკლესიო სწავლება, რომელიც ყველაზე ლაკონიურად წმ.

კირილე იერუსალიმელს აქვს გადმოცემული: ,,რომელი იგი მარტოდ შთაჴდა ჯოჯოხეთად და მრავალთა თანა აღმოვიდა... შეძრწუნდა სიკუდილი და სივლტოლასა შიში იგი ამხილებდა. მორბიოდეს მისა წმიდანი წინასწარმეტყველნი: მოსე სჯულისმდებელი, აბრაჰამ, ისაკ და იაკობ, დავით და სამოველ და ესაია და იოვანე ნათლისმცემელი... იჴსენებოდეს ყოველნი მართალნი, რომელი შთაენთქნეს სიკუდილსა, რამეთუ შეჰგვანდა ქადაგებულსა მას მეუფესა ჴსნაჲ კეთილთაჲ მათ ქადაგთაჲ“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1959, გვ. 164).

„ქვესკნელის შემუსვრის“ ხატმეტყველების ზოგიერთ ნიმუშში ცოდვილთა სამყოფელი ვეშაპის (გველეშაპის) სახითაა წარმოდგენილი, რომლის პირიდან მაცხოვარს ადამიანები ამოჰყავს. სწორედ ამგვარ ხატმეტყველებას ვხვდებით ჩვენ ზემოდასახელებული შემოქმედის გულანის მინიატურაში, რასაც შესაბამისი საღვთისმეტყველო საფუძველი გააჩნია - ჰიმნოგრაფიულ ტექსტებში ჯოჯოხეთი, სიმბოლურად, „ვეშაპად“ არის სახელდებული.

წარმოვადგენთ შესაბამის ეგზეგეზისს.

წმინდა მიქაელ მოდრეკილი ბრძანებს: „იორდანისა წყალთა თავები ვეშაპისაჲ და მან განბანა მწიკული ცოდვისაჲ“ (წმ. მიქაელ მოდრეკილი, 1978, გვ. 132).

„მტერი ყოველთაჲ, ვეშაპი, მოჰკალ და ცხოვრებაჲ საუკუნოჲ მოგუმადლე, და აღსდეგ მკუდრეთით, და განათლდეს სულნი იგი პირველ მომწყდარნი“ (ინწკირველი თ. , 2015, გვ. 366).

„რაჟამს დასთრგუნე ღმრთეებისა სძლო და პყრობილნი სულნი გამოიჴსნენ, რომელნი ზუაბით შთაენთქნეს პირველად ვეშაპსა უძღებსა, ბნელსა ჯოჯოხეთსა, განანათლენ საღმრთოჲთა ნათლითა და ძლევაშემოსილი აღსდეგ მკუდრეთით“ (ინწკირველი თ. , 2015, გვ. 601).

„უფსკრულმან წყუდიადისამან, უძღებმან ჯოჯოხეთმან განაღო პირი თჳსი და მუცლად იღო ყოველი, რამეთუ სუფევდა სიკუდილი მსგავსად გარდასვლისა ადამისა ყოველთა ზედა ადამეანთა. ხოლო შენ, უკუდავო, მოჰკალ სიკუდილი სიკუდილითა და ქუესკნელი შეჰმუსრე ღმერთეებისა ძალითა და მკუდარნი აღადგინენ აღდგომითა და სიხარულითა თაყუანისგცემდეს“ (ინწკირველი თ. , 2015, გვ. 576).

ზოგიერთ იკონოგრაფიულ (მათ შორის, დამოწმებულ) რედაქციაში ჯოჯოხეთში შთასული მაცხოვარი ჯვრით ხელშია გამოსახული. ჯვარი სიკვდილზე გამარჯვების იარაღადაა მიჩნეული. პავლე მოციქული ჯვარს ღვთის ძალას („ძალ ღმრთისა“) უწოდებს (ბიბლია, 2015, I კორ. 1:18). საღვთისმეტყველო ლიტერატურაში საუბარია იმის შესახებ, რომ იესო ქრისტე ჯოჯოხეთის შესამუსრად ჯვრით ჩადის. წარმოვადგენთ შესაბამის განმარტებებს.

„ჯუარითა შენითა ჯოჯოხეთი წარმოსტყუენე“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 373).

„ძლევითა ჯუარისაჲთა სიკუდილი დაითრგუნა“ (უძველესი იადგარი, აღვსებასა, 1980, გვ. 218).

„ძელმან ჯუარისა შენისამან, ქრისტე ღმერთო, ჯოჯოხეთი წარმოტყუენა“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 356).

„სულთა საპყრობილის“ დამარცხების თითქმის ყველა იკონოგრაფიაში **მაცხოვარს არამარტო ჯოჯოხეთში მყოფნი აღმოჰყავს, არამედ მათ მიმართ გარკვეული ჟესტიკულაციითაა გამოსახული. აღნიშნული, მათთან მაცხოვრის საუბრის გამომხატველია (ხატმეტყველებაში ჟესტიკულაციის მნიშვნელობის შესახებ თხრობა სადოქტორო ნაშრომის პირველ თავშია წარმოდგენილი). ეს ხატმეტყველებითი დეტალი იმ სწავლების** ილუსტრაციაა, რომლის მიხედვითაც, უფალი, **არა მარტო შთავიდა ჯოჯოხეთში, არამედ იქ იქადაგა კიდეც**. აღნიშნული გარემოება კარგად წარმოჩნდება ზემოდასახელებულ „შემოქმედის გულანის“ მინიატურულ ხატმეტყველებაში, სადაც კომპოზიცია ორ რეგისტრად იყოფა: ზედა რეგისტრში ხელების გარკვეული ჟესტიკულაციით გამოსახულ იესო ქრისტეს ვხედავთ, რაც ჯოჯოხეთში მის ქადაგებას ასახავს, ხოლო ქვედა რეგისტრი, როგორც აღინიშნა, ცოდვილთა სამყოფელიდან მართალთა სულების აღმოყვანების გამომხატველია.

დავიმოწმებთ ჯოჯოხეთში იესო ქრისტეს ქადაგების შესახებ არსებულ საეკლესიო სწავლებას. **წმიდა იოანე ოქროპირი** ამ საკითხთან დაკავშირებით ამბობს, რომ, როგორც ამ ქვეყანაზე ადამიანთათვის ხორცი შეისხა და იღვაწა, ასევე, ჯოჯოხეთში მყოფ სულებს იმ კაცობრივი სულით უქადაგა, რომელიც ჯვარზე მამას შეევედრა (დიდი შაბათის ქადაგების საღვთისმეტყველო ანალიზი, 2015, გვ.

83). იმავე აზრს გამოთქვამს **წმიდა იოანე დამასკელიც,** რომელიც ამბობს, რომ უფალმა ,,იქადაგა და ახარა თავისი მოსვლა ჯოჯოხეთში მყოფებს, ხოლო განიხარეს მათ, ვისაც ეწადა მისი ხილვა“ (დიდი შაბათის ქადაგების საღვთისმეტყველო ანალიზი, 2015, გვ. 85).

მაცხოვრის ფერხთით, რიგ ხატწერით რედაქციებში, ჯაჭვის ნაკუწებია მიმოფანტული, რაც ცოდვის ტყვეობისა და სიკვდილისაგან გამოხსნას გულისხმობს.[33] მაგალითისთვის, აჭის მონასტრის მოხატულობას დავასახელებთ (ილ. 30), სადაც მიმობნეულ ჯაჭვის ნაგლეჯებს ვხედავთ. ქვემოთ დავიმოწმებთ შესაბამის ეგზეგზას.

წმ. კასიანე რომაელი ზემოდამოწმებულ სიტყვებში ამბობს, რომ ჯოჯოხეთში შთასულმა მაცხოვარმა „დაამსხვრია მორწმუნეთა ჯაჭვნი და წმინდა ტყვეები, პყრობილნი ჯოჯოხეთის მიუწვდომელ წყვდიადში, ტყვეობიდან გამოიხსნა და თანა-აღიყვანა ზეცაში“ (კასიანე რომაელი, 2015, გვ. 87).

ერთ-ერთ საგალობელში ვკითხულობთ: „აღდგა ქრისტე მკუდრეთით, დაჴსნა საკრველნი სიკუდილისანი, სირცხვილეულყო ჯოჯოხეთი და შემუსრა ძალი მტერისჲ“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 397).

კიდევ: „შეხუედ საფლავად, ქრისტე, საკრველნი სიკუდილისანი განხეთქენ და აღმომიყვანენ ბნელისაგან და აჩრდილთაგან სიკუდილისათა“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 401).

კიდევ: „მეუფემან ცათამან ქალწულისაგან ჴორცნი შეიმოსნა, განზრახვითა ვნებაჲ ჯუარსა ზედა თავს იდვა, სიკუდილისა საკრველნი, ვითარცა ღმერთ არს, განხეთქნა“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 401).

განხილული იკონოგრაფიის განვრცობილ რედაქციაში დამტვრეული ბოქლომის გამოსახულებასაც ვხვდებით. აღნიშნული გამომსახველობის მიზეზი სხვადასხვა საეკლესიო საგალობლებში გადმოცემული სახისმეტყველებითი განსაზღვრებაა, რომლის მიხედვითაც იესო ქრისტემ ჯოჯოხეთის „ბოქლომით“

[33] ზოგადად, შავი ფერი ხატწერაში არ გამოიყენება, რადგან იგი სიბნელედ, ჯოჯოხეთის სიმბოლოდ მოიაზრება. წმინდა ეკლესიის სწავლების მიხედვით, სიბნელეს არსი არ გააჩნია, რადგან ის ღვთის ქმნილი არ არის, არამედ იგი სინათლის ნაკლებობაა, ისევე როგორც ბოროტება არ არის არ6398+სის მქონე ქმნილება (რადგან ზეკეთილი ღმერთი ბოროტებას არ ქმნის), არამედ იგი სიკეთის ნაკლებობაა.

დაკეტილი ბჭე (შესასვლელი) შემუსრა. დავიმოწმებთ შესაბამისი შინაარსის მატარებელ ტექსტებს.

უპირველესად მოვიხმობთ წმ. კასიანე რომაელის სიტყვებს: „ჩავიდა ქრისტე ჯოჯოხეთში და თავისი დიდების ძალი განაქარვა ,,ბნელი იგი არმური“ ტარტაროზისა, შელეწნა ბჭენი, დაამსხვრია მორწმუნეთა ჯაჭვნი და წმინდა ტყვეები, პყრობილნი ჯოჯოხეთის მიუწვდომელ წყვდიადში, ტყვეობიდან გამოიხსნა და თანა-აღიყვანა ზეცაში“ (დიდი შაბათის ქადაგების საღვთისმეტყველო ანალიზი, 2015, გვ. 87).

საეკლესიო საგალობელის მიხედვით, „ოდეს საფლავსა დაგდვეს შენ, წყაროჲ ეგე ცხორებისაჲ, მაშინ ქუესკნელი ჯოჯოხეთი სიმწარით შეგემთხჳა. ბჭენი და მოქლონნი სიკუდილისანი შეჰმუსრენდა დაჰჴსენ საწერტელი სიკუდილისაჲ“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 355).

საგულისხმოა, რომ ,,ჯოჯოხეთის წარმოცალიერების“ კომპოზიციას, რომელიც აღდგომის სხვა სცენის - ,,მენელსაცხებლე დედები საფლავთან“- პარალელურად ვითარდებოდა, თავიდანვე ჰქონდა წარწერა - ,,აღდგომა“. სააღდგომო ციკლში ის სწორედ ამ სცენის გვერდით არის განთავსებული. ძველთაგანვე დამკვიდრებული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც **დასახელებულ ხატმეტყველებას სწორედ ,,აღდგომა“ ეწოდებოდა, იმაზე მიგვითითებს, რომ ეს სცენა ეკლესიაში ყოველთვის აღდგომის დღესასწაულის** გამომხატველი იყო. არსებობს მოსაზრება, რომ **მე-17 საუკუნეში მომძლავრებულმა დასავლურმა გავლენებმა აიძულა საეკლესიო საზოგადოება, მისთვის ახალი სახელი, ,,ჯოჯოხეთის წარტყვევნა“ ეწოდებინა,** რათა განესხვავებინათ აღდგომის სხვა, დასავლური გავლენით შექმნილი კომპოზიციისგან, რომელზეც საფლავიდან გამომავალი მაცხოვარი აფრიალებული ალმით ხელშია წარმოდგენილი, მის გარშემო კი მძინარე მცველები და მუხლმოყრილი ანგელოზები ჩანან (ინწკირველი თ. , 2015ა, გვ. 208). თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოში, უკვე XII საუკუნეში გვაქვს ცნობილი ფრესკა 1112 წლის მეფის მხატვარ თევდორეს მიერ შესრულებულ წმ კვირიკესა და წმ. ივლიტას ტაძრის მოხატულობაში (ლაგურკა, ზემო სვანეთი), სადაც კარგად არის შემორჩენილი ასომთავრული წარწერა:

„ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა“ (კალის წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესია (ლაგურკა), თ. გ.)

განხილული ხატმეტყველების რიგ რედაქციებში ჯოჯოხეთი, ბოროტი ძალა, პერსონიფიცირებულად გამოისახება, რომელსაც სიკვდილზე გამარჯვებული, განკაცებული ძე ღმერთი თრგუნვს. მაგალითად, გურიაში, ზემოდასახელებულ აჭის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში, შესაბამისი შინაარსის მქონე ფრესკაში იესო ქრისტეს ქვეშ ხელფეხშეკრული ადამიანია გამოსახული (ილ. 30). [34] აღნიშნული სახისმეტყველება შესაბამის სწავლებას ეფუძნება, რაც ლიტურგიკულ საგალობლებშია წარმოდგენილი. დავიმოწმებთ რამდენიმე მათგანს.

„ოდეს საფლავსა დაგდვეს შენ, წყაროჲ იგი ცხორებისაჲ, მაშინ ქუესკნელი ჯოჯოხეთი სიმწარით შეგემთხჳა... დაჰხსენ საწერტელი სიკუდილისაჲ“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 355).

„რომელმან... ჯოჯოხეთი შემუსრა...“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 392).

მოგვიანო ხანის მინიატურებში ,,ჯოჯოხეთის დამარცხების“ კიდევ ერთი, იქამდე უცნობი იკონოგრაფიული დეტალი გვხვდება - კერძოდ, „სულთა საპყრობილეში“ შთასულ მაცხოვარს ერთი ხელით მართალთა სულები ამოჰყავს ჯოჯოხეთიდან, ხოლო მეორე ხელში დახეული გრაგნილი უპყრია, რომლის ნაწილი ეშმაკს უჭირავს. ასეთი ტიპის გამოსახულებებს მე-18 საუკუნის „ჟამნის“ ხელნაწერებში ვხვდებით (ილ. 31).

საეკლესიო ლიტერატურის მიხედვით, უფალმა ადამიანის ცოდვების ,,ხელითწერილი“ გაანადგურა - კაცის მიერ ჩადენილი ცოდვები აღმოფხვრა. როგორც აღინიშნა, დასახელებული იკონოგრაფია ლიტურგიკული წიგნის „ჟამნი“ დასურათებაში გვხვდება, რადგან აღნიშნული თემატიკის შესახებ მე-6 ჟამის საკითხავში ვკითხულობთ: „რომელმან მეექუსესა დღესა და ჟამსა ჯუარსა შემშჭუალე სამოთხესა შინა ქმნილი ადამის-მიერი ცთომაჲ, ჩემთაცა ცოდუათა ხელითწერილი განხეთქე, ქრისტე ღმერთო, და მაცხოვნენ ჩუენ“ (ჟამნი, 2017, გვ. 124).

[34] მოგვიანო ხანის ზოგიერთ რუსულ ხატებში ადამიანის სახით გამოსახულ სატანას ანგელოზები კრავენ.

გრიგოლ ნეოკესარიელი ბრძანებს ,,ყო სიმტკიცეჴ თავით თჳსით ჩუენთჳს სიკუდილისა მიმართ და ეშმაკისა მიმართ და **ჩუენთა ცოდვათაჲ განხეთქა ჴელით-წერილი** (წმ. იოანე ოქროპირი, 1959, გვ. 14).

ერთ-ერთ საგალობელში ვკითხულობთ: „ღაღადებასა შენდა შევწირავთ უფალო, რომელი განზრახვით ჯუარსა დაემრჭუალე... ჴელი-წერილი ჩუენთვის ჯვარსა შემრჭუალე“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 368).

კიდევ: „ჴელით წერილი ცოდვაჲ ჩუენთჳს ჯუარსა შემრჭუალე“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 387).

5.17. „საიდუმლო სერობის“, ქრისტეს ვნებისა და აღდგომის ხატმეტყველების შესახებ მსჯელობის შეჯამება

დამოწმებული თხრობის თანახმად, ხატმეტყველება განსაკუთრებული ზედმიწევნულობითა და ექსპრესიულობით გამოსახავს „საიდუმლო სერობისა“ და იესო ქრისტეს ვნების სცენებს. როგორც ზემოთ წარმოვადგინეთ, აღნიშნული გამოსახულებების ციკლი არა მარტო სახარებისეულ თხრობას, არამედ შესაბამის განმარტებებსაც გადმოგვცემს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ჯოჯოხეთის წარმოცალიერების“ ხატმეტყველების წარმოდგენილი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები. დასახელებული ხატმეტყველება ქრისტიანულ გამოსახულებათა შორის უმთავრესია, რადგან მასში „დღესასწაულთა დღესასწაულად“ წოდებული, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის მნიშვნელობაა გადმოცემული.

იესო ქრისტეს ვნების ციკლისა და ჯოჯოხეთის წიაღიდან მართალთა აღმოყვანების იკონოგრაფია, რომელიც შესაბამის სახარებისეულ თხრობასა და საღვთისმეტყველო ლიტერატურის შინაარსზეა დაფუძნებული, ცალსახად გამოხატავს ძე ღმერთის განკაცების უმთავრეს არსს - კაცობრივი ბუნების გამოხსნას ცოდვის ტყვეობისაგან.

თავი VI. იესო ქრისტეს ამაღლების ხატმეტყველება და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები

იესო ქრისტეს ამაღლების შესახებ საუბრობენ მარკოზ (ბიბლია, 2015, მრ.16:19) და ლუკა მახარებლები (ბიბლია, 2015, ლკ. 24:50-52). ლუკა მახარებელი ორგზის მოგვითხრობს აღნიშნულ დღესასწაულს - სახარებასა და „მოციქულთა საქმეებში“ (ბიბლია, 2015, საქ. 1:4-12).

მახარებელთა თანახმად, აღდგომიდან მე-40 დღეს, იესო ქრისტემ ზეთისხილის მთაზე წაიყვანა მოციქულები, ამაღლდა მათ წინაშე და „დაჯდა მარჯუენით ღმრთისა“ (ბიბლია, 2015, მრ. 16:19).

6.1. იესო ქრისტეს ამაღლების ხატმეტყველების ჩამოყალიბება

იესო ქრისტეს ამაღლების დღესასწაულს IV საუკუნის ბოლომდე სულთმოფენობასთან ერთად აღნიშნავდნენ. შესაბამისად, ამ დღის ცალკე იკონოგრაფიულ სქემად ჩამოყალიბებაც მოგვიანო ხანას უკავშირდება.

,,ამაღლების“ კომპოზიიციის **ადრექრისტიანული ნიმუშები ადრეული შუა საუკუნეების სპილოს ძვლის ფირფიტებზე განთავსებული რელიეფური გამოსახულებებია. დასახელებული ხატმეტყველება შემდეგ იკონოგრაფიულ სქემას წარმოგვიდგენს:** მოციქულებისა და ანგელოზებისაგან გარშემორტყმული, მანდორლაში გამოსახული მაცხოვარი ზეცის სეგმენტისკენ მიემართება, სადაც გამოსახულია ხელი, რომელიც მაცხოვრისკენაა გამოწვდილი და უფალიც მას საკუთარ ხელს მიაგებებს. **ეს ხატმეტყველებითი დეტალი, მარკოზ მახარებელის მიერ თქმულის ილუსტრირებაა,** რომლის თანახმადაც, ამაღლებული უფალი ,,მამის მარჯვნივ“ დაჯდა.

6.2. „ამაღლების“ ხატმეტყველებაში „მარჯვენით ჯდომისა“ და „მანდორლას“ შესახებ

შესაბამისი ეგზეგეტიკის მიხედვით, **,,მარჯვენით მამისა“** ჯდომა ძის მამასთან თანასწორობაზე მიუთითებს.

წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „ხოლო მოციქული იგი გამოსთარგმანებს მას, რომელსა იგი წინაადსწარმეტყუელი უფლით ჰხადის, რაჟამს დასუამს მარჯუენით მშობელისა თჳსისა, იგი არს, რომელსა ჰრქუა გაბრიელ: „უფალ...“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1994, გვ. 273).

ასევე, მამის მარჯვნივ ძის ჯდომა კაცობრივი ბუნების განღმრთობასაც მოასწავებს. წმ. იოანე ოქროპირის მიხედვით, „ეზიარა კაცებაჲ ჩუენი ღმრთეებასა

მისსა და განმდიდრდა ცათა შინა; ღაღადყო და თქუა, ვითარმედ: აღმომიყვანნა ჩუენ მარჯუენით ცათა შინა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1994, გვ. 273).

,,ამაღლების“ ხატმეტყველებაში (ფერისცვალებისა და აღდგომის ხატმეტყველებათა მსგავსად) იესო ქრისტეს გამოსახულება მანდორლითაა გარემოცული.

,,მანდორლა“ საღვთო დიდებულების გამომხატველი იკონოგრაფიული გამომსახველობაა და ჩვენ ამის შესახებ (ფერისცვალების კომპოზიციის განხილვისას) უკვე აღვნიშნეთ[35]. იესო ქრისტეს ამაღლებაც საღვთო დიდებულების წარმომჩენია. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში, ,,მანდორლას“ გამოყენება არის მხატვრულად გამომსახველი იმ ეგზეგეტიკისა, რომლის თანახმადაც, **მკვდრეთით აღმდგარ მაცხოვარს ,,განღმრთობილი ხორცი აქვს,** რაშიც მოიაზრება უვნებო, პირველქმნილი, ადამიანის დაცემამდელი სხეული.

წმიდა იოანე დამასკელი ბრძანებს: „მკვდრეთით აღდგომის შემდეგ განიშორა მან ყველა ვნებულება, კერძოდ: ხრწნადობა, შიმშილი, წყურვილი, ძილი, დაღლილობა და სხვა ამგვარი... ერთი და იგივე ხორცია ვნებულიც და აღდგომილიც, თუმცა არათუ ბუნების რომელიმე ნაწილთაგანი განიშორა მან, - ან სხეული, ან სული, - არამედ ფლობდა როგორც სხეულს, ასევე მოაზროვნე და გონისმიერ სულს, - ნებელობითსა და მოქმედებითს; ამ სახით ზეავიდა იგი ცათაკენ და ამ სახით ზის მამის მარჯვნივ...“ (წმ. იოანე დამასკელი, 2019, გვ. 510-512).

დამასკელი მოძღვრის მიხედვით, უფალს ერთი და იგივე სხეული აქვს აღდგომამდეც და მას შემდეგაც, თუმცა, აღდგომის შემდეგ მის სხეულს განეშორა ყველა ვნებულება განეშორა 5, რაც ცოდვით დაცემის შედეგ მიიღო კაცობრივმა ბუნებამ (თუმცა, როგორც საეკლესიო მოძღვრება განაჩინებს, განკაცებულ ღმერთი არანაირ ცოდვას არ იყო დაქვემდებარებული). იგი აღდგა, ამაღლდა და მამის მარჯვნივ ჰგიეს განღმრთობილი სხეულით.

ამ კუთხით საინტერესოა მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის სიტყვები მარიამ მაგდალელისადმი: ,,ნუ შემომეხები მე...“. წმინდა მამათა განმარტების თანახმად, მაცხოვრის ამ სიტყვების თქმის მიზეზი იყო ის, რომ მოციქულებს იგი აღარ უნდა წარმოედგინათ, როგორც აქამდე - მოკვდავი ადამიანი, არამედ, როგორც მათი და კაცობრიობის ხსნისათვის განკაცებული ღმერთი. **წმიდა გრიგოლ ნოსელი ბრძანებს:** ,,ნუღარ ვეძიებთ მკვდართა შორის ცოცხალს, რადგან მის ამგვარად მაძიებელს განირიდებს უფალი, ეუბნება რა: ,,ნუ შემომეხები მე, არამედ როდესაც ავალ მამასთან, მაშინ შეძლებ, რომ შემეხო". ეს ნიშნავს: **ნუღარ აღიბეჭდავ შენს რწმენაში სხეულებრივ და მონურ ხატებას, არამედ თაყვანი ეცი ღვთის სიტყვად მყოფს, რომელიც არის მამისეულ დიდებაში და ჰგიეს ღვთის ხატებაში, - და არა ხატს მონისას“** (ჭელიძე ედიშერ, 2010).

მიქაელ პსელლოსი მარიამ მაგდალინელთან დაკავშირებულ ამბობს: ,,მოვალენი ვართ დავუშვათ მისი კაცობრივი ბუნების გარდაქმნა აღდგომის შემდეგ. ამიტომ, თუკი ვინმე არ იფიქრებს, რომ მან აღდგომის შემდეგ უსაღვთოესისკენ შეცვალა მისგან მიღებული კაცება, ამგვარ ვინმეს სამართლიანად

[35] ზოგადად, უნდა ითქვას, როდესაც ხატმეტყველებაში წარმოსაჩენია განკაცებული ღმერთის საღვთო ბუნების დიდებულება, იესო ქრისტეს გამოსახულებას მანდორლაში გამოსახავენ. მაგალითად, ამდაგვარადაა ის წარმოდგენილი ფერისცვალების, აღდგომისა და ამაღლების ხატმეტყველებებში.

აეკრძალება მასთან შეხება, როგორც ჯერ კიდევ არმქონეს უაღმატებულესი შემეცნებისა“ (ჭელიძე ედიშერ, 2010).

წარმოდგენილ სწავლებათა თანახმად, მარიამ მაგდალელის მიერ უფლის შეხების აკრძალვის მიზეზია ის, რომ დასახელებული მენელსაცხებლე დედა ჯერ კიდევ არ უყურებს უფალს, როგორც განღმრთობილი სხეულის მატარებელ განკაცებულ ღმერთს.

მოხმობილი სახარებისეული ეპიზოდის ასახსნელად მაცხოვრის ამაღლებასთან დაკავშირებით, ეპისკოპოსი მელეტი ეფრემ ასურის განმარტებას დაიმოწმებს: ,,ხოლო ნეტარი ეფრემ იტყჳს, რამეთუ: „ვითარცა წინაჲსწარმეტყუელებდა უფალი ვნებათა მათთჳს და წინაჲსწარ ვნებათა - აღდგომისათჳს, **ეგრეცა წინაჲსწარმეტყუელებდა ამაღლებისათჳს წინაჲსწარ ამაღლებისა მის.ჰრქუა მარიამს: “ნუ შემომეხები”, რაჲთა მივიდეს და ახაროს მოწაფეთა ამაღლებისა მისთჳს.** და ამისთჳს ჰრქუა მას: “მივედ და უთხარ ძმათა ჩემთა არა თუ ვნებისათჳს, რომელ ვივნე, არცა აღდგომისათჳს, რამეთუ აღდგომილ ვარ ესერა, არამედ მივედ და არქუ ესრე, ვითარმედ: “აღსლვად ვარ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა”. რამეთუ ვითარცა წინაჲსწარ ვნებისა იქადაგნეს ვნებანი იგი და წინაჲსწარ აღდგომისა იქადაგა აღდგომაჲ იგი, ეგრევე წეს-არს, რაჲთა აღმაღლებამდე იქადაგოს დღჱ იგი ამაღლებისაჲ. ყოველ[თა]ვე, რომელთა მიახარეს მოწაფეთა მათ, აღდგომაჲ იგი ღმრთისაჲ ხოლო მიახარეს, ხოლო მარიამ - აღდგომაჲცა იგი და ამაღლებაჲ, რამეთუ ჰრქუა: ,,მივედ და უთხარ ძმათა” (წმ. მელეტი ეპისკოპოსი, 1994, გვ. 246).

წმინდა ეფრემ ასურის მიხედვით, მაცხოვრის მარიამისადმი თქმული მაცხოვრის ამაღლების შესახებ წინასწარმეტყველებას შეიცავდა. უფალმა მარიამს დაავალა ეთქვა მოციქულებისთვის რომ ,,ჯერ ის არ ასულა თავის და მათ მამასთან“. წმინდა მამის მიხედვით, როგორც ვნებისა თუ აღდგომის წინ, უფალი წინასწარ საუბრობდა აღნიშნულ მოვლენებზე, **ასევე, მარიამ მაგდალელთან საუბრისას საკუთარი განღმრთობილი ხორცით ამაღლება წინამოასწავა.**

ამ საკითხთან დაკავშირებით საუბრობს **წმინდა იოანე ოქროპირიც**: **,,ბუნებითა მით, რომელი მოვიღე კაცთაგან, აღვალ მამისა ჩემისა, რომელი-ესე ბუნებითა ღმრთეებისაჲთა მარადის განუშორებელ ვარ მისგან; არამედ ბუნებითა მით კაცობრივითა ვიტყჳ აღსლვად მამისა ჩემისა ბუნებითა ღმრთეებისაჲთა, და ღმრთისა ჩემისა - ბუნებისა ამისთჳს კაცობრივისა. რამეთუ უკუეთუმცა არა მე მომეღო ბუნებაჲ ესე, და უცოდველად დაცვითა მისითა ქმნილ იყო ღირს ღმრთისა და მამისა სათნო-ყოფად, არცა წოდებულ იყო იგი თქუენდა მამა და ღმერთ, რომელნი-ესე უცხოქმნილ იყვენით მისგან სიმრავლითა ბრალთაჲთა"**. მოვიდა მარიამ მაგდალელი თხრობად მოწაფეთა მისითა, რამეთუ იხილა უფალი და ესრეთ ჰრქუა მათ” (წმ. იოანე ოქროპირი, 2014ბ, გვ. 530).

წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით, განკაცებული ღმერთი იმ **ბუნებით, რომელიც მან ადამიანისგან მიიღო, ადის ზეცად, თუმცა საღვთო ბუნებით, მარადის ზეცად, მამასთან მყოფია. ძე ღმერთი კაცობრივი ბუნებით ადის მამასთან, რადგან რომ არა უფლისმიერ ადამიანური ბუნების მიღება და ამ ბუნების ,,უცოდველად დაცვა“, ვერასოდეს გახდებოდა კაცი ღირსი იმისა, რომ ღმერთი მის ,,მამად და ღმერთად“ წოდებულიყო**.

წარმოდგენილი მსჯელობის მიხედვით, „ამაღლების“ დღესასწაულის იკონოგრაფიაში მანდორლას გამოსახვა იესო ქრისტეს განღმრთობილი კაცობრივი ბუნების (მათ შორის, სხეულის) იკონოგრაფიული ასახვაა.

6.3. ანგელოზების გამოსახულება „ამაღლების“ ხატმეტყველებაში

საეკლესიო სწავლების თანახმად, მაცხოვარმა, საკუთარი ამაღლებით, კაცობრივი ბუნება აღამაღლა, **რითაც, თვით ანგელოზებიც განაკვირვა. ამიტომაც,** ,,ამაღლების“ კომპოზიციაში ზეციური სამყაროს წარმომადგენლები ხშირად გამოისახებიან. გარდა ამისა, ხატმეტყველებაში ზეციურ ძალთა გამოსახვა **,,ამაღლების“ ისტორიაში ანგელოზთა მოხსენიებითაც არის განპირობებული. აღნიშნული გადმოცემულია „მოციქულთა საქმეებში“ წარმოდგენილ შესაბამის თხრობაში, რომლის მიხედვითაც,** უფლის ამაღლების შემდეგ ორი ანგელოზი ეცხადება მოციქულებს, რომელნიც მათ უფლის „კვლავ დაბრუნებას“, მეორედ მოსვლას ამცნებენ და იერუსალიმში დაბრუნებისკენ მოუწოდებენ (ბიბლია, 2015, საქ. 1:10-11).

„ამაღლების“ ხატმეტყველებაში ხშირად ვხვდებით ოთხი ანგელოზის გამოსახვას, რომლებიც მანდორლაში ჩაწერილი, ტახტზე მჯდომარე მაცხოვარს აღამაღლებენ. მაგალითად, სოლოღაშენის ჭედურ ხატზე (X-XI სს.) უფალს ოთხი ანგელოზი აღამაღლებს(ილ. 32) .

უპირველესად, წარმოვადგენთ **ეგზეგეზისს ქრისტეს ამაღლებისა და ანგელოზთა კავშირზე.**

ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ შესაბამის სწავლებაში ვკითხულობთ, რომ ,,ამაღლების“ პროცესის მხოლოდ დასაწყისი იხილეს მოციქულებმა, ხოლო მისი დასასრული (ამაღლებული და „ღრუბლებს მიფარებული“ უფალი) ანგელოზებმა განჭვრიტეს: ,,(მოციქულები) ამაღლებასა ხედვიდეს, ხოლო ამაღლებული ვერ იხილეს... აქა დასაბამსა ხედვიდეს, რამეთუ ამაღლდა, და დასასრული ეუწყა ანგელოზთა მიერ, ვითარმედ: ზეცად აღმაღლდა“ (ეფრემ მცირე, 2000, გვ. 27).

უფლის ამაღლების გამო ანგელოზთა კრებულის სიხარულზე საუბრობს „უძველესი იადგარის“ ტექსტი: „კრებულ არიან ანგელოზნი ყოველნი ზეცასა და უხარის“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 241).

ამასთანავე, **ანგელოზთა გამოცხადების მიზეზი ისიც იყო, რომ უფლის ,,ამაღლების“ განშორებით გამოწვეული მოციქულთა მწუხარება მისი მომავალი მოსვლის ხარებით ენუგეშებინათ**: ,,ესე იესუ, რომელი ამაღლდა თქუენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“ (ბიბლია, 2015, საქ. 1:11).

ზოგიერთ იკონოგრაფიულ სქემაში ანგელოზთა დასის უმაღლესი წარმომადგენლები, **,,ქერუბიმები“** ტახტზე მჯდომ მაცხოვარს აღამაღლებენ. ამის მაგალითებია რაბულას სახარების (586 წ.), კიევის ფსალმუნისა (1397 წ.) და „დავითნის“ ბიზანტიური ხელნაწერის (XI ს.) მინიატურები. ,,ამაღლების“ ხატმეტყველებაში ქერუბიმების გამოსახულებების ჩართვა „დაბადების“ წიგნში გადმოცემულ ისტორიას უკავშირდება, რომლის მიხედვითაც, ჩვენი პირველმშობლების სამოთხიდან გამოძევების შემდგომ, ღმერთმა სამოთხის კარიბჭესთან „დააწესა ქერობინი და მოტყნარწ მახჳლი იქცევისი დაცვად გზასა ხისა ცხოვრებისასა“ (ბიბლია, 2015, დაბ. 3:24). როგორც ზემოთ აღინიშნა, ქრისტემ საკუთარი ამაღლებით კაცობრივი ბუნება სამოთხეში, საღვთო წიაღში დააბრუნა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, წმინდა წერილის წიგნებსა და საღვთისმეტყველო ტექსტებში, ამაღლებული უფალი ხშირად მოიხსენიება, როგორც **„ქერუბიმებსა და სერაფიმებზე“ მჯდომი მეუფე. სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი „ამაღლების“ ზოგიერთ კომპოზიციაში ქერუბიმების ამგვარად გამოსახვის საფუძველი.**

ესაიას წინასწარმეტყველებაში ვკითხულობთ: „უფალო საბაოთ, ღმერთო ისრაჴლისაო, რომელი ჰზი ქერობინთა ზედა“ (ბიბლია, 2015. ეს. 37:16).

„ამაღლების“ ჟამს ანგელოზთა გაკვირვებასა და სიხარულზე მრავალ საღვთისმეტყველო ტექსტებშია საუბარი.

ერთ-ერთ საგალობელში ვკითხულობთ: „კრებული ანგელოზთაჲ, გხედვიდა რაჲ უხილავსა მეუფესა, აღმავალსა ზეცად, და სიხარულით გიღაღადებდეს...“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 238).

კიდევ: „კრებულ არიან ანგელოზნი ყოველნი ზეცასა და უხარის“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 241).

წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით, ანგელოზები ამაღლებული და განღმრთობილი კაცობრივი ბუნების მქონე უფალს ეთაყვანებიან, რომლის შედეგადაც ადამიანი გადარჩა: „შორის ღრუბელსა მას აღჴდა და მოიღო თაყუანისცემაჲ ანგელოზთაგან მაღალთა შინა, რაჲთა აჩუენოს, რამეთუ ეზიარა კაცებაჲ ჩუენი ღმრთეებასა მისსა და განმდიდრდა ცათა შინა“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1994, გვ. 273).

6.4. „ზეციური კარიბჭის გახსნის“ იკონოგრაფიული დეტალი და მისი კავშირი ნათლისღების ხატმეტყველებასთან

არსებობს „ამაღლების“ იკონოგრაფიული ტიპი, სადაც წრეში ჩაწერილი, ამაღლებული მაცხოვრის უკან გამოსახულნი არიან ანგელოზები, რომლებიც „ზეციურ კარიბჭეს“ ხსნიან. ამ ტიპის გამოსახულებები გვხვდება ბიზანტიური ხელნაწერის, „ხლუდოვის ფსალმუნისა“ (IX ს.) და ათონზე, დიონისეს მონასტერში დაცულ XI საუკუნის ხელნაწერთა მინიატურებში.

ამასთან დაკავშირებით, უპირველესად, მოვიხმობთ იესო ქრისტეს ნათანაელის მიმართ წარმოთქმულ სიტყვებს: „ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: იხილნეთ ცანი განხუმულნი და ანგელოზნი ღმრთისანი, აღმავალნი და გარდამომავალნი ძესა ზედა კაცისასა“ (ბიბლია, 2015, იო. 1:51).

შესაბამისი ეგზეგეზის მიხედვით, აქ უფლის ჯვარცმით, აღდგომითა და ამაღლებით გახსნილი სასუფევლის კარიბჭე იგულისხმება (წმ. იოანე ოქროპირი, 1993ა, გვ. 145).

ერთ-ერთ ლიტურგიკულ საკითხავში ვკითხულობთ: „დღეს აღმავალი, ზეცისა ძალთა კაცობრივი ბუნებაჲ რაჲ იხილეს ზეცად დაუკუირდებოდა უცხო-სახეჲ იგი აღსლვაჲ, შეძრწუნებულნი ურთიერთას იტყოდეს: ვინ არს ესე, რომელი აღმოვალს? გხედვიდეს რაჲ ყოველთა უფალსა, რამეთუ ბჭენი ცათანი განგეხუმოდეს ბრძანებით და შენ, მჯდომარეჲ მარჯჳენით მამისა თანა...“ (უძველესი იადგარი, 1980, გვ. 242).

წმინდა თეოდორე სტუდიელის მიხედვით, ამაღლებულ უფალს „ეტყოდენ ანგელოზნი ცათა ბჭეთა განხუმასა“ (წმ. თეოდორე სტუდიელი, 2018, გვ. 233).

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ხატმეტყველებითი დეტალი ნათლისღების იკონოგრაფიაშიც გვხვდება. როგორც შესაბამის თავში წამოვადგინეთ, უბისის ნათლისღების ხატმეტყველებაში, ასევე, ზეციური ძალნი „ზეცის კარიბჭეს“ განაღებენ. როგორც შესაბამის მსჯელობაშია წარმოდგენილი, ამ შემთხვევაშიც, ნათლისღების შედეგად „სამოთხის კარის განღებით“, ადამიანის ხსნის იკონოგრაფიული ასახვაა გადმოცემული. ძალიან საინტერესოა ამ ორ დღესასწაულებს შორის იკონოგრაფიულ-საღვთისმეტყველო კავშირი. როგორც დამოწმებული საეკლესიო ლიტერატურიდან იკვეთება, ნათლისღებით ადამიანის ბუნების განღმრთობა იწყება, ხოლო „ამაღლებით“, საღვთო წიაღში დამკვიდრებით - სრულდება.

6.5. „ტახტისა“ და „საყვირების“ სახისმეტყველება და მისი კავშირი „მეორედ მოსვლის“ თემატიკასთან

როგორც აღინიშნა, „ამაღლების“ ხატმეტყველებაში იესო ქრისტე ტახტზე მჯდომარე გამოისახება, რისი საფუძველიც ზემოდამოწმებული, „მოციქულთა საქმეებში“ გადმოცემული თხრობაა, რომლის მიხედვითაც, ძე მამის მარჯვნივ დაჯდა. თუმცა, როგორც შესაბამის განმარტებაში ვკითხულობთ, აღნიშნული ნათქვამი სახისმეტყველებითი ხასიათისაა, რადგან ღმერთს, არანაირი „მარჯვენა და მარცხენა მხარეები“ არ გააჩნია: „გულისჴმაყავ, ვითარმედ სახისმეტყუელებით ითქუმის ესე, რამეთუ გარეშეუწერელთა მათ მარცხენე და მარჯუენე არა არს, არცა რომელი ადგილი დაიტევს მათ ჯდომად, არამედ ჯდომაჲ... ითქუმის სამარადისოდ მყოფობისათჳს მათისა და სიმტკიცისა; ხოლო მარჯუენობაჲ, რამეთუ საღმრთოსა მას შინა ბუნებასა არა რაჲ არს მარცხენე და ბოროტ, არამედ ყოველივე მარჯუენე და კეთილ“ (ეფრემ მცირე, 2000, გვ. 109).

ამავეს ვკითხულობთ წმიდა იოანე დამასკელთან: „ვამბობთ, რომ ქრისტე სხეულებრივად დაჯდა ღვთისა და მამის მარჯვნივ, მაგრამ მარჯვენა მხარე ადგილის მიხედვით არ ითქმის, რადგან ვინც გარეშეუწერელია, როგორ ექნება მას მარჯვენა მხარე ადგილის მიხედვით?“ (წმ. იოანე დამასკელი, 2019, გვ. 512-514).

დამოწმებული ეგზეგეზისის მიხედვით, იესო ქრისტეს მამის მარჯვნივ ჯდომა ძისა და მამის (სულიწმინდასთან ერთად) ერთარსებობაზე მიუთითებს, ხოლო „მარჯვენა მხარე“ საღვთო სიკეთეს გამოხატავს.

ამასთანავე, უფლის ტახტზე ჯდომა, სამეფო დიდებულებასაც ასახავს. როგორც ცნობილია, **ტახტი მეფეთა დასაჯდომელს წარმოადგენს**. **გარდა ამისა, ტახტზე მჯდომი, ანგელოზთა მიერ ამაღლებული მაცხოვარი, ქვეყნიერების განსასჯელად მეორედ მოსვლის გამოხატულებაცაა.**

მათეს სახარებაში გადმოცემული ერთ-ერთი იგავი, რომლის შინაარსიც სწორედ მეორედ მოსვლის თემატიკას უკავშირდება, ასე იწყება: „რაჟამს მოვიდეს ძე კაცისაჲ დიდებითა თჳსითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა ზედა დიდებისა თჳსისათა. და შეკრბენ წინაშე მისა ყოველნი ნათესავნი... (ბიბლია, 2015, მთ. 25:31-32).

წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით, უფალი ამაღლებს ჩვენს გონებას და მის მეორედ, დიდებით, ანგელოზებთან ერთად მოსვლაზე გვესაუბრება (წმ. იოანე ოქროპირი, 2014ბ, გვ. 402).

იესოს ქრისტეს ამაღლება პირდაპირ კავშირშია მის მეორედ მოსვლასთან. „მოციქულთა საქმეების“ მიხედვით, უფლის ამაღლების შემდეგ ანგელოზები გამოეცხადნენ მოციქულებს და უთხრეს: „ესე იესო, რომელი ამაღლდა თქუენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“ (ბიბლია, 2015, საქ. 1: 11).

,,ამაღლების“ რიგ კომპოზიციებში არა ორი, **არამედ ოთხი ანგელოზი აღამაღლებს მაცხოვარს. ხშირად ამ ოთხთაგან ორს საყვირები უპყრია. ამგვარი ტიპის გამოსახულებას ვხვდებით ნიკორწმინდის ტაძრის ფასადის რელიეფზე (ილ. 33).**

ანგელოზთა მიერ საყვირების პყრობა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ქრისტეს ,,ამაღლების“ თავისსავე ,,მეორედ მოსვლასთან“ კავშირს. როგორც ცნობილია, საყვირი მეორედ მოსვლის წინასახეა.

იესო ქრისტე, როდესაც თავის „მეორედ მოსვლაზე“ საუბრობს, ბრძანებს, რომ ის, საყოველთაო განკითხვის დაწყებამდე ანგელოზებს საყვირით წარავლენს, რათა მათ კაცობრიობას ქვეყნის ოთხივე კუთხიდან მოუხმონ: „და წარავლინნეს ანგელოზნი თჳსნი საყჳრითა ჴმისა დიდისაჲთა და შეკრიბნეს რჩეულნი მისნი ოთხთაგან ქართა კიდითგან ცისაჲთ, ვიდრე კიდედმდე მათა“ (ბიბლია, 2015, მთ. 24:31).

იოანე მოციქული ,,აპოკალიფსში“, უფლის მეორედ მოსვლასთან დაკავშირებით, წერს: ,,და ვიხილენ შჳდნი იგი ანგელოზნი, რომელნი წინაშე ღმრთისა დგანან, და მიეცნეს მათ შჳდნი საყჳრნი... და ანგელოზთა მათ, რომელთა აქუნდეს შჳდნი იგი საყჳრი, განჰმზადეს თავნი თჳსნი ცემად“ (ბიბლია, 2015, გამ. 8:2; 6).

დამოწმებული სიტყვების განმარტებისას, წმინდა ანდრია კესარია-კაბადოკიელი ბრძანებს: „ამის ყოვლისა მიერ უწინარწს აღსასრულისა მომავალთა მათ საშინელებათა მოასწავებს“ (წმ. ანდრია კესარია-კაბადოკიელი, 1961, გვ. 522).

საყვირი მეორედ მოსვლის წინასახეა[36], ანუ ეს არის ,,ხმა“, რომელიც ზეცად ამაღლებული მაცხოვრის დედამიწაზე დიდებით დაბრუნებას გვამცნებს, რათა მის მიერ განისაჯოს სოფელი.

6.6. გვიანი პერიოდის „ამაღლების“ ხატმეტყველების იკონოგრაფიული თავისებურებები

,,ამაღლების“ კომპოზიციის იკონოგრაფიული სქემა მოგვიანო პერიოდში უფრო მეტად მრავალფიგურიანი და ორრეგისტრიანი გახდა. ორი რეგისტრი, სიმბოლურად, ცისა და მიწის სამყოფელს გამოხატავს.

კომპოზიციის ზედა რეგისტრში (,,ცაში“) წარმოდგენილი ხატმეტყველება ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე მოგვითხრობს: უფლის ამაღლებასა და მის მეორედ მოსვლაზე. რაც შეეხება კომპოზიციის ქვედა ნაწილს, აქ გამოსახულნი არიან მოციქულები, რომლებიც, სახარებისეული თხრობის თანახმად, თან წაიყვანა უფალმა ზეთისხილის (ელეონის) მთაზე, რათა მათ უფლის ამაღლება ეხილათ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოდგენილი ტექსტი მოგვითხრობს ზეცად ამაღლებული უფლის აღთქმით გაოგნებული მოციქულებისა და ამაღლების

[36] ზოგადად, საყვირი, ძველი აღთქმის პერიოდში თეოფანიასთანაა დაკავშირებული.

მნახველი ანგელოზების შეხვედრას. სწორედ მათ გამოსახავს იკონოგრაფია ქვედა რეგისტრში („მიწაზე“), რაც განასახიერებს, უკვე ნახსენებ, **წმინდა იოანე ოქროპირის განმარტების მხატვრულ ასახვას, რომლის თანახმადაც ზეცად ამაღლებული უფალი ანგელოზებმა იხილეს და ამის შესახებ სწორედ მათგან შეიტყვეს ადამიანებმა.**

კომპოზიციის ქვედა რეგისტრში **ცენტრალურ ფიგურად ღვთისმშობელი წარმოგვიდგება** (თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველ, ადრეულ გამოსახულებებში ღვთისმშობელი არ გვხდება), რომელიც ფრონტალურად, ზეცად ხელაღპყრობილი დგას. აღსანიშნია ისიც, რომ არც ერთ შესაბამისი ისტორიის გადმომცემ თხრობაში, არ წერია, რომ უფლის ამაღლებისას მარიამიც მოციქულებთან ერთად იყო, ისევე როგორც არ წერია სახარებაში, რომ ახლად აღმდგარი მაცხოვარი, პირველად, სწორედ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს გამოეცხადა, რასაც ცალსახად აღნიშნავენ ეგზეგეტები. მაგალითად, **წმიდა მაქსიმე აღმსარებელი ბრძანებს:** ,,აღდგომითგან აღმაღლებადმდე წმიდასა მას დედასა თჳსსა მრავალგზის ეჩუენებოდა უფალი“ (მაქსიმე აღმსარებელი, 2018, გვ. 229).

იგივე წმინდა მამა ცალსახად მიუთითებს უფლის ამაღლებისას მარიამის იქ ყოფნაზე: „მერმე განიყვანნა იგინი გარეგან ქალაქისა ვიდრე ბეთანიადმდე და აკურთხნა იგინი. **მუნ იყო წმიდაჲცა ღმრთისმშობელი,** რამეთუ ჯერცა ეგრეთ იყო, რაჲთა ვითარცა ჟამსა მას ვნებისასა უმეტჳს ყოველთასა იწყლა გული მისი, და განუშორებელად დადგა მის თანა, ეგრეთვე დიდებული აღმაღლებაჲ მის იხილოს და სიხარულითა აღივსოს“ (მაქსიმე აღმსარებელი, 2018, გვ. 229).

მაქსიმე აღმსარებლის მიხედვით, ყოვლადწმინდა ქალწულმა ყველაზე მეტად განიცადა საკუთარი ძის ჯვარცმა და ვნება (როგორც სახარებიდან ვიცით, ყოვლადწმინდა დედა ესწრებოდა უფლის ჯვარცმას), ამაღლების ჟამს, კი, უფლის დიდებით გამოწვეული სიხარული უნდა განეცადა.

ეგზეგეტიკური და ჰომილეტიკური ლიტერატურა ცალსახად მიუთითებს „ამაღლებისას“ ღვთისმშობლის ზეთისხილის მთაზე ყოფნაზე და ასევე იმაზე, **რომ თუ კი რაიმე მნიშვნელოვანი ხდებოდა უფლის ამქვეყნიური ცხოვრებისას, ეს, უპირველესად, მის დედას შეეხებოდა, რომელიც ყველაზე ახლოს იყო და არის მასთან.**

„ამაღლების ხატმეტყველებაში“ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ფრონტალურად და ხელაღპყრობითაა წარმოდგენილი, ხოლო მოციქულთა ფიგურები სამი მეოთხედით დგანან. ღვთისმშობელი თავის ძეს განადიდებს, ხოლო მოციქულები, თავიანთი დგომის სტილითა და ზეაწეული თავებით, ამაღლებულ ღმერთსა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს.

ზოგადად, ღვთისმშობლისა და მოციქულთა გამოსახულებები ამაღლებული უფლისაკენ ,,მიილტვიან“, რითაც მართლმადიდებლური ხატმეტყველება გამოსახავს შემდეგს: რომ უფალმა აღამაღლა რა კაცობრივი ბუნება, ყოველ ადამიანს ,,თავისკენ“ ამაღლებისკენ მოუწოდა. ქრისტიანობის არსი, ადამიანის მიერ ამაღლებული მაცხოვრის ალაგის, ცათა სასუფევლის დამკვიდრებაა. ამ იდეას უცხადესად გამოხატავს მაცხოვარი: **,,და მე ოდეს ავმაღლდე ქუეყანით, ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა“ (ბიბლია, 2015, იო.12:32).**

წმინდა იოანე ოქროპირი განმარტავს რა დამოწმებულ სახარებისეულ სიტყვებს, დასძენს, რომ სწორედ ამაღლების შედეგად „მიიზიდება“ კაცობრივი

ბუნება ზეცისკენ: ,,აღვიდა მთისა მისგან ზეთისხილთაჲსა და აღმაღლდა ქვეყანით, და მიიზიდნა მისა ყოველი“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1994, გვ. 275).

დასასრულს, დავსძენთ, რომ ამაღლების ხატმეტყველება დაფუძნებულია შესაბამის ბიბლიურ ტექსტებზე, ეგზეგეზასა და სხვადასხვა ლიტურგიკულ საკითხავზე, რომ იესო ქრისტეს ამაღლებამ გამოიხსნა და განაღმრთო კაცობრივი ბუნება. ამასთანავე, მისი ამაღლება მის მეორედ მოსვლასაც მოასწავებს.

დასკვნა

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ოთხივე სახარების იკონოგრაფიათა განსაკუთრებულობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ხატმეტყველებითი რედაქციების შემქმნელები სახარებისეული ისტორიის შესაბამისი იკონოგრაფიული გადმოცემისათვის საეკლესიო ლიტერატურის რამდენიმე ჟანრს იყენებენ.

წინამდებარე სადოქტორო ნაშრომში განხილულ საკითხებს შესაბამისი თავების მიხედვით ვაჯამებთ.

თავი I. ხატმეტყველება და პირველი ბიბლიური გამოსახულებები

დისერტაციის პირველ თავში განხილულია ზოგადი სწავლება ხატმეტყველების შესახებ. შესაბამისი საღვთისმეტყველო ლიტერატურის დამოწმებით დგინდება, რომ მაცხოვრის სხეულებრივი გამოსახულების თაყვანისცემა, ცალსახად, მისივე საღვთო ბუნების თაყვანისცემას ნიშნავს.

დამოწმებული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ხატის შექმნასთან დაკავშირებით ყოველთვის გამოიყენებოდა ტერმინი „ხატწერა“, რაც იკონოგრაფიის საღვთისმეტყველო ასპექტებზე მიუთითებს.

აღნიშნულ თავში საუბარია ადრექრისტიანული ხელოვნების ნიმუშებზე, მათ წარმოშობასა და ისტორიულ განვითარებაზე. წარმოჩენილია ხატწერის მნიშვნელობა ადრექრისტიანულ ხანაში.

ყურადღება მივაქციეთ სახარებისეული მოვლენების ამსახველ იკონოგრაფიაში ჟესტიკულაციას. კერძოდ, გამოსახულებათა ჟესტიკულაცია თავისთავში დიალოგსაც მოიაზრებს, რაც ქრისტიანულმა ხატწერამ წარმართული ხელოვნებისგან იმემკვიდრა.

სადისერტაციო ნაშრომის ამავე ნაწილში ვსაუბრობთ იკონოგრაფიაში წარმოდგენილ იესო ქრისტეს ორ შესამოსელზე. დამოწმებულ სწავლებათა თანახმად, მაცხოვრის ორი სამოსი, ქიტონი და ჰიმატიონი, მისი ორბუნებოვნების გამომხატველია. კვართი - საღვთო, ხოლო გარეშესამოსელი, ანუ ქიტონი - მისი კაცობრივი ბუნების.

პირველ თავში, როგორც აღინიშნა, ადრექრისტიანულ გამოსახულებებზე ვსაუბრობთ, რომელნიც, ძირითადად, სიმბოლურ ხასიათს ატარებდნენ. შესაბამისი მსჯელობის შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ ამ ტიპის გამომსახველობა წარმართულ საზოგადოებას ქრისტიანული მოძღვრების მიმღებლობას უადვილებდა.

პირველ თავში დასკვნის სახით წარმოვადგინეთ, რომ იკონოგრაფია წარმოადგენს ,,ვიზუალურ ღვთისმეტყველებას", რომელიც მრავალ ასპექტს მოიცავს. მაცხოვრის ცალკეული ხატი თუ სახარებისეული კომპოზიციები მოგვითხრობენ განკაცებული ღმერთის სახარებისეულ ისტორიებს და გადმოგვცემენ შესაბამის განმარტებებს. ამავდროულად, აღნიშნული იკონოგრაფია დაფუძნებულია ღვთისმეტყველების ისეთ დარგებზე, როგორებიცაა ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია, ჰომილეტიკა და ასე შემდეგ.

იკონოგრაფია წარმოადგენს ,,ფერებითა და ხაზებით" გადმოცემულ ქრისტიანულ მოძღვრებას.

თავი II - იესო ქრისტეს შობის იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები

სადოქტორო ნაშრომის მეორე თავში გადმოცემული თხრობა იესო ქრისტეს შობის იკონოგრაფიას ეხება. აღნიშნული მოვლენა ძე ღმერთის განკაცების დღესასწაულადაც იწოდება და კაცობრიობის ხსნას უკავშირდება. დასახელებულ ხატმეტყველებაში, შავი გამოქვაბულის ფონზე გამოსახულია, ნათელი ფერების სახვევებში გახვეული ყრმა. ამ ფორმით გადმოცემულია შესაბამისი სახისმეტყველებითი შინაარსი განკაცებული ღმერთის წუთისოფლის სიბნელეში (ბოროტებაში) მოსვლისა და მისი ძლევის იდუმალების შესახებ.

განხილული კომპოზიცია ერთ-ერთი ნიმუშია იმისა, თუ როგორ გადმოსცემს იკონოგრაფია არა მხოლოდ სახარებისეულ მოვლენას, არამედ შესაბამის ეგზეგეზასაც. დასახელებულ ხატმეტყველებაში ხარისა და სახედრის გამოსახულება მთლიანად ეგზეგეტიკური ხასიათისაა. აღნიშნულის შესახებ

დასკვნას არაერთი საეკლესიო მოძღვრის შესაბამისი ლიტერატურის დამოწმების შედეგად ვაკეთებთ.

დისერტაციის აღნიშნულ თავში იესო ქრისტეს შობისა და აღდგომის იკონოგრაფიებია შედარებული. შესაბამისი მსჯელობის შედეგად ვასკვნით, რომ ხატმეტყველებათა შორის გარკვეული მსგავსება განპირობებულია ამ ორ დღესასწაულს შორის არსებული საღვთისმეტყველო კავშირით.

შესაბამისი საღვთისმეტყველო ლიტერატურის დამოწმების შედეგად, ცალსახად ვლინდება „შობის“ იკონოგრაფიასა და ევქარისტიას შორის კავშირიც.

აღნიშნულ თავში დამოწმებულ საღვთისმეტყველო შრომებში ხშირად საუბარია ბაგასა და ბეთლემზე, როგორც დახშული სამოთხის კარის გაღების სიმბოლოებზე.

იესო ქრისტეს შობის კომპოზიცია შემდგომ პერიოდში მრავალფიგუროვან იკონოგრაფიად ჩამოყალიბდა, სადაც ასახულია აღნიშნულთან დაკავშირებული შემდეგი მოვლენები: მწყემსთა და მოგვთა მიერ აღსრულებული თაყვანისცემა ახალშობილი ყრმის მიმართ, ყრმა მაცხოვრის ეგვიპტეში ლტოლვა და დაბრუნება, ჰეროდეს მიერ ყრმათა ამოხოცვა. რიგ იკონოგრაფიულ რედაქციებში აპოკრიფული ტექსტების ილუსტრირებასაც ვხვდებით (მაგალითად, ყრმა მაცხოვრის განბანვის აპოკრიფული თხრობის იკონოგრაფია).

აღნიშნულ თავში, ასევე, წარმოვადგენთ სახარებისეული თხრობისა და შესაბამისი განმარტების კომპილაციას, რაც დასახელებული ხატის არსს განსაზღვრავს.

თავი III - იესო ქრისტეს ნათლისღების იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები

აღნიშნული იკონოგრაფია იესო ქრისტეს ნათლისღებას შეეხება, რაც ყოვლადწმინდა სამების განცხადებასთან არის დაკავშირებული.

დასახელებული ხატმეტყველება წმინდა სამების განცხადებას საინტერესო მხატვრული ხერხებით გამოსახავს: მამის ხმა, რომელიც ზეციდან დაშვებული სხივით (ან სხივებით) გადმოიცემა, ძე, რომელიც მდინარე იორდანეში დგას, და

სულიწმინდა, რომელიც ზეციდან მტრედის სახით გარდამოდის და მდინარეში მდგომი იესო ქრისტესკენ მიემართება. ამ თავში განხილულია აღნიშნული ხატმეტყველების ორი მხარე. ერთი მხრივ, წარმოჩენილია ნათლისღების იკონოგრაფიის მხატვრული განვითარება, მეორე მხრივ, წარმოდგენილია მსჯელობა ამ დღესასწაულის ეგზეგეტიკურ მხარეზე. შესაბამისი ლიტერატურის დამოწმებისა და შეჯერების შედეგად საინტერესო სურათი იკვეთება: იორდანეში აღსრულებული საღვთო განგებულების ადრეული გამოსახულებები უფრო მეტად წარმოაჩენს ნათლისღების საიდუმლოს არსს, ხოლო გვიანი ხანის იკონოგრაფია, უშუალოდ იესო ქრისტეს იორდანეში ნათლისღების სახარებისეული ისტორიის ამსახველია.

მდინარე იორდანეში ხშირად გამოისახება ვეშაპი, რაც ეშმაკს განასახიერებს. როგორც შესაბამისი საღვთისმეტყველო ლიტერატურით ირკვევა, იორდანის წყალში მისი გამოსახვა ნათლისღების მეშვეობით ბოროტების დათრგუნვას წარმოაჩენს.

ხშირია იორდანეში ჯვრის გამოსახვაც, ამიტომ შესაბამისი საღვთისმეტყველო ლიტერატურის დართვით, წარმოვადგინეთ ჯვრისა და ნათლისღების კავშირი, როგორც იესო ქრისტე მოკვდა და აღდგა, ასევე, ნათლისღებისას კვდება „ძველი იგი კაცი“ და ემბაზიდან აღმოიშობა საღვთო მადლით მოსილი ახალი კაცი.

იკონოგრაფიაში მდინარე იორდანე თითქმის ყოველთვის ტალღოვანი სახისაა. შესაბამისი ლიტერატურის მოხმობით ვარკვევთ, რომ მდინარის აღნიშნული ფორმა განპირობებულია საეკლესიო სწავლებით, რომლის მიხედვითაც, ნათლისღებისას იორდანემ უკუსვლა დაიწყო.

განხილული იკონოგრაფიის ნიმუშებში მაცხოვარი შიშველი გამოისახება. საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან ირკვევა, რომ აღნიშნული მხოლოდ სახარების ფაქტობრივი რეალობის ასახვა არ არის, არამედ სიმბოლური ხასიათის მატარებელიცაა. კერძოდ, როგორც ცნობილია, პირველმა ადამიანებმა ცოდვის ჩადენის შემდეგ სიშიშვლის გამო გამოწვეული სირცხვილი იგრძნეს და უფალს დაემალნენ. დამოწმებული საღვთისმეტყველო ლიტერატურის თანახმად, ღმერთი მოუწოდებს ადამს, რომ აღარ ეცადოს დამალვას, რადგან უფალმა, საკუთარი

შიშველი სხეულით იორდანეში შთასვლით დაუბრუნა მას პირვანდელი, საღვთო მადლმოსილება.

ნათლისღების იკონოგრაფიაში ხშირად გვხვდება ანგელოზების გამოსახულებები. თუმცა, სახარებაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. შესაბამისი განმარტებითი და მქადაგებლობითი ლიტერატურის დამოწმების შედეგად ირკვევა, რომ აქ გადმოცემულია შემდეგი აზრი: ანგელოზები უჭვრეტენ ადამიანის (იოანე ნათლისმცემლის) მიერ განკაცებული ღმერთის ნათლობას და ამით გაკვირვებულები ყოვლის შემოქმედ ღმერთს განადიდებენ.

უაღრესად საინტერესოა ნათლისღების ზოგიერთ იკონოგრაფიულ რედაქციაში ცეცხლის გამოსახულების ჩართვა. სათანადო ლიტერატურაზე დაფუძნებული მსჯელობის შედეგად ვასკვნით, რომ აღნიშნული მოვლენა სახარებაში წარმოდგენილი „ცეცხლით ნათლობის“ შესახებ მოძღვრების გამომხატველია.

ნათლისღების უკვე ჩამოყალიბებულ იკონოგრაფიაში უაღრესად საინტერესოა ე. წ. „ცის სეგმენტის“ გამოსახვა, სადაც მისგან გამომავალი სხივებია გამოსახული. აღნიშნულით გადმოცემულია ის სახარებისეული ეპიზოდი, რომელიც ცის გახსნისა და მტრედის სახით სულიწმინდის გარდამოსვლის შესახებ გვაუწყებს. შესაბამისი ეგზეგეტიკური ლიტერატურის დამოწმების შედეგად ირკვევა, რომ მოხმობილი იკონოგრაფიული დეტალი ცათა სასუფეველი გახსნისა და საღვთო მადლის გარდამოსვლის საიდუმლოს წარმოაჩენს.

ნათლისღების ხატმეტყველებაში ხშირად ვხვდებით იორდანეში გამოსახულ გველს. განმარტებების მიხედვით, აღნიშნული გამომსახველობა ნათლისღების შედეგად ეშმაკის დათრგუნვის ამსახველია.

ამ თავში ასევე გადმოცემულია მსჯელობა ნათლისღებისა და აღდგომის იკონოგრაფიათა შორის მსგავსების შესახებ. წმინდა მამათა მიხედვით, არ არსებობს მოვლენა, რომელიც ისე ახლოს იყოს ნათლისღებასთან, როგორც აღდგომის დღე და მისი მნიშვნელობა.

თავი IV - იესო ქრისტეს ფერისცვალების იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები

აღნიშნულ დღესასწაულთან დაკავშირებული ლიტერატურისა და იკონოგრაფიის შეჯერებისას რამდენიმე მნიშვნელოვან დასკვნას წარმოვადგენთ, რომელთაც პუნქტებად ჩამოვთვლით.

ა) იესო ქრისტეს ფერისცვალების იკონოგრაფია არის ილუსტრაცია განკაცებული ძე ღმერთის საღვთო ბუნების განცხადებისა ადამიანთა დამტევნელობის შესაბამისად. ამის გადმოსაცემად ხატმეტყველება იესო ქრისტეს სხეულის გარშემო შემოწერილ წრეს იყენებს.

ბ) აღნიშნული იკონოგრაფია იმ საეკლესიო სწავლების ვიზუალიზაციას გვთავაზობს, რომლის თანახმადაც განკაცებული ღმერთი აღდგომამდე ვნებადი, ხოლო აღდგომის შემდეგ - განღმრთობილი სხეულის მატარებელია. ოვალურ წრეში ჩაწერილი მაცხოვრის გამოსახულება, ერთი მხრივ, გადმოსცემს სწავლებას მაცხოვრის ვნებად (თუმცა კი ცოდვის გარეშე მიღებულ) კაცებაზე, ხოლო მეორე მხრივ, იმავე სხეულის მომავალ (აღდგომის შემდგომდროინდელ) მდგომარეობაზე.

გ) მანდორლა, ასევე, განიხილება იმ ნათლის ღრუბლის იკონოგრაფიულ ვიზუალიზაციად, რომელიც თაბორის მთაზე განეფინა.

დ) აღნიშნულ იკონოგრაფიაში განცხადებულია, რომ იესო ქრისტეს ფერისცვალება მისი მეორედ მოსვლის წინასახეა.

ე) დასახელებული ხატმეტყველების ზედა რეგისტრში უფალი, მოსე და ელია წინასწარმეტყველები არიან გამოსახული, ხოლო ქვედა რეგისტრში მოციქულები, რაც მოზეიმე და მებრძოლი ეკლესიების ერთმთლიანობას გამოხატავს.

იესო ქრისტეს ფერისცვალების ადრეული ხატმეტყველება, რომელიც ადრექრისტიანულ ხანაში სიმბოლურ ხასიათს ატარებდა, შემდეგში საყოველთაოდ ცნობილ იკონოგრაფიულ სქემად ჩამოყალიბდა. როგორც აღინიშნა, ძე ღმერთის საღვთო ბუნება ოვალური ფორმის წრეში („დიდებაში“) გამოსახვით წარმოჩნდება. დასახელებული გამოსახულება ნუშისებრი ფორმისაა და ნაშრომის დასახელებულ თავში დაწვრილებით ვმსჯელობთ აღნიშნული მცენარისა და მისი სიმბოლური დატვირთვის შესახებ. შესაბამისი ბიბლიური

თხრობისა და ეგზეგეტიკური ლიტერატურის დამოწმების შედეგად, ვასკვნით, რომ ნუში სიცოცხლის, განახლებისა და აღდგომის სიმბოლოა.

მანდორლას („დიდების“) გამოსახვამ განსაკუთრებული იკონოგრაფიული განვითარება XIV-XV საუკუნეებში ჰპოვა. ამის მიზეზი ამ პერიოდში წარმოშობილი მწვალებლობა იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილ მსჯელობას დასკვნის სახით დავურთავთ, რომ წმინდა ეკლესია ერესს არა მარტო საეკლესიო მოძღვართა შრომებითა და სხვადასხვა საღვთისმეტყველო ლიტერატურით ებრძოდა, არამედ ხატმეტყველებითაც.

თავი V - იესო ქრისტეს „ვნების ციკლად“ წოდებული მოვლენებისა და ჯოჯოხეთის წარტყვევნა-წარმოცალიერების (აღდგომის) იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო - სახისმეტყველებითი ასპექტები

იესო ქრისტეს ვნებისა და აღდგომის იკონოგრაფია პირობითად სამი უმთავრესი მოვლენისაგან შედგება: იესო ქრისტეს უკანასკნელი სერობა, ჯვარცმა, გარდამოხსნისა და მისი აღდგომის ხატმეტყველება.

იესო ქრისტეს უკანასკნელი ტრაპეზი მოციქულებთან „საიდუმლო სერობად“ იწოდება და მის შესახებ ოთხივე მახარებელი მოგვითხრობს.

როგორც „უკანასკნელი სერობის“ იკონოგრაფიასთან დაკავშირებული საეკლესიო ლიტერატურა გვამცნობს, აღნიშნული გამომსახველობა ევქარისტიის მნიშვნელობისა და არსის წარმომჩენია. ამავდროულად, წარმოდგენილი იკონოგრაფიის გარკვეულ რედაქციებში გადმოცემულია ზიარების მიღების უძველესი ტრადიცია - ხელზე დადებული იესო ქრისტეს ხორცის (პურის სახით) და ბარძიმით სისხლის (ღვინის სახით) მიღების სცენა.

დასახელებულ იკონოგრაფიაში ვხვდებით მრგვალ პურებს, რაც, როგორც შესაბამისი საეკლესიო ლიტერატურის დამოწმების შედეგად ირკვევა, წარმოადგენს ევქარისტიისთვის განკუთვნილი გაფუებული პურის გამოსახულებას.

როგორც აღნიშნულ თავშია განხილული, მოგვიანო ხანაში „უკანასკნელი ტრაპეზის“ გამომსახველობა უშუალოდ შესაბამისი სახარებისეული თხრობის

ილუსტრირებით იცვლება - ერთ მაგიდასთან სხედან იესო ქრისტე და თორმეტი მოციქული. განსაკუთრებულად განვიხილავთ ქართულ ფრესკულ მხატვრობას, სადაც აღნიშნული ტრაპეზის ცენტრში თევზია გამოსახული, რომლისკენაც იუდა ისკარიოტელს ხელი აქვს გაწვდილი. წარმოდგენილი ეგზეგეზისის მიხედვით, თევზში იესო ქრისტე და მისი ეკლესია მოიაზრება, რომელიც იუდამ შეურაცხყო.

დისერტაციის განხილულ თავში ერთმანეთს ვადარებთ „საიდუმლო სერობისა“ და „მირქმის“ ხატმეტყველებებს. შესაბამისი ლიტერატურის დამოწმებისა და მსჯელობის შედეგად ვასკვნით, რომ ორივე გამომსახველობას მსხვერპლისა (იესო ქრისტეს ვნების) და ევქარისტიის თემები აერთიანებთ.

ვნების ციკლის ამსახველი შემდეგი იკონოგრაფიული გამოსახულებებია იესო ქრისტეს ჯვარცმისა და გარდამოხსნის ხატმეტყველება. ადრექრისტიანულ ხანაში მაცხოვრის მიერ გაღებული მსხვერპლის შესახებ სწავლება ძველი აღთქმის თხრობათა მიხედვით შექმნილი გამოსახულებებით გადმოიცემოდა. გავრცელებული იყო აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლშეწირვისა და იონა წინასწარმეტყველის გამოსახულებები. როგორც დამოწმებული მასალიდან ირკვევა, აღნიშნული ძველაღთქმისეული ისტორიები ქრისტეს მსხვერპლგაღებას მოასწავებს.

შუა საუკუნეებში იღებს დასაბამს იესო ქრისტეს ჯვარცმის კომპოზიციაში, ჯვრის ქვემოთ ადამიანის თავის ქალის გამოსახვა. ეს ადამის თავის ქალაა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ დავასახელებთ გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ჩრდილოეთ მინაშენში განთავსებულ იესო ქრისტეს ჯვარცმის ამსახველ ფრესკას.

ეკლესიის მამათა განმარტებების შესაბამისად, გოლგოთაზე, სადაც იესო ქრისტე აცვეს ჯვარს, ადამის საფლავი იყო განთავსებული. თუმცა, გარდა ამისა, საეკლესიო მოძღვრებთან აღნიშნული საკითხი სახისმეტყველებითაც არის განმარტებული. მაგალითად, ეკლესიის მამათა ნაწილი აღნიშნავს, რომ ადამის თავის ქალის ქრისტეს ჯვრის ქვეშ მყოფობა განასახიერებს ჯვარცმის შედეგად კაცობრივი ბუნების გამოხსნას.

ადრექრისტიანულ ეპოქაში ჯვრის სხვადასხვა ფორმის გამოსახულებები გვხდება. ყველაზე გავრცელებული იყო ისეთი გარეშემოწერილობის ჯვრის

სახეობა, სადაც ორი მკლავი გვერდულად კვეთდა ერთმანეთს (X). ჯვრის აღნიშნული ფორმის შესახებ დამოწმებული ეგზეტიკური მასალიდან ირკვევა, რომ სწორედ ასეთი ნიშნით აღტვიფრეს ეგვიპტელთა მონობაში მყოფი ისრაელიანების კარის წირთხლები დაკლული კრავის სისხლით (რის შედეგადაც ისინი სიკვდილის ანგელოზს გადაურჩნენ), რაც მაცხოვრის ჯვარცმის შედეგად კაცთა გამოხსნას მოასწავებდა.

დასახელებულ ხატმეტყველებაში ჯვარცმული იესო ქრისტე მხოლოდ კვართითაა წარმოდგენილი. აღნიშნულ თავში დამოწმებული ეკლესიის მამათა ეგზეგეზისის მიხედვით ვასკვნით, რომ ჯვარზე მისი შესამოსლით გამოსახვას კვართის შესახებ არსებული საეკლესიო მოძღვრება განაპირობებს - იესო ქრისტეს ჰიმატიონი (კვართი) მის უვნებო, საღვთო ბუნებას გამოხატავს.

იესო ქრისტეს ჯვარცმის ზოგიერთ იკონოგრაფიაში კიდევ ერთი განსაკუთრებული ხატმეტყველებითი დეტალია: ჯარისკაცი შუბით განგმირავს მაცხოვრის ფერდს, საიდანაც სისხლი და წყალი წარმოდინდება. ჯვარცმული უფლის გვერდით დგას ქალი, რომელსაც ხელთ თასი უპყრია, სადაც მაცხოვრის ფერდიდან გადმოღვრილი სისხლი და წყალი იღვრება. წარმოდგენილ თავში დამოწმებული ეგზეგეზისის მიხედვით, აღნიშნული ჭურჭელი, შესაძლოა, მოვიაზროთ, ერთი მხრივ, ნათლისღების ემბაზად (ფერდიდან გარდამოღვრილი წყალი, როგორც ნათლისღების სიმბოლო), მეორე მხრივ, ბარძიმად, სადაც იესო ქრისტეს სისხლია დავანებული. შესაბამისი ეგზეგეზის მიხედვით, ეს არის „ხსნის თასი“, კერძოდ, ეკლესია, რომელშიც ზემოდასახელებული ორი უდიდესი საიდუმლო აღესრულება, რის შედეგადაც კაცობრიობა ცოდვის ტყვეობისგან გამოიხსნება.

იესო ქრისტეს ვნების ციკლის იკონოგრაფია, რომელიც შესაბამისი სახარებისეული თხრობისა და საღვთისმეტყველო ლიტერატურის შინაარსზეა დაფუძნებული, ცალსახად გამოხატავს ძე ღმერთის განკაცების უმთავრეს არსს - კაცობრივი ბუნების გამოხსნას ცოდვის ტყვეობისაგან.

ქართულ ხატმეტყველებაში არის იესო ქრისტეს ჯვარცმის რედაქცია, სადაც მზე და მთვარეა გამოსახული. აღნიშნულ თავში წარმოდგენილია შესაბამისი ხატწერის ნიმუშები თანდართული საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი

ასპექტების განხილვით, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ დასახელებული იკონოგრაფია ჯვარცმისას აღსრულებული მზის დაბნელების ამსახველია, რომელიც თავისთავში ესქატოლოგიის წინასახესაც დაიტევს. გარდა ამისა, შესაბამისი მსჯელობის შედეგად გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ აღნიშნულ იკონოგრაფიულ დეტალს წარმართული წარმომავლობა უნდა ჰქონდეს (როგორც ადრექრისტიანული მხატვრობის დიდ ნაწილს).

არის იკონოგრაფიული ტიპი, სადაც ჯვრის მიღმა გახსნილი კრეტსაბმელია გამოსახული. შესაბამისი სახარებისეული თხრობისა და განმარტებების დამოწმებით ვასკვნით, რომ აღნიშნული გამომსახველობა, ერთი მხრივ, სახარებისეული თხრობის გადმომცემია, მეორე მხრივ, შესაბამისი ეგზეგეტიკისა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული მოვლენა ცათა სასუფევლის გახსნას მოასწავებს.

იესო ქრისტეს ჯვარცმის ხატმეტყველებაში ჯვარზე მიმსჭვალული მაცხოვრის ორი იკონოგრაფიული ტიპი გვხდება. პირველი ტიპის გამოსახულებებში მაცხოვარი თვალგახელილია, რაც გამოხატავს იმას, რომ ის ჯვარზე ჯერ კიდევ ცოცხალია. ხოლო მეორე ტიპის მხატვრობაში იგი უკვე აღსრულებულია. რასაკვირველია, ორივე გამოსახულება ეთანადება შესაბამის სახარებისეულ თხრობას, რომლის მიხედვითაც მაცხოვარი ჯვარზე სამი საათის განმავლობაში ცოცხალი იყო და შემდეგ აღესრულა. გარდა ამისა, შესაბამისი ეგზეგეზისის დამოწმებით ვასკვნით, რომ ხსენებული გამოსახულებით სიკვდილზე უფლის მეუფეგაა წარმოჩენილი, რადგან სწორედ მაშინ აღესრულა, როცა ინება, - „მიიდრიკა თავი და განუტევა სული“ (იო. 19:30).

აღნიშნულ თავში, ასევე, წარმოდგენილია იესო ქრისტეს გარდამოხსნის იკონოგრაფია. განხილულია მისი ისტორიული და საღვთისმეტყველო განვითარების ასპექტები. დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ გარდამოხსნის იკონოგრაფია ცალკე ხატმეტყველებად ჩამოყალიბდა და ჯვარცმასთან დაკავშირებულ ლიტურგიკულ მსახურებას დაუკავშირდა.

ნაშრომში განსაკუთრებული ხაზგასმით გამოვყავით იესო ქრისტეს აღდგომის ხატმეტყველება, რომელიც „ჯოჯოხეთის მეუფების შემუსვრის“ იკონოგრაფიით გადმოიცემა.

იესო ქრისტეს აღდგომა დღესასწაულთა დღესასწაულად იწოდება. შესაბამისად, მისი ხატმეტყველება უმთავრესია იკონოგრაფიათა შორის. თავდაპირველად, ქრისტეს აღდგომის ხატმეტყველება სახარების თხრობას ზედმიწევნითად ასახავდა, რომლის მიხედვითაც საფლავთან მისულ „მენელსაცხებლე დედებს“ ანგელოზი ეცხადებათ. მოგვიანო ხანაში აღმოსავლურმა ხატმეტყველებამ „სულთა საპყრობილედან“ მართალთა სულების აღმოყვანების იკონოგრაფია შეიმუშავა.

ნაშრომში გადმოცემულია არაერთი საეკლესიო მამის განმარტება აღნიშნულის შესახებ. დამოწმებული ეგზეგეტიკის საფუძველზე ვასკვნით, რომ იკონოგრაფიამ აღდგომის დღესასწაულის არსებითი მხარე გამოსახა - იესო ქრისტეს მიერ სიკვდილით სიკვდილის ძლევა და ჯოჯოხეთის წარმოცალიერება. ხსენებული იკონოგრაფია ერთადერთია დანარჩენ ათთორმეტ დღესასწაულთა ამსახველ ხატმეტყველებათაგან, რომელიც არა უშუალოდ სახარებისეულ თხრობას, არამედ მის განმარტება-სწავლებას გამოსახავს, რომლის მიხედვითაც, იესო ქრისტე ჯვარზე აღსრულების შემდგომ ჯოჯოხეთში ჩადის, იქედან მართალთა სულები ამოჰყავს და სასუფეველში გადაჰყავს. დასახელებულ თავში, აღნიშნულთან დაკავშირებით, არაერთი საეკლესიო მამის მოძღვრებაა წარმოდგენილი.

აღდგომის იკონოგრაფიაში იესო ქრისტეს გამოსახულება მანდორლაშია წარმოდგენილი. საეკლესიო მამათა მოძღვრების კრებსითად წარმოდგინების შედეგად, შესაძლოა, დასკვნის სახით ვთქვათ, რომ ოვალური ფორმის წრეში გამოსახული მაცხოვარი განასახიერებს უნივთო სულს (რადგან, ჯვარზე აღსრულებული მაცხოვარი სულით ჩადის ჯოჯოხეთში). ასევე, აღნიშნული იკონოგრაფიული დეტალი, განასახიერებს იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომილ და თვისობრივად შეცვლილ კაცებას. ამასთან, აღნიშნული გამომსახველობა განკაცებული ღმერთის საღვთო ბუნებას სიმბოლურად გადმოსცემს.

ქრისტეს აღდგომის უმრავლეს, მათ შორის, დამოწმებულ კომპოზიციებში, ჯოჯოხეთიდან იესო ქრისტეს პირველი ადამი ამოჰყავს, რითაც უფლის მიერ, ზოგადად, კაცობრივი ბუნების გამოხსნაა ნაჩვენები. ადამში, როგორც

პირველქმნილ ადამიანში, წმინდა მამები ხშირად მოიაზრებენ, ზოგადად, კაცობრივ არსებას.

განხილული ხატმეტყველების ზოგიერთ ნიმუშში ცოდვილთა სამყოფელი ვეშაპის (გველეშაპის) სახითაა წარმოდგენილი, რომლის პირიდან მაცხოვარს ადამიანები ამოჰყავს. აღნიშნულ იკონოგრაფიას შესაბამისი საღვთისმეტყველო საფუძველი გააჩნია, კერძოდ, ჰიმნოგრაფიულ ტექსტები, რომელსაც აღნიშნულ თავში ვიმოწმებთ, ჯოჯოხეთი, სიმბოლურად, „ვეშაპად“ არის სახელდებული.

ზოგიერთ იკონოგრაფიულ რედაქციაში ჯოჯოხეთში შთასული იესო ქრისტე ჯვრით ხელშია გამოსახული. დამოწმებულია ეკლესიის არაერთი მოძღვრის განმარტება, რომლის მიხედვითაც ჯვარი სიკვდილზე გამარჯვების იარაღადაა მიჩნეული. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში საუბარია იმის შესახებაც, რომ იესო ქრისტემ ჯოჯოხეთი ჯვრით შემუსრა.

„ბნელეთის წიაღის“ შემუსვრის განვრცობილ რედაქციაში დამტვრეული ბოქლომის გამოსახულებასაც ვხვდებით. ამის მიზეზი სხვადასხვა საეკლესიო საგალობელში გადმოცემული სახისმეტყველებითი განსაზღვრებაა, რომლის მიხედვითაც იესო ქრისტემ ჯოჯოხეთის „ბოქლომით“ დაკეტილი ბჭე (შესასვლელი) შემუსრა.

„ჯოჯოხეთის წარმოცალიერების“ თითქმის ყველა ქრისტიანულ გამოსახულებებში მაცხოვარს არამარტო ჯოჯოხეთში მყოფნი აღმოჰყავს, არამედ, იგი ჯურღმულში მყოფთა მიმართ გარკვეული ჟესტიკულაციით გამოისახება. აღნიშნული მაცხოვრის საუბარს გამოხატავს, რაც დაფუძნებულია შესაბამის ეგზეგეზაზე, რომლის მიხედვითაც ჯოჯოხეთში შთასულმა მაცხოვარმა იქადაგა.

მოგვიანო ხანის მინიატურებში კიდევ ერთი, აქამდე უცნობი იკონოგრაფიული დეტალი გვხვდება. კერძოდ, „სულთა საპყრობილეში“ შთასულ მაცხოვარს ერთი ხელით მართალთა სულები ამოჰყავს ჯოჯოხეთიდან, ხოლო მეორე ხელში დახეული გრაგნილი უპყრია. დამოწმებულ საეკლესიო ლიტერატურაში საუბარია იმის შესახებ, რომ უფალმა ადამიანის ცოდვების ,,ხელითწერილი“ გაანადგურა - კაცის მიერ ჩადენილი ცოდვები აღმოფხვრა.

არის შემთხვევები, როცა აღდგომის და ქრისტეს მეორედ მოსვლის თემა ერთ სცენადაა გაერთიანებული, რაც ამ ორი მოვლენის მჭიდრო სულიერ კავშირს წარმოაჩენს.

თავი VI - იესო ქრისტეს ამაღლების იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები

იესო ქრისტეს ამაღლების ხატმეტყველება განხილულ დღესასწაულთა შორის მცირე მოცულობისაა. ,,ამაღლების" კომპოზიციის **ადრექრისტიანული ნიმუშები ადრეული შუასაუკუნეების სპილოს ძვლის ფირფიტებზე განთავსებული რელიეფური გამოსახულებებია. დასახელებული ხატმეტყველება შემდეგ იკონოგრაფიულ სქემას წარმოგვიდგენს:** მოციქულებისა და ანგელოზებისაგან გარშემორტყმული, მანდორლაში გამოსახული მაცხოვარი ზეცის სეგმენტისკენ მიემართება, სადაც გამოსახულია ხელი, რომელიც მაცხოვრისკენაა გამოწვდილი და უფალიც მას საკუთარ ხელს მიაგებებს. **ეს ხატმეტყველებითი დეტალი, მარკოზ მახარებელის მიერ თქმულის ილუსტრირებაა,** რომლის თანახმადაც, ამაღლებული უფალი ,,მამის მარჯვნივ" დაჯდა. ამავე თავში განხილულია „მარჯვენით ჯდომის" საღვთისმეტყველო მნისვნელობა.

შემდგომ პერიოდის „ამაღლების" იკონოგრაფიაში ანგელოზთა გამოსახულებებს ვხვდებით. სოლოღაშენისა და ნიკორწმინდის რელიეფური გამოსახულებების მაგალითებზე, ვსაუბრობთ ანგელოზთა კავშირზე იესო ქრისტეს ამაღლებასთან.

ამავე ნიმუშების განხილვისას ვსაუბრობთ იესო ქრისტეს ამაღლებისა და მისი „მეორედ მოსვლის" კავშირის შესახებ. „მოციქულთა საქმეების" მიხედვით, უფლის ამაღლების შემდეგ ანგელოზები გამოეცხადნენ მოციქულებს და უთხრეს: „ესე იესო, რომელი ამაღლდა თქუენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად" (ბიბლია, 2015, საქ. 1: 11).

,,ამაღლების“ რიგ კომპოზიციებში ოთხი ანგელოზი აღამაღლებს მაცხოვარს. ხშირად ამ ოთხთაგან ორს საყვირები უპყრიათ. ამგვარი ტიპის გამოსახულებას ვხვდებით ნიკორწმინდის ტაძრის ფასადის რელიეფზე (ილ. 33).

ანგელოზთა მიერ საყვირების პყრობა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ქრისტეს ,,ამაღლების“ თავისსავე ,,მეორედ მოსვლასთან“ კავშირს. როგორც ცნობილია, საყვირი მეორედ მოსვლის წინასახეა.

იესო ქრისტეს ამაღლების იკონოგრაფიული რედაქციები ამავე დღესასწაულის მნიშვნელობის საინტერესო ასპექტებს წარმოაჩენენ.

და ბოლოს, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ იკონოგრაფია ხილვადად გადმოსცემს როგორც ტექსტობრივ, ისე ეგზეგეტიკურ ანალიზს, რაც, თავის მხრივ, შესაბამისი სახარებისეული მოვლენების საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებით ასპექტებს წარმოაჩენს.

ბიბლიოგრაფია

Bibliography

აბულაძე, ი. (1955). *მამათა სწავლანი X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით.* (რ. ა. შანიძე, Ed.) თბილისი: გამოსცა ილია აბულაძემ.

ამბროსი მედიოლანელი. (n.d.). *ekzeget.ru*. Retrieved 09 04, 2025, from https://ekzeget.ru/bible/psaltir/glava-41/stih-2/: https://ekzeget.ru/bible/psaltir/glava-41/stih-2/

აღდგომის ტროპარი. (n.d.). *www.orthodoxy.ge*. Retrieved 9 11, 2015, from https://www.orthodoxy.ge/lotsvani/troparebi/dgesastsaulebi.htm

ბასილი დიდი. (2010). თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარია-კაბადუკიელისა შობისათჳს უფლისა ჩუენისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარია-კაბადუკიელისა შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეჲსსა წმიდისაგან ქალწულისა ღმრთისმშობელისა. In *ძველი ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები* (pp. 51-63). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

ბასილი კესარიელი. (1983). *ბასილი კესარიელის "სწავლათა" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი.* (გ. დ. გამოსაცემად მოამზადა, Ed., & ე. ათონელი, Trans.) თბილისი: მეცნიერება.

ბერიძე ვახტანგ. (1983). ქართული ნაქარგობის ისტორიიდან. თბილისი: მეცნიერება.

გვასალია, გ. (2014). *შესაქმეს განმარტება.* თბილისი: შპს გამომცემლობა შემოქმედი ანგელოზი.

დასდებელნი ქრისტეს შობისანივე. (2014). In კ. ურუშაძე (Ed.). თბილისი: ალილო.

დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. (2015). In კ. ურუშაძე (Ed.), *რჯული ქრისტესი; აღდგომა; წიგნი II.* (pp. 191-197). თბილისი: ალილო.

დიდი სჯულისკანონი. (1975). (ა. ი. თარგმანი, Trans.) თბილისი.

დიდი შაბათის ქადაგების საღვთისმეტყველო ანალიზი. (2015). წმიდა ეპიფანე კვიპრელის ,,დიდი შაბათის ქადაგების საღვთისმეტყველო ანალიზი". (რ. მუჯირიშვილი, Ed.) *გრაგნილი, სამეცნიერო-საეკლესიო კრებული, III*, 63-106.

ევსები, კ. (2007). *საეკლესიო ისტორია, საეკლესიო ბიბლიოთეკა .* (შ. დ. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, რედ.) თბილისი: გამომცემლობა „ახალი ივერონი“.

ეკლესიის მამათა სწავლებანი განკაცების შესახებ. (2010). შობისათვის უფლისა...; შობისათვის უფლისა; შობისათვის და ჩჩვილთათვის ბეთლემს მოწყუედილთა;შობისათვის უფლისა..; შობისათვის უფლისა; შობისათვის მაცხოვრისა. In თქმული ბასილი მთავარეპისკოპოსისა, წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა, წმიდისა იოანე ოქროპირისა... , წმიდისა ევსები ალექსანდრიელისა, წმ. თეოდორიტე კვირელისა, წმიდისა პეტრე იერუსალიმელისა, . . . თქმული იოვანე მთავარეპისკოპოსისა, & ე. ჭელიძე (Ed.), *ძველი ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები; ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის*

განკაცების შესახებ (pp. 51-63; 109-125; 126-142; 144-151; 197-210; 232-242; 211-215; 66-75; 247-263; 264-281; 243-246; 66-75; 181-185; 282-294; 152-159; 152-159; 163-167.). თბილისი: თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამომცემლობა.

ერმი. (2012, 12 10). *qwelly.com*. (მწყემსი, Producer) Retrieved from https://qwelly.com/group/patrologia/forum/topics/part-2: https://qwelly.com/group/patrologia/forum/topics/part-2

ეფრემ მცირე. (2000). *განმარტება სამოციქულოსი გამოკრებილი იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან.* (ტ. გ. კოჭლამაზიშვილმა, Ed.) თბილისი: საქართველოს საპატრიარქო; თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

ზატიკის ტროპარ-კონდაკები. (თ. გ.). *საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*. მოპოვებული 2024 წლის 25 08, www.orthodoxy.ge: https://www.orthodoxy.ge/lotsvani/troparebi/zatiki.htm-დან

თთუესა დეკენბერსა კე შობაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტ©სი. (1980). In ე. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, & ლ. ხევსურიანი (Eds.), *უძველესი იადგარი* (pp. 11-22). თბილისი: მეცნიერება.

თუენი. (2015). თთუესა აგჳსტოსა ე წინა დღე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს ფერისცვალებისა. In *თუენი; აგვისტო* (pp. 62-67). ბოდბე: ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერი.

თუმანიშვილი, დ. (2016). *საქართველოს-სიძველენი.pdf.* Retrieved 08 20, 2024, from elfiles.emis.ge: https://elfiles.emis.ge/uploads/39184/19.-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98.pdf

იანვარსა, დ. მ. (1980). დასდებელნი მღდელთმოძრუართანი თთუესა იანვარსა ერთსა. In გ. დ. გამოსაცემად მოამზადეს (Ed.), *უძველესი იადგარი* (pp. 30-57). თბილისი: მეცნიერება.

იმნაიშვილი, ი. (1966). *საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში.* (რ. ა. შანიძე, Ed.) თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა.

ინგოროყვა, პ. (1913). *ძველ ქართული სასულიერო პოეზია: ტექსტები-VIII-X საუკუნეები.* ტფილისი: საეკლესიო მუზეუმის გამოცემა.

ინწკირველი, თ. (2014). In კ. ურუშაძე (Ed.), *რჯული ქრისტესი; შობა; წიგნი II; თუესა დეკენბერსა კ წინა დღე ქრისტეს შობისაჲ* (pp. 195-204). თბილისი: ალილო.

ინწკირველი, თ. (2014). რჯული ქრისტესი. In კ. ურუშაძე (Ed.), *შობა; წიგნი II; დასდებელნი ქრისტეს შობისანივე* (pp. 144-150). თბილისი: ალილო.

ინწკირველი, თ. (2014). რჯული ქრისტესი. In კ. ურუშაძე (Ed.), *შობა; 2014; წიგნი II.წინა დღე ქრისტეს შობისაჲ* (pp. 232-251). თბილისი: ალილო.

ინწკირველი, თ. (2014). რჯული ქრისტესი. In კ. ურუშაძე (Ed.), *რჯული ქრისტესი; შობა; წიგნი II.დეკემბერსა კგ. მოსწავებაჲ შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი* (pp. 55-72). თბილისი: ალილო.

ინწკირველი, თ. (2014). რჯული ქრისტესი. In კ. ურუშაძე (Ed.), *რჯული ქრისტესი; შობა; წიგნი II; ამასვე დღესა წინადღესასწაულობაჲ შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა* (pp. 73-86). თბილისი: ალილო.

ინწკირველი, თ. (2014). რჯული ქრისტესი. In კ. ურუშაძე (Ed.), *შობა; წიგნი I, მოგვთა თაყვანისცემა.* (pp. 183-184). თბილისი: ალილო.

ინწკირველი, თ. (2014). რჯული ქრისტესი;. In კ. ურუშაძე (Ed.), *შობა; წიგნი II. თუესა დეკენბერსა კდ წინა დღე ქრისტესშობისაჲ* (pp. 251-281). თბილისი: ალილო.

ინწკირველი, თ. (2014ბ). რჯული ქრისტესი. In თ. ინწკირველი, & შ. დ. ურუშაძე (Ed.), *თუესა დეკენბერსა კდ წინა დღე ქრისტესშობისაი; თუესა დეკენბერსა კბ წინა დღე ქრისტესშობისაი ამასვე დღესა წინა-დღესასწაულობაი შობისათვის უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი; დასდებელნი ქრისტეს შობისა წინა-დღისანივე; სხუანი გალობანი ქრისტესშობისანი ბერ* (Vol. 2, pp. 251-281; 281-306; 218-251; 144-157.). თბილისი: გამომცემლობა ,,ალილო".

ინწკირველი, თ. (2015). რჯული ქრისტესი. In კ. ურუშაძე (Ed.), *ჯვრის თაყვანისცემა.* (pp. 293-302). თბილისი: ალილო.

ინწკირველი, თ. (2015). რჯული ქრისტესი. In კ. ურუშაძე (Ed.), *რჯული ქრისტესი; აღდგომა; წიგნი II; დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი, ქართულნი* (pp. 228-243). თბილისი: ალილო.

ინწკირველი, თ. (2015). რჯული ქრისტესი. In კ. ურუშაძე (Ed.), *რჯული ქრისტესი; აღდგომა; წიგნი II; დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე.* (pp. 353-359). თბილისი: ალილო.

ინწკირველი, თ. (2015). რჯული ქრისტესი. In კ. ურუშაძე (Ed.), *რჯული ქრისტესი; აღდგომა; II; დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე.* (pp. 599-611). თბილისი: ალილო.

ინწკირველი, თ. (2015). რჯული ქრისტესი. In კ. ურუშაძე (Ed.), *რჯული ქრისტესი; აღდგომა; წიგნი II; დასდებელნი წმიდისა აღდგომისნივე* (pp. 576-581). თბილისი: ალილო.

ინწკირველი, თ. (2015ა). რჯული ქრისტესი. In შ. დ. ურუშაძე (Ed.), *აღდგომა; ქრისტეს აღდგომის ადრეული კომპოზიციები; აღდგომის იკონოგრაფიის თავისებურება; ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა; აღდგომის ციკლი.* (Vol. 2 წიგნი, pp. 203-213). თბილისი: გამომცემლობა "ალილო".

ინწკირველი, თ. (2015ბ). *რჯული ქრისტესი;* (Vol. აღდგომა; 2 წიგნი). (შ. დ. ურუშაძე, Ed.) თბილისი: გამომცემლობა "ალილო".

ინწკირველი, თ. (2017). რჯული ქრისტესი. In კ. ურუშაძე (Ed.), *რჯული ქრისტესი; ნათლისღება; წიგნი II; ამასვე დღესა ნათლითა შემოსილსა დასდებელნი ნათლის-ღებისანივე* (pp. 119-121). თბილისი: ალილო.

ინწკირველი, თ. (2017ა). რჯული ქრისტესი. In თ. ინწკირველი, & დეკანოზი კახაბერ ურუშაზე (Ed.), *ნათლისღების დღესასწაულის შესახებ* (Vol. 2 წიგნი, p. 402). თბილისი: გამომცემლობა "ალილო".

ინწკირველი, თ. (2017ბ). რჯული ქრისტესი. In შემდგენელი და მთავარი რედაქტორი დეკანოზი კახაბერ ურუშაძე (Ed.), *ნათლისღების დღესასწაულის შესახებ* (Vol. 2 წიგნი, p. 402). თბილისი: გამომცემლობა "ალილო".

ინწკირველი, თ. (2018). რჯული ქრისტესი. In *ფერისცვალება იესო ქრისტესი* (p. 296). თბილისი: გამომცემლობა "ალილო".

ინწკირველი, თ. (2018). რჯული ქრისტესი. In კ. ურუშაძე (Ed.), *რჯული ქრისტესი; ფერისცვალება იესო ქრისტესი; გალობანი ფერისცვალებისანი.* (pp. 160-168). თბილისი: ალილო.

იოანე მინჩხი. (1987). *იოანე მინჩხის პოეზია.* (ლ. ხაჩიძე, & ელ. მეტრეველი, Eds.) თბილისი: „მეცნიერება“.

იურიევიჩი, მ. (თ. გ.). *ძველმართლმადიდებლობა.* (ჟ. ფ. იკონოგრაფიაში, პროდიუსერი) მოპოვებული 2024 წლის 29 08, www.oldorthodox.ge: https://www.oldorthodox.ge/pirjvriscera_jhestebis_phsiqologiuri_simbolizmi_martlmadideblur_iconografiashi.html-დან

კალის წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესია (ლაგურკა). (n.d.). *angi.ge*. Retrieved 9 11, 2025, from angi.ge: https://angi.ge/kalis-wm-kvirikesa-da-ivlitas-eklesia/

კასიანე რომაელი. (2015). წმ. ეპიფანე კვიპრელის დიდი შაბათის ქადაგების საღვტისმეტყველო ანალიზი. (რ. მუჯირიშვილი, Ed.) *გრაგნილი, სამეცნიერო-საეკლესიო კრებული*, pp. 63-106.

კონდაკი. (2016). თბილისი.

კონდაკი. (2016).

კოპლატაძე, გ. (2009). *–გვანცა კოპლატაძე, ქრისტიანული ეკლესიის ისტორია I ს. – XV ს. შუა წლები (დასაბამიდან კონსტანტინეპოლის დაცემამდე).* (გ. რუხაძე, Ed.) თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა.

ლებედევი, ა. (2012). *მსოფლიო საეკლესიო კრებების ისტორია, საეკლესიო ბიბლიოთეკა, XVII.* (ზ. ჯაში, Ed., & თ. ს. რუსულიდან თარგმნა ისტორიის მეცნიერებათა მაგისტრმა, Trans.) თბილისი: საეკლესიო გამომცემლობა "ახალი ივერონი".

მაქსიმე აღმსარებელი. (2018). ცხოვრება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა. (დ. კ. ურუშაძე, Ed.) *რჯული ქრისტესი; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ამაღლება*, pp. 227-231.

მაჩაბელი, კ. (n.d.). *ადრე შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები - საკრალური სივრცის მარკერები.* Retrieved 9 11, 2025, from https://artsmediajournal.tafu.edu.ge/wp-content/uploads/2024/09/N14_artstud_004_Kitty-Machabeli.pdf

მელიქიშვილი, ნ. (2012). *ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან.* (მ. ს. (კალაიჯიშვილი), Ed.) თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

მოციქული იაკობი. (თ. გ.). (გადამწერი - ბერი იოვანე-ზოსიმე, რედაქტორი, ი. პ.-ღ. შობა, & თ. ღ. შობისათჳს., პროდიუსერები) მოპოვებული 2024 წლის 07 07, www.orthodoxy.ge: https://www.orthodoxy.ge/skhva/iakobis-saxareba.htm-დან

მოძღვრება თორმეტი მოციქულისა. (n.d.). *www.orthodoxy.g.* („დიდაქე“, Producer) Retrieved 02 2026, 03, from https://www.orthodoxy.ge/tserili/didaqe.htm

მცირე სჯულისკანონი. (1972). (ე. მ. თარგმანი, Trans.) თბილისი: გიუნაშვილი ე.

მწუხრი ზატიკისანი. (2017). In კ. ურუშაძე (Ed.), *რჯული ქრისტესი; ნათლისღება; წიგნი II.* (pp. 28-42). თბილისი: ალილო.

ნათლისღების ტროპარი. (n.d.). *www.orthodoxy.ge*. Retrieved 9 11, 2025, from https://www.orthodoxy.ge/dgesastsaulebi/natlisgeba.htm: https://www.orthodoxy.ge/dgesastsaulebi/natlisgeba.htm

ნეტარი ავგუსტინე. (2015, 9 5). *ekzeget.ru*. Retrieved from https://ekzeget.ru/bible/bytie/glava-3/stih-21/: https://ekzeget.ru/bible/bytie/glava-3/stih-21/

ნეტარი ავგუსტინე. (n.d.). *ekzeget.ru*. Retrieved 09 04, 2025, from https://ekzeget.ru/bible/psaltir/glava-41/stih-2/: https://ekzeget.ru/bible/psaltir/glava-41/stih-2/

ნეტარი თეოდორიტე. (2010). თქმული მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა თეოდოტი ანკჳრიელ ეპისკოპოსისაჲ, რომელი-ესე თქუა დღესასწაულსა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტეჲს შობისასა. წარიკითხა ესეცა კრებასა ზედა ეფესოჲსასა წინაშე წმიდისა კჳრილესსა. In ნ. მელიქიშვილი (Ed.), *ძველი ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები* (pp. 197-210). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

ნეტარი თეოფილაქტე, ბ. (2009). *მათეს სახარების განმარტება.* (ნ. ბულია, Ed., & ვ. მურჯიკნელი, Trans.) თბილისი: დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით.

ნეტარი თეოფილაქტე, ბ. (2009). *მათეს სახარების განმარტება, თბილისი, 2009. .* თბილისი.

ნეტარი იერონიმე. (2025, 4). *ekzeget.ru*. Retrieved from https://ekzeget.ru/bible/psaltir/glava-41/stih-2/: https://ekzeget.ru/bible/psaltir/glava-41/stih-2/

ორჟონია. (2017, 6 23). *http://library.church.ge/*. (ო. ირაკლი, Editor, & ძ. ა. საიდუმლო, Producer) Retrieved 05 17, 2015, from http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=730%3A2017-06-23-09-24-04&catid=49%3A2010-12-12-19-59-31&Itemid=69&lang=ka

ორჟონია. (2017). კულტურის წარმომავლობისა და დანიშნულების შესახებ. (თ. ბუაძე, Ed.) *გული გონიერი*, 74-92.

ორჟონია. (2022). *წინასწარმეტყველი იონა (იონას წიგნის ეგზეგეტიკა).* (გ. ჯულაყიძე, Ed.) თბილისი.

ორჟონია, ი. (2014). წინასწარმეტყველი იონა. (ნ. მელიქიშვილი, Ed.) *საეკლესიო-სამეცნიერო კრებული „გრაგნილი“ II.*

ორჟონია, ი. (2016). საეკლესიო ეგზეგეზისი წმინდა წერილის სიტყვებისა: ,,არა იხილოს კაცმან პირი ჩემი და ცხონდეს" (გამოს. 33.20). *საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები*, p. 24.

ორჟონია, ი. (2021). პედაგოგის კონსპექტი. თბილისი.

პარაკლისების კრებული. (2021). *პარაკლისების კრებული.* (თ. გოგოჩაშვილი, Ed.) თბილისი: საქართველოს საპატრიარქო, ალილო.

ჟამნი. (2017). თბილისი.

სადღესასწაულოჲ რომელს არს გამორჩეული თუჱნი . (2013). In *თთუესა აგვსტოსა, დღესა ვ. წმიდაჲ ფერისცვალებაჲ უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსი* (pp. 390-404). თბილისი: ალილო.

სხუანი გალობანი ამისვე დღესასწაულისანი. (2018). In *რჯული ქრისტესი; ფერისცვალება იესო ქრისტესი.* (pp. 183-190). თბილისი: ალილო.

სხულუხია, ნ. (2018). მღვდელი ნიკოლოზ სხულუხია, ხატმებრძოლეობის ერესი და წმიდა იოანე დამასკელის სამი აპოლოგეტური სიტყვა ხატთაყვანისცემის დასაცავად. *(ნაშრომი შესრულებულია ღვთისმეტყველების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად).* თბილისი.

ტრიოდიონი. (1901). წმიდასა და დიდსა პარასკევსა. In *ტრიოდიონი, რომელ არს სამსაგალობელი;.* თბილისი: სტამბა ექვთიმე ხელაძისა.

ტრიოდიონი მარხვანი. (1901). *საღვთისმსახური წიგნი.* თბილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა.

უდაბნოს მრავალთავი. (1994). შესხმისათვის ყრმათაჲსა; ქრისტჱს ჯუარისათჳს და მორწმუნისა მის ავაზაკისთჳს; დღისა მისთვის რომელი იცვალა ხატი მაცხოვარმან; მთისათჳს თაბორისა და ფერისცვალებისთჳს უფლისა;თხრობაჲ აღვსებისა ზრახჳსათვის; მკუდრეთით ალდგომისათჳს... In ს. გაბალონელი, თ. წ. მთავარ-ეპისკოპოსისაჲ., თ. წ. თავარეპისკოპოსისა., თეოდორე ჰარანელი, წმ. ბასილი კესარიელისა, თქმული წმიდისა მელეტი ეკისაოპოსისაჲ, & ა. შ. მ. შანიძემ და ზ. ჭუმბურძემ (Ed.), *უდაბნოს მრავალთავი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს: ლ. ბარამიძემ, კ.დანელიამ, რ.ენუქიშვლმა, ი. იმნაიშვილმა, ლ.კიკნაძემ, ed., pp. 157-158; 205-209; 294-296; 296-297; 195-198; 238-250.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

უსპენსკი ლ. (2014). მართლმადიდებლური ხატის ღვთისმეტყველება. *ალავერდი.*

უსპენსკი ლ. (2014). მართლმადიდებლური ხატის ღვთისმეტყველება. *"ალავერდი".*

უცნობი ავტორი. (2010). სხუაჲ შობისავე საკითხავი. In ნ. მელიქიშვილი (Ed.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები I* (pp. 282-294). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

უძველესი იადგარი. (1980). აღვსებასა. In ე. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, & ლ. ხევსურიანი (Eds.), *უძველესი იადგარი* (pp. 216-220). თბილისი: მეცნიერება.

უძველესი იადგარი. (1980). *აღვსებითგან მე-8 ხუთშაბათსა ამაღლებაჲ.* თბილისი: მეცნიერება.

უძველესი იადგარი. (1980). განცხადებაჲ. In *უძველესი იადგარი* (pp. 37-57). თბილისი: მეცნიერება.

უძველესი იადგარი. (1980). განცხადებაჲ. In ე. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, & ლ. ხევსურიანი (Eds.), *უძველესი იადგარი* (pp. 37-57). თბილისი: მეცნიერება.

უძველესი იადგარი. (1980). განცხადებაჲ; მწუხრისა ჟამსა თქუან. In ე. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, & ლ. ხევსურიანი (Eds.), *უძველესი იადგარი* (pp. 37-57). თბილისი: მეცნიერება.

უძველესი იადგარი. (1980). დასადებელნი აღგომისანი ⲩ ⲁ ⲃ. In ე. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, & ლ. ხევსურიანი (Eds.), *უძველესი იადგარი* (pp. 383-400). თბილისი: მეცნიერება.

უძველესი იადგარი. (1980). დასდებელნი ადგომისანი ⲩ ⲁ ⲁ. In ე. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, & ლ. ხევსურიანი (Eds.), *უძველესი იადგარი* (pp. 367-383). თბილისი: მეცნიერება.

უძველესი იადგარი. (1980). თთუესა ავგუსტოსა 3-სა ფერისცვალებაჲ. In ე. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, & ლ. ხევსურიანი (Eds.), *უძველესი იადგარი* (pp. 260-266). თბილისი: მეცნიერება.

უძველესი იადგარი. (1980). თთუესა დეკენბერსა კე შობაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტ̃სი. In მეტრეველი ელ., ჭანკიევი ც., & ხევსურიანი ლ. (Eds.), *უძველესი იადგარი* (pp. 11-22). თბილისი.

უძველესი იადგარი. (1980). თთუესა იდ სეკდემბერსა ⲯუართ აპყრობაჲ. In ე. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, & ლ. ხევსურიანი (Eds.), *უძველესი იადგარი* (pp. 298-314). თბილისი: მეცნიერება.

უძველესი იადგარი. (1980). წარდგომანი და იბაკონი ადგომისანი. In ე. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, & ლ. ხევსურიანი (Eds.), *უძველესი იადგარი* (pp. 354-359). თბილისი: მეცნიერება.

უძველესი იადგარი. (1980). წარდგომანი და იბაკონი ადგომისანი. In ე. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, & ლ. ხევსურიანი (Eds.), *უძველესი იადგარი* (pp. 354-359). თბილისი: მეცნიერება.

ღირსი ეფრემი, ა. (2014). *მოსეს ხუთწიგნეულის განმრტება.* (რ.-რ. თ.-ა. გვასალია, Ed.) თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა.

ჩიხლაძე, ნ. (n.d.). *სვეტიცხოველი.* თბილისი: გიორგი შარაშიძე.

ჩხარტიშვილი, ლ. (2010, 04 01). *კარიბჭე.* Retrieved 08 20, 2024, from karibche.ge: http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/qristianuli-khelovneba/5514-saidumlo-seroba-qristianul-mkhatvrobashi.html

წილკნელი ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი). (თ. გ.). *საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.* (მ. დ. მასალების შემკრები, რედაქტორი, & მ. ს. მიხედვით, პროდიუსერი) მოპოვებული 2024 წლის 07 05, www.orthodoxy.ge: https://www.orthodoxy.ge/tserili/zosime/2_1-12.htm-დან

წმ ივლიანე. (2020). თქმული ივლიანწ̃, ეპისკოპოსისაჲ ტაბია ქალაქისაჲ, ნათლისღებისათჳს ქრისტწ̃ს, ძისა ღმრთისა, უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტწ̃ს, ძისა ღმრთისა, უფლისა ცუენისა იესუ ქრისტწ̃სა, იოვანწ̃ს მიერ. In მ. რაფავა, & ნ. მელიქიშვილი (Eds.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები; IV.* (pp. 206-220). თბილისი: სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. ათანასე ალექსანდრიელი. (2010). თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ათანასი მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისაჲ ვითარ კაც იქმნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და რამეთუ ღმრთისმშობელი - წმიდაჲ ქალწული მარიამ და რომელი-იგი იშვა მისგან, ღმერთი და იგივე კაცი. In ნ. მელიქიშვილი (Ed.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები I* (pp. 43-50). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. ალექსანდრე კვიპრელი. (1978). *ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა (X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით).* (გ. კ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, Ed.) თბილისი: მეცნიერება.

წმ. ანდრია კესარია-კაბადოკიელი. (1961). *თარგმანებაჲ გამოცხადებისაჲ, ახალი აღთქუმაჲ.* ტფილისი: . გამოცემული ბრიტანიისა და უცხოქჳყანათ ღუთის-მეტყჳლების საზოგადოებისაგან.

წმ. ბასილი დიდი. (2010). თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარია-კაბადუკიელისა შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეჲსსა წმიდისაგან ქალწულისა ღმრთისმშობელისა. In ნ. მელიქიშვილი (Ed.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები I* (pp. 51-63). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. ბასილი კესარიელი. (1994). თქუმული წმიდისა ბასილი მთავარეპისპოსისაჲ კესარია კაბადუკიელისა ამისთჳს: „მამაო, უკუეთუ ჯერ არს, თანა-წარმჴედინ სასუმელი ესე". In ა. შანიძე, & ზ. ჭუმბურიძე (Eds.), *უდაბნოს მრავალთავი* (pp. 195-198). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიეტეტი.

წმ. ბასილი სელევკიელი. (2010). *სიტყვა ჩვილთათვის ბეთლემს მოწყუედილთა.* (წ. დ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, Ed.) თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელი. (2008). *წმინდა გერმანე კონსტანტინეპოლის უცნობი ქადაგება, სიტყუაჲ ჯუარისათჳს და წმიდათა ხატთა, ჴელთქმნულთა და ჴელითუქმნელთათჳს, მწვალებელთა მათ მიმართ, რომელნი ჯუარსა ხოლო თაყუანის სცემენ და ხატთა არა,.* (ფ. მ. ღლონტი, Ed.) თბილისი: ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო იოსებ გელუკაშვილმა.

წმ. გიორგი მთაწმინდელი. (2007). *გიორგი მთაწმინდელი თვენი (სექტემბერი).* (გ. ს. გამოსცა, Ed.) თბილისი: "ნათლისმცემელი".

წმ. გიორგი ხუცესმონაზონი. (1967). ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ. In ნ. ა. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ (Ed.), *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,.* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია,.

წმ. გრიგოლ ნაზიანზელი. (2010). საკითხავი, თქუმული წმიდისა გრიგოლი ანძიანძორეველისა ეპისკოპოსისაჲ შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა. In *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები* (pp. 66-75). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. გრიგოლ ნეოკესარიელი. (n.d.). *Екзегеть Библия и Толкования*. Retrieved 06 12, 2024, from ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-3/tolkovatel-grigorij-neokesarijskij-svatitel/

წმ. გრიგოლ ნოსელი. (2010). წმიდისა გრიგოლ ნოსელ ეპისკოპოსისაჲ სიტყუაჲ შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსსა და ჩჩჳლთათჳს, ბეთლემს მოწყუედილთა. In ნ. მელიქიშვილი (Ed.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები* (pp. 126-142). თბილისი: თბილისის სასულიერო სემინარია და აკადემია.

წმ. გრიგოლ ნოსელი. (2010). წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისაჲ საკითხავი, თქმული შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა, რომელსა შინა მოიჴსენებს რაქელს და ჩჩჳლთა მათ წმიდათა, რომელნი მოსრნა უღმრთომან ჰეროდე. In *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები* (pp. 109-125). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. გრიგოლ ნოსელი. (2011). განმარტებათა კრებული, „ნუ შემომეხები მე, რამეთუ არღა აღვსრულვარ მამისა ჩემისა“ (იოანე, 20.17). (ე. ჭელიძე, Ed.) *„გული გონიერი“*.

წმ. გრიგოლ ნოსელი. (2011). მაცხოვრის შობისა და ბეთლემში ამოწყვეტილ ჩვილთა შესახებ. (ე. ჭელიძე, Ed.) *გული გონიერი*.

წმ. გრიგოლ ნოსელი. (2011). მოსეს ცხოვრება. (ე. ჭელიძე, Ed.) *რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალიგული გონიერი*, 47-62.

წმ. გრიგოლ ნოსელი. (n.d.). *ekzeget.ru*. Retrieved 9 4, 2025, from https://ekzeget.ru/bible/psaltir/glava-41/stih-2/: https://ekzeget.ru/bible/psaltir/glava-41/stih-2/

წმ. გრიგოლ ნოსელი. (n.d.). *PG. t. 46; col. 553-576.*

წმ. გრიგოლ პალამა. (n.d.). PG, 151, 1865, col. 428, D 14 – 429, A 3.

წმ. გრიგოლ პალამა. (თ. გ.). PG, 151, 1865, col. 429, D 4-6.

წმ. გრიგოლ პალამა. (n.d.). PG, 151, 1865, col. 433, A 1-15 – B 1-2].

წმ. გრიგოლ პალამა. (n.d.). PG, 151, 1865, col. 433, A 5-8.

წმ. დიონისე არეოპაგელი. (2010, 3 11). (მ. დ. შესახებ, Producer) Retrieved 6 2, 23, from http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=161:2010-03-11-13-57-50&Itemid=&lang=ka

წმ. ევსები ალექსანდრიელი. (2010). თქუმული ევსები ეპისკოპოსისაჲ ალექსანდრიელისაჲ შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეჲსა. In *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები* (pp. 211-215). თბილისი: სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. ევსები ალექსანდრიელი. (2020). თქმული წმიდისა ევსები მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. In მ. რაფავა, & ნ. მელიქიშვილი (Eds.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები; IV.* (pp. 175-185). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. ევსები ალექსანდრიელი. (2020). საკითხავი, თქუმული ევსები მთავარეპისკოპოსისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა. In მ. რაფავა, & ნ. მელიქიშვილი (Eds.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები* (pp. 186-205). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. ევსები ალექსანდრიელი. (2020). სიტყუაჲ წმიდისათჳს ნათლისღებისა მაცხოვრისა ჩუენისა; , ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა; ნათლისღებისათჳს; ამასვე დღესა პროკლე კოსტანტინეპოლელ პატრიარქისა;სიტყუაჲ განცხადებისათჳს იესუ ქრისტესა; ნათლისღებისათვის; ნათლისღებისათვის; ნათლისღებისათვი. In წ. დ. პატრიარქისაჲ, კ. მ. თქმული წმიდისა პროკლე, თ. წ. ოქროპირისაჲ, პ. კ. პატრიარქისა, თ. წ.

მთავარეპისკოპოსისა, ს. მ. ოქროპირის), . . . თქმული ევსები მთავარეპისკოპოსისა, & მ. რაფავა (Ed.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები, ტ. IV, ნაწ. I, ნათლისღების ჰომილიების ძველი ქართული თარგმანები; თქმული წმიდისა პროკლე, კოსტანტინეპოლელი მთავარეპისკოპოსისაჲ, ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა;* (Vol. 2 ნაწილი, pp. 221-249; 146-157; 126-138; 158-164; 175-185; 139-145; 31-40; 89-98; 206-220; 41-52; 99-107; 186-205.). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა.

წმ. ეფრემ ასური. (1966). ფერისცვალებისათჳს იესუ ქრისტ©ს უფლისა ჩუენისა მთასა ზედა თაბორსა. In ი. იმნაიშვილი, & ა. ყანიძე (Eds.), *საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში; II* (pp. 11-19). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტი.

წმ. ეფრემი, ა. (n.d.). *საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.* (წილკნელი ეპისკოპოსი ზოსიმე, Editor) Retrieved 08 18, 2024, from www.orthodoxy.ge: https://www.orthodoxy.ge/tserili/zosime/17_1-9.htm

წმ. თეოდორე სტუდიელი. (2018). *სჯნაქსარი აღმაღლებისა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტ©სი.* (კ. ურუშაძე, Ed.) თბილისი: ალილო.

წმ. თეოდორე ჰარანელი. (1991). რაჟამს ფერი იცვალა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან მთასა წმიდასა თაბორს; საკითხავი საიდუმლოთაგანი ტალავრობისათჳს, ოდეს მთასა თაბორსა ფერი იცვალა; მთისათჳს თაბორისა და ფერისცვალებისათჳს უფლისა და ორთა ბუნებათათჳს. In თ. ი. საკითხავი, იოვანე ეპისკოპოსისა, საკითხავი, თეოდორე ჰარანელ ეპისკოპოსისაჲ , & ტ. რ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა (Ed.), *კლარჯული მრავალთავი* (pp. 395-399; 399-405; 406-409.). თბილისი: "მეცნიერება".

წმ. თეოდორე ჰარანელი. (1991). საკითხავი, თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე ჰარანელ ეპისკოპოსისა მთისათჳს თაბორისა და ფერისცვალებისათჳს უფლისა და ორთა ბუნებათათჳს . In თ. მგალობლიშვილი, & ე. მეტრეველი (Eds.), *კლარჯული მრავალთავი* (pp. 406-409). თბილისი: მეცნიერება.

წმ. თეოდორე ჰარანელი. (1994). თეოდორე ჰარანელი მთისათჳს თაბორისა და ფერისცვალებისათჳს უფლისა. In ა. შანიძე, & ზურაბ ჭუმბურიძე (Eds.), *უდაბნოს მრავალტავი* (pp. 296-297). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

წმ. იოანე დამასკელი. (2010). უწყებათაგან პირველთა დიდითა გამოწულილვით შეკრებული ნეტარისა იოანე ხუცისა და მონაზონისა დამასკელისაჲ საკითხავი ყოვლადქებულისა შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეჲსსა. In *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები* (pp. 247-263). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. იოანე დამასკელი. (2010). წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ სიტყუაჲ ღმრთისმეტყუელებისათჳს და შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეჲსსა. In *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები* (pp. 264-281). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. იოანე დამასკელი. (2013). ღირსისა მამისა ჩუენისა იოვანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა, ღმრთივ-მიცემულისა მიერ მისდა მადლისა ოქრო-ნექტარ წოდებულისა სიტყუჲ სიტყჳს-საგებელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმიდათა ხატთა. *საქართველოს ეკლესიის კალენდარი.*

წმ. იოანე დამასკელი. (2019). *მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა.* თბილისი.

წმ. იოანე თესალონიკელი. (2010). იოვანე მთავარეპისკოპოსისა თესალონიკელისაჲ სიტყუაჲ განკაცებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეჲსსა და ხარებისათჳს ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა. In წმ. იოანე თესალონიკელი, & ნ. მელიქიშვილი (Ed.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები* (pp. 243-246). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. იოანე მინჩხი. (1987). აღდგომის საგალობლები. In ინგორიყვა (Ed.), *იოანე მინჩხის პოეზია* (pp. 285-291). თბილისი: მეცნიერება.

წმ. იოანე მინჩხი. (2017). გალობანი წინა დღისანი. In *რჯული ქრისტესი, ნათლისღება, წიგნი II.* (p. 165169). თბილისი: ალილო.

წმ. იოანე მტბევარი. (2017). დასდებელნი, თქმულნი ღმერთშემოსილისა იოვანე მტბევარ ეპისკოპოსისანი. In *რჯული ქრისტესი, ნათლისღება, წიგნი II.* (pp. 51-64). თბილისი: ალილო.

წმ. იოანე ოქროპირი. (1959). საკითხავნი ხარებისანი. In ა. შანიძე (Ed.), *სინური მრავალთავი 864 წლისა* (pp. 3-16;). თბილისი: სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი.

წმ. იოანე ოქროპირი. (1991). საკითხავი საიდუმლოთაგანი ტალავრობისათჳს, ოდეს მთასა თაბორსა ფერი იცვალა. In თ. მგალობლიშვილი , & ე. მეტრეველი (Eds.), *კლარჯული მრავალთავი* (pp. 399-405). თბილისი: მეცნიერება.

წმ. იოანე ოქროპირი. (1991). საკითხავი, თქუმული იოვანე ეპისკოპოსისაჲ, რაჟამს ფერი იცვალა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან მთასა წმიდასა თაბორს . In თ. მგალობლიშვილი, & ე. მეტრეველი (Eds.), *კლარჯული მრავალთავი* (pp. 395-399). თბილისი: მეცნიერება.

წმ. იოანე ოქროპირი. (1993ა). *განმარტება იოანეს სახარებისა* (Vol. 2 ნაწილი). (თ. წ. მთაწმინდელისა, Trans.) თბილისი.

წმ. იოანე ოქროპირი. (1993ბ). *განმარტება იოანეს სახარებისა* (Vol. 2 ნაწილი). (ზ. ს. მზექალა შანიძე, Ed., & თ. წ. მთაწმინდელისა, Trans.) თბილისი.

წმ. იოანე ოქროპირი. (1994). თქმული წმიდისა იოვანე მთავარეპისკოპოსისაჲ კოსტანტინეპოლელისაჲ დღისა მისთჳს, რომელსა იცვალა ხატი მაცხოვარმან მთასა წმიდასა თაბორსა. In ა. შანიძე, & ზ. ჭუმბურიძე (Eds.), *უდაბნოს მრავალთავი* (pp. 294-296). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

წმ. იოანე ოქროპირი. (1994). *უდაბნოს მრავალთავი; საკითხავნი წმიდისა ამაღლებისანი.* (ა. შ. რედაქციით, Ed.) თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

წმ. იოანე ოქროპირი. (1994). *უდაბნოს მრავალთავი;მეორჱ თქუმული ოროპირისაჲ, დღისათჳს ამაღლებისა უფლისა ჩუენისა.* (ა. შ. რედაქციით, Ed.) თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

წმ. იოანე ოქროპირი. (2010). თუესა დეკემბერსა კ. წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა სიტყუა შობისათჳს უფლისა და რაჲთა კრძალულებით ვეზიარებოდეთ წმიდათა საიდუმლოთა მისთა, რომელიცა იკითხების წინა დღედ ქრისტეს შობისა. In *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები I* (pp. 181-185). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. იოანე ოქროპირი. (2010). თქუმული წმიდისა იოვანჱ ოქროპირისაჲ, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ, შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეჲსა. In ნ. მელიქიშვილი (Ed.). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. იოანე ოქროპირი. (2014). *თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ* (Vol. I). (მ. შანიძე, Ed., & წ. ე. მთაწმინდელი, Trans.) თბილისი: ბეთანია.

წმ. იოანე ოქროპირი. (2014ა). *თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ* (ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით მოამზადეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ლაბორატორია ,,ორიონის" თანამშრომლებმა: მერაბ ბაბუხადიამ, ლალი ბასილაიამ, ნინო დობორჯგინიძემ, დარეჯან თვალთვაძემ, თინათინ კარსანაძემ, მანანა მაჩხანელმა და სხვებმა. ed.). (მ. შანიძე, Ed., & თ. წ. მთაწმინდელისა, Trans.) თბილისი: გამომცემლობა ,,ბეთანია".

წმ. იოანე ოქროპირი. (2014ბ). *თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ* (ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით მოამზადეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ლაბორატორია ,,ორიონის" თანამშრომლებმა: მერაბ ბაბუხადიამ, ლალი ბასილაიამ, ნინო დობორჯგინიძემ, დარეჯან თვალთვაძემ, თინათინ კარსანაძემ, მანანა მაჩხანელმა და სხვებმა ed.). (მ. შანიძე, Ed., & თ. წ. მთაწმინდელისა, Trans.) თბილისი: გამომცემლობა "ბეთანია".

წმ. იოანე ოქროპირი. (2015). *ჰომილიები, შესაქმის განმარტება, ნაწილი პირველი.* (თ. გოგოჩაშვილი, Ed.) თბილისი: გამომცემლობა "ალილო".

წმ. იოანე ოქროპირი. (2020). თქმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა. In მ. რაფავა, & ნ. მელიქიშვილი (Eds.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები; IV.* (pp. 126-138). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. იოანე ოქროპირი. (2020). საკითხავი, თქუმული მისივე, წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ, ღმრთის გამოცხდებისთჳს. In მ. რაფავა , & ნ. მელიქიშვილი (Eds.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები; IV* (pp. 139-145). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. იოანე ოქროპირი. (2020). საკითხავი, წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ, ღმრთის გამოცხადებისათჳს. In მ. რაფავა, & მ. მელიქიშვილი (Eds.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები* (pp. 139-145). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. იოანე ოქროპირი. (2020). საკითხავნი განცხადებისანი, თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მთავარეპისკოპოსისა კოსტანტინეპოლელისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა

ჩუენისა იესუ ქრისტჱსა იოვანესგან იორდანესა მდინარესა. In მ. რაფავა, & ნ. მელიქიშვილი (Eds.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები, IV.* (pp. 89-98). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. იოანე ოქროპირი. (2020). საკითხავნი წმიდისა განცხადებისანი თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე მთავარეპისკოპოსისაჲ კოსტანტინეპოლელისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱს. In მ. რაფავა, & ნ. მელიქიშვილი (Eds.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები; IV.* (pp. 99-107). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. იოანე ოქროპირი. (2025, 4 9). *ekzeget.ru*. Retrieved from https://ekzeget.ru/bible/psaltir/glava-41/stih-2/: https://ekzeget.ru/bible/psaltir/glava-41/stih-2/

წმ. იოანე ოქროპირი. (n.d.). *აპოკალიფსისი*. Retrieved 05 07, 2024, from www.apocalypse.ge: https://www.apocalypse.ge/ganmartebani_wminda_ioane_oqropiris_sityva_yovladwminda_gvtismshoblis_midzinebaze.html

წმ. იოანე ოქროპირი;. (1994). თქმული წმიდისა იოვანე მთავარ-ეპისკოპოსისაჲ კოსტანტინეპოლელისაჲ ქრისტჱს ჯვრისათჳს და მორწმუნისა მის ავაზაკისათჳს. In ა. შანიძე, & ზ. ჭუმბურიძე (Eds.), *უდაბნოს მრავალთავი* (pp. 205-209). თბილისი: ივანე ჯავახისვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

წმ. იოანე ტაბიელი. (1918). კიმენი I. In წმ. იოანე ტაბიელი, & კ. კეკელიძე (Ed.), *ნათლისღებისათჳს ქრისტეს ძისა ღმრთისა უფლისა ჩუენისა იოვანეს მიერ თქმული ივლიანე ეპისკოპოსისაჲ ტაბია ქალაქისაჲ* (pp. 10-15). თბილისი: რუსეთის სამეცნიერო აკადემია.

წმ. კირილე ალექსანდრიელი. (2004). *კირილე ალექსანდრიელი, ქადაგება ფერისცვალების დღესასწაულზე* (ლუკა ხუნდაძე ed.). (ტექსტირედ. ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, Ed.) თბილისი.

წმ. კირილე ალექსანდრიელი. (2010 წლის 28 11). *საეკლესიო ბიბლიოთეკა*. მოპოვებული 2024 წლის 22 6, library.church.ge: http://library.church.ge/index.php?option=com_content&id=249-დან

წმ. კირილე ალექსანდრიელი. (2020). თქმული კჳრილჱსი ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა. In მ. რაფავა, & ნ. მელიქიშვილი (Eds.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები* (pp. 41-52). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. კირილე იერუსალიმელი. (2015). *კატეხიზმური და მისტაგოგიური ჰომილიები,*. (ი. ორჟონია, Ed., & წ. დ. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, Trans.) თბილისი.

წმ. მაქსიმე აღმსარებელი. (2015). აღდგომისათჳს. In კ. ურუშაძე (Ed.), *რჯული ქრისტესი; აღდგომა; წიგნი I.* (pp. 394-398). თბილისი: ალილო.

წმ. მაქსიმე, ა. (2020). თანაგამოძიება წმინდა მაქსიმესი პიროსთან ერთად, შრომები. *საღვთისმეტყველო შრომები.*

წმ. მელეტი. (1994). თქმული წმიდისა მელეტი ეპისკოპოსისაჲ მკუდრეთით აღდგომისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა. In ა. შანიძე , & ზ. ჭუმბურიძე (Eds.), *უდაბნოს მრავალთავი* (pp. 238-250). თბილისი.

წმ. მელეტი ეპისკოპოსი. (1994). *უდაბნოს მრავალთავი; თქუმული წმიდისა მელეტი ეპისკოპოსისაჲ მკუდრეთით აღდგომისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა.* თბილისი: აკაკი შანიძე; ზურაბ ჭუმბურიძე. .

წმ. მიქაელ მოდრეკილი. (1978). *მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები; წიგნი II.* (Vol. 3). (ვ. გვახარია, შ. ამირანაშვილი, & შ. ამირანაშვილი, Eds.) თბილისი: საბჭოთა საქართველო.

წმ. ნინო. (2020). საკითხავი, თქმული წმიდისა დედისა ჩუენისა ნინოჲსი ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა. In მ. რაფავა, & ნ. მელიქიშვილი (Eds.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები; IV.* (pp. 31-40). თბილისი.

წმ. პეტრე იერუსალიმელი . (2010). თქმული წმიდისა და ნეტარისა პეტრე მთავარეპისკოპოსისა იერუსალჳმელისაჲ შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა. In *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები* (pp. 232-242). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. პეტრე იერუსალიმელი. (1982). თქმული წმიდისა და ნეტარისა პეტრე მთვარ-ეპისკოპოსისა იერუსალჳმელისაჲ, შობისათჳს უფლისა ჩუენისა ქრისტჳსა. In ე. მ. ქურციკიძე., & ი. აბულაძე (Eds.), *შრომები III* (pp. 307-316). თბილისი: მეცნიერება.

წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელი. (2020). ამასვე დღესა, თქუმული წმიდათა შორის მამისა ჩუენისა პროკლე კოსტანტინეპოლელ პატრიარქისა ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. In მ. რაფავა, & ნ. მელიქიშვილი (Eds.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიური ძეგლები; IV* (pp. 165-174). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელი. (2020). ამასვე დღესა, წმიდათა შორის მამისა ჩუენისა პროკლე კოსტანტინეპოლელ პატრიარქისაჲ სიტყუაჲ განცხადებისათჳს უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. In მ. რაფავა, & ნ. მელიქიშვილი (Eds.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები; IV.* (pp. 158-164). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელი. (2020). ამასვე დღესა, წმიდათა შორის მამისა ჩუენისა პროკლე კოსტანტინეპოლელ პატრიარქისაჲ სიტყუაჲ განცხადებისათჳს უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. In მ. რაფავა, & ნ. მელიქიშვილი (Eds.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები; IV* (pp. 158-164). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელი. (2020). თქუმული წმიდისა პროკლე, კოსტანტინეპოვლელ მთავარეპისკოპოსისაჲ, ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. In მ. რაფავა, & ნ. მელიქიშვილი (Eds.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ზეგლები* (pp. 146-157). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმ. სოფრონ იერუსალიმელი. (2020). წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სოფრონ იერუსალიმელ პატრიარქისაჲ სიტყუაჲ წმიდისათჳს ნათლისღებისა მაცხოვრისა ჩუენისა. In მ. რაფავა, & ნ. მელიქიშვილი (Eds.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები, IV.* (pp. 221-249). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

წმიდა გრიგოლ პალამა . (2010, 06 29). *საეკლესიო ბიბლიოთეკა.* (X. ჰომილია, Producer) Retrieved 07 19, 2024, from library.church.ge: http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=219%3A-xxxiv-&catid=39%3A2009-12-29-11-32-35&Itemid=54&lang=ka

წმიდა იპოლიტე რომაელი, & წმიდა ბასილი კესარიელი. (1979). იპოლიტეს განმარტებაი კურთხევათა მათთვის მოსესთა ათორმეტთა მიმართ ნათესავთა;მხეცთათჳს სახისა სიტყუაჲ წიგნთაგან;. In ი. გ. ნათესავთა, თქუმული წმიდისა ბასილი ეპისკოპოსისა კესარიელისაჲ, მ. შანიძე, გამოსაცემად მოამზადა ბ. გიგინეიშვილმა, & გამოსაცემად მოამზადა ელ. გიუნაშვილმა (Eds.), *მატბერდის კრებული* (pp. 202- 221; 175-190.). თბილისი: გამომცემლობა "მეცნიერება".

წმიდა მაქსიმე აღმსარებელი. (2014ა). შობა იესუ ქრისტესი. In თ. ინწკირველი, & შ. დ. ურუშაძე (Ed.), *რჯული ქრისტესი, ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი* (Vol. 2, p. 400). თბილისი: ალილო.

წმინდა ეგნატე. (1988). მერვე ეპისტოლე წმიდისა ეგნატესი პოლიკარპეს მიმართ, სმირნელ ეპისკოპოსისა. *საქართველოს ეკლესიის კალენდარი*, p. 591.

წმინდა თეოფილაქტე ბულგარელი. (2011, 11 18). *საეკლესიო ბიბლიოთეკა.* Retrieved 5 11, 2023, from library.church.ge: http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=462

წმინდა მთავარეპისკოპოსი იოანე. (1982). შობისათჳს მაცხოვრისა და შობისათჳს იოვანწ̈ისა. (ი. აბულაძე, Ed.) *შრომები.*

ჭაბუკიანი, დ. (თ. გ.). *საქართველოს ძეგლები.* მოპოვებული 2024 წლის 23 08, www.dzeglebi.ge: https://www.dzeglebi.ge/statiebi/xelovneba/udzvelesi_gardamoxsna.html-დან

ჭელიძე . (2020). *მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება წმინდა ხატთა თაყვანისცემის შესახებ.* თბილისი.

ჭელიძე. (2010, 11 22). *საეკლესიო ბიბლიოთეკა.* (მ. კ. ეკლესიის მამათა სწავლება მაცხოვრის კაცობრივი ბუნების, Producer) Retrieved 08 18, 2024, from library.church.ge: http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=242%3A2010-12-22-10-12-28&catid=49%3A2010-12-12-19-59-31&Itemid=69&lang=ka

ჭელიძე. (2012). მართლმადიდებელი ეკლესია და ეროვნულობა. (ე. ჭელიძე, Ed.) *გული გონიერი*, pp. 5-93. Retrieved from library.church.ge.

ჭელიძე. (2012). მართლმადიდებელი ეკლესია და ეროვნულობა N 1 (4). *ჟურნალი „გული გონიერი“.*

ჭელიძე. (2012, 04 04). *საეკლესიო ბიბლიოთეკა.* Retrieved 08 15, 2024, from library.church.ge: http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=511%3A2012-04-04-15-13-13&catid=49%3A2010-12-12-19-59-31&Itemid=69&lang=ka

ჭელიძე. (2012, 11 24). *საეკლესიო ბიბლიოთეკა.* Retrieved 08 22, 2024, from library.church.ge: http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=525:2012-11-24-17-32-54&catid=49:2010-12-12-19-59-31&Itemid=69&lang=ka

ჭელიძე. (2012ბ). *სული ცხოველი; ედიშერ ჭელიძე.* თბილისი.

ჭელიძე. (2016). *საეკლესიო დოგმატიკა და ერესები, I,* (Vol. 1). თბილისი.

ჭელიძე. (2020). *ზიარების საიდუმლოს შესახებ.* (ა. ჭუმბურიძე, Ed.) თბილისი.

ჭელიძე ედიშერ. (2010, 12 14). *http://library.church.ge/.* Retrieved 03 11, 2026, from http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=232&catid=49&Itemid=69&lang=ka

ჭელიძე, ე. (2012). მართლმადიდებელი ეკლესია და ეროვნულობა. *"გული გონიერი"*, 5-93.

ჭელიძე, ე. (Ed.). (2015). *ბიბლია.* თბილისი: ედიშერ ჭელიძე.

ჭელიძე, ე. (2022). *ადამიანის უკვდავი სული,.* თბილისი.

ხაჩიძე, ა. (2010). *მართლმადიდებლური ეკლესიის საიდუმლოებანი.* (რ. თ. ხაჩიძემ, Trans.) თბილისი: მღვდელი თეიმურაზ თათარაშვილი.

ჯუანშერი. (1955). ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. In *ქართლის ცხოვრება.* თბილისი: ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა.

Ferrua, a. (1991). *THE UNKNOWN CATACOMB,.* United Kingdom: Geddes and Grosset.

Fr. Ayman , K. (2024, 6 22). *https://antiochianprodsa.blob.core.windows.net/websiteattachments/Nativity%20Icon%20-%20FR%20Kfouf.pdf.* (I. O. EXPLAINED, Producer) Retrieved from https://antiochianprodsa.blob.core.windows.net/websiteattachments/Nativity%20Icon%20-%20FR%20Kfouf.pdf

http://karthuliminiaturebi.blogspot.com/2015/12/12_26.html. (2024, 7 28). Retrieved from karthuliminiaturebi.blogspot.com.

http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=219%3A-xxxiv-&catid=39%3A2009-12-29-11-32-35&Itemid=54&lang=ka. (2024, 23 08). Retrieved from library.church.ge.

http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=242%3A2010-12-22-10-12-28&catid=49%3A2010-12-12-19-59-31&Itemid=69&lang=ka. (2024, 07 21). Retrieved from library.church.ge.

http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=242%3A2010-12-22-10-12-28&catid=49%3A2010-12-12-19-59-31&Itemid=69&lang=ka. (2024, 07 22). Retrieved from ibrary.church.ge.

http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=511%3A2012-04-04-15-13-13&catid=49%3A2010-12-12-19-59-31&Itemid=69&lang=ka. (2024, 06 19). Retrieved from library.church.ge.

http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=525:2012-11-24-17-32-54&catid=49:2010-12-12-19-59-31&Itemid=69&lang=ka. (2024, 07 22). Retrieved from library.church.ge.

http://linguaeterna.com/vocabula/list.php?letter=T. (2024, 07 18). Retrieved from linguaeterna.com.

http://www.dzeglebi.ge/statiebi/xelovneba/udzvelesi_gardamoxsna.html. (2024, 07 24). Retrieved from www.dzeglebi.ge.

http://www.library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=219%3A-xxxiv-&catid=39%3A2009-12-29-11-32-35&Itemid=54&lang=ka. (2024, 06 19). Retrieved from library.church.ge.

https://artway.eu/content.php?id=1003&lang=en&action=show. (2024, 06 12). Retrieved from artway.eu.

https://azbyka.ru/otechnik/Nikolaj_Pokrovskij/evan. (2024, 06 12). *azbyka.ru*.

https://azbyka.ru/otechnik/Nikolaj_Pokrovskij/evangelie-v-pamjatnikah-ikonografii-preimushestvenno-vizantijskih-i-russkih/2_1. (2024, 06 16). Retrieved from azbyka.ru.

https://azbyka.ru/otechnik/Pravoslavnoe_Bogosluzhe. (n.d.). *azbuka.ru*.

https://catalogueofstelisabethconvent.blogspot.com/2017/04/last-supper-mystical-supper-or-secret.html. (2024, 07 25). Retrieved from blogspot.com.

https://ekzeget.ru/bible/bytie/glava-8/stih-11/. (2024, 06 09). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/cisla/glava-17/tolkovatel-kirill-aleksandrijskij-svatitel. (2024, 08 11). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/cisla/glava-17/tolkovatel-kirill-aleksandrijskij-svatitel/. (2024, 07 23). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-ioanna/glava-19/stih-30/. (2024, 07 24). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-ioanna/glava-19/stih-34. (2024, 07 23). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-17/tolkovatel-avgustin-ipponijskij-blazennyj-/. (2024, 07 15). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-17/tolkovatel-feodorit-kirskij-blazennyj/. (2024, 07 15). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-17/tolkovatel-feodorit-kirskij-blazennyj/. (2024, 07 23). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-17/tolkovatel-ieronim-stridonskij-blazennyj/. (2024, 07 23). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-17/tolkovatel-ieronim-stridonskij-blazennyj/. (2024, 07 20). Retrieved from ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-17/tolkovatel-ieronim-stridonskij-blazennyj/

https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-17/tolkovatel-origen/. (2024, 07 12). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-17/tolkovatel-origen/. (2024, 07 20). Retrieved from ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-17/tolkovatel-origen/

https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-24/stih-29/. (2024, 07 24). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-24/stih-30. (2024, 07 27). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-26/stih-26/. (2024, 07 25). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-27/stih-45/. (2024, 07 24). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-27/stih-51. (2024, 07 24). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-3/stih-10/. (2024, 06 28). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/ishod/glava-12/stih-7/. (2024, 07 22). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/ishod/glava-12/stih-7/). (2024, 07 25). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/kniga-proroka-daniila/gla, 2. (2024, 05 6). *ekzeget.ru*. (И. б. Августин, Editor) Retrieved from https://ekzeget.ru/bible/kniga-proroka-daniila/glava-2/stih-34/.

https://ekzeget.ru/bible/kniga-proroka-isaii/glava-53/stih-7/. (2024, 07 23). Retrieved from ekzeget.ru.

https://ekzeget.ru/bible/k-rimlanam-poslanie-ap-pavla/glava-3/stih-25/. (2024, 7 28). Retrieved from ekzeget.ru.

https://orthodoxmonasteryicons.com/products/the-white-angel-of-the-tomb-icon. (2024, 7 28). Retrieved from orthodoxmonasteryicons.com.

https://sacred-texts.com/bib/lbob/lbob10.htm. (2024, 7 28). Retrieved from sacred-texts.com.

https://www.orthodoxy.ge/lotsvani/troparebi/zatiki.htm. (2024, 7 28). Retrieved from www.orthodoxy.ge.

https://www.orthodoxy.ge/tserili/zosime/17_1-9.htm. (2024, 07 17). Retrieved from www.orthodoxy.ge.

https://www.visitingvenice.net/san-marco-basilica-saint-marks-basilica. (2024, 7 24). Retrieved from www.visitingvenice.net.

orthodox monastery icons. (n.d.). *orthodox monastery icons*. Retrieved 08 25, 2024, from orthodoxmonasteryicons.com: https://orthodoxmonasteryicons.com/products/the-white-angel-of-the-tomb-icon

Августин Иппонийский блаженный. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 17 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-17/tolkovatel-avgustin-ipponijskij-blazennyj-/-დან

Августин Иппонийский блаженный, б. (n.d.). *екзегеть Библия и Толкования*. Retrieved 06 28, 2024, from ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-ioanna/glava-19/stih-34/

Амвросий Медиоланский святитель. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 22 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/kniga-proroka-isaii/glava-53/stih-7/-დან

Аполлинарий Лаодикийский епископ. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 23 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-27/stih-45/-დან

Библейские комментарии отцов Церкви и других авторов. (2005). *Библейские комментарии отцов Церкви и других авторов I-VIII веков - Ветхий Завет Завет, книга бытия 12-50б.* Герменевтика.

блаженный Августин , И. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 22 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/ishod/glava-12/stih-7/-დან

блаженный Феодорит Кирский . (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 18 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-17/tolkovatel-feodorit-kirskij-blazennyj/-დან

Василий Великий, с. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 22 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/ishod/glava-12/stih-7/-დან

Голубинский , Е. (1911). *История Русской Церкви.*

Григорий Богослов святитель. (2024, 10 9). *https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-ioanna/glava-10/stih-11/tolkovatel-grigorij-bogoslov-svatitel/*. Retrieved from ekzeget.ru : https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-ioanna/glava-10/stih-11/tolkovatel-grigorij-bogoslov-svatitel/

Григорий Богослов святитель, Б. (2023, 10 22). *https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-luki/glava-15/tolkovatel-grigorij-bogoslov-svatitel/).* Retrieved from ekzeget.ru.

Григорий Богослов, с. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 21 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-ioanna/glava-10/stih-11/tolkovatel-grigorij-bogoslov-svatitel/-დან

Григорий Нисский святитель. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 22 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/ishod/glava-12/stih-7/-დან

Евфимий Зигабен. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 21 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-26/stih-23/-დან

Евфимий Зигабен. (n.d.). *Екзегеть Библия и Толкования*. Retrieved 08 22, 2024, from ekzeget.ru/: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-ioanna/glava-19/stih-30/

екзегеть Библия и Толкования. (n.d.).

екзегеть Библия и Толкования. (2024, 06 28). Retrieved from ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-3/stih-4/

Ефрем Сирин , п. (n.d.). *Екзегеть Библия и Толкования*. Retrieved 08 22, 2024, from ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-ioanna/glava-19/stih-34/

Ефрем Сирин преподобный. (თ. გ.). *екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2025 წლის 15 07, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-3/stih-4/-დან

Иероним Св., С. (n.d.). *Екзегеть Библия и Толкования*. Retrieved 08 20, 2024, from ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-24/stih-30/

Иероним Стридонский , б. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2025 წლის 15 07, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-3/stih-10/-დან

Иероним Стридонский блаженный. (n.d.). *екзегеть Библия и Толкования*. Retrieved 07 16, 2025, from ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-3/stih-4/

Иероним Стридонский блаженный. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 22 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-27/stih-45/-დან

Иероним Стридонский блаженный. (თ. გ.). *екзегеть библя и толкования*. (С. б. Иероним, რედაქტორი) მოპოვებული 2024 წლის 09 05, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/all-about-bible/ekzegets/ieronim-stridonskij-blazennyj/-დან

Иоанн Златоуст святитель. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 22 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/kniga-proroka-isaii/glava-53/stih-7/-დან

Исидор Пелусиот , п. (n.d.). *Екзегеть Библия и Толкования*. Retrieved 07 17, 2024, from ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-3/stih-10/

Исидор Пелусиот преподобный. (n.d.). *екзегеть Библия и Толкования*. Retrieved 07 16, 2025, from ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-3/stih-4/

Кирилл Александрийский , с. (n.d.). *Екзегеть Библия и Толкования*. Retrieved 07 19, 2024, from ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/cisla/glava-17/tolkovatel-kirill-aleksandrijskij-svatitel/

Кирилл Александрийский святитель. (n.d.). *Екзегеть Библия и Толкования*. Retrieved 07 17, 2024, from ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-3/stih-10/

Ориген. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 16 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-17/tolkovatel-origen/-დან

Ориген. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 22 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-27/stih-45/-დან

Св. Августин , И. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 22 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-ioanna/glava-19/stih-34/-დან

Св. Амвросий Медиоланский . (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 22 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-24/stih-29/-დან

Св. Григорий , Б. (1944). *Творения. М. Ч.4. Слово 45. .* Москва.

Св. Ефрем Сирин, п. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 22 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-27/stih-45/-დან

Св. Иероним, С. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 18 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-17/tolkovatel-ieronim-stridonskij-blazennyj/-დან

Св. Кирилл , А. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 22 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-ioanna/glava-19/stih-30/-დან

Св. Кирилл Александрийский . (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 18 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/cisla/glava-17/tolkovatel-kirill-aleksandrijskij-svatitel/-დან

Св. Кирилл Иерусалимский , с. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 21 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-24/stih-30-დან

святитель Кирилл, А. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 23 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/1oe-poslanie-ap-petra/glava-3/stih-19/-დან

Святой Августин , И. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 15 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/kniga-proroka-daniila/glava-2/stih-34/-დან

Святой Иероним. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 18 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-17/tolkovatel-ieronim-stridonskij-blazennyj/-დან

Феодор Мопсуестийский епископ. (თ. გ.). *екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2025 წლის 15 07, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-3/stih-4/-დან

Феодорит Кирский блаженный. (თ. გ.). *Екзегеть Библия и Толкования*. მოპოვებული 2024 წლის 18 08, ekzeget.ru: https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-17/tolkovatel-feodorit-kirskij-blazennyj/-დან

ილუსტრაციები

ილ. 1

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის კონქში განთავსებული იესო ქრისტეს გამოსახულება

ილ. 2

იესო ქრისტეს შობის კომპოზიცია; ფრესკა ატენის სიონიდან (XI ს.).

ილ. 3

იესო ქრისტეს შობის კომპოზიცია; ფრესკა ყინწვისიდან (XIII ს.).

ილ. 4

რელიეფური გამოსახულება საცხენისის VI საუკუნის ქვაჯვარზე

ილ. 5

ატენის სიონის ფრესკული მხატვრობა; იოსებ დამწინდველის სიზმრისეული ჩვენება.

ილ. 6

მოგვთა თაყვანისცემა; X საუკუნის იფხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოხატულობა;

ილ. 7

წყალს დაწაფებული ირმების სცენა; V საუკუნის ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკა.

ილ. 8

ნათლისღება; სვანეთი; ლაღამის მაცხოვრის სახელობის ტაძრის მხატვრობა; XIII ს.



ილ. 9

ნათლისღება; ანჩისხატის კარედის რელიეფურ ფრაგმენტი.

ილ. 10

ნათლისღება; უბისას მონასტრის ფრესკული მხატვრობა.

ილ. 11. ნათლისღება; ადრექრისტიანული ხანის იკონოგრაფია; უსანეთის სტელაზე განთავსებული რელიეფურ გამოსახულება; VIII-IX სს.

ილ. 12

ღვთისმშობლის ხატის (ზარზმის მონასტრიდან) კარედის მოჭედილობის ფრაგმენტზე განთავსებულ ნათლისღების ხატმეტყველებაში; XI ს.

ილ. 13

ზარზმის მონასტრის ჭედური ფერისცვალების ხატი, რომელიც 886 წლით თარიღდება

ილ. 14

ლაშთხვერის ტაძრის დასავლეთის კედელზე განთავსებული „ფერისცვალების“ XVI საუკუნის ფრესკა.

ილ. 15

ფერისცვალება; აჭის (გურია) წმინდა გიორგის სახელობის მონასტრის კედლის მხატვრობა (XIII-XIV სს.).

ილ. 16

უბისის ტაძრის კედლის მხატვრობაში მაცხოვარი ორ რიგად წარმოდგენილ მოციქულებს აზიარებს (I ნაწილი).

ილ. 17

უბისის ტაძრის კედლის მხატვრობაში მაცხოვარი ორ რიგად წარმოდგენილ მოციქულებს აზიარებს (II ნაწილი).

ილ. 18

დავითგარეჯის უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოში არსებულ ფრესკული გამოსახულება (X-XI სს.).

ილ. 19

საიდუმლო სერობა; უბისის მხატვრობა

ილ. 20

შემოქმედის უფლის ფერისცვალების სახელობის ტაძრის კედლის მხატვრობა (XVII-XVIII ს.ს.)



ილ. 21

აჭის „წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში“ განთავსებულ იესო ქრისტეს ჯვარცმის ამსახველ ფრესკა (XIII ს.).

ილ. 22

ხახულის კარედზე განთავსებულ VIII საუკუნის კვადროფოლიუმზე სამოსლით ჯვარზე გაკრული მაცხოვარია წარმოდგენილი.



ილ. 23

დავით გარეჯის მონასტრის ერთ-ერთი საბერის ჩრდილოეთ კედელზე ჯვარზე გაკრული კვართშემოსილი იესო ქრისტეა გამოსახული (X ს.).

ილ. 24

VII საუკუნეების დოდოს რქის მხატვრობა, სადაც იესო ქრისტე „დიდებაშია“ გამოსახული

ილ. 25

აჭის (გურია) მონასტერში განთავსებულ იესო ქრისტეს ჯვარცმის ამსახველი XIII-XIV საუკუნის ფრესკა.

ილ. 26

„გარდამოხსნა“ (XV ს.)

ილ. 27

აკლდამის გადაგორებულ ლოდზე მჯდომი ანგელოზი; ყინწვისის „ქრისტეს აღდგომის“ იკონოგრაფია.

ილ. 28

„ჯოჯოხეთის წარმოცალიერება“; XVI საუკუნის უბისას ტაძრის კედლის მხატვრობა.

ილ. 29

„ჯოჯოხეთის წარმოცალიერება“; „შემოქმედის გულანის“ XVIII საუკუნის მინიატურა

ილ. 30

ჯოჯოხეთის დამარცხება; აჭის მონასტრის მოხატულობა; (XIII ს.).

ილ. 31

„ჯოჯოხეთის წარმოცალიერება“; XVIII საუკუნის „ჟამნის“ ხელნაწერის მინიატურა.

ილ. 32

სოლოღაშენის ტაძრის ჭედური ხატი „ამაღლების“ გამოსახულებით (X-XI სს.).

ილ. 33

ნიკორწმინდის ტაძრის ფასადზე განთავსებული რელიეფი „ამაღლების“ გამოსახულებით (XI ს.)